

114 /
1961/3

აგათანაგო



12

1 9 6 1

მნათობი



ქრველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლონტიკური შუკნალი

წელიწადი 38-ე

№ 12

დეკემბერი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


შ ი ნ ა კ რ ს ი

გიორგი ლეონიძე — ლექსები	3
აკაკი ბელიაშვილი — შეიღაცა	4
არჩილ სულაყური — ვაზო. მოთხრობა	19
კარლო კალაძე — ლექსები	28
ხარიტონ ვარდოშვილი — სამადლობელი. ლექსი	31
გიორგი კაჭახიძე — ხმა გულისა. ლექსი	32
ზაქარია შერაზადიშვილი — შეჭეიფებული სადღეგრძელო. ლექსი	33
ანდრო ლომიძე — ომი. მოთხრობა	34
ელიზბარ ზედგინიძე — გაზაფხული დაიწყო აღრე... რომანი. გაგრძელება	41
გიორგი შდივანი — ტერეზას დაბადების დღე. პიესა	66
შაქრო სამადაშვილი — უაბუკური დღელამე. მოთხრობა	97

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ლევან ებანოიძე — ხალხთა მეგობრობის დიადი ლენინური პროგრამა	99
ვანო წულუკაძე — ხალისიანი და მართალი შემოქმედება	106
აკაკი ბელიაშვილი — მიხეილ ჯავახიშვილი	110

(იხ. მეორე გვ.)



სერგი კვიციანი — ლირიკული პროზის ოსტატი. დასასრული.	121
აკაკი შანიძე — „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები	139
სიმონ უაუხჩიშვილი — დიდი მეცნიერი	156
შალვა გიგაშვილი — ვაჟა-ფშაველას „ბეველის მკამელი“	142
მერი ხაჯია — ლიტერატურის ზოგადი პრობლემები ნ. ნიკოლაძის შემოქმედებაში	146
პ. ჩატოანი — თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ტრადიციული ბუნების გაგებისათვის. დასასრული	153
ამბერკი ვაჩეჩილაძე — ილია ჭავჭავაძის დრამატურგიის წყაროები	167
მ. კვეციანი — წერილი რედაქციის მიმართ	172

წიგნების მიმოხილვა

ელგუჯა მაღრაძე — საინტერესო კრებული	175
ოსებ მეგრელიძე — პეტრე იბერიელის შრომები	178
ნინო მახათაძე — ნაშრომი ქართულ მქვერმეტყველებასზე	180
ვ. გავაშელაშვილი — საინტერესო მონოგრაფია	184
ურნალ „მნათობის“ 1961 წლის ნომრების შინაარსი	186
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ვ. მაღრაძე (პ/მგ, მდივანი), ბ. ულენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ბელოწერილია დასაბეჭდად 28/1-62 წ. ქალაქის ზომა 10×108. ანაწილის ზომა 7¹/₄×121¹/₂.
 ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უფ 02425.
 ტირაჟი 5.600. შეკვეთა № 1801.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
 Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

გიორგი ღვინძია

საქართველოს მზე

ამ შემოდგომურ
ჭაღრის ფურცელზე,
გომბორის ხშირ ტყის
მაჭრისფერ ფურცელზე
წვეთი რომ
დოჭიდან დაპლენთებია,
სწერია ჩემი საქართველოს მზე!
მისთვის სანთლებით აღინთებთან
სულში ფოთლები

ყოველ საღამზე...
ნამწვეები გულზე დამედებთან...
ო, ვისი დარდი დამდევნებია?
ახ, ამ სხივებმა
მკერდი დაკემსეს
სხივი და სევდა,
ძმებად რომ ვლიან,
ყოფილა თურმე —
საქართველოს მზე!..

1957

ს ა ყ უ რ ი

„ჰოი, საყურეო...“

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

ნეტავ რისათვის,
ნეტამც რისათვის
იყო სასტიკი და უმადური! —
საყურისათვის,
საყურისათვის,
ნემსით დაჩხვლიტეს
ყური ვარდული!
როგორ გაბედეს,
ვინ არ დაინდო?
ვინ გაიმეტა
და არ ინანა?
მაგრამ აღმასად
ცუარი აინთო,
საყურის თვალში
ჩაჯდა სხივნარა.

ეგებ შენ იყავ,
გულის ნამწვეო,
მიცვლილ ოცნების
ანაპერწყლებით,
იქნება გინდა,
რომ გამამწარო,
არ მომცე სხივნი,
მომცე ეკლები?

იქნებ ასეა,
იქნებ, ვიცი მე
სიყვარული და
მისი მტერობაც,
თუ რისთვის ბრწყინავს,
და რად ციმციმებს
საყურის
ნაზი უღარდელობა?!

პოეტის ცრემლო,
ეგებ შენ იყავ,
მღულარებაში ქცეული
ციცხლად;
მაშ, უკვდავება
შენი გამიყავ-
რაც ოქროდ სვედე.
რაც დაგივერცხლავს!

შენ გამინათე
სევდის ნისლეები;
შენი ნათელი გადამახურე,
ვიდრე სიმღერით
არ დავიცლები,
და სიყვარულით...
ჰოი, საყურე!

1958

აკაკი ბელიაშვილი

შვიდკაცა*

ყველაზე მწარე ყოფილა ცხოვრებაში, როდესაც რაიმე დაგბრალებდა, ისიც სრულიად უდანაშაულოდ და, თუ ასეთ შემთხვევაში თავის მართლებაც არ შეგიძლია, მაშინ ხომ მთლად უნდა გაგიყდე კაცი. სუყველაფერი შეგზიზღდება, ხალხიც, შენი ქვეყანაც, სამყაროც; აღარაფერი არ გახარებს, აღარაფერი არ გიზიდავს და გული მოგდის, რომ ამქვეყნად გაგაჩინა განგებამ. ეს რა შარში გავებიო, იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში და ჩვენებური აკაცი-სათვის იგი ყველაზე დიდი უბედურებაა. მაგრამ თუკი ბედმა გაგიღიმა და შარისმომღები შენთან მონანიებით მოვიდა, მაშინ კი ელვის სისწრაფით მოგეხსნება მხრებზე მოდებული ის მძიმე ლოდი, რომელიც აქამდე სულს გიხუთავდა და ხელახლა დაბადებულს სიცოცხლის სიხარული ისევ წამოგიწყებს მრავალგამიერს.

ასე მომივიდა, როდესაც ჩემმა მეგობარმა გული გამიხსნა და ჩემს წინაშე აღსარება წარმოსთქვა. იმ ღამეს სულ ორიოდე შიტყვით დაგამთავრეთ საუბარი, ერთი კი წავიდუდუნე, მაგრე თუ იყო, შე რჯულძაღლო, რას მომკალი, ბიჭო-მეთქი, და უცბათ ისე მოეწყდი. მაშინვე ჩამეძინა. მეორე დღეს კი სინუსამ მოხსნა გულას თავი და მთელი დღის განმავლობაში, სადაც კი არ ვიყავით, ვმუშაობდით, ვისვენებდით თუ პურსა ვჭამდით, გაუთავებლად მიამბობდა თავის განცდებს.

— რა ძნელი ყოფილა კაცისთვის საკულთარ სულში ჩახედვა და თავისი სიგლახის დანახვა, — მეუბნებოდა სინუსა, — მარა, თუ ეს შეძელი ადამიანმა, მერე აღარაფერი გიჭირს. ჩემი უბედურება რაში იყო, ბიჭო, იცი? შურიანი ვყოფილვარ თურმე და ვერ ვხედებოდი. შენი მშურდა ყველაფერი. ერთად ვიზრდებოდით ხომ? ბავშობიდან ამხანაგები ვიყავით და სულ იმას ვედილობდი, შენთვის მომეხება და ყველაფერში მეჯობნა. შენ, შე რჯულძაღლო, ერთი ჩაიხედავდი წიგნში და ყველაფერი იცოდი, მე თავი უნდა ჩამეკლა და, ეს უღმერთო, ცოდნა არ მოდიოდა და არა. მერე წამოვიხარდეთ და გოგოებს რო დავუწყეთ თვალების პრაწვა, ვხედავ, ეს გოგოები ყველა შენ გიცქერის, შენზე ჩურჩულებს, მე თან ვყვები მაგ უგამჩენოებს, ბულბულივით ვუსტვენ, ვეძღურებულეები, თითქოს ქე ჭრის ეს ჩემი დათაფლული ენა, მარა რაეარც საქმე საქმეზე მიდგება, რო ეიკრავდნენ თავს გულმოსული ცხენივით, საით გამეწრო, აღარ ვიცოდი, ხო, არ გამიმხელია, მარა ცისანას გულისათვის სული მხდებოდა და ვეციდებოდი. საიდან არ დავუარე თავი, რანაირად არ ვიეშმაკე, მის თვალწინ სხვებს ვეარეშეყებოდი, სიყვარულს ვუხსნიდი, შენც არ მომიკვდე, ვინ გიყურებს! მერე ვცადე, პირდაპირ მიმეტანა იერიში. ისე გამომხედა, იმისთანა ცივი წყალი გადმომასხა, დამავიწყდა სიყვარული რა იყო. მე ვთქვი, შენ თუ სამაგიერო არ გადაგიხადე, კაცი არ ვიყო

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

მეთქი. მოვლექი და ხან ერთს ვაბრი-
ყვებდი, ბიჭო, შენ უყვარხარ და ეცი-
მეთქი, ხან მეორეს. ზოგი თლა თხლუ
გამოდგა და ვერ გაბედა გაკარება,
მარა პიერკვადრატამ არ დაიხია უკან,
იმასაც რო ოუკრა აბუჩალაკი, მაშინ
კი დავიკაპიწე იაკოსავით და რაც დღე
გადიოდა, სულ ყოველდღე ვრევდი მაგ
დამთხვეულს. თან, სულს ცოდვილო,
და ისიც ქე მინდოდა, რო შენ მოე-
ყეყე ერთი მაგრად. შენი ინტერესი
კი არ მქონდა, დედას გეფიცები, ცისა-
ნა მინდოდა გამემწარებინა. ერთი სიტ-
ყვით, რაც მოყვა ამ ჩემს ოინებს,
შენს თავზე გადაიარა ყველაფერმა და
რალა გელაპარაკო. მერე... შენ რო
ზღვაზე წადი დასასვენებლად და ცისა-
ნაც გაქრა აქედან, ჯერ მეგონა, რომ
შენთან იყო წამოსული და გულამ-
ღვრეული აღარ ვიცოდი, რას ვშვრე-
ბოდი. დავტრიალდი, ეს გოგო მაინც
არსა გამექცეს-მეთქი და, რო მგონია...

— რომელი გოგო?

— დოდოზე გელაპარაკები. რო მგო-
ნია, ჩემი გულისთვის სულს ლეეს-
მეთქი, ამნაც გამომდგა სარმა და
ცხვირი ტალახში ჩამაკერვია. მე ვთქვი,
ეს რა მემართება-მეთქი და გადავირიე.
ბიჭო. პირი ხო არ მიყარს ან ავი ზნე
ხომ არ მქირს, რა ღმერთი მიწყრება,
რომ ეს გოგოები ასე გამირბიან-მეთქი.
მოვიხედე. მოვიხედე გამწარებულმა და
ვეცი ლიას. ვთქვი, ეს ჩემი და უწყი-
ნარი გოგოა, დიდი მზეთუნახავი არაა,
მართალია, დოდოსგან გაგებული მქონ-
და ნოდარზეა შეყვარებულიო, მარა
ვიფიქრე, ამას გათხოვება ქე უნდა
ალბათ და ჩემისთანა ბიჭს რაეა დაიწუ-
ნებს-მეთქი. მოვუღურღულე და მოვუ-
კვდი ფეხებში, მლიქვნელი ფინისავით
დავუახლოვდი, დაუშვებოვრდი, ხან
აქედან ვუვლი, ხან იქედან, მაინც სულ
შენზე მელაპარაკება. გავსკდი გულზე.
აქ მოვიდა სისხლი. მე ვთქვი, რა თაფ-
ლი აცხია ამ ღმერთგამწყრალს ასეთი.
ეს გოგოები რომ მისთვის ირევიან-
მეთქი და იმ ცხელ გულზე. ერთხელ.

მივიმწყვდი გვირაბში. ახლა სად წამი-
ხვალ-მეთქი, ვეცი... რო მკრა ხელი, და
კეფა ზედ ბიგაზე მიმახეთქებდა. კინა-
ღამ იქვე სული გამაცხებია. იმ ნოდარ-
ასთან თუ ცხოვრობდი, ახლა ჩემთან
რას იპატიოსნებ თავს-მეთქი... და კი-
დევე მივიწიე, მარა წამოუსვა ნიჩაბს
ხელი და დროზე რო არ გავცლოდი,
გლახად იყო ჩემი საქმე. მერე მოვლექი,
ამით მაინც ვიძიებ შენზე შურს და
მოკრწყე ბიჭებში ამბავი, ნოდარას და-
უორსულებია და ამორტიც ქე გაუკეთე-
ბია, მგონია-მეთქი. შენზე აქ იმისთანა
ზღაპრები მოდიოდა, ამის დაჯერებას
რა უნდოდა. ყველამ დაიჯერა და
აიგდეს ეგ უბედური გოგო, მარა, რა-
ფერი ისე უსინდისოდ წასძახოდნენ,
ხო ჩემი გავრცელებული იყო ეგ ამბა-
ვი, მე მომდიოდა გული. ე, მგონია,
ზოგიერთების ამ უღმერთობამ გამრმა-
ფხიზლა და საკუთარ სულში ჩამახედა.
ეს რა ვქენი-მეთქი. პირველად კი მიხა-
როდა, მე სულელს და ვირს, ამ გოგოს
აბუჩად რომ იგდებდნენ, მარა მერე,
სადაც, გულის სიღრმეში მაინც შე-
მაწუხა სინდისმა. ამასობაში შე რო
დაბრუნდი და იმ გოგომ კიდეც თავის
ჩამოხრჩობა სცადა, ე, მაშინ მთლად
მოვიშალე სახსრებში და აქ მომაწვა
გული, ა, ყანყარტოში. ვითმინე, ვით-
მინე, ამოვიდა სული, ვიგულები კაცი,
ბოლოს გავწირე თავი და აგერ ეარ შენს
წინ.

ასე მიამბო ეს თავის თავგადასავალი
ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ხან მუშობის
დროს, სვეტებს რომ ვებრხავდით,
ვთლიდით და გვირაბში ვამაგრებდით,
ხან საწარმოო თათბირზე, როდესაც
მალაროს ხელმძღვანელობა ჩვენგან
მოითხოვდა მარგანეცის ამოღების გეგ-
მების შესრულებას და მოგვიწოდებდა,
ბოლოსდაბოლოს, მოგვეპოვებია კომუ-
ნისტური შრომის ბრიგადის სახელწო-
დება, ხან კლუბში კინოსუანსზე. ხან
სპორტული ვარჯიშობის დროს. მიამ-
ბობდა ამას, ერთჯერ ნათქვამს ასჯერ
იმეორებდა და სულ თვალებში შემეც-

ქეროდა. მე კი არაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ გამომეტყველებით მატყობდა, რომ ჩვენს შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნების კვალი თანდათან ქრებოდა და ასევე თანდათან მტკიცდებოდა ნამდვილი მეგობრობა.

— ბიჭო, შე რჯულძაღლო, მეტი საქმე არაფერი გქონდა, სულ მაგისთანებზე ფიქრობდი? — ვუთხარი ბოლოს სინუსას.

— ნურც მაგრე იტყვი, — მიპასუხა მან მცირე დაფიქრების შემდეგ, — ვისაც რა აქლია ცხოვრებაში, იმაზე ფიქრობს, თორემ კაცს თუ თავზე საყრელი გაქვს ყველაფერი, მაშინ ან შურმა რატომ უნდა შეგიპყროს ან ბოროტებაში. შენ რომ ქათმის ხორცს ჭამ და მე რო ლობიოს უნდა მივასკდე, სიტყვაზე, ესაა რო მხეთქავს გულზე, მე კი არა, ყველას, ვინც ასეა ჩემსავით დაჩაგრული ცხოვრებაში.

— მაგაა ყოველი გლახაკის თვისება, წინ რო არ იყურება და სხვას შეჩერებია პირში. კაცს თუ რამე გაქლია ცხოვრებაში, შენს თავს დააბრალე, სხვა არაფერ შეუაშია. გოგოები არ მეკარებოდნენო, გული გწყდება. შენ გგონია, შენ ხედებოდი მარტო და ისინი ვერ ხედებოდნენ, რაც გქონდა გუნებაში?! ამიტომ შეგიძლევს ერთბაშად და ვისაც არ შეხედე, ყველამ ბრანწი გიჩვენა.

— რაშია მაგის საიდუმლოება, გამაგებზე, თუ ძმა ხარ, შენზე ნაკლები არც თვალტანადი ვარ, არც ხასიათი მაქვს ცუდი და არც სიტყვა-პასუხი ურიგო. რა ხდება ამ ჩემს თავს...

— არაფერი არ ხდება. ცუდზე ფიქრს თავი დაანებე, გულწრფელი იყავი, დამშვიდდი, და ყველაფერი რიგზე იქნება.

— შენ, მგონია, მართალს მეუბნები.

— რაც მთავარია, სხვას ნუ შეჩერებიხარ პირში. წინ გაიხედე. მიზანი დაისახე და მის მისაღწევად იბრძოლე. მარა ისეთი კი არა, რომ ანგელოსივით პატროსან გოგოს ნამუსის ახდა მოუწ-

დომო და ამისთვის დღედაღამე აღარ გეძინოს, მიზანი მიზანს უნდა გადადეს, ისეთი მიზანი, რომელზეც ვერცაღი გაგზიდის და შენი ჭვეყნის დამამშვენებელ აღამიანად გადაგაქცევს...

— მე მაგას მეუბნები და შენ თითონ...

— მე რაც შემემთხვა, ეს კარგი გაკვეთილი იყო ჩემთვის...

— იფ, იფ, რა კარგია! კაცს რო კარგი ლეინო შეხვდება, მიასკდება ზედ. აწყენს და მერე იძახის, ეს კარგი გაკვეთილი იყო ჩემთვის, მეტს აღარ დავლეეო.

— კი, მაგრამ, შენ თუ არ შეგხვდა ეს ლეინო, ამის გულისთვის აღარაფერი არ უნდა დაინდო, ბიჭო? სატრფოს დამამორა შენმა ინტრიგებმა და კინაღამ სიცოცხლესაც გამომასალმა! ამ ცხოვრების ადულტულმა ზვირთებმა ვილაც ბედკრულ ქალს შემახვედრა და ისიც გშურს?...

— არ დამშოგო, ნოდარ. ღირსი ვარ ყველაფრის. ღორს ცხრაჯერ რო დაბანო ტანი, მაინც ტლაპოსკენ მიიწევს. ისეა ჩემი საქმეც... შენი კი აღარაფერი მშურს, ბიჭო, მარა წუწყ მელიასავით მაინც საქათმისკენ ვიციქირები.

— შენ თუ გინდა ჩემი ძმობა და მეგობრობა, ერთი თხოვნა შემისრულე.

— ერთი კი არა, ასი იყოს.

— წადი და რაც მიამზე, იგივე უამზე ლიას თავიდან ბოლომდე.

სინუსა ცეცხლში გახვეული სანთელივით მოლბა, სახსრებში მოიშალა და მუხლები მოეკეცა.

— ეგ არ გეთქვა ჩემთვის და მოგეკალი, ჯობდა.

— ვიცი, რომ ძნელია, მარა, იქნება ასე აჯობოს, უფრო შენთვის, ვიდრე ჩემთვის

*

დრო, თურმე, კარგი მკურნალი ყოფილა ყოველგვარი ტკივილებისა. ამდენმა დავიდარებამ გადაიარა ჩემს თავზე, ამდენი მწველი სიხარული და უფრო მწველი ტკივილები განვიცადე.

არ ვიცი, სხვა ვინმე ყოველივე ამას გაუძლებდა თუ არა, მაგრამ მე გავუძელი, მღელვარე ტალღებმა გადაიბინა და მეც ჩაედექი ერთნაირ კალაპოტში. დროც კი არა მქონდა, კვლავ მოვხვედრილიყავი მძაფრი განცდების სამყაროში. დილას გაეწევედი თუ არა მალაროში სამუშაოდ, პარშენიც ისე ტრიალებდა მთელი დღე, ისე გესაქმავდა ყოველ ჩვენგანს, პირდაპირ თავის მოსაფხანად არ გვეცალა. დაეწევიტ გეგმების შესრულებას, ჯერ თვის გეგმა სამი დღით ადრე დავამთავრეთ, მერე კვარტალისას ერთი კვირე მოვტაცეთ. თქმა ადვილია და საქმე ასე ადვილი როდი იყო. ისე გაგვიმარდა კუნთები, ლურსმანი რომ დაგესოთ, როგორც კორძში არ წავა, ისე არ წაეიდოდა. ხელის გულებზე გარმონის კლავიშებივით დაგვაჯდა ბებერები და სალამოს შინ დაბრუნებულებისთვის ვინმეს რომ ეთქვა კინოში წამოდიოთ, ცემით გავხეთქავდით. ვისაც დაუსწრებელზე გვქონდა საგნები მოსამზადებელი, პირველ ხანებში იმასაც ვერ ვახერხებდით, მარა იღბლად კომკავშირის რაიკომის მდივანი დაგვადგა თავზე: რას ქვია მეცადინეობის თავი არა ვაქვთ, არ გავიგონო, რომ დროზე არ ჩაგებარებოთ ჩათვლებიო. ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი, ისე რომ არ მოგვძალებოდა, ალბათ, სულ მივანებებდით თავს სწავლას. ჩაფუჯებით და ნელნელა მეცადინეობასაც შევეჩვიეთ. თურმე საგნების მომზადებასაც ცოდნია გატაცება. ახლა არ დაიჯერებთ და, დედას გეფიცებით, თუ ტყუილს ვამბობდე. მალაროში შაბაშიო რომ დაიძახებდნენ, მიხაროდა შინ დაბრუნება და საგნების მზადება. მერე ლექციებიც წაგვიკითხეს ზოგიერთ საგნებში, ამისთვის მალაროდან ქიათურაში გვიხდებოდა სიარული. ეს კიდევ უფრო სახალისო იყო. ერთი სიტყვით, ჩავვარდი წესიერ ღარში და გულს კაეშანიც მოშორდა.

ლიას ამბავი თანდათანობით დაეწევიტებას მიეცა. სინუსას უნდოდა ჩემთვის

დანაპირები შეესრულებია, მაგრამ ეს გოგო მეორე დღეს გამტყუროლიყო საავადმყოფოდან, თავის სულელურ წესულიყო და მას შემდეგ თვალით არ დაგვიჩანავს, აშკარა იყო, მალაროში აღარ დაბრუნდებოდა.

ნუთუ ეს ჩვენი ცხოვრება მწუხარების და სიხარულის განუწყვეტელი ჯაჭვია? მერე და რა უცნაური და სხვადასხვა ზომის რგოლები ქმნიან ამ ჯაჭვს. ხანდახან ერთი ციციკნა უსიამო ამბავი მოგიკლავს გულს, ან და სულ პატარა ასევე ერთი ციციკნა სასიამო შემთხვევა მხესავით შემოანათებს შენს ცხოვრებაში. ხან იმოდენა ჭირი დაგატყდება თავზე, გეგონება, მთელი ქვეყნის უბედურებას ერთად მოუყრია თავი შენს გასასრესადო, მაგრამ საიდანაც წამოგშველება სიხარულის ტალღა და მალა აგისვრის. ვინ იცის, იქნება ცხოვრებაში ასეც კი ჯობდეს, თორემ სულ მარტო სიხარული რომ იყოს ამ ქვეყნად, იქნება ისიც ისე მოგებზრდეს აღამიანს, როგორც პასიკოს (ბებიაჩემია) მიერ ყოველდღე მოხარული ლობიო.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, მე არც ერთი არ მაკლდა დღემდე, არც სიხარული და არც მწუხარება. ციებ-ცხელებასავით შემეყარა და კარგახანს არ მომეშვა სანამ ისეც ამ მალაროში არ შევრგე თავი. აქაც ამრიდამრია ერთ ხანს, მარა მალე ისე მომთელა ფიზიკურმა შრომამ, ისე ჩამავლო ერთ განუხრელ კვალში. აღარც მწუხარებისთვის მეცალა და აღარც სიხარულისთვის. სადღაც მოგონების უძირო უფსკრულში ჩაიძირა ცისანას მომავლოვბელი ღიმილიც. ლეტიციას მცხუნვარე სიყვარულიც და ლიას ნაღვლიანი თვალებიც. დილის ეჭვის საათიდან დამის თერთმეტ საათამდე ვხედავდი მარტო ჩემი ამხანაგების გაოფლილ სახეებს. ფიჭვისა და ნაძვის მძიმე ბიგებს, მოქნეულს უროს, მარგანეცით დატვირთულ ვაგონებს, მერე კრებებსა და თათბი-

რებს ვესწრებოდი და უფრო მეტად კი ჩავეიკრიტებდი გაუთავებელ ფორმულებს, ტელიორისა და მაკლორენის მწერებებს, ერთმანეთზე ვაბამდი ვექტორებს და ვედილობდი გავრკვეულიყავე მარკშეიდერული ხელოვნების საიდუმლოებაში. ერთი სიტყვით, შევუდექი ჩვენი დიდებული მწერლის დაეით გურამიშვილის ქვიანური დარიგების განხორციელებას, ჯერ მწარის ქამას, რომ მერე ტკბილის ნამდვილი გემო გამეგო. თუმცა, სად და გზის რომელ მონაკვეთზე უნდა დამხვედროდა ეს ტკბილი, სულაც არ მქონდა წარმოდგენილი და ამაზე არც კი ვფიქრობდი. იქნებ ასეც ჯობდა, რადგან იმაზე რომ მეფიქრა, ტკბილი როდის მელირსება-მეთქი, ალბათ ჩემზე უბედური კაცი არ იქნებოდა. ისე გაჭიანურდებოდა ჩემთვის ეს აღთქმული ბედნიერება და სული ამომხდებოდა იმის მოლოდინით.

მაგრამ მალე დაერწმუნდი, თუ ამ ტკბილისკენ სწრაფვა არა გაქვს ადამიანს, ისე რანაირადაც არ უნდა იყო ზოგადი იდეებით შეზერობილი, რანაირადაც არ უნდა შემოგინთონ აღფრთოვანების ცეცხლი, ტყუილია, არაფრის ინტერესი არ დაგებადება. თუ ვინმემ დაიტრაბახოს, ყველაფერს წმინდა იდეის გულისთვის ჩავდივარო, არ დაუჯეროთ. ფლიდია ასეთი კაცი. მხოლოდ ბოროტი შეიძლება იყოს ამგვარი, ხოლო ცოცხალ ადამიანს, რომელსაც გარძნობაც აქვს, გულიც და სულიც, მას თუ წინ სიხარულის განცდა არ მოელის, ყოველი გადადგმული ნაბიჯი წამებად მოეჩვენება.

სიხარულის გამომწვევი მიზეზი კი მრავალგვარია. ზოგჯერ სულ პატარა და უმნიშვნელო მოვლენა ან შემთხვევაც კი ცაში აგაფრენს, ისე ალგაფრთოვანებს, როგორც ბავშვს რაიმე სათამაშო.

აბა, რომელ ჩვენგანს არ განუცდია ეს პატარაობისას.

მასხოვს სტუმრად რომ გვეწვეოდა

სოფელში დედაჩემის მამა, აუცილებლად მომიტანდა ხოლმე საჩუქრად რაიმე სათამაშოს და მერე მთელი დღე ჩემთვის აღარც ქამა იყო, აღარც სმა, ყველაფერი მივიწყდებოდა სიხარულით.

არაეინ იფიქროს სათამაშო მარტო ბავშვს უხარია. დიდები უფრო სცოდავენ ხოლმე და მეც არ წარმოვადგენ ამ შემთხვევაში გამოჩაკლისს.

საკვირაო ლექციების მოსასმენად წავედი ერთხელ ქიათურაში. იანერის სუსხიანი დღე იყო. წყალთოვას სულ ჩამოეწუშა მიდამო. აჩქარებული მივაბიჯებდით გზატყვილზე ედიშერა ფხალაძე, სინუსა და მე.

— ერთი მოტოციკლი რო მოგვცა ახლა, — ინატრა სინუსამ, — ძარიანი როა, სამბორბლიანი, ერთ წუთში ჩავგრიალდებოდით ქვეით და ამოუტრიხინდებოდით უკან. მე საჭეს მიუუჯდებოდი, შენ უკან შემოგაჯენდი, ედისონას ძარაში ჩავსვამდი და...

— მოტოციკლი? — გავიკვირე მე. — სად არი მერე?

— სად არი და უნივერსალში ოთხი ცალი მიუღიათ. თქვა ედიშერმა.

— კაი, ერთი! — შეხტა სინუსა.

— დედას გეფიცები!

— რა ღირს, თუ იცი? — ვკითხე მე.

— რა თვარა, ერთბაშად არ იყიდო. — გესლიანად გადმომკრა სინუსამ. — შენი მილიონერი ცოლის მზითვეი რო გვეკონდეს...

— ბიჭო, მოტოციკლს მილიონი რად უნდა. დიდი, დიდი, ედიროს ხუთი ან ექვსი...

— როცა არ გაქვს, შეურსაც მილიონის ფასი აქვს. რითი აბირებ ყიდვას?

— რითი და... თვეში ხუთი თოჰანი რო გადავდო... ერთი წელიწადი უნდა ეაგროვო...

— ერთ წელიწადს შენ მოგიცდის უნივერსალი. ვაყიდიან.

— მერე რა. ახალს მოიტანენ. შენ ფული თქვი და, მოტოციკლს კი არა, თუ გინდა, „ვოლგას“ ვიყიდი.

— კაი მასალა გკლებია.

— წამოდი ვნახოთ მიინც.

— ვნახოთ.

ზამთრის ნისლიანი ცა ფანჯრებამდე ჩამოწოლილიყო და ნახევრად ბნელ უნივერსალში ყველაფერი დაღვრემილად გამოიყურებოდა, დახლში აბუზული ნოქრებიც, თაროებზე შემოწყობილი საქონელიც და შემთხვევით შელოლიალებული მყიდველებიც. მარტო მოტოციკლები ბზინავდნენ მზიარულად. ერთმანეთზე მიეწყობოთ ოთხივე, გეგონებოდა, ჯიშინი ცხენები მოუბამთ ბაგაზეო.

დიდხანს ვათვალიერეთ, ხელითაც მოვსინჯეთ რეზინის საბურავების ჩაზნექა ვცადეთ, ხან აქედან ვუკირიკრეთ, ხან იქედან და საბოლოოდ დაერწმუნდით, რომ ამათზე უმშვენიერესი, ამათზე უღონიერესი, ამათზე უძვირფასესი ამ ქვეყნად არაფერი არ იყო.

— ქეც მომკვდარვარ, ეს თუ არ ვიციდე, — გადაჭრით გამოაცხადა სინუსამ.

— რითი, ბიჭო? — ვუთხარი მე და გუნებაში უკვე შევეუღდე ჩემი ყოველი შესაძლებლობის მათემატიკური სიზუსტით აღნუსხვას. სინუსაზე ნაკლებად არ მომიხდა ამ შესანიშნავი მანქანის შექმნა. მაშინვე წარმოვიდგინე ჩემი თავი ზედ ვაჟაკურად გადამჯდარი (ლამაზად გამოწყობილი, ტყავის ქურთუკით, იდაყვებამდე გრძელი ტყავის ხელთათმანებით, თავზე ფოლადის მუზარადით, ჩვენებურ ხაპს რო წააგავს) და გავაჭროლე... თითქოს კინოში ვყოფილიყავი, ტყაცანით და გრილით ავიჭროლე აღმართები, გველივით დაკლაკნილი მოსახვევები, გადავიჭროლე ამბროლაურში და ცისანას თვალწინ მოჩვენებასავით გავიელვე, ჩაეწყვიტე გული, რომ ასეთი ჩაუქი ბიჭი მიმატოვა. მერე ლეტციას ჩამოვეჭროლე და ისიც ცრემლმორეული, ჩემსკენ ხელბგამოწვდილი მივატოვე, მერე ლიას სოფელში შევიჭერი, ლობზე გადავაფრინე ჩემი მოტოციკლი, ეზოში მოწყვეტით შევაჩერე და დაფეთებუ-

ლი ლია ელვის სისწრაფით შევირჩევე. მოდი, გოგო, უკან შემომიჯექ, ვუთხარი მე, ვუთხარი, რას ლამაზად მომიხდა მან. მიინც გაბედა, შემომიჯდა, წელზე ხელი მომხვია...

— ე! შენ გეუბნებიან, რამ გამოგაშტერა შე ჩემი ცოდვით სავსე, — მკრო ხელი სინომ.

— ჰა, რა იყო? — დავიბენი და მიმოვიხედე, — ამის ნებაც აღარა მაქვს, რო დავფიქრდე?

— რაზე ფიქრობდი, ასე გამწარებული?

— რაზე და... რამდენ ხანს უნდა ვაგროვო ფული, რო ეს ვიციდო-მეთქი, როდის შევძლებ...

— წამო, წამო, — შემაწყვეტია სინომ, — როდის შეძლებ და როდინობის კვირაში. სანამ შენ მაგის ფულს მოაგროვებ, ესენი ცხრაჯერ გაყიდნიან ამათ.

— ეგენი გაყიდულია უკვე, — გვითხრა ნოქარმა და სამივეს ცივი წყალი გადაგვასხა.

— რავე გაყიდული? — ეკითხებოთ სამივემ ერთად, თითქოს ახლავე ვაპირებდით მათ ყიდვას.

— რავე და ისე. ერთი ალიბია ბუხრაშვილის ბიჭმა იყიდა, მეორე სარეწაო არტელის გამგემ, მესამე...

— მე რაში შეინტერესება, ვინ იყიდა, — შეუტია სინუსამ, — ჩემი ურგები ქოთანი ქვას და შეჭამანდი ძალღს. შენ მითხარი, რაფერ მოასწრეს ყილვა და თუ იყიდეს, აქ რალაზე გიწყვიათ?

ნოქარს გული მოუვიდა, იფიქრა, ალბათ ეს სხვაგან მიკაქუნებსო და მხრებში ჩამალული თავი კუსავით გამოაძვრინა.

— შენ მაკლდი რევიზორად და რალა მიჭირს ახლა. მე გეუბნები, გაყიდულია-მეთქი და თუ არ გჯერა, წადი და მიჩივლე აფთიაქში.

— უპ, თქვენნი სინსილა კი გაწყდეს, თქვენო! — შეულრინა სინუსამ, — რაცხა გაყიდულია, ქე ვიცი. გინდა ახლა მახვეწო, შენ გენაცვალე, დამითმე და საჩუქრად ეს ხუთი თუმანი შენ გქონ-

დესო. სულ კომბინაციებზე უნდა ფიქრობდეთ?

— შენისთანა მყიდველი თუ მეწვია, რაღა მიჭირს. — არ ღაჩრა ვალში ნოქარი, — მეც ვიცი, არ გეწყოს ჯიბეში ასიანები...

— რო არ მაქვს, იმას ვტირი მეც. შენ, ბიძა, ჩაგიწყვია ჯიბეში ხელები, უცდი საკენკს მამალი ინდაურით. ასე გგონია, ყველა მამაძაღლობით ცხოვრობსო. ჩემსავით კი არ გაქვს მოთრეული წელი მალაროში მუშაობით. შენ ხომ გიწყვია ასიანები, მე შენი...

შეურაცხყოფილი ნოქარი უცბად აიღეწა და ისე მოირკალა თითქოს დახლზე აპირებდა გადმობტომას.

— გადი გარეთ, ვიღაცა ხარ, თვარა თუ მოგვიდე ხელი... — თქვა მან და სიბრაზისაგან ყბები შეეკრა.

— მომკიდე, თორემ, ხახვი არ დამაპრა ყურებზე, — უთხრა საოცარი მშვიდი ხმით სინუსამ და ადგილიდან არ დაძრულა — გინდა კრუხს უკრავს წიხლი ჩემთვის, გინდა შენ. რას იბერები, რო იბერები, ტყუილი გითხარი თუ?

— შენ... შენ... შენ... დ... დ... — კიდევ უფრო დაება ენა ნოქარს.

— რა გინდა, ამხანაგო შენ, — მიეშველა მეორე ნოქარი თავის ამქარს, დახლიდან გამოვიდა და ჩვენ მოგვიახლოვდა, — თუ ყიდვა გინდა რამესი, იყიდე, თუ არა შეურაცხყოფას რაზე გვაყენებ. წადი, შენ საქმეს მიხდე.

— თქვენ თითონ რაზე გვაყენებთ შეურაცხყოფას? — ვუთხარი ახლა მე უფრო მშვიდი ხმით, — ვისაც ასიანები არ უწყვია ჯიბეში. ის კაცი არ არის?

— ვინ გუუბნებთ, არ არისო.

— აბა, რა მოხდა, შე კაცო. მოტოციკლეტის ფასი ვიკითხეთ. შემოვედით მალაზიაში მალაროს მუშები, ეს კიდევ გესლიანად გვეუბნება, ჯიბეში ასიანები არ გეწყობო...

— ახლა აგრე თუ აყვევით ერთი მეორეს სიტყვაზე, სად გაგონილა! ასე შეიძლება, სულ ტყუილუბრალოდ და-

ხოცოთ ერთმანეთი. რა მოხდა, გავხუმრათ ეს კაცი.

— ჰო და, ჩვენც ვიხუმრათ, თუ ვგრევა. მაგრამ ესეც იცოდეთ, ხუმრობასაც თავისი ადგილი აქვს და კაცი თუ ხუმრობ, იმისი შნოც უნდა გქონდეს... — ვუთხარი მე, შემდეგ მოვხევე ჩემს თანამგზავრებს ხელი და ორთავე ჯიკავ-ჯიკავით ქუჩაში გამოვიყვანე.

გამოვიყვანე, მაგრამ სინუსა მაინც დულდა.

— ასიანები არა მაქვს, მაგრამ შენსავით ნაქურდალს მაინც არ ვჭამ, — მიამახა მან გარედან მალაზიის თანჯარებს.

კოტა გავიარეთ და ის მაინც არ ცხრებოდა.

— ასიანიც მექნება და ათასიანიც და შენ გნახავ წისკვილის ვირთხასავით ხაფანგში გამომწყვდეულს, — იძახდა იგი ხმამაღლა, თუმცა მისი სიტყვები ნოქარს აღარ ესმოდა. — თუ მალარსა ამ ჩემმა მთავრობამ და არ გავხდი შენი დასაცინი, ხო კარგი... თუ არა და თქვენს ოხტში რამეფერად მაინც ამოვალ...

მოულოდნელად სიცილი ამიტყდა და ჩემმა თანამგზავრებმა ვაკვირებით შემომხედეს.

— რა ეთქვი ახლა ამისთანა, რო იცინი? — გადმომიბღვირა სინუსამ.

— რაზე მოუვიდა თუ იცი ნოქარს გული?

— რაზე?

— რაზე და ალბათ გასაპირი ადგია უბედურს. ან ჩაუტარეს უკვე რევიზია ან ახლა უნდა ჩაუტარონ. შენ კი დააღირე თავი, კომბინატორი ხარო, ეუბნები. ვიკვირს, თავი რო არ გაკინებთქა?!

— რაგა არ არიან თუ?

— შე კაცო, მართლა ყველა კი არ არის ასეთი. რამდენია ჩვენში იმისთანა, რო მოკლა, მამაძაღლობას ვერაფერს ჩაადენებ.

— მაგისტანები აგერ ვართ, ქეც მოტომ, გვაქ გადატყავებული ხელისგულები სამივეს, — მითხრა სინუსამ. ჯი-

ბებეში ხელები ჩაიწყო და სიცივისაგან აბუზული წინ გაგვიძღვა.

•

რად მომავონდა სულაც ეს ამბავი აღარ შეითხავთ?! ან რისთვის ვთქვი სათამაშო დიდსაც ჭირდება მეთქი იმისთვის, რომ ამ მოტოციკლეტის შექმნის სურვილმა სულ გამოგვიცვალა ხასიათი და მუშაობის ხალისი მოგვიმატა. ტყუილია, ამისთანა რაღაცეების სურვილი რომ არ გვექონოდა, ისე ჩვენ მალე მოგვწყდებოდა წელი და არაფერი საქმის გამკეთებელი არ ვიყავით. პარმენი საერთოდ მუყაითი კაცი იყო და მაღაროში არაფრის გულისთვის არ მიატოვებდა დაუმთავრებელ საქმეს, თუნდაც ზედმეტად ერთი ორი საათით დარჩენაც რომ დაჭირვებოდა. სულ იმას გვეჩინებოდა, თქვე რჯულძაღლებო, რამ მოგწყვიტათ ეგ წელი, მოდი, ბარემ, ეს ორი წყვილი უღელი ბიგაც დავდგათ, ნუ გადავდებთ ხვალისთვის ამ საქმეს, გვგმასაც გადაჭარბებით შევასრულებთ და ხელფასსაც ორჯერ მეტს მივიღებთო. ხანდახან ვუჯერებდით მაგრამ უფრო ხშირად ავიბზუვებდით ტუნს, ზოგი იძახდა კინოში მაგვიანდება, ზოგი, კომკავშირის კომიტეტის სხდომა ვაქვსო, ზოგი რას იმიზეზებდა და ზოგი — რას, კაცი ვერ მოთვლის. მივაწყობდით კუთხეში იარაღს და გაერბოდით გარეთ. კრებებზე, მართალია, ცდილობდნენ შთაენერგათ ჩვენთვის მაღალი იდეები და შრომისადმი პატრიოტული დამოკიდებულება, მაგრამ ხანდახან ამით უფრო გვახლებდნენ, ვიდრე გვაკეთილშობილებდნენ. გული მოგვდიოდა. ეს ვალსტუკში გამოყრონილი ძიები რომ დაგვიწყებდნენ ხოლმე შეგნებაზე ლაპარაკს, ვითამ ჩვენ ჭურში ვისხედით და არაფერი გვესმოდა. ჩვენის ჰკუთ ყველაფერიც გვესმოდა და ყველაფერიც ვიცოდით, მაგრამ ჯინზე ვდგებოდით და მათ ლაპარაკს ხშირად ერთ ურში რომ შევეშვებდით, მეორედან გამოვუშვებდით. ისე კი, კაცმა რომ

სიმართლე თქვას, სინამდვილეში სააპისოდ არც ჰკუთ გვექონდა, საკმარისად არც გამოცდილება, რათა ცოტა უფრო დინჯად შეგვეხედა საქმისათვის. ჩვენ ჯერ კიდევ მაჭრობის ასაკში ვიყავით და ძნელი იყო იმის თქმა, ჩვენგან მართლა ღვინო დადგებოდა თუ გაწყალებული თხლე.

ამ ჰკუთ დავდიოდი მანამდე, სანამ, რაც გვექონდა ცხოვრებაში, იმაზე მეტის სურვილი არ დავგებოდა. უამისოდ თურმე ტყუილი ყოფილა ყველაფერი. კაცისთვის არ გამიზნელია, ცხადია, მაგრამ, დღეში ერთი ათჯერ უნდა დამეთვალა, თუ როდის მოვაგროვებდი ფულს მოტოციკლეტის საყიდლად. ამიტომ იტყოდა თუ არა პარმენი, აბა, ბიჭებო, მომხმარეთ და მოუთავებელ საქმეს ნუ მიმიტოვებთო, პირველი მე ვიყავი მასთან. მერე სხვებიც ამყვენ და ისე ავაწყვეთ მუშაობა, კაცი ვერ ინატრებდა უკეთესს. არ იყო დღე, ნორმები გადაჭარბებით არ შეგვესრულებია და თვის ბოლოს, ხელფასის მიღების დროს, დავინახეთ რას ნიშნავდა საქმის მართლა კარგად წაყვანა. თითქმის ორჯერ მეტი ხელფასი მომიწია და ზედმეტი რაც მივიღე, მაშინვე ცხლად გავაქანე შემნახველ საღაროში.

ასე განვავრძეთ მეორე თვესაც და, ამ ხუმრობა-ხუმრობაში, ვხედავთ, ახმაურდნენ ჩვენს გარშემო გახეთქი. ჯერ რაიონის გახეთქა მოგვაქცია ყურადღება, მერე ცენტრალურშიაც გაგვიქმეს, კრებებზე ხმამალა ასახლებდნენ ჩვენს გვარებს.

საქმეს კი მართლა კარგად ვაკეთებდით, ჯერ მარტო ჩვენი პიერკვადრატა ისე შემოკრავდა უროს სოლებს, ისე გაქეჟავდა ბიგებს და გადასაყიდ ულლებს, გვირაბებში გავლა გაგეხარდებოდა კაცს. პარმენი მართლა იმ საქმის ოსტატი იყო და ისე გაგვიფა ყველა, რო ეთქვა, მგონია, ამ საბჯენი ბიგებით კონცერტს ვავმართავდით და ბუგი-ბუგია, თუ ბაგა-ბუგი, იმასაც კი შევასრულებდით.

ცოტა სწავლა გაგვიკირდა, რაც მართალია მართალია, მაგრამ, რის ვიღავლახით, იმასაც ვერეოდით.

მარტის არეული ამინდი იდგა, როდესაც ერთ საღამოს, სამუშაოდან შინ დავბრუნდით. გარეთ გასვლა არავის არ გვეხალისებოდა და ყველანი ჩვენს ოთახში ვიყავით შეყუყულები. პიერკვადრატა და სინუსა მაშინვე ჭადრავს ჩაუჯდნენ. გაზეთში ნახეს ბუხუტი გურგენიძის გადადებული პარტიის დაბოლოება და უნდოდით გამოერკვიათ, მოიგებდა თუ არა. პარმენი ღუმელის გათბობას შეუდგა. დანარჩენები ლოგინზე წამოწოლილები ვისვენებდით და ხმადაბლა ვსაუბრობდით. ამ დროს კარებზე კაკუნი გაისმა. ჩვენს პასუხს არც დაუცადა, ჯაჯგურით გააღო და ოთახში ვილაც მამაკაცი შემოვიდა.

— გამარჯობათ თქვენი! — მოგვესალმა იგი, კეფაზე ხელი წაივლო. უხერხულად მოიხადა ქუდი და ისევ დაიხურა, — ნოდარა არ არი აქა?

წამოვიტყერი და მხოლოდ ახლა ვიცანი ჩემი დედის ქმარი ტრიფონა, რომელსაც შინაურობაში ტრიფონა მაქანკალას ვუძახდით მისი ჩამომკუნარი სახის და მიგრეხილ-მოგრეხილი ტან-ფეხის გამო.

— უი, აქ ხარ? — მითხრა მან, როდესაც ამდგარი დამინახა და კოყრიანი თითები ხმელი ჩურჩხელების კონასავით ხელში ჩამჩარა, — გამარჯობა შენი.

— გაგიმარჯოს, მოდი, აქ დაბრძანდი, მოვიპატიყე მე და ტაბურეტი მივაწოდე, იცნობდეთ, ამხანაგებო, ეს კაცი ჩემი დედის ქმარია.

ტრიფონმა ჩამოიარა და სათითაოდ ჩამოართვა ყველას ხელი. ჭადრაკით გართულმა პიერკვადრატამ ერთი კი აიხედა, ხელი გაუწოდა და მერე დაირობრობა:

— უი, მაქანკალა, შენ ხარ? შენ გასწყვი, ბარემ. რა გინდოდა, აქ რო მოდი? — და ისევ ჭადრაკში ჩარგო თავი.

— შენი კაიბიკობის მოსალოცად

მოვედი, — უთხრა ტრიფონმა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

— შენი თავი ეივდე მასხარადსა შეუღრინა პიერკვადრატამ.

— კი არ გემსახრები, მართალს გეუბნები, — უთხრა ტრიფონმა და მერე მე მომიბრუნდა — რა შევები, რავა ხარ?

— რავა ვიქნები. ვარ.

— ი! კაი დაგემართოს. სახში არ უნდა ახვიდე ხოლმე, ბიჭო? დღეს ვიყავი თქვენსა, მამაშენმა მითხრა, რაც თბილისიდან დაბრუნდა, თვლით არ დამინახავს, მარტო გაზეთებიდან ვგებულობ მის ამბავსო. გაზეთებში გლახას კი არ წერენ, კარგი წერია. სახელოვანი კაცი შეიქენი. მარა სახში ქვე უნდა ახვიდე ხოლმე, ბიჭო. არ ვარგა მაგრე, სულ კი არ უნდა გადაყვი კაცი შრომას.

— ვერ მოვიცალე, ჩემო ტრიფონ. ცალკე მუშაობა, ცალკე საგნების მზადება, ცალკე კრებები...

— ვიცი, მოსვენება კი არ გექნება. თუ მუყაითად ხარ კაცი, სულ უფრო და უფრო გემატება სამუშაო, კი არ გაყლდება. აპა.

ტრიფონმა შეათვალეირა ჩვენი ოთახი, ტაბურეტზე ჩამოჯდა და შემომაცქერდა.

— სხვა, — მკითხა მან, — არაფერს აპირებ ახლა შენე?

— ამ წუთში გავაჩენ ყველაფერს. თუ დაიცდი პატარას, — დავავლე ქუდს ხელი და დავაპირე გარეთ გასვლა.

— მეიცა, ბიჭო, მაგაზე კი არ გეუბნები. მე სხვა რამეზე გეკითხები.

— სხვაზე მერე ვილაპარაკოთ, შე კაცო, სტუმარი მეწვიე, ნათესავი და ერთი ბოთლი ლენო არ დაგალევიო, რაღა კაცი ვარ მაშინ.

— ლენო თვარა, ჭურმარანი არ გექნეს ახლა, აქ. — გაიღიმა ტრიფონმა და შევატყე, არც თუ მაინცდამაინც უარზე იყო.

— ჭურმარანი რად მინდა. ფული თუ გაქ. ჭურმარანიცაა აქ და საკლავ-სახაბაზოც.

პიერკვადრატამ ისე მომძაბა, რომ

კადრაკის დაფიდან თავი არ აუღია.

— ნოდარ რვა ნომერი არ გამოართვა, საზიზღარია. ცოლიკაური აქვს, ზესტაფონური, მერე, მოიცა ნუ მირბიხარ, დომენტისთან მიდი, რაიკავშირის ის რომ არის, გოჭი აქ შემწვარი, ნახევარი წამოიღე გვეყოფა...

— ვიცი, ვიცი, შენ ნუ წუხარ... — გვევარდი ვარეთ და იქიდან კიდევ მომესმა მისი ხმა.

— თორნის პურიც გამოართვი.

მალე ყველანი გარს ვუსხედით სახელდახელო სუფრას. როდესაც ოდნავ შევნაყრდით და ერთი ორიოდე ჩაის ჭიქაც დავცალეთ, ტრიფონმა მოიწმინდა ტუჩები და მე მომიბრუნდა.

— ხო იცი ახლა, რაზე ვარ მოსული აქ!

— რაზე?

— რაზე. და... შენ ახლა იმისთანა ოჯახიშვილი ხარ, რაც არ შეეფერება ჩვენებურ კაცს, იმისთანა არაფერი არ უნდა იკადრო და არც შენი შშობლები უნდა ჩააყენო უხერხულ მდგომარეობაში.

— რაშია საქმე, გამაგებზე? — ოდნავ ავიღეწე და გული უსიამოდ ამიჩქროლდა. — კიდევ ხომ არაფერი უბედურება ჩემს თავს.

— რაშია საქმე, ჩემო ნოდარ, ამ შენს ამხანაგებში უნდა ვითხრა ახლა ყველაფერი. შენ ახლა, ჩემიანი ხარ, შორეული არა ხარ და იმიტომ გეუბნები. თქვენზე გაზეთში ეწერა კომუნისტური შრომის პრიგადის სახელისათვის იბრძვით თურმე, და კომუნისტური მორალი უნდა დავაწესოთო, ასე ამბობთ, თურმე ჰოდა, თუ აგრეა, რას ერჩი იმ გოგოს, იმ უბედურს.

— ვინ გოგოს?

— ახლანდელ დროში გოგოს სახელს რომ ვაუტეხავ, რავარი საქმეა ესე! — განავრძო ტრიფონმა და კითხვაზე კი არ მიპასუხა. — ჩვენს ქვეყანაში ხო იცი, რო არაფერი დეიმალება და ჯგილათში რო ბიჭმა გოგოს აკოცოს, ყარაიაში მოგიყუებიან მის ამბავს.

— კი მარა, გამაგებზე, ვიზე ლაპარაკობ?

— ვკითხე, ცოტა არ იყოს გულმოსულმა. — რაზე, ამდენთან გქონდა საქმე, რო აღარ იცი, ვიზე გეუბნები? — გულუბრყვილოდ იკითხა ტრიფონმა და ამ კითხვამ საერთო სიცილი გამოიწვია.

— შენც ერთი, გააჭირე საქმე. არ იცი, ვიზედაც ლაპარაკობს? — შემომიტიო პიერკვადრატამ და მერე ტრიფონს მიუბრუნდა. — შე მართლა, მაჭანკალა, რას გაგვიჭირე საქმე. პირდაპირ მითხარი, რა მინდაო, იმ გოგომ?

— რა მინდაო, და, თუ შეპირდა, შეგიერთავო, რაღას ატყუებს? მოვიდა მამამისი და, მიშველეო, მითხრა. რას მილუპავს ამ გოგოსო.

— ვინ შეპირდაო, გივი ხომ არაა, ვილაცაა, — დაიქუხა პიერკვადრატამ.

— ი! — შეუხტა მეჩხერი უღვაშები ტრიფონს.

— შეპირდა! — ვერ ისვენებდა პიერკვადრატა, — რამდენი გოგოს დაველაპარაკებთო, იმდენმა თუ იღიჭრა, შემპირდაო, კარგად წაეა ჩვენი საქმე.

— მოიცა, მოიცა, შენი საქმე არაა, რო ერევი, — შეაჩერა პარმენმა და ტრიფონს მიუბრუნდა. — მერე, მერე. რაიო მამამისმა?

— რაღა რაიო, შე კაცო. ჯერ მომდგარა ის უბედური ამ თავის გოგოს და სიკვდილის პირზე მიუყენებია, შენი გაჩენის დღე დაიქცეს, რას მამქერი თავი საქვეყნოდო. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმ გოგოს რო უთქვამს, რო მე არაფერ შუაში ვარ, არავის არ გავკარებებივარ, არც გამკარებიაო, აბა რაზე იხრჩობდი თავს, შე ასეთ-ისეთოო, მიყვარს-ის ბიჭი და რა ექნა ახლაო...

ტრიფონი გაჩუმდა და ჩვენც ისე ვისხედით, თითქოს ვინმეს ყოველ ჩვენთავანისთვის პირი აეკრას.

კარგა ხანს ჩამოწვა ჩვენს შორის ეს უხერხული და მძიმე სიჩუმე.

— შემეცოდა ის გოგო, ხო იცი, — აღმოხდა უცებ პიერკვადრატას.

— ი, კაი გოგოა, რატომ არ შეგეცოდება კაცს, — დაუჭრა კვერი პარმენმა და მერე მე ვაღმომხედა, — კაი გოგოა, მარა, ასე ძალით ხო ვერ შეგართვევიებს

თავს შენ, ახლა რო თქვას კაცმა, უკვე ცოლიანიც ხარ და ნაცოლებიც...

პარმენი ფრთხილად სინჯავდა ნიჟადას. მას უნდოდა, გაეგო თუ რა მედო გულში, რომ ამისდამხედვეთ ემოქმედა. ქართველი კაცის კეთილშობილი თვისება ჰქონდა და არასოდეს ქალის ღირსებას არავეს არ შეალახვინებდა. ამავე დროს, არც მამაკაცს ვახდოდა სხვის დასაცინად.

ისევ სიჩუმე ჩამოეარდა, რადგან არც მე ვიღებდი ხმას და ვეღარც დანარჩენები ახერხებდნენ რაიმეს თქმას. მე კი, ცოტა არ იყოს, დევინი და ავირიე. თითქოს ყველაფერი დაეწყვებინა მისცემოდა და რაც ჭიათურაში დაებრუნდი და ლიაც აქედან გადაიკარგა, სიყვარული თუ არსებობდა სულაც აღარ მომგონებია. ვერ ვიტყვი, რომ უამისოდ თავს ცუდად ვგრძნობდი. მომქანცველი მუშაობა და ასევე მომქანცველი მეცადინეობა არ მაძლევდა იმის საშუალებას, რომ გონების ამღვრვე გრძნობებს აველოდი, გულმკერდაფუებულ გოგონე მეფიქრა და მომნატრებოდა ქალის მომხიბლავი ელურტული. ამბობენ, რომ სიყვარული ესაა, უმთავრესად, სულიერი მეგობრობა ორ არსებას შორისო. თუ მართლა ასეა, მაშინ რაზე იქლავს ეს ხალხი თავს ამ გათხოვება-ცოლის შერთვისთვის, და რატომაა, რომ მარტოდმარტო გარეგნულ სილამაზეს ვცემთ თავვანს და არავითარი სულიერი სილამაზე არ უშველის მახინჯ ადამიანს, გინდა ქალი იყოს გინდა მამაკაცი.

ასეთ „ფილოსოფიით“ ვებრძოდი ჩემს შინაგან განცდებს და მინდოდა გამემართლებია ეს ჩემი უსინდისო უყურადღებობა ამ გოგონასადმი, რომელსაც თავგამეტებით სურდა ყოფილიყო იდეალური ქართველი ქალი და მეოჯახე დედა, ხოლო ის უბედური უნებურად მსხვერპლად ეწირებოდა ამ თავის პატიოსნებას და ამის მიზეზი, ნებისთ თუ უნებლიეთ, მე ვიყავი.

სიჩუმე ისევ ტრიფონმა დაარღვია.

— მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, რა დაგიმალო, მოვიდა მამამისი ჩემთან.

მიშველეო, მითხრა. ვატყობ, ის ბიჭი არაფერ შუაში უნდა იყოს, ეს გთგმენელუბება. უთხარი, თქვენს გულში აქვს, შენზე მეტუნება, ნუ გამწირავს და მთელი ოჯახი ყმად დავიდგებითო. შენით ნუ გაუტეხავ ამ ჩემს ქალიშვილს სახელს, თუ ვაქაცო ხარ, გამიწიე ეს სასახური და მე ვიციოდე და ჩემმა კაცობამ, თუ ნამდვილი მამობა ვერ გავიწიოთ ორივეს, რაც გინდა, ის მიყავი. თუ გინდა ეს ჩემი შვილი გარეთ გამოაგდე, ხმას არ გავიღებო. რაფარი სიტყვა არის ესე?

— კარგი სიტყვაა, რაც მართალია, მართალია, — დაეთანხმა პარმენი, — რას იტყვი, ნოდარ?

— რა ვიცი, რა ვთქვა, — მოვიწმინდე შუბლზე ოფლი და უიმედოთ მიმოვიხედე, — მამაჩემს ხო უნდა ვკითხო.

— მაგისი ნუ გედარდება. მამაშენთან უკვე მოლაპარაკებული ვარ. თითონ თუ უნდა, მე რა მენადლეუბაო. ძალიან კაი საქმე იქნებაო, ასე თქვა, კიდევ იმისთანა ოხერს არ გადაევიდოს, იმის მეშინია, თუ მაგას შეირთავს, აღარ დავეძებო.

— ჰოდა, აბა, გადაწყვეტილი ყოფილა საქმე და ამდენს რაღას ვლაპარაკობთ, დაკარი ხელი, — მითხრა პიერკვადრატამ და დანარჩენებიც ახორბოცდნენ.

— მოგვილოცავს, ნოდარ!

— ამოიღე, ბიჭო, ხმა!

— შე რჯულძაღლო, ბედი კარზე გეწვია, და კილო უქმყოფილო ხარ?

— თქვი ახლა „პო“-თქო, ნუ გავიკვირე საქმე.

კარგახნის ჭოჭმანის შემდეგ, როდესაც ერთი ათი პაპიროსის კარდონის მუშტუკი მაინც მივალეკე ძირამდე და ბიჭებმაც ზურგზე ბოლი ამიყენეს მუშტების ბაგაბუგით, როგორც იქნა ამოვიღე ხმა და ტრიფონს ვუთხარი:

— გადაწყდა საქმე!

— ნამდვილად მეუბნები?

— გეუბნები და ნოტარიუსის ქალაქს ვერ მოგცემ, მეტი რა ვქნა.

— აბა, ვიქონიოთ იმედი?



— უთხარი მამამისს, კვირას ამოვალ და მე თითონ მოვახსენებ თანხმობას-თქო. შენც თუ დამესწრები, კაი იქნება.

— ამხანაგებით მოვა-თქო! — დასძინა პიერკვადრატამ.

— მართლა მოხვალ? — არ მეშვება ტრიფონი. — არ დამატყუო. ხო იცი, მოემზადება ის კაცი.

— მოვალთ, მოვალთ, — არ მაცლის პასუხს პიერკვადრატა — ამას, რო არ წამოვიდეს, ასე ამოვიჩირი იღლიაში და ისე მოგაყვანთ, შეხე!

დამავლო ხელი და მართლა ამომიჩარა იღლიაში ნაკლულ ტიკჭორასავით.

პირველად ჩემს სიცოცხლეში ვიგრძენი ასეთი უჩვეულო აღლვება, როდესაც კვირა დილას საგანგებოდ გამოვეწყე და ბიჭებთან ერთად გავემზადეთ სოფელში წასასვლელად. გული ყელთან შებჯინებოდა და აღარ ვიცოდი, ან ხელები სად წამელო, ან თავი როგორ დამეჭირა, ან ნაბიჯი როგორ ვადამეგა.

ბიჭებიც მამჩნევდნენ ამას, ამომილეს ნიშანში და მოსვენებას აღარ მაძლევდნენ.

ასე ხორხოცობდნენ ბიჭები მთელი გზის მანძილზე და ცალკე ესენი მბაბურთავებდნენ, ცალკე საბარგო მანქანა, რომლითაც მიემგზავრებოდა ჩვენი მაყრიონი.

პერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა. თოვლის ზოლი მარტო მწვერვალებს შერჩენოდა. კვირტები ალაგ-ალაგ უკვე გაბერილიყვნენ და დასკდომას აპირებდნენ, ქათქათა მზე კიდევ უფრო ახალისებდა ჩვენს მხიარულ განწყობილებას.

კარგა ხანს ჯაჯგურისა და აქეთ-იქით ყირაყ-ყირავის შემდეგ, როგორც იქნა, მივალწიეთ მასპინძლის ეზომდე და ძარადან პანტა-პუნტით ვადმოვეცვიოდით. მიმოვიხედეთ.

ვის არ გინახავთ ჩვენებური, იმერული შუშბანდიანი ოდა-სახლი, გვერდიდან მიდგმული რომ აქვს გადახურული და მთლად შეფიცრული კიბე, ან ბილიკებით დაკვალული იმერული ეზო, რომ-

ლის ზედაპირზე კაკლის და ბრის ფეხები ბიჭვეწარმავლებივით ამომცქროდნენ თითქოს სადღაც მიიკლავნებოდნენ, აქვე კაბლის ხეზე მაყუდებული დორი გვერდს რო იფხანს, ხოლო გაბმულ მავთულზე დაბმული ძაღლი სისინ-ხრიალით მოაცურებს ჯაქვს და ღველით ცდილობს ფეხებში მოგწვდეს. აი სწორედ ასეთ ეზოში ვიდევით და შემოგებებულ მასპინძელს, შეხედულებით საკმაოდ ახალგაზრდა კაცს, როგორც შემდეგ გამოიჩვენა — ლიას მამას ხელს ვართმევდით.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმეთ. მობრძანდით, — გვითხრა მან და შინისკენ წაგვიძღვა.

დარბაზში რამდენიმე მამაკაცი დავიხვებოდა. ერთი მათგანი ისე იყო ჩასუქებული და თავებირგაპარული, თანაც გალსტუკში გამოყრინჭილი, ეტყობოდა, ვინმე თანამდებობის პირი უნდა ყოფილიყო ალბათ, ფახისთვის მოიწვიეს. აქვე დავიხვებოდა ტრიფონიც. გალუნღულეებულ ბუხართან იჯდა და ნარდს თამაშობდა.

— მობრძანებითა თქვენითა, — წამოიძახა მან, ნარდის თამაში მიატოვა და ჩვენ შემოგვეგება — ო, რა ბიჭები მევიდნენ, რა ბიჭები! ერთი ერთმანეთს ჯობიან. გამარჯობათ თქვენი. მასპინძელო, აბა თუ გამოიცინობ, ამათში რომელი იქნება შენი სასიძო.

— ჯერ შე კაცო, დააცალე ამ ხალხს სახლში შემოსვლა და ვინც უნდა გამოიცინოს, იმას არ შეეშლება რომელია და შენ რას წუხარ. თუ გინდა, სულაც ნუ გვეტყვი.

— იფ, თქვენ კი გენაცვალეთ მაგ მოსწრებულ სიტყვაში, — შინაურულად მოხვია ხელი პიერკვადრატამ მასპინძელს, — ლია სად არი? დავგანახვე, დავაჯახოთ ბარემ ამ ჩვენს ნოდარს, თვარა სადაცაა შაშვის ბარტყივით გაუსკდება ამ უბედურს გული.

მასპინძელი ახლა კი მიხვდა, თუ ვინც უნდა ყოფილიყო მისი სასიძო, ერთი კი შემავლო თვალი. მერე პიერკვადრატას ასევე სიყვარულით მოუთათუნა მხრებ-

ზე ხელი და ყველანი ბუხართან მიგვიწვია.

— მობრძანდით, ბუხართან მობრძანდით. მართალია, გაზაფხული მოგვეპარა, მარა ბუხარი მაინც ტყბილია.

ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, შევეუდექით წინასაქეფო დროსტარებას, ნარდის თამაშს, აქეთ ოცდაერთი გავჩითეთ, რადიო ავაჰყვიტინეთ, გიტარა დავეკარით. მოვიდნენ მეზობლის გოგოები, შეიქნა გასვლა გამოსვლა, კარების ჯახუნი. მოვიდა ჯერ ლიას ბებია, ნახამთრი პანტავაშლივით სახედამჰქნარი დედაბერი, მერე დედა, ბუხართან გახუხული საკმაოდ ახალგაზრდა ქალი, მერე ლიას უმცროსი დედა. ყველანი სათითაოდ გვართმევენენ ხელს, გვესალმებოდნენ, ხომ კარგად ბრძანდებითო გვეკითხებოდნენ, ფუსფუსებდნენ და მაგიდასაც ნელნელა აწყობდნენ.

ლია არსად ჩანდა.

ჩვენთვის ეს არც იყო უჩვეულო ამბავი. ცხადია, ახალგაზრდა ქალი დაირცხვენდა ასე უცბად გამოსვლას და არც გეიკვირდა. ერთი ორჯერ პიერკვადრატამ კი დაიროხროხა, ლია მომგვარეთ, სად იმალება ის გოგოო, მაგრამ არც ლია გამოჩნდა და არც სხვებს გამოუჩენიათ დიდი ენთუზიაზმი მის მოსაყვანად. ყველანი რატომღაც თავს არიდებდნენ ჩემი მაყრის ასეთ მოთხოვნას და გაცვრით გვეუბნებოდნენ, ახლავე ვიახლებათო.

მერე სუფრაც აივსო ხორავით, ქარვისფერი ღვინით სავსე გამჰვირვალე შუშის გრაფინებით, ჩაის ჰიქებით, ყანწებით და, რაღაცათი ძალზე გაჯავრებულმა მასპინძელმა სუფრაზე მიგვიწვია ყველანი.

— მობრძანდით, თქვენი ჰირიმეთ, სუფრაზე დაბრძანდით. იმ ჩემ გოგოს კი სხვანაირად მოველაპარაკები მერე.

— რაშია საქმე, რა იყო? კითხა ოდნავ შემფოთებულმა ტრიფონმა.

— ცუდმა წინათგრძნობამ გული შემიკუმშა.

— რაშია და ხეთის გლახა არ უნდა იყო ადამიანი და ის! — აღმოხდა მას-

პინძელს, — დაირცხვინა, ბატონო, რომ მომკლათ, იქ ვერ გამოვფლავდებოდი ეუბ, ღმერთო კი მომკლავდასარბი? მე მოველაპარაკები...

— არ არის საჭირო... — ხელით გზა გადაულობა მასპინძელმა და შევატყვენაძალადეად გაილიმა, მობრძანდით, სუფრას მოვეუსხდეთ. — გამოვა, აბა რა ღმერთი გაუწყრება. დაბრძანდით, თქვენი ჰირიმეთ. მაპატიეთ, ისედაც ამდენ ხანს გალოდინეთ. აბა, ჩემო ილია აკაკიჩ, შენ აქ თავში, ხომ იცი...

— აჰ, შენ არ მომიკვდე, სად შემიძლია, — იუარა იმ სქელმა მამაკაცმა, რომელიც ჩვენ თანამდებობის პირად მივიჩინეთ — აგერ, ლომებივით ბიჭები არიან...

დავსხედით, თამადა ავირჩიეთ, პურობას შევეუდექით. ვხედავ სინუსა დაიხარა და ყურში მგურჩულება:

— ნეტავი ფეხი მომტეხოდა და არ წამოვსულიყავი.

— რაზე, ბიჭო?

— იქნება ჩემზეა გულმოსული და იმიტომ არ გამოდის.

— არ გასულელდე.

— რა იცი! არ აქვს გულმოსასვლელი თუ.

— არა მგონია.

— მოდი, წავალ.

— კარგი ერთი, დეეტოე მაგ შენს ადგილზე!

— დედას გეფიცები. რაღაცას მოვიმიზნებ და წავალ.

— არ გაგიტდე. მაგით უფრო შეუარაცხყოფ.

— აბა, რა ვქნა. ლუკმა ყელში არ გადადის და ყლუბი. ჩემს გაჩენას ერთი ბუზი გაეჩინა იმ ღმერთს, არ ჯობდა!

ნელნელა შევედით სმის ეშში. თამადამ ჩვენი საერთო სადღეგრძელო დალია და დასძინა, რა საქმისათვისაც მოსულხართ, იმ საქმეს გაუმარჯოსო, ამაზე პიერკვადრატამ დაურიდებლად დაახეთქა, ბატონო, ფერი თუ არ დაგვანახვეთ, ისე კარტი ტყვილა რაზე დავირტყათო.

— ადამიანიშვილი არი ახლა ისი? —

იღრიალა მოულოდნელად მასპინძელმა და გადაუბრიალა თვალები ჩვენს გარშემო მოფუსფუსე ქალებს, უმთავრესად თავის მეუღლეს. — ეს არის ახლა ზრდილობა მისი?

ყველანი უხერხულად შევიშმუშნეთ და ერთმანეთს გაკვირვებით გადავხედეთ, დიასახლისმა კი ხელები ვაშალა და სცადა უხერხულადა გაეფანტა.

— რა ვქნა, შენი ჭირიშე, უმეტესად ბოდიში უნდა მოვიხადო ამ ძვირფასი სტუმრების წინაშე. დეირცხვინა, ბატონო, ნამეტანი დეირცხვინა და...

— უბ, მოუყვლა ჩემი თავი, — წამოიჭრა ფეხზე პიერკვადრატა, — სად არის მაჩვენე, ნიშანი მოგვიტანია მისთვის, ოქროს ბეჭედი, დედამისს წააძრო ხელზე ამ უნამუსომ. სადაა, მე თითონ მოველაპარაკები...

— მაგ რო ვიცოდე სადაა, რაღა მიჭირს მე უბედურს. დილიდან რომ გავვეპარა, ცამ ჩაყლაბა, თუ მიწამ, ვერაფერი გავიგეთ, — ტირილით წარმოთქვა დიასახლისმა.

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა სუფრაზე, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. ჩვენც დავიბენით და აღარ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. ათასნაირმა ეკვმა ელვის სისწრაფით გამიელვა გუნებაში. ჯერ ვიფიქრე, რომ ლიას, ალბათ, ჩემზე შური უნდოდა ეძია, რას გაიგებ ქალის ვერაგობას და იმისთვის გამიძარბათ საკუთარ სახლში ეს ამბავი-მეთქი. მერე მეორე ეკვმა გამქვალა, იქნება მართლა ნამუსდაკარგულია და ვერ გაბედა ბოლომდე ეთამაშა თავგანწირული პატიოსანი ქალის როლი-მეთქი. ან იქნება ის კაცი, ვისთანაც საქმე ჰქონდა აქ ჩვენს შორის კიდევაც იყოს და... ეკ, ვინ მოსთელის რა არ ვიფიქრე მაშინ, მაგრამ მასპინძლის სახეს რომ შევხედე, მაშინ კი დავინახე, თუ როგორ შეიძლება თურმე ადამიანის უდიდესი სულიერი ტანჯვა სახის ნაკვთებზე აღიბეჭდოს.

— კარგი, ბატონო, კარგი — ხელის გული შეაგება ცოლის სიტყვებს მასპინძელმა და შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნ-

და, მაგრამ ისე განაგრძო თითქოს ცოლს ელაპარაკებოდა. — არაფერია, ეს ყმაწვილები მპატიებენ იმ შემთხვევაში უხიაგობას, რა ვქნა, ასეთი გაუჩინა განგებას და რისი ღირსიც არ ყოფილა, ღმერთმა ნუ მისცეს. ნოდარი მპატიებს ამას. ახალგაზრდა კაცია, კაი ოჯახი-შვილი, შეგნებული და არ მიიღებს ჩემი შვილის უზრდელობას შეურაცხყოფად. ვირის წიხლი მეტყინება, თორემ არ მეწყინებო, ნათქვამია. ნოდარ შვილო, შენ იქნები უსინდისო, ლაჩარი, ცხრაჯერ რო სცადოს კიდევ ჩემმა ქალიშვილმა თავის ჩამოხრჩობა, თუ ის ცოლად შეირთო.

— რას ლაპარაკობ, კაცო, ვაგიჟდი? — შეუტია ქმარს შემფოთებული ხმით ცოლმა.

— რას ვლაპარაკობ და ფრანგულზე უჯიშო და უხიაგი ჩემი ოჯახიდან ძაღლის ლეკვი არ გამიშვია, არა თუ ქალიშვილი გავეშვა, — იყვირა მასპინძელმა და ღონიერად ხეთქა მუშტი მაგიდას.

— გაჩუმდი, ადამიანო...

— რას ქვია, ვაგჩუმდე. აბა ეს არიხ წესი და რიგი? კარგი, არც შენს თავს სცემ პატივს, არც მშობლებს, არც მეზობლებს, ამ უცხო ხალხს რას ერჩი, გამაგებინე ერთი? — უბ, შენი ვაჩენა... — დაავლო უცბად ხელი საესე ბოთლს და ისე დაუზოგავად დააბირა მოექნია, ალბათ რაღაც უბედურებას შეგვეამთხვევდა, რომ პიერკვადრატას არ ეტაცა მაჯაში ხელი და ბოთლი ფრთხილად არ გამოერთმია.

შემებრაღა ეს გულწრფელი და სიამაყით აღსავსე მამა, ფეხზე წამოვიქერი მივედი, ორივე ხელი მოვხვიე და ვუთხარი:

— მპატიე, ჩემო ძვირფასო... მინდა, თუ ნებას მომცემ, მამა დაგიძახო.

— თუ მაინცდამაინც გინდა, შვილო, მამაძარღი იყო, დამიძახე. მე ხო კაცი არ ვყოფილვარ, ძაღლი ვყოფილვარ, — ამოიგინა მან მწარედ.

— არა, მაგას რატომ ნებულობთ, დამშვიდდით. აქ არაფერი არ მომხდარა ისეთი, რა წინასწარ დავიბოლოვებ...

246



ბი. თქვენს ოჯახში როგორც თქვენი შვილები, ისე მოესულვართ. ერთი შეცდომა მომივიდა მე სულელს და ახლა მივხვდი ყველაფერს: სანამ აქ მოვდიოდი ამხანაგებით, წინასწარ უნდა შევხვედროდი ლიას და ყველაფერი გამორკვეული იქნებოდა. უნდა გამეგო მისი აზრი, იქნება გუნება შეეცვალა და ასე ძალაზე ხო არ იქნება...

— უი, შენ კი დაგენაცვლე, შვილო, რა ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ, — გულის სიღრმიდან აღმოხდა დიასახლისს, მოვიდა და შუბლზე მიაკოცა, შენ კი შემოგველოს ჩემი თავი. სწორედ მაგრე იყო, მაგრამ ჩვენ არ დავუჯერეთ, ჯინში ჩაგულდებით და, ა, გამოგვაველო პირში მოლოქი...

— მაცადოს მე იმან... — მუქარით ჩაილაპარაკა მასპინძელმა, მაგრამ ხმაში ეტყობოდა მოღვაწეობა.

— კაი, კაი, ერთი, ვაცალოს, — ახლა უფრო თამამად შეუტია ცოლმა ქმარს, — ახლანდელი გოგოები აღარ თხოვდებიან, ბატონო, ამ გარიგებით და ველარ გეიგე? იმე! აბა, რაღა გგონია. ჯერ ერთ-მანეთში თუ არ შეილაპარაკეს, ასე ბრმად ახლა აღმასხან წერეთლის ნამიდღემჩარი ქალიშვილი აღარ გათხოვდება რო უთხრა, თუმცა კაი სამოცდასამისაა უკვე.

სიცილმა იფეთქა და დაძაბულობაც გაქრა. ზორბოცით დაეკიკეთ ჩვენ ჩვენი ადგილები და დიასახლისმა კი გვანუგემა:

— თქვენი ჰირიმე, ისე მოილხინეთ, რავარც თქვენ გუნებას გაეხარდეს და მე მამატიეთ, დედას, ეს ჩემი ქალიშვილის გაჯიუტება. ნუ გაიციხავთ. მართლა და აგერ ეს ჩემი ნოდარი და ის შეხვდებიან ერთმანეთს და რავარც თითონ შეილაპარაკებენ, ისე გადავწყვიტოთ მერე ეს საქმე. ხომ კაი სიტყვაა?

— დიდებული, — დიდაბა თამადამ და ფეხზე წამოდგა, — მოდი ამ ყანწით შევსვით ჩვენი დიასახლისის სადღესტრელო. ღმერთმა ქნას, კეთილად დაბოლავებულიყოს ეს ჩვენი შეყრა და პურმარილი.

— ვაშა, თამადას ვაშა! — დავსცხეთ ტაში, ის ყანწიც მივაწრუპეთ, მეორეც მივაყოლეთ, მესამეც, მერე ერთმანეთი ვკოცნეთ, მასპინძლებმა და სტუმრებმა, მრავალყამიერიც ვპეკეთ, ცეკვა-თამაშიც გავაჩაღეთ და შინ რომ დავბრუნდით. გაბრუებულები, დაღლილები, მერე მოგვივიდა გული.

— რა გვიქნა იმ გოგომ, არ მოგეპრა თავი! — ლულულებდა პარმენი, — იქ ველარაფერი ვთქვი, თვარა...

— ნოდარ, შენ იქნე უკანასკნელი კაცი, თუ ის გოგო ახლოს გაიკარო, — მეთუნებოდა სინუსა. — უყურე იმ ცხვირმოუხოცელს.

— გაიკაროსო! — იღრიალა პიერკვადრატამ, — თუ გგონია, რომ მეორედ გადავირჩება.

— აჰ, ნამეტანი გაგვაამბულა სწორეთ, — დუღღუნებდა ედიშერა.

მე კი ჩემად ვიყავი და ვატყობდი, ჩემს თავს, რომ თუ კიდევ ასე შემომინთებდნენ ცეცხლს, დაფეთებული ცხენით ავიწყვეტდი. კიდევ კარგი, ღვინომ და დაღლა მთავისი გაიტანა და ყველას მალე ჩაგვეძინა.

მეორე თუ მესამე დღეს ფოსტალიონმა წერილი გადმოგვცა, სადაც სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა:

„რატომ გგონია, რომ ძალიან გამახარებს წყალობად ნაბოძები სიყვარული. ისე კი, თუ რამე გაწყენიე, ბოდის ვიხილი“.

მხოლოდ ახლა მივხვდა, თუ რა ურყევ კლდეს შევეჯახებოდა შუბლით.

პირი სლაკაპირი

გ ა ბ ო

1

მარტოხელა ბერიკაცია — ძველი მემანქანე. სვანეთის უბანში ცხოვრობს, რკინიგზის მახლობლად. ლიანდაგები ისე ახლოსაა, მატარებელი რომ გაივლის, სახლს ზანზარი გააქვს, ფანჯრის მინები ზრიალს იწყებენ.

თავისი ცხოვრება მოკაშა გაბომ. ცოლიცა ჰყავდა, შვილიც. ახლა კი მარტოა, სულ მარტოდმარტო. ოღონდ ეს კია, მთელი უბანი იცნობს, პატეისა სცემს. ყველას უყვარს, დიდი და პატარა ძია გაბოს ეძახის.

სამოცდაჩვიდმეტი წელი დადის ამ ქვეყანაზე. სამოცდაჩვიდმეტი წელი ცოტა არ არის, მაგრამ არც ბევრია: ოცდაშვიდიათასი დღეა, მეტიც. ოცდაშვიდიათასჯერ დაუღამდა და გაუთენდა. ოცდაშვიდიათასი სიხარული ნახა და განიცადა, ამდენივე — დარდი და მწუხარება. ამიტომ დადის მხრებში მოხრილი. ძლივს დაჩაჩუნობს, იმ დღეებს, მხრებზე რომ აწევს, ზიღვა უნდა.

სიცოცხლის ნახევარი ორთქლმავალზე აქვს გატარებული. ნახევარი ქვეყანა გაქროლებული ორთქლმავლის სარკმლიდან დაუნახავს. ყველა გზა მოუვლია, ყველა გზა დაუეცია საქართველოდან უკიდურეს ჩრდილოეთამდე, შორეული აღმოსავლეთიდან — პოლონეთამდე... ხანდახან, ბურუსიან მესხიერებაში, როგორც კუნძულები, შორი სადგურები და ბაქნები ამოტივტივდება. ბერიკაცმა არ იცის, რატომ ჩნდება და ქრება ბურუსებში უცხო სადგურები. ნეტავი რა სადგურებია, ან როდის

გამოიარა? ან რატომ ესიზმრება ღამეში ცივად აელვებული, დაუსრულებელი ლიანდაგები?

ზოგჯერ ორთქლმავლის კვილი გამოაღვიძებს. დაფეთებული წამოჰყოფს თავს. სიჩუმეს მიაყურებს, სიჩუმეს, რადგან იმ დროს დედამიწაზე ჩუმი და წყნარი ღამეა დაბუდებული. ალბათ, ასე მოესმის და ასე აღვიძებს დედას გარდაცვლილი ბავშვის ტირილი.

ბოლო ხანებში მატარებლები უხმობენ კიდეც:

გა-ბო, გა-ბო, გა-ბო!..

გა-ბო, გა-ბო, გა-ბო!..

გაბრეიველ!..

ბერიკაცი საჩქაროდ წამოდგება ლოგინიდან და სინათლეს აანთებს, საცვლების ამარა ქუჩაში გადაკიდულ რკინის აივანზე გავა და ღამის სიბინელეს გახედავს.

დაგ-დუგ, დაგ-დუგ, დაგ-დუგ!..

ვა-ბო, გა-ბო, გა-ბო!..

მთელი სახლი ზანზარებს, ფანჯრის მინები ზრიალებენ.

გაბომ იცის, ქუჩის ბოლოში, ზევით, ორ სახლს შორის პატარა სივრცე რომაა დარჩენილი, იქ გამოჩნდება მატარებელი. კი არ გამოჩნდება, მკრთალად განათებული ოთხკუთხედი სარკმლები სწრაფი წყვეტილებით გაივლებს და გაქრება.

მერმე ისევ შებრუნდება ბერიკაცი ოთახში კარს მაგრად ჩაქეტავს, დარბებს მიხურავს, ლოგინში შეწვება და საბანს თავზე წაიფარებს. საამო სიჩუმე ჩამოეარდება. ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმის... მერმე ძილი მოერევა, ბებრულ კუნთებს მოუღუნებს. თბილი ძილი

სხეულში ერთნაირად დაუვლის.

გა-ბო, გა-ბო, გა-ბო!..

გა-ბო, გა-ბო, გა-ბო!..

გაბრიელ!

ისევ ჩნდება ბურუსში უცხო და შორეული ბაქნები. ხალხით გაქედილი, განათებული სადგურები...

2

ფოსტალიონმა დილით პენსია მოუტანა გაბოს. გაბო ახლა მაგიდას მისჯდომია და ფულს ეთვლის. ნახევარს თვეისთვის გადადებს, ნახევარს გუგუტას გაუგზავნის სოფელში. მარტო დღეს კი არა, დიდი ხანია, ასე უგზავნის ფულს გუგუტას. ჯერ ხელფასს უყოფდა, ახლა — პენსიას

გუგუტა გაბოს შვილიშვილია — ქერთამიანი, თეთრი, პატარა გოგო. რძალი და შვილიშვილი ომის შემდეგ ერთ ხანს გაბოსთან ცხოვრობდნენ. მერმე რძალი სოფელში გადასახლდა და გუგუტაც თან წაიყვანა, ქერთამიანი, თეთრი გუგუტა.

გაბო ფოსტაში წაჩაჩუნდა. აკანკალებული ხელით გადაუთვალა მოლარეს ფული და კმაყოფილი გამობრუნდა. იქიდან სადალაქოში შეიარა წვერის ვასაპარსად.

— მობრძანდით, ძია გაბო. — თეთრხალათიანმა, სუფთადგაპარსულმა დალაქმა სკამი შესთავაზა.

ბერიკაცი სარკის წინ უხმოდ დაჯდა, მოხერხებულად მოკალათდა, თითქოს სკამს მოერგო. ხმას არ იღებს. დალაქმა თვითონ იცის, რაც უნდა გააკეთოს, პირველად ხომ არ მოდის გაბო.

— ფოსტიდან მოდიხარ, ძია გაბო?

— ჰო, ფოსტიდან.

— ფული გაუგზავნე?

— გავუგზავნე.

— რას იწერება, როდის ჩამოვალ?

გაბო პასუხის ნაცვლად იღიმება. დიმილი იდუმალეებითაა მოცული. რაღაც იცის გაბომ და არ ამხელს. ანდა ჯერჯერობით არ უნდა გაუმხილოს. მერმე ეტყვის და გააოცებს დალაქს.

— ეგეთი გოგო ჩვენს უბანში არ დაიბოდა.

— მარტო ჩვენს უბანში?

— მთელ თბილისში, — გამოსწორდა შეცდომა დალაქმა.

— ჰოო... — კმაყოფილია გაბო.

სხვა დალაქები ყურს აღარ უგდებენ. მოსწყინდათ ერთი და იგივეს მოსმენა. მხოლოდ გაბოსა და მის დალაქს არ სწყინდებათ გუგუტაზე საუბარი. პირველს იმიტომ, რომ გუგუტა მისი შვილიშვილია, ხოლო მეორეს — გულით უნდა მუდმივ მუშტარს ასიამოვნოს.

— რამდენი წლისა წაიყვანეს?

— ცხრისა.

— აქ რომ გყოლოდა ახლა, როგორ მოგივლიდა?!

— მაშა... მაშა...

— ნეტავი ის სილამაზე თუ შერჩა?

— შენ როგორ გგონია, არ შერჩებოდა?

— შერჩებოდა, მა რა.

— ჰო, ეგრე...

— რა თეთრი იყო ეგ დალოცვილი!

— ახლაც თეთრია, თურმე.

— რა იცი?

— როგორ თუ, რა ვიცი?!

— მის შემდეგ რომ არ გინახავს?

— გაევიცე... შემატყობინეს...

საპნის ქაფი ქათქათა ღრუბლეოვით დასდებია დაშქვანარ პირ-სახესა და კეფას. დალაქი მარჯვედ ლესავს დაკიდულ ქამარზე სამართებელს. მერმე ცერით გაუსინჯავს ფხას და ბერიკაცის სახეს მიადგება.

გაბოს თვლენა ერევა.

დალაქი თავისი საქმის დიდი ოსტატია, უმწიკვლოდ მუშაობს. ერთი წუთიც და „გალამაზებული“ ბერიკაცი წამოდგება. ფულს, როგორც საიდუმლო წერილს, ფართლად ჩაუდებს ხალათის ჯიბეში. დალაქი მაღლობას გადაუზნის და კარამდე მიაცილებს.

გაბო კართან მობრუნდება, ეშმაკურად გაუღიმებს, თვალს ჩაუყარავს და, ბოლოს და ბოლოს, ეტყვის, რასაც აქამდე უმაღავდა:

— ამ თვის ბოლოს გუგუტა ჩამოვა.

— რას ამბობ, კაცო! — გაოცდება დალაქი.

— მაშ!

— ვაჰ, ეგ რა მითხარი!

— ჩამოვა, ჩამოვა, მაშ რა გეგონა?..

გაბო თავის გზით წაჩაჩუნდა. დალაქები ფანჯარას მიადგნენ და ღიმილთ გააყოლეს თვალი მიმავალ ბერიკაცს...

3

გაბო არც ისე მარტოა, როგორც თქვენა გგონიათ. ბერიკაცს მეგობრები ჰყავს. მისი მეგობრები ძველი მემანქანეები არიან.

პენსიის შიღების დღეს შეიყრებიან და დალაქებამდე ტკბილად საუბრობენ. მოგონებებით სუნთქავენ და ცოცხლობენ ბერიკაცები. ახლაც იქით გასწია გაბომ. გზად ორი ბოთლი „საფერავი“, თუშური ყველი და მჟავე კიტრი იყიდა.

ძველ მემანქანეებში სიმხნევით მიხობ გამოირჩევა. სხვაზე მეტად გამჭრიახიც არის. ეს იციან მისმა მეგობრებმა და რიდით ეუბრობიან, უჯერებენ კიდევ. მიხოს სიტყვას ფასი აქვს.

დღეს მიხოსთან იკრიბებიან, მიხოს ჯერია.

გაბომ მაინც იყიდა ღვინო, არ შეუძლია მეგობართან ხელცარიელი მისვლა. განა არ იცის, იქ ღვინოც სამყოფი იქნება და სხვა რამეც... ძლივს აათრია დახუთული, დამძიმებული ფეხები მეორე სართულზე. „საფერავი“, თუშური ყველი და მჟავე კიტრი მიუმატა გაშლილ სუფრას. მერმე უხმოდ მიუსხდნენ ბერიკაცები მაგიდას და ასევე უხმოდ შეუდგნენ ჭმას.

ღვინო დაისხეს. გაბოსაც შეუესეს კიჭა.

— მე ნუ, თქვენი კირიბე.

— ერთი კიჭა.

— არა, არა... — უარობს გაბო.

— ეს ერთი, ნელნელა გამოცალე... ყველანი სვამენ. მარტო გაბოს არ შეუძლია სმა. სხვაზე მეტად დაბერდა და მოტყდა, ღვინო რომ დალიოს, შინ ვეღარ დაბრუნდება.

შეზარხოშებული ბერიკაცები ენას იღვამენ. სუფრაზე საუბრის ეშში იკი-

დებს ფეხს. სადღეგრძელოებს მარილი ერევა.

მარილი

— ეს ჩვენ ორთქლმაგლეშქარმა გავაგონა, — ამბობს მიხო, — ჩვენ ბედაურებს. იმათ გვაქციეს კაცებად, იმათ დაგვანახვეს ქვეყანა.

— გაუმარჯოს! — ბერიკაცები კიჭებს უჭახუნებენ ერთმანეთს.

— ჰაი, გიდი, ვის ხელში ჩაცვიდნენ?! — ამბობს ერთი.

— აბა!.. ჩემი ზესტაფონში ყოფილა თურმე, ფეროს ემსახურებო, — ამბობს მეორე, — მთელი ქვეყანა იმით შემომივლია და ახლა სად მიადგეს. თანაც ზედ ვილაც ლაწირაკი დაუსკუპებით, იმან რა იცის ორთქლმავლისა.

დიდთავა გოგია ხმას არ იღებს. უსიტყვოდ ცლის კიჭას, არცა აქვს სათქმელი. მისი ორთქლმავალი ამ ორი წლის წინათ თბილისის დეპოში დაშალეს და დაანაწევრეს.

არც გაბო იღებს ხმას. კიჭას მთრთოლვარე ხელებით ეფერება. გოგიასი არ იყოს, შავ დღეშია ჩაეარდნილი. გაბოს ორთქლმავალი თუმცა ჯერ არ დაუშლიათ, მაგრამ ეს წელიწადნახევარია აღარ იცის მისი ასავალ-დასავალი. დაეკარგა და ველარ მიაკვლია, ველარ მიავნო. ვილაცამ უთხრა, ბათუმში ვნახეო. ვილაცამ: სამტრედიისში იღვაო, რომელილაც ლიანდაგზე. ჩამქრალი და გაცივებულიო. ზოგი არწმუნებს ხაშურშიაო, კარგი ბიჭი მართავს და კარგადაც არის მოვლილიო. გაბოს არ სჯერა. მართლა ხაშურში რომ იყოს, გაიგებდა, აქვე არ არის. სამი საათიც არ უნდა ხაშურამდე ჩასვლას! ანდა ვინ მოუვლის, ვის რაღად სჭირდება ახლა ორთქლმავალი?..

დიდთავა გოგია ზენეშის.

— ასეა ცხოვრება, — ამბობს მიხო, — ვალი მოვიხადეთ... ასეა ცხოვრება.

— რა არის ეგ ვალის მოხდა? — იკითხავს დიდთავა გოგია.

— რაც არის, — მიუგებს მიხო და კიჭას შეივსებს.

— მე რომ აქ მტკივა, — გულზე მი-

იქერს ხელს გოგია და ცხარდება, — ვალის მოხდაზე დიდი არ არის?

— დიდა, დიდი! — კვერს უკრავენ ბერიკაცები.

— ჰოდა, არ მინდა ეს შენი ვალის მოხდა. დამიბრუნე ჩემი ორთქლმავალი!...

მაგრამ დიდთავე გოგიას ორთქლმავალი აღარ არსებობს, თვითონ სხვაზე უკეთ იცის და, შეიძლება, ამიტომაც ცხარდება სხვაზე მეტად.

მიხო ჭიქას მალლა ასწევს და ყველა გაჩუმდება. გაბოს ტანში ჟრუანტელი დაუვლის. გაბომ იცის, ორთქლმავლების შემდეგ ვისი სადღეგრძელო შეისმება და სიამოვნებისაგან იშმუშნება, წრიალებს.

— ეს გუგუტას გაუმარჯოს!

— გუგუტას გაუმარჯოს! — ერთხმად იმეორებენ ბერიკაცები.

გაბოს სახე გაუნათდება. ყველაფერი დაავიწყდება ამ ქვეყნად. ამ ქვეყნად გაბოსათვის არაფერი აღარ არსებობს გუგუტას გარდა.

— გუგუტა ამ თვის ბოლოს ჩამოდის, — აცხადებს გაღიმებული გაბო.

— მართლა ჩამოდის? — გაიოცებენ ბერიკაცები, თან უხარიათ. ეს გაოცება და სიხარული იმდენად მოულოდნელი არ არის, რამდენადაც ძლიერია და წრფელი.

— გუგუტას ჩამოსვლისა იყოს.

— იყოს!

— ლამაზი და თეთრი გუგუტასი!

არც ერთს არ უნახავს გუგუტა, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, გუგუტა თეთრი და ლამაზია.

გაბო იმდენს იცინის, ხველა აუტყდება. სახეზე სისხლი მოაწვება, გაწითლდება, ჩაბვირდება. მაინც არა ცხრება, მაინც იმეორებს:

— გუგუტა ჩამოდის, ჩემი ლამაზი, თეთრი გუგუტა! — თან ახველებს, თან იცინის.

მიხო სიმღერას წამოიწყებს გუგუტას პატივისცემად. ბერიკაცები აპყვებიან. ბებრული, გაბზარული ხმებით იცხება ოთახი. გაბო დაწყნარდება, კმა-

ყოფილია. მადლიერებით შესცქერის მეგობრებს. ჯიბეებზე ხელეებს მოაფათურებს. ცხვირსახოცს მოჭებნის და თვალებზე ცრემლს შეიმშრალებს.

4

გაბო მარტოა შინ. დადის და დაფაჩუნობს ოთახში.

კარადის უჯრიდან გუგუტას გამოგზავნილი წერილები ამოიღო. სათვალე მოიმარჯვა და წაიკითხა. არც ერთ წერილში არ ეწერა, ჩამოვალო. მხოლოდ ამას უთვლიდა — ძალიან მომენატრეო და, ბოლოს, ფულის გამოგზავნისათვის მადლობას უხდიდა.

ბერიკაცმა დაკეცა წერილები, კონვერტებში ჩადო და ისევ კარადის უჯრაში შეინახა.

გუგუტა არ იწერებოდა, ჩამოვალო, მაგრამ ბერიკაცს სჯეროდა, ადრე თუ გვიან, ჩამოვიდოდა და მოინახულებდა. თუ ენატრება, ჩამოვა კიდევ. არა და, გუგუტა ყოველი ბარათით უთვლის: ძალიან შენატრებიო.

ბერიკაცი გუგუტას ჩამოსვლას არ დაუცდიდა, თვითონ მიაკითხავდა სოფელში, მაგრამ... თუმცა რძალს არ ამტყუნებდა, მე ხომ არ შემომამბერებოდაო, მაგრამ ფულის სიღრმეში მაინც სწყინდა, მაინც ვერ მოენელებინა, რომ მისი ვაჟი ასე მალე დაივიწყა ქალმა. რომელიც გაბომ შეილივით გამოზარდა.

დიდი ხანი ელოდა გუგუტას ჩამოსვლას. თავს იტყუებდა სხვათა ატყუებდა, ამ თვის ბოლოს უსათუოდ ჩამოვაო. თვეები თვეებს მისდევდა, გუგუტა კი არსად ჩანდა, ლამაზი, თეთრი გუგუტა.

გაბო ახლაც დაცლილი და გამოფიტული დაბრუნდა მიხოსაგან. ცრუ სიხარული გზაზე დაუცხრა. დაღლილი, ბებერი ძელები ძლივს მოათრია სახლამდე. ერთ ხანს იჩალიჩა, იბუჯურა კარადის უჯრებში, მერმე ძილისთვის მოემზადა, ტანზე გაიხადა, სინათლე ჩააქრო და ლოგინში შეწვა.

მატარებლის კივილმა გამოადვილა. ლოგინზე ჩამოჯდა და მიაყურა. ირ-

გვლოვ სიჩუმე იყო. სმენა დაძაბა ბერკიაცმა: ქუჩაში კატა კნაოდა.

საბანი წაიხურა თავზე და დაძინება სცადა. ქუჩაში გულსაკლავად კნაოდა კატა. წამოდგა, ფეხები ფლოსტებში წაჰყო. კედელზე ხელები მიუსვ-მოუსვა, სინათლე აანთო. რკინის აივანზე გავიდა. ქუჩას ჩაზედა. კატა იქვე ახლო-მახლო უნდა ყოფილიყო.

— აცხა, კატაო!

კატამ ჩხავილს მოუმატა.

ბერკიაცი ოთახში შემობრუნდა. რკინიგზელის ფანარს ასანთი მოუვიდა და აივანზე დაბრუნდა. ფანარი ქუჩის კუნძულებს მიანათა.

— აცხა! აცხა, კატაო!

კატამ ჩხავილი შეწყვიტა...

ფანარი ჩააქრო, კარი მიხურა.

ღამის სიგრილის შემდეგ თბილი ღოგინი ეამა ბერკიაცს. გვერდებთან კარგად ამოიკეცა საბანი.

ბურუსში უცხო სადგური ამოტივტივდა, ხალხით გაქედნილი, განათებული სადგური.

მგზავრები ირევიან, ემშვიდობებიან ერთმანეთს, ჰკოცნიან... ზარი ჩამოჰკრეს. მატარებელი გავა, საცაა გავა... დაიძრა კიდევ. გაბომ ბაქანს გადმოხედა. ბაქანი ცარიელია, მხოლოდ თეთრი ღამაზი გოგონა დგას და ხელს უქნევს. გაბომ იცნო, დაუყვირა კიდევ, მაგრამ მისი ხმა მატარებლის კვიღშა დაფარა... კვიღშა გამოაღვიძა ბერკიაცი.

ქუჩაში გულშემზარავად ჩხაოდა კატა.

— თფუი, ვისია ეს უპატრონო!... რა აჩხავლებს ამ შუალამით. — მერმე დაუმატა, — რა ღმერთი გამიწყრა, კატის ჩხავილი მატარებლის კვიღლად მეჩვენება.

ბერკიაცი ისევ წამოდგა, სინათლე აანთო. ტანისამოსი ჩაიცვა და ფრთხილად დაეშვა კიბეზე. ეზო გაიარა, ქუჩაში გავიდა.

რკინის აივნის ქვეშ უზარმაზარი კატა მიუყუთულიყო და ჩხაოდა, ადამიანი რომ დაინახა, ბოროტად შეანათა თვა-

ლები და ღამის სიბნელეს შეაფარა თავი...

5

ადრინანდ ადგა. ოთახი გამოგავა, მი-ალაგა. გაბოს წესრიგი უყვარს. უყვარს, როცა ყველაფერი თავის ადგილზეა.

რკინის აივანზე გაიტანა სკამი და დილის მზეს მიეფიცა. თვალები დახუჭა, არ სძინავს, მხოლოდ თვალები აქვს დახუჭული. ჩაიდანის ადუღებას უცდის. ჩაიც უყვარს გაბოს, ცხელი, სურნელოვანი ჩაი, თორნის პური და თუშური ყველი.

კარის ფრთხილი კაკუნი გაიგონა. ბერკიაცი წამოდგა და ფლოსტების ფართხუნით წაჩოჩილა.

კარი გააღო. ღია კარებში გაბადრული, ლოყებგაღაქდაებული, ქერათმიანი ქალი იდგა.

— გაბო პაპა! — იყვირა ქალმა და ყელზე მოეხვია ბერკიაცს. — ვერ მიცანი მე ხომ გუგუტა ვარ!

გაბოს მუხლები აუკანკალდა, მთელი სხეული აუცახცახდა. მორთოლვარე ხელებს უსევამდა ზურგზე, შვილიშვილს, ეფერებოდა, ეალერსებოდა.

— გუგუტა... გუგუტა!...

გუგუტას უკან სამი ერთმანეთზე მიწყობილი შეტრუხა ბიჭი იდგა. მზით გარუჯულები, პირმარგვალები, ტყვიასკვით ჩასხმულები... ხოლო ეყეებს იქით მათი მამა მოჩანდა, ისიც ტყვიასკვით ჩასხმული. დიდი, ოთხკუთხედი სახე ჰქონდა, ძვლიანი. მელააპრეხილკებიანი ქული თავზე არ ეტეოდა და კინკრინოზე ედო. მამა შეილებიანად იღიმებოდა. შავი ოთხკუთხედი უღვაშები ყურებამდე გაეზიდა.

გუგუტამ ოჯახობა გააცნო პაპას.

გაბომ შინ შემოიპატოქა და დაფაცქრდა.

— ღმერთო ჩემო, გუგუტა ჩამოკრდა, — ბურტუტებდა თავისთვის, თან სახელდახელოდ აწყობდა სუფრას.

ხვალ სადალაქოში მივა და იტყვის: გუგუტა ჩამოვიდა!

ხვალ მეგობრებთან მივა და ეტყვის: გუგუტა ჩამოვიდა!

გუგუტა ჩამოვიდა — ხეალ მთელ ქალაქს გააგებინებს.

გუგუტამაც თავის მხრიდან შოთი პურები, მრგვალად მოხარშული დედალი და კვერცხები ამოალაგა ჩემოდნიდან. მიყრუებული ოთახი გამოცოცხლდა, ახმაურდა. გახარებული ბერიკაცი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, წრიალებდა, ხან გუგუტას ეფერებოდა, ხან შვილთაშვილებს. შვილთაშვილები ცელქეზი ჩანდნენ. გაშინაურდნენ თუ არა, ერთმანეთს დაერივნენ, დასცხეს, ერთიმეორეს ჭამას არ აცლიდნენ. მამამ უთმინა, უთმინა, და მერე სათითაოდ წამოჰკრა კეფაში. ისეთი ლაწანი გაისმა, ბერიკაცს კინალამ გული შეუწუხდა, მაგრამ სიძეს ვერაფერი აჯადრა.

— ესენი, — თქვა სიძემ, — კედელში ბაღლინჯოს არ აჩერებენ.

ბიჭები დაწყნარდნენ, დამშვიდნენ და ქამა განაგრძეს.

— რატომ არ შემატყობინე, თუ ჩამოსვლას აპირებდი? — ჰკითხა გაბომ გუგუტას.

— რა ვიცი... არც ვაპირებდი წამოსვლას... ძლივს გადავწყვიტეთ...

— თურმე გათხოვილხარ, შვილებიც გყოლია... მე კი არ ვიციოდი... ასე უნდა, შვილო.

— რა ვიცი... დედა შეუბნებოდა, ნუ შეატყობინებო.

— რატომო?

— რატომო და... — გუგუტამ დაირცხვინა, გაწითლდა, ბოლოს მაინც თქვა. — შენი გათხოვება რომ გაიგოს, ფულს აღარ გამოგიგზავნისო.

— აბა, ეგ რამ ათქმევინა, იმ დალოცვილს. რა ჯანდაბად მინდა ფული, რასაც აქ ხედავ, ყველაფერი შენია, შვილო. ორი დღე-ღა დამჩენია, რა ჭირად მინდა ეს ყველაფერი... სამარეში ხომ არ ჩავეიტან?

ვიდრე საუზმეს მორჩებოდნენ, სიძემ თითოჯერ კიდევ დაბერტყა შვილები და დააშოშმინა. მერმე ადგნენ. გუგუტამ პაპას სთხოვა, ქალაქში გაგვატარე, ცოტა რალაც-რალაცები გვაქვს საყიდელიო. ბერიკაცმა ტანსაცმელი გამოი-

ცვალა (რკინიგზელისა ჩაიცვა) და შვილიშვილსა და სიძეს წაუჭლევინა ბიჭები სახლში დატოვეს. დაარბგუნს! წესიერად იყავით, არაფერს ხელი არ ახლოთ, არ აურიოთ, თორემ, შავ დღეს დაგაყენებთო.

ბიჭები მარტო დარჩნენ ოთახში. ისინი კი გავიდნენ ქალაქში ცოტა რალაც-რალაცების საყიდლად.

6

სალამოს დალილ-დაქანცულები დაბრუნდნენ შინ...

ბიჭებს მთელი დღე ემუშავნათ, უქმად არ დაეკარგათ დრო. გაბომ თავისი ოთახი ველარ იცნო, ისე იყო დარბეული და გაპარტახებული. ყველაფერი დაეგვრიათ, გადაეკოთებინათ, დაეყირავებინათ. ფანჯრის ერთი მინა ჩაეღწეათ, წყლიანი გრაფინი გაეტეხათ. მთელი იატაკი წყლით იყო დაპოქებული. კარადის უჯრები დაეჩხრიკათ, სველი იატაკზე ეყარა ქალაღლები, წერილები, სურათები, დანა-ჩანგალი, თევშები... თვითონაც დასერილიყვნენ, ამოთხუპნულიყვნენ. ერთმანეთისათვის შემოეფლიათათ ტანსაცმელი, რომელიც საგანგებოდ ჩაეცვათ ქალაქში გამომგზავრებისას.

სასოწარკვეთილი ბერიკაცი სკამზე დაეშვა. გუგუტა ოთახის დალაგებას შეუდგა, ხოლო მამა ბავშვებს დაერია.

გაბომ სცადა სიძის შეჩერება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სანამ ლაზათიანად არ მიბეგვა შვილები, მამამ ვერ მოისვენა.

მერმე ყველაფერი ისევ დაწყნარდა. გუგუტამ სუფრა გააწყო და ვახშამს შეუდგნენ.

— პაპა, თუ ეს ყველაფერი ჩემია, — გაუბედავად დაიწყო გუგუტამ, — მაშინ... მაშინ ზოგიერთ რამეს, რასაც მოვერევი, თან წავიღებო...

— შენია, შვილო... გათხარი შენია მეთქი...

გუგუტამ ნიშნისგებით გადახედა ქმარს, ეგეც შენო, ვითომ, რატომ არ გჯეროდა, რომ ბერიკაცი სიმართლეს ამბობდაო.



გაბო ჩაის სვამდა, თან გუგუტას შეს-
ცქეროდა. ამ ტანსრულ, ღონიერსა და
ლოყებდაკლავა ქალში უნდოდა თავის
პატარა გუგუტა აღმოეჩინა, ლამაზი,
თეთრი გუგუტა. ერთი წუთით ეპვიც
კი დაებადა, იქნებ ის არ არისო, მაგ-
რამ ეპვი მყისვე მოიშორა. რა თქმა
უნდა, გუგუტა იყო, ოღონდ — ძალიან
გამოცვლილიყო. დაქალბუღიყო, და-
სრულბუღიყო. თვალების გამომე-
ტყველებაც ეუცხოვა, მთელი დღე ფი-
ქრობდა და ახლავდა მიხვდა, გუგუტას
მზერაში ბერიკაცისათვის უცხო სიხა-
რბე იმალებოდა. ერთადერთი თმა შე-
რჩენოდა იგივე, ქერა, მზხინავი თმა.

გუგუტა... გუგუტა... პატარა ლამაზი
და თეთრი გუგუტა...

— ახლა ის დროა, რომ საძილედ ვე-
მზადებოდეთ, — თქვა სიძემ.

— ჰო, დაიძინეთ, შვილებო.

— შენა?

— მეც დავიძინებ... ყველამ დავიძი-
ნოთ...

გაბომ ტახტზე გაშალა ლოგინი. ბავ-
შვები ერთ საწოლში დააწვინეს, მეო-
რეში ცოლი და ქმარი დაწვნენ.

სინათლე ჩააქრეს.

ბავშვებმა, აქაოდა, ვერავინ გვხვდავ-
სო, ფეხები წაუშინეს ერთმანეთს.

— იყუნეთ! — გაისმა სიძის ხმა.

ბავშვები წრიალებდნენ, იცინოდნენ,
ერთმანეთს ასკდებოდნენ.

— დაიძინეთ, თორემ მე ვიცი თქვე-
ნი!..

ახლა გუგუტას აუტყდა სიცილი. ქმა-
რი რაღაცას ეჩურჩულებოდა, გუგუტა
იცინოდა, საბანში ჩაერგო თავი და ჩუ-
მად ხითხითებდა.

— დაიძინეთ.

მერმე ყველაფერი მიჩუმდა.

— გძინავთ, ბალებო? — იკითხა
სიძემ, მერმე ასეთივე კითხვა გუგუტამ
გაიმეორა: — გძინავთ, ბალებო?

ბავშვების ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

გაბო გაუნძრევლად იწვა ტახტზე.
თვალეები დაეპყიტა და ოთახის სიბნე-
ლეს მისჩერებოდა. არაფერზე არ ფიქ-
რობდა. მთელი დღის წოწილმა იმდე-

ნად დაქანცა, არც შეეძლო რაიმეზე
ეფიქრა. უცებ ფაჩუნი თუ ჩურჩული
გაიგონა. უნებურად მიაყურა. — შერცხვანა
გაწითლდა, აღმური მოეკიდა სახეზე.
თავი ბალიშის ქვეშ შერგო, საბანიც
წაიფარა... შეუძლებელია... გაბო ხომ
აქ არის, ამ ოთახშია, ჯერ არა სძინავს...
ბერიკაცისთვის ძილი მაინც დაეცილი-
ათ...

მერმე ისევ მიჩუმდა ყველაფერი...
სიძე გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშ-
ვა...

გაბოს არც უცდია დაძინება. პირქვე-
დამხობილი ბებრულ ცრემლებს ღვრი-
და...

გუგუტა... გუგუტა... პატარა, ლამაზი
და თეთრი გუგუტა...

7

— პაპა, ამ ლეიბსაც და საბანსაც
წავიღებთ. შენ ერთი ხელი გეყოფა.
მეტი რად გინდა?

გაბოს უნდოდა ეთქვა. ხანდახან ჩემ-
თან მეგობრები მოდიანო. ზოგი თერება,
მაგ ლოგინს ეუშლი და დილაძედ მოვა-
სვენებო. მაგრამ ვერ უთხრა. ანდა რო-
გორ ეტყოდა, იქნებ ამათ უფრო სჭირ-
დებათ საბანი და ლეიბი, ვიდრე გაბოს...

— წაიღე, შვილო.

— პაპა, ამ თეფშებსაც წავიღებთ,
ამდენი რად გინდა?

გაბოს უნდოდა ეთქვა: ხანდახან ძმა-
კაცები თავს იყრიანო ჩემთან. სუფრას
ეუშლიო... აი მაგ თეფშიდან, ოქროს
ზოლები რომა აქვს მოვლებული, მი-
ხოს უყვარსო ჰამა... ვერ უთხრა. ან-
და როგორ ეტყოდა...

— წაიღე, შვილო.

— პაპა, ამ ქიქებსაც წავიღებთ... რა
საჭიროა ერთი კაცისთვის ამდენი ქი-
ქა?

გაბოს უნდოდა ეთქვა...

ვერაფერი უთხრა. გული კი დაწყდა,
ის ერთი მაღალ-მაღალი, ტანწერწეტა
ქიქა თავდიდა გოგიას უყვარდა, სულ
მაგითი სვამდა ლეინოს.

— წაიღე, შვილო.

დაიტვირთნენ მგზავრები, შეკრეს-
შემოკრეს ბარგი. სიძემაც აიკიდა, გუ-

გუტამაც, შეილებსაც აკიდეს ცოტ-
ცოტა და, დაზვინულები, სადგურისაკენ
გაუდგნენ გზას.

გაბომ ჭიშკრამდე გააცილა. დაემშვი-
დობა. ჭიშკრიდან დიდხანს გასცქერო-
და მიმავალთ. მგზავრები თვალს რომ
მიეფარნენ, ბერიკაცი ეზოში შემო-
ბრუნდა.

— ვინ იყვნენ, ძია გაბო, ვინ გაი-
სტუმრე? — ჰკითხეს მეზობლებმა.

— ნათესავეები მესტუმრნენ სოფლი-
დან.

— ჩვენ გვეგონა, გუგუტა ჩამოვიდა
თავისი ქმარ-შვილით...

ბერიკაცმა თავი გააქნია და მეზო-
ბლებს გაერიადა.

ისევ მარტო დაჩაჩუნობს ოთახში.
გაბოს წესრიგი უყვარს, უყვარს, როცა
ყველაფერი თავის ადგილზეა. ისინი
წავიდნენ და ახლა დაალაგებს ოთახს,
ძველ იერს დაუბრუნებს. წვალბს ბე-
რიკაცი, ერთ გარჯაშია, მაგრამ ოთახს
ძველი იერი ვეღარ დაუბრუნა. რაღაც
აკლია, არ ჰყოფნის, აკლია კი არა, არა-
ფერი აღარ არის, დაცლილია.

ჰკვიანი კაცია მიზო, გამჭირახი. მი-
ხოს სიტყვები გაახსენდა გაბოს და გა-
იმეორა:

ასეა ცხოვრება... ვალი მოვიხადეთ...
ასეა ცხოვრება!

გაბომაც მოიხადა ვალი.

— რა არის ვალის მოხდა? — ავო-
ნდება დიდთავა გოგიას სიტყვები.

— რაც არის.

— მე რომ აქ მტკიცია, — დიდთავა
გოგიასავით გულზე იჭერს ხელს გაბო
და ცხარდება. — ვალის მოხდაზე დიდი
არ არის?

— დიდა, დიდი!

— ჰოდა, არ მინდა ეგ შენი ვალის
მოხდა, დამიბრუნეთ ჩემი ორთქლმა-
ვალი! — ეს დიდთავა გოგიას სიტყვე-
ბია.

იქნებ გაბოსაც არ უნდა ვალის მო-
ხდა. დაუბრუნეთ პატარა გუგუტა,
ხუთმეტრი წელი რომ ელოდებოდა. და-
უბრუნეთ თეთრი, ლამაზი გუგუტა.

გაბო დაიბრუნებს, წავა და მონახავს.
ვილაცამ უთხრა ორთქლმეველებს შერ-
შიაო, კარგი ბიჭი მართაქს! და კარგა-
დაც არის მოვლილიო. გაბოს რაღაც
აერია, რაღაც შეეშალა, იქნებ არც შე-
შლია და თვითონ ეჩვენება, რომ შეეშა-
ლა. იქნებ იმის ბრალია, რომ დაღამდა,
დაღლა იგრძნო!..

ძილმა დაჩაგრა, მოერია ქუთუთოე-
ბზე დააწვა და ძალით დაახუჭინა თვა-
ლები.

გაბოს ტანგაუხდელს სძინავს. ძილში
მატარებლები უხმობენ ისევე:

გა-ბო, გა-ბო, გა-ბო!..

გა-ბო, გა-ბო, გა-ბო!..

გაბრიეველ!

დაფეთებული წამოიჭრება და მიაყუ-
რებს. სახლი ზანზარებს, ფანჯრის მი-
ნები ზრიალებენ. ეს უკვე ნამდვილი მა-
ტარებელია, კატის ჩხაივლს აღარ გაუ-
ლვებია. ნამდვილი მატარებელია, ისე-
თი, თვითონ რომ დააქროლებდა ხოლმე
ქვეყნის გზებზე.

ბერიკაცი რყინის აივნიდან გასცქე-
რის სივრცეს იქ. მაღლა, ორ სახლს შო-
რის სულ მალე გაიეღვებს მკრთალად
განათებული ფანჯრები.

დაგ-ღუგ... დაგ-ღუგ... დაგ-ღუგ!..

უუუუუ!..

ბერიკაცს უნდა უფრო ახლოდან ნა-
ხოს, უფრო ახლოს იგრძნოს მატარებე-
ლი.

ჩუმად დატოვა ოთახი, თითქოს ოთა-
ხში ვილაც იყო და გაეპარა. ფეხ-
კრფით გამოვიდა გარეთ, ჩქარობდა.

ნახევრად ბნელი უკაცრიელი ქუჩის
მყუდროებას გაბოს ფეხების ჩაჩუნი არ-
ლევდა მხოლოდ. გაბომ იცოდა, მატა-
რებელი გაასწრებდა და მანაც მიიწვე-
და ლიანდაგებისაკენ. ლიანდაგი მაღლა
იყო, პატარა გორაკის იქით.

მატარებელმა ვადიგრილა და წაეი-
და. სივრცეში ორთქლმავლის კივილისა
და ბორბლების დგანდგარის ხმები და-
ტოვა. ხმები საკვირველი სისწრაფით
შორდებოდა ბერიკაცის სმენას და სა-
დღაც შორს ინთქმებოდა.

ქუჩა თანდათან ვიწროვდებოდა და

მალა მიიწევდა. ვაბო უკვე გორაკზე იდგა, წინ გრძელი, დაუსრულებელი ლიანდაგი გამოჩნდა, ღამეული შუქით აელვარებული. ამ ლიანდაგზე აქვს გატარებული ნახევარი ცხოვრების გზა, ამ ლიანდაგებზე დააქროლებდა მატარებლებს სადგურიდან სადგურამდე, ბაქნიდან ბაქნიამდე. ეს გზა არსად არ თავდება, ხანდახან ჩერდება, მაგრამ არ თავდება.

ვაბო უფრო ახლოს მივიდა ლიანდაგთან. მძაფრი სუნი იგრძნო, შპალეზის ნაცნობი სუნი. ორ რელსს შორის ჩადგა და ნელა გაჰყვა ლიანდაგს. ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, როდესაც აქ დარბოდა, ეჩვენებოდა, რომ შპალეზი ძალზე ახლო-ახლოს იყო ერთმანეთთან დაგებული. ამიტომ მოკლე ნაბიჯების გადადგმა უხდებოდა. ახლა კი მის ნაბიჯზეა შორგებული. თავისუფლად გადადის შპალიდან შპალზე.

დაგ-დუგ... დაგ-დუგ... დაგ-დუგ!.. გული უცემს ვაბოს...

მოეცალეთ, მატარებელი მოდის, ძველი ბებერი მატარებელი! ორთქლმავალი სამოცდაჩვიდმეტ ვაგონს მოაგრიალებს, იმ ვაგონებში ოცდაშვიდი-ათასი მგზავრია, მეტიც...

ქშენით, ქოთქოთით, დავადუგით მოდის... მემანქანე სემაფორს გახედავს. ღამეში მწვანე თვალი ანთია. გზა გახსნილია. მოდის დგანდგარით, გრიალ-გრიალით... წინ დიდი სადგური ეგებება, ნათელი, მაღალი ბაქნებით ეგებება დიდი სადგური.

გზა... გზა! მოდის ძველი, ბებერი მატარებელი.

8

მარტოხელა ბერიკაცია — ძველი მემანქანე, სვანეთის უბანში ცხოვრობს... ქუჩაში გადმოკიდულ რკინის აივანზე ზის ხშირად და სივრცეს ვასცქერის. ხანდახან ჩასთვლემს. ბურუსიან მენსიერებაში უცხო სადგურები და ბაქნები ამოტივტივდება ხოლმე, მაგრამ ბერიკაცმა არ იცის, რატომ ჩნდება და ქრება ბურუსებში უცხო სადგურ-

ბი. ნეტავი რა სადგურებია ან როდის გაიარა? ან რატომ ელავს, ცივად აღუსრულებელი ლიანდაგებში? *შპალეზი*

ღამდამობით ორთქლმავლის კივილი აღვიძებს ზოგჯერ. დაფეთებული წამოჰყობს თავს და სიჩუმეს მიაყურებს...

პენსიის ფულს რომ მიიღებს, ორად გაჰყოფს, ნახევარს თვითონ იტოვებს, ნახევარს სოფელში გზავნის... მერმე სადღაღაოში შეივლის.

— მობრძანდი, ძია ვაბო.

ვაბო სარკის წინ უსიტყვოდ ჯდება.

— ფოსტიდან მოდიხარ, ძია ვაბო?

— ჰო ფოსტიდან.

— ფული გაუგზავნე?

— გაუუგზავნე.

— როდის ჩამოვალო, რას იწერება?

ვაბო იღიმება, ღიმილი მწარეა და იღუმალებით მოცული. რაღაც იცის ვაბომ და არ ამბობს, არ ამხელს...

— ჩვენს უბანში ეგეთი გოგო არ დიდოდა.

— მარტო ჩვენს უბანში?

— მთელ თბილისში, — გამოასწორებს შეცდომას დალაქი და დუმილის შემდეგ ეკითხება: — რამდენი წლისა წაიყვანეს?

— ცხრა წლისა.

— აქ რომ ყოფილიყო, როგორ მოგივლიდა.

— მაშა...

— ნეტავი თუ შერჩა ის სილამაზე?

— შენ როგორ გგონია?!

— შერჩებოდა, შერჩებოდა!.. — ამბობს დალაქი.

— ჰო, ეგრე, ეგრე!..

გაპარსული ბერიკაცი წამოდგება, ფულს თეთრი ხალათის ჯიბეში ჩუმად ჩააცურებს და კარისაკენ წაჩაუნდება. კართან მობრუნდება, დალაქს საიდუმლოს გაუშვლანებს მწარე ღიმილით:

— ამ თვის ბოლოს გუგუტა ჩამოვა.

— რას ამბობ, კაცო!

— მაშ!

— ეგ რა მითხარი?!

— ჩამოვა, ჩამოვა ლამაზი, თეთრი გუგუტა... პატარა გუგუტა ჩამოვა!..

პაკო პაპაძე

მე და წუთივით პატარა ჩიტი

ცას შევეურჩიე ჩარჩოდ სარკმელი,
ზღვას აღელვებულს — მკერდი აივნის.
ვფიჭრობ, ჯერ კიდევ დამრჩა სათქმელი
და ჩემი დილა ყრულ არ ჩაივლის.
გული რა არის, გულიც ინანებს,
მინდა მეც ჩემი დილა დაეხატო
და უძილობით მეწვის თვალები, —
სიტყვას რა ვუყო, როგორ გავხადო
ხელიდან ხელში საგომანები!
ირგელივ რთველია ხელ-გამართლი,
რთველი, და არა მტერია ურჯულო,
და საწერ ფურცლებს ჩემი ქართულით
არ შემიძლია არ ვეჩურჩულო.
დამიწყებს ვაზი სვეტიდან მზერას
და მის რქა-ლერწებს ვეალერსები:
ვახარობ, ჩემსავეთ ხელის მოწერას
რომ ახერხებენ ვაზის ლერწები!
არა, არ მინდა სხვა მაგალითი,
თუმცა ეს მხოლოდ ჩემი ეჭვია:
განდა წუთივით პატარა ჩიტი
და ჩემს აივანს შემოეჩვია!

უკრთის დასაწურ მტევანს ფურცელი,
უნდა წვეთ-წვეთად აესებდეს თასებს,
ჩიტს კი ყელამდე ჰყოფნის ყურძენი
და თითო მარცვალს ყოველთვის
მტაცებს...

ოღონდ ვერაგმა და გულით ცუდმა
არ მოჰკრას თვალი და მე არ ვჩივი,
დე, გაიტაცოს გაფრენილ წუთმა
მთელი ეგ სიტკბო — ჩემი არჩივი!
სხივი, რამდენიც ჩემს თვალებს ცვივა,
წვეთი რამდენიც გულს დამრჩენია. —
ისე ვით შუქი, ისე ვით წვიმა —
სამშობლოვ ჩემო, ისევ შენია!
შენ ხომ ვენახის ფურცელიც გეძებს,
ვით ჩემი ფურცლის რამ თანაბარი,
მე და ვენახის ხვეულ რქა-ლერწებს
ერთი ხელი გვაქვს, ერთი ანბანი!
აქი შენც მოწმე ხარ მაგალითის
და იგრძენ წუთმა რაც მიწყალობა,
ფრენით რომ სიტყვას მტაცებს იმ ჩიტის
გინახავს ლაღი ფრენა-გალობა...

კ მ ღ მ რ ი

ეს არის მართლაც მთების ღრეობა,
ბაბილონელთა ხელით ნახატი:
ხეობას თავქვე მოსდევს ხეობა
და გულ-დახეთქილ ქვათა ღაღადი!

ხეს ათასწლოვანს არ ეშინია,
უფსკრულეშორის დგას და ბარბაცებს,
სევანური რახით გაღეშილია,
ფერხული მოხუც გულს უმამაცებს!

შენ კი სად გარბი, ერთბაშად ამდენ
 ღვარტყაფით შენც რომ ალაპარაკდი!
 არა, კოდორო, არ გათამამდე,
 მთების ამ სურათს არც შენ არ აკლდი...

მაგრამ არ მიყვარს მე ეგ აღრევა!
 ბ. ბილონურა მახსოვს გოდოლი,
 თუმცა მეც ვბორგავ და მეც აგრე ვარ
 ხმაჩაზღვნილი როგორც კოდორი...

მინც როდესაც ისმის „ორერა“
 და ბანს გუგუნით აძლევენ მთები. --
 ვცდილობ ჩამთვალონ მეც კოდორელად
 და ერთი კერით მეც ავიწებები!

არა! გზა ისე მოკლეა — არ ღირს
 რომ ჩამოიქცე და ჩამოზავდე, —
 სულ არის ერთი გასროლა ტალღის
 შენი გაჩენის წუთიდან ზღვამდე.

არ აპყვე აედარს, მთების ქვა-გული
 თუ ერთხელ შესძარ შენი სიმღერით,
 წესი არაა — გაჰყრა ჰვავნი —
 რომ ეხვეოდო — სწორედ იმ ხელით!

კლდეებს აჩნიათ ჩამოსვლა შენი
 როგორც ხვედახვე ჩამოსმა დაშნის...

ზღვა კი დაგხედება და ერთი ქმნიით
 შენს აჩქროლებულ „ორერა“ წესმის!
 მამ რად იჩქარი, რაა ასეთი,
 რამ ავიმღვრია აგრე გუნება, —
 სხვა საქართველო, სხვა აფხაზეთი,
 არა, შენც არსად არ გეგულება!

აქ რასაც ეტრფი რასაც უყურებ —
 უმთავრესია და უკეთესი,
 სხვა რა გვასწავლა ამ საუკუნემ —
 შენს ტალღებს თუ არ ავუგეთ ჰესი!

რა ბედენაა დაბლობს დაეცე,
 წყალი კი არა, გახდე წყეული,
 როცა არაფერს აღარ დაეძებ
 სახეტილოდ გამოქცეული.

ჰკითხე გზადაგზა ალევებს ტანადებს,
 ახლა, ნურც აგრე გამოგულისდი, —
 ყველა მდინარე ნაპირს ანათებს,
 მე რად მინთია შუქი გუმისთის!?

...ვერ შეგაჩერეთ ვერსად ჯებირით,
 მთაბარი მინც გასჰერი ზღვამდე,
 რომ იმ შენს ღვარტყაფს კამეჩებივით
 წყალში ჩაყრილი ღრუბლები სვამდნენ...

მეზურის პირად

ეს ოდა სახლი, ეზო და ხულა
 ეს მწვანე მოლი ჭვართო,
 ფიქრთვასართველად შემომნახულა,
 ფიქრთვასართველად, მარტო.

ეზო ლანდებით აპრელებული
 და მზის ვიზგიზა შუქით,
 ჩვენებურია და ძველებური
 თავისი ვიწრო შუქით!

ძველ ხეებს შერჩათ დადიანების
 სიღარბაისლე ძველი
 და ვით სიჩუმე დარდიანების —
 ღიმილიც უყვართ ჩვენი!

შეხვალ თუ არა — შეეშველება
 ჰიშვარს შრიალი ტოტის,
 როგორც სიცოცხლე, როგორც
 მშვენება
 მივიწყებული ოდის...

კაცი, ხის მაღალ ტოტს რომ შეჰყურებ
 და ვაზის თასმა-ღერწებს,
 წელზე თავაზით ახსნილ ლეკურებს
 ხეების ფერხით ეძებ.

ყურძნის მტევნები კი ხეებს განგებ
 აუწევიათ ცაში
 და იქ თუ ახვალ, და ხელს თუ ახლებ, —
 გაისმის მათი ტაში!

ახლა აქ ორი ბინადარია,
 ორივე ჩემი კბილა,
 ხეების ჩრდილქვეშ წყვილად არიან,
 აქ ავურჩიეთ ბინა.

ხეებს რატომღაც ჰგონიათ უცხო,
 და მათ ნაწერებს დილით,
 რომ უნებლიედ არ გადაფურცლონ,
 რტოს აფარებენ ჩრდილით.

დრო ვერ უგრძნიათ ხეთა ხერხემალით
დგანან დრომორკმულ რიხით,
გადაიხედონ, არ ეხერხებათ,
ორღობეების იქით!

მათ, კლდეთა ნგრევის ხმაც ეჩვენებათ
ცის ჩვეულებრივ გრგვინვით!..
ნუთუ ჩვენს წარსულს შერჩინენ
მშვენებათ,
და არ იციან ვინ ვართ!

ნუთუ ეს ოდა, ეზო და ხელა,
ეს მწვანე მოლი ფართო —

ფიქრთგასართველად შემრნახულა,
ფიქრთგასართველად მარტო
ნუთუ არ შესწევთ... ნუთუ სიშორით
არ ენდობიან ჩვენ გულს!?
არა, ჩვენ მაინც გადავისროდით
მთებიდან მთებში ენგურს!

გული ამ ფიქრით არის გართული
და ამ სიახლით მოდის...
დე, ძველ ეზოშიც ჩანდეს ქართული
სიახლე ახალ ოდის!

3 ე წ 3 ი ო თ

ვეწვიოთ მთებზე გადმომჯერ ოდებს!
ჩვენი ხალიჩა — მწვანე მოლია, —
ვაზი ერთ მტევანს ჩვენც მოგვაწოდებს.
ხეს ხვევნიტ მალა რომ აპყლია...

სერზე თამაშით არბის გზა-ვიწრო,
ხილნარს თავაზით რტო ელუნება,
დაერჩეთ აქ, მათი გულიც გავიცნოთ,
მოკეთე ჩემი აქ შეგულება!

დაერჩეთ აქ, დაგკრათ ბეჭებზე ხელი,
ნულარაფერი გვაეპვიანებს...
რაა, სიმღერას თუ მოგვთხოვს ყელი,
თუ მარნის კარიც გაიჭრიალებს!

მუდამ ღეთისაა უცხო სტუმარი,
და ღამით წვიმაც თუ დაგვეწიოს, —
ჩვენ აქ დაფიგოთ თავსასთუმალა,
ღამის ბნელში კი ელვამ გვეძიოს!

შრილა დაფნა სდარაჯობს მხოლოდ
სარკმელთა ჭრილში, ფიქრს
ამალამდელს.

და თვალის იმ შავ თვალს გავაყოლოთ
რომელიც ფრთხილად გვიკრობდა
სანთელს...

დილის ბინდ-ბუნდში, არ გიყვართ განა,
კრამიტზე წვიმის წყრიალ-წყრიალი,
ჩაბალახსველი სიმინდის ყანა,
ფერდობი ათასნიადღერიანი!

გამოიდარებს, გზას გაუღდგებით,
და შეეტყობა უკვე კარებთან,
რომ თქვენს მასპინძელს განსაკუთრებით
უთქვენოდ მზეც არ გაახარებდა!

გესმით კარგებო? არა და არა,
უთქვენოდ არ სურს სიცოცხლე. ვიცი,
აქ მან საძირკვლის ქვას ჩაატანა
ქვითიერში ერთხელ ასეთი ფიცი.

ვიცი, ვით შორმა და ახლო-მახლომ
გულით მასპინძლის გული ვიგრძენი...
იმ მთა-გორაკზე მე თვითონ ვსახლობ,
და მე ვარ თვითონ ის მასპინძელი!

ხანიჭონე პარიზშილი

სამადლობელი

თმა აღარ შემრჩა თავზე,
ჰე, რა ჭოჩორი მქონდა!
ვარსკვლავს ვიპყრდი ცაზე,
ოცნება ცისკენ ჰქროდა,
დღეს დავიდალე გზაზე
და გული დამიღონდა!

სულს ახსოვს ეამი ღზინის
და მკუმუნეარების ალი,
განჭარდნენ შავი დღენი,
მწველნი სუსხით და გვალვით.
თვალს მივსებს ცრემლი ბნელი —
როს გზას ვაგებდავ განვლილს.

პეერჯერ დამატყდა თავზე
გრიგალი გრგვინვა-პეკით,
წავეფორხილე გზაზე
და ისევ წამოვდექი,
მტკიოდა, გრძნობით საესე,
მკერდს გული შეუდრეკი.

პეერჯერ ჩაეხედე თვალში
დილეგებს, ბნელ წყვდიადებს,
სუსხიან დღეთა ცვლაში

ზეცასთან ფიცი დაედე —
ვაცოცხლო სიმღერაში —
სამშობლოს სიღიადე!

მწამდეს სიცოცხლის მცნებად
მამულის სიყვარული,
მის გმირთა თავდადებას
ეუმღერო მთელი გულით.
სიხარული და შეგნა
მით განვიცადო სრული.

დე თმა ბრწყინავდეს ვერცხლით,
ზეცა მასმენდეს ჭუხილს.
გულში კვლავ ღვივის ცეცხლი —
მზის შექნათელი უხვი.
მწამს ცა იელეებს რუხი,
მოვისმენ ელურტულს მერცხლის!

ახალ გაზაფხულს ველი,
შევხარი მზეს და მთვარეს,
მამხნევეებს, მომხიბვლელი
ჩემი სამშობლო მხარე,
ცაო ვარ მადლობელი,
რომ შენს მადლს მაზიარე!



მიწიერი პაჭახიძე

ტყეა გულისა

გაგრაში ვარ სიცოცხლეზე მეოცნებე,
ამ სტუმრების თამადაც და
მასპინძელიც...
თავშეყრილი ზღვა და მთები
მაოცებენ —
ეს ამაყი მეტოქენი ძველისძველი.

გაგრის მთები, პალატები ეზო-ბაღჩით
ალარ მახსოვს სულ პირველად როდის
ვნახე.
გული ამბობს: — ჩვენ ამ მთებთან
ერთად გავჩნდით
და ვიხვეჭდით შრომით სახელს;

ზღვის ნიაგით მუდამ ტყვილის
ვიყურებდით,
ცრემლს იმედით იშრობენო, ჩვენზე
უთქვამთ.
მოიგონე მწყემსის ფაცხა, ბზის
ბუჩქები,
ნადირობა, დაცემული ირმის სუნთქვა.

გული ამბობს: — ახლაც ისმის დილით
მთებში
ამ თოფის ხმა, გამარჯობა მწყემსის
თქმული.
მოიგონე პაპაშენის შრომის ეშხი,
ცხელი კირი, მისი ოფლით
დათუთქული;

მოიგონე დრო სიკეთის, დრო სიავის,
სიყვარულში სულის ოქროდ როგორ
დავდნით.
მიტომ არის ჩვენი მიწა, ზღვის ნიაგი
ავსებული უკვდავების წყაროს
მადლით.

გული ამბობს: — წლიდან წლამდე ამ
მადლს ვიცავ,
ვარ სიცოცხლის, სიყვარულის კინით
მთვრალი.
მე ვუმზერდი პაპაშენის თვალით
მიწას,
დღეს ვუყურებ ამ ქვეყანას შენი
თვალით;

ნუ იღარდებ, თუ სიბერე გედავება,
მასე ხშირად ჰირვეულობს, დაეობს
ბავშვით,
მაჯის ცემად, სულის ღელვად.
უკვდავებად
გადავდივარ თაობიდან თაობაში...

გაგრის მთები, პალატები ეზო-ბაღჩით
ალარ მახსოვს სულ პირველად როდის
ვნახე.
გული ამბობს: — ჩვენ ამ მთებთან
ერთად გავჩნდით
და ვიხვეჭდით ბრძოლით სახელს.

ზაქარია შერაზაღიშვილი

შექვიფებული საღმებრძელო

ვინ არ იცის ჭავჭავაძე წინანდელი,
ჩვენი ფასი ახლანდელი, წინანდელი.
თუ ყვარელი ჩვენთვის მარტო

ყვარელია.
საქართველო არასოდეს გეყვარებია!!!

ლოპოტაში მარმარილო გამითლია,
არაგვეთანა აულგველი ამიგია,
არ მახსენოთ, არ ჩამთვალათ რა
რიგია?!

ამ წუთში ვარ ფშაველიო,
იმ წუთში ვარ სხვიტორელი,
ლამის სული დამელიოს,
სიხარულით ვიტორები.

ამ ცხოვრებას, რომ არ გვიცდის,
ხასიათი უნდა მაყრის,
მდიდებული ნიკორწმინდის,
მაჭებარი გულდამაყრის.

ნათლული ვარ ალაზნისაც,
ჯეჯორისაც, არაგვისაც,

სიყვარულმა აღმაზევა,
მოლოდინმა დამაღირსა.

ეს სიცოცხლე, საღირალი,
ძმობას ვფიცავ, მისი არის,
ყველა ისე ვალიართ,
როგორც ამის ღირსი არის.

არ იფიქროთ ვაბოდებდე,
ორი სიტყვაც დამრჩენია,
ღღაენი ვართ თუ ნაფოტები,
ყველას შუბლზე გვაჩნევია.

ვერ ავდივარ ფიქრის თოკვას,
რომ გავჰედეთ ეს თოფები,
დღეს რომ ვინმემ ჩიტი მოკლას,
ფრჩხილებამდე შევეშფოთდები!

ამ ცხოვრებას, რომ არ გვიცდის,
ხასიათი უნდა მაყრის,
სიკვარული ციდა მიწის,
ყველაფერს რომ თავზე გვაყრის.



პირველი მხარე

მ მ მ

ნამთვრალევემა ბიძინამ დილით თვალი გაახილა თუ არა, გაქათქათებულნი საბინიდან ხელი გამოჰყო, მაგრამ პაპიროსის კოლოფი სკამზე აღარ იდო.

წუხელ დათვრა, შინ ძლიერ მიბანცალდა, კიბეზე წაიქცა. ხმაურზე პერანგისამარა ლენა გარეთ გამოვარდა, ბიძინა ოთახში შეათრია, დააწვინა, წამალი დაალევიანა. მკერდზე სველ, ცივ ტილოს ადებდა, მაჯას უსინჯავდა, ტუქსავდა:

— სამი წელია ჩემს სახლში ცხოვრობთ და არაყში იხრჩობით, პაპიროსს უმოწყალოდ ექაჩებით. თქვენს სნეულ გულს განა ეს ესაქიროება?

ნახვისთანავე თვალი და გული მოსტაცა თეთრყირმიზა ლენამ, აღერსით უთხრა — რა მშვენიერი ხართო. ლენას ზურმუხტისფერ თვალებში დამკინავმა, გამანდგურებელმა ღიმილმა რომ იფეთქა, ბიძინა დაიბნა. მას შემდეგ პირში წყალი ჩაიგუბა, თუმცა სიყვარული გულს უწევდა და უნაცრავდა.

ბიძინამ ორმაგი ფანჯრიდან გახედა ჩრდილოეთის მთის უნიათო მზის შექმნე ათინათებულ თოვლს, შარასა და ეზოებში მოფუსფუსე ჭილყავებს. ფორნებისა და მანქანებისაგან ატალახებულ ოღრო-ჩოღრუ შარაზე საბარგო მანქანა მოტორტმანებდა.

თემშარაზე მომავალმა ორმა კაცმა ვზა უტია მანქანას. ბიძინამ შორიდანვე იცნო ალიოშა კუზნეცოვი და ივანე ორლოვი. კუზნეცოვი ხმელი და მალალი იყო, ორლოვი კი დაბალი და პირბუტ-

აყი. როგორც კი დახშირბინდებოდა, აფთიაქთან აეტორლიალებოდნენ ბიძინას, თვალებში შესციცინებდნენ — სასაუბრეში პური გვამოთო. შინ იშვიათად აკითხავდნენ ლენას შიშით.

შარის პირას შეჩერებულნი თავებს აკანტურებდნენ, ხელებს ამოძრავებდნენ, უთუოდ თათბირობდნენ — ბიძინასთან მისულიყვნენ თუ არა. როგორც ჩანდა, ლენას გამოჩენა არ ექაშნიკათ. ლენა რომ ჯანიანი იყო, იცოდა ბიძინამ. იმასაც ამბობდნენ — ხელის ერთი გარტყმით კაცს გააფუტკებსო. ალბათ, ეს უფრო აფრთხობდა ლოთებს, ვიდრე ამ გოროზი ქალიშვილის წიწკაქასავით ცხარე ენა.

ლენამ მანქანა ჭიშკართან დააყენა, კიბეზე ტალახი მოიშორა ჩექმიდან, თავის ოთახში შევიდა. კუზნეცოვი და ორლოვი სირბილით გამოსწიეს ბიძინასკენ და კარზე დააკაყუნეს.

ლენამ კარი ფართოდ გამოაღო, უკმეხად ჰკითხა:

— რა გნებავეთ?

— გესურს ერთი წუთით ვნახოთ შენი მდგმური, — მიელაცილა კუზნეცოვი.

— ახლავე დატოვებ ეზო.

— ნუ გვიწყრები, ლამაზო, — შემპარავად ენატკბილობდა კუზნეცოვი.

— წაეთრიეთ, სალახანებო.

— დამშვიდდი, ნუ ბრაზობ, ერთი ბოთლი არყის საჯასური მოგვეცეს და წავალთ. ის, ისეთი კეთილია, უარს არ გვეტყვის.

— მუდამ ამ კაცის ხარჯზე უნდა სვით და ცეცხლოთ? ამ წუთში თუ არ წასულხართ, არ ვიცი, რას ვიზამ.

— მოეშორდეთ ამ გადარეულს, — წარბშეკვრით გადაელაპარაკა ორლოვი კუზნეცოვს და ჭიშკრისაკენ პირი იბრუნა. კუზნეცოვმა დაიხია, გაჰკილა:

— ბიძინას ფულს იმიტომ უფრთხილდები, რომ ის შენი საყვარელია.

ლენამ მეტის თქმა აღარ აცალა, მიეჭრა კუზნეცოვს და ისეთი ლაზათიანი სილა გააწნა, აყინჩული მამაკაცი ერთ ადგილას დატრიალდა და თოვლზე პირქვე დაეშო. ორლოვმა გაქცევით უშველა თავს, კუზნეცოვი ბარე ათ წუთს ეგდო უძრავად. მერე წამოიწია, თვალეზე ხელი ჩამოსვია, ადგა. თოვლი ჩამოიბერტყა, ჭიშკარს კარგა მანძილით რომ გაცდა, ლენას მუშტი მოუღერა.

ლენას გესლიანად, ცალუბად ჩაეცინა, კარი მიხურა. წამოძვდარმა, ალტაცებულმა ბიძინამ მსხვილ მაჯაში ხელი სტაცა და თითებზე აკოცა. ლენამ უხეშად უბიძგა, ბიძინა მოწყვეტით დაეცა საწოლზე, ბრაზისაგან ჯერ გაფითრდა, მერე შებღბღა და ლოყებზე წითელი ლაქები დააყარა. გულის სიღრმემდე შეურაცხყოფილმა ტუჩზე იკბინა. ამ რამდენიმე წლის წინათ სახელმწიფოებრივ ფალავნებს უქირდათ ჩოგბჯენში ბიძინას გადაყვანა, ახლა კი ქალის ხელმა ლოგინს გააკრა და ერთხელ კიდევ მთელი სიმწვევით აგრძნობინა ის ზადი, რაც სამამულო ომმა დაუტოვა. და მერე ვინ ქნა ეს? ქალმა, რომელიც ეგზომ უყვარდა.

ცლებივით გადაჭიმული მოცვისფერი, ხავერდოვანი წარბები ლენას ხან მოეშვილდებოდა, ხან გაეშლებოდა, მისი მუქიანი, ზურმუხტისფერი თვალების დაკვირვებულ მხერკას ბიძინას ვაცრეცილი, ნატიფი სახის არცერთი ნაკვეთის ოდნავი შერხევაც კი არ გამოპარვია. მოიქვფრა, ჯარისკაცივით შემოტრიალდა, მძიმე ნაბიჯით გავიდა, მანქანაში

შეხტა, კოლმეურნეობის ანტროპისკენ გასწია.

ბიძინა უტბად მოეშვა გულმორთვით უჯავრდებოდა ლენას; გულმოკლული, თვალვებშილულული ფიქრობდა ომის იმ დღეებზე, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცა, რუსეთის ერთერთ სოფელს შეახიზნა.

გული უფრიალებდა, სტკიოდა. ადგა: ტანთ ჩაიცვა.

ლენა ჩქარა დაბრუნდა.

— დღეს ხომ კვირაა, მოისვენეთ, ქეთთოები შეშუპებული გაქვთ, პაპიროსს ნუ მოწევთ. თქვენი პაპიროსები ჭილყავებს დაუვრიგე, — ლენას ცბიერად ჩაეღიმა.

— მივხედავ აფთიაქს.

— უჭმელი მიბრძანდებით?

— დიახ.

— ერთი ლუკმა მაინც ჩაიდეთ პირში.

— არ შემოძლია.

— ნუ გეწყინებათ, ბიძინა, მაგრამ თქვენი გულკეთილობა სისულელეში გადადის. ყველა ლოთი და ოხერი თქვენთან ამხანაგობს, ფული ბევრს მიაქვს, უკან კი არავინ გიბრუნებთ. გადასაყრელი თუ გაქვთ, მომიმატეთ ქიარა.

— რამდენს მთხოვთ?

— მე არ ვხუმრობ.

— არც მე ვარ ხუმრობის გუნებაზე.

— თქვენი ხელფასის ნახევარი მინდა.

— იქნებ მეტი...

— ყოველთვიურად დედას ფულს უგზავნით, პაპიროსს ეწევით, ლოთებსაც ეხმარებით და თავათაც ხშირად თვრებით, მეტს ვერ მოგთხოვთ. მანქანას გადაევალებ წყალს, მეც აფთიაქისკენ უნდა გავიარო, წავიყვანო. — კარში გასვლისას ჩაიბუტბუტა, — ნუ მიჯავრდებით.

ლენა ბიძინას კვებად, უვლიდა, გასამრჯელოსაც ბევრს ითხოვდა. ბიძინას გაუკვირდა: ლენაც ხომ მუშაობს, ნეტავ ვისთვის, ან რისთვის აგროვებს ფულსო. გაზაფხულის სურნელებითა და

ეზიით მკერდამოცეხულ, ამ უბიწო და თვალბიბინა ქალიშვილს მუშაობისა და წიგნის კითხვის გარდა არაფერი აინტერესებდა, მამაკაცის ტანისამოსსა და ჩექმებს არ იშორებდა, უქმე დღეს შინ ჩაიკეტებოდა და წიგნს კითხულობდა, მასზე მეოცნებე ყელმოღერებულ ჰაბუკებს ტუჩაბზუებით ელაპარაკებოდა.

ლენამ მანქანა გარეცხა და ბიძინას გასძახა:

— წავიდეთ.

ბიძინა მანქანაში ლენას გვერდით დაეშვა, მის დაბამბულ კურტაკს მხრით შეეხო და ძული შეეკუმშა.

— შეზარხოშებულს რომ მნახავთ, რატომ მიწყრებით, ლენა?

— უაზრო შეკითხვაა.

— რატომ?

— კარგად მოგეხსენებათ, ლოთები არ მიყვარს.

— ნუ უხეშობთ.

— მე ყოველთვის ასეთი ვარ.

— სამწუხაროა. ჩემს გულში რომ ჩაიხედოთ, აგრე არ მომეპყრობით.

— თქვენს გულში მხოლოდ არაყი და ღვინოა, რაც მე მძულს. გაიღუშებით, მერე ჰაერი აღარ გყოფნით, სიკვდილს ებრძვით, მეხვეწებით — მიშველეო. რატომ არ ფიქრობთ, რომ შოფერიც ადამიანია, დღისით მუშაობით დაღლილს დასვენება ესაჭიროება, მით უმეტეს, რომ გვიან ვიძინებ ხოლმე.

— ძილის წინ საერთოდ არ ვარგა წიგნის კითხვა, თქვენ კი შუალამემდე უხიზართ.

— დღისით არ მცალია. წიგნის კითხვა მე არ მღლის, ბიძინა, მღლის და მქანცავს თქვენი შლოთიანი ცხოვრება. ერთხელ ისე გამოიბრუეთ, არ მეგონა დილაღდე სულს თუ მიიტანდით, მაშინ ფეხზე მაკოცეთ. ვახსოვთ?

— ვახსოვს.

— არ გეზიზღებათ საკუთარი თავი?

— არა.

— კუზიანს სამარე გაასწორებს, აი,

აფთიაქი, ჩამობრძანდით, — ავსთო ლენა. — როდის მოვიდეთ?

— ნუ შეწუხდებით.

— გეკითხებით, როდის მოვიდეთქი.

— თქვენ არასოდეს ყოფილხართ ასეთი ყურადღებიანი.

— ხელფასის ნახევარს ხომ შემპირდით? ამისათვის უნდა გავისარჯო.

— აგრე გიყვართ ფული?

— ძალიან. გარდა ამისა, თოვლი ლხვება, ამოიღუშვებით და ოთახს დამისერით. როგორც თქვენ ბრძანეთ, მე მიჩვენებია შეეწუხდე.

— ღმერთო ჩემო, როგორი აუტანელი ხართ. — დაღრეჯილმა ბიძინამ აფთიაქისკენ გააღაჯა. ორი ბიჭი და ერთი დედაბერი რეცეპტართან იდგნენ. ეწყინა. როცა აფთიაქი ხალხით გამოიქედებოდა, ბიძინა რეცეპტარს ეხმარებოდა, ასისტენტებს თავს დასტრიალებდა, წუხდა და ამავე დროს ფარულ, იღუმალ სიზარულს განიცდიდა — ხალხისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა. ხოლო, როცა წამლების შესაკეთად თითო-ოროლა კაცი ან ქალი შემოივლიდა, ბიძინას უსიამო გრძნობა იპყრობდა, მის ცხოვრებას თითქოს აზრი, მიზანი ეკარგებოდა.

კაბინეტში თავისი ქერათმიანა, გათქვირული მოადგილე ლიდა დობრინინა დახვდა. თაფლისფერი თვალები აუფუქუნდა ლიდას, წელზე ხელი მოხვია ბიძინას, სკამზე დასვა, ფაფუკი მკლავები კისერზე შემოაჭდო. ბიძინამ, როგორც იქნა, თავი წაართვა ენაშლილ ქალს, გაწითლდა, უსაყვედურა:

— მე და შენს ქმარს თევდორეს. ერთად დაგვიღევია, პური გაგვიტეხია, ერთმანეთისათვის ძმობა შეგვიფიცავს, შენ გესმის თუ არა, რას ნიშნავს ეს?

ლიდამ გადაიკისკისა.

— რა გაციინებს? შენ ჩემი დაიყო ხარ, მე კი — შენი ძმა. სხვა ურთიერთობა ჩვენს შორის წარმოუდგენელია.

ნუ მწვალებ, ნუ შტანჯავ, შეისმინე ეს და მომეწვი.

— რომელ დობასა და ძმობაზე მეტყვიყიებნი. მე შენ მომწონხარ, როგორც მამაკაცი, შენს ბეჭებს რომ ვუყურებ, ქუქას ვკარგავ.

— გრცხვენოდეს, ვინმე გაიგონებს.

— ხომ არ ცხოვრობ ლენასთან? — თვალეში გეჭვის ნაპერწკლები აუციმციმდა.

— ამის თქმას როგორ ბედავ ლენაზე?

— ლენა მართლაც კარგი, ჭკვიანი, ნაკითხი ქალიშვილია, საწყალმა ბევრი გადაიტანა. ლენა და მისი დედა გერმანიაში რომ წაიყვანეს სამუშაოდ, ლენა ბავშვი იყო. იქიდან დაქალბული, გააყვებული და გულჩათხრობილი დაბრუნდა. თქვენს შორის რაღაც არის, ბიძინა, მიმალავ...

„ნეტავი იყოს!“ — გულში ინატრა ბიძინამ.

— ლენას არ მოეწონვარ. ის საცხებით ჯანმრთელი, სრული ადამიანია, მე კი...

— გიყვარს?

— არა, — იცრუა ბიძინამ.

— მაშ რატომ მეზრძვი?

— თევდორეს როგორდა შეეხებოდ თვალეში?

— როცა რიგიანი სადილი გვაჭქვს, თევდორემ ლამის ტვინი გამიხვრიტოს — ბიძინა მოიყვანევო.

— ამისთანა კაცს ვულალატო?

— ნუთუ მხოლოდ ეს გბორკავს? სულელო, ჩემი შეხება რომ გაგიყებს; განა ვერა ვგრძნობ!

— გთხოვ მარტო დამტოვო. ამ პოზაში რომ გენახონ, თავი მოგვეჭრება.

ლიდამ თვალეები ეშმაკურად მოჭუტა, მხრები შეარხია, სწრაფად გავიდა.

იმ დღიდან ლიდასთან მარტო დარჩენას ერიდებოდა, ამან უფრო გააბეღა ქალი, ისე არ ჩაუვლიდა, სასიყვარულო სიტყვა არ ეთქვა.

დღემ წერილების წერას მოუხშირა;

ბოლო წერილი ხომ გაუთავებელს საყვედური იყო: მამაშენი შენგან ნახვის მოლოდინში გარდაიცვალა, ლენამ ფობამ დაპრია ხელი, თვალთ საგრძნობლად დამაკლდა, ვერ უდებნი. სამი წელია ომი დამთავრდა, რატომ არ ჩამოდიხარ, ან მე რად მიკრძალავ ჩამოსვლას, ჩვენზე აგრე რამ აგყარა გულიაო.

ბიძინამ ორი წლის წინათ მიღებული მამის უქანასკნელი ბარათი ამოიღო. უბის ჯიბიდან: „საჭიდაო ხალიჩაზე ნეტავი ერთხელ კიდევ გიხილო და მერე სიკვდილმა წამილოსო“, — წერდა მამა. ბიძინას მამა — უძლეველი მოჭიდავე ბავშვობიდანვე წრთენიდა შეილს. და როცა ჯერ კიდევ ინსტიტუტის სტუდენტმა, თერაპეტი წლის ბიძინამ ბეჭებზე დასცა ირანელი ფალავანი, მამამ შეილი აიტაცა და ჩაჰკოცნა.

მამის ყოველი წერილი ბიძინას სულს ქარიშხალივით აფორიაქებდა და უხმობდა, გამგზავრებას კი ვერ ბედავდა, მამა ებრალებოდა, ებრალებოდა დედაც. ცნობა რომ მიიღო — მამა გარდაიცვალაო, გულის შეტევები დაეწყო, სასმელს დაეწაფა, თავდავიწყებას ეძებდა...

მუდართა და მუნათით აღსაცხე დედის წერილმა, ლიდას იერიშებმა ბიძინას აფიქრებინეს სამშობლოში დაბრუნება.

ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც უმძიმდა განშორება, იყო ლენა.



გახეთში გახვეული რაღაც მცირე ნივთი ლენამ ბიძინას ჩემოდანში ჩასდო. — ეს ჩემგან თქვენს დედიკოს.

ზურმუხტისფერი თვალეების თავბრუდამხვევი იდუმალი შუქი ბიძინას უორაეცებდა განშორების სევდასა და ტკივილს.

ლენამ თავისი ოთახის კარი შეაღო, მცირე ხანი დაჰყო იქ. მაყვლისთვრი ხავერდის კაბით მორთული, ფრზიხილი, ტანჯავარიანი, მალაკანქიანი,

გედევით შემოკურდა ბიძინას ოთახში;
— თქვენი თანამშრომლები ხომ გა-
გაცილებენ?

— შენს გარდა არავინ იცის, რომ
დღეს მივემგზავრები. არ არის საჭირო
იკოდნენ. მაპატიე, მაგრამ დღეს შენო-
ბით უნდა მოგმართო. დამრთავ ნებას?

ლენამ თავი დაუქნია.

— გაუწყვეთ გზას, ნუ ვაგვიანებთ,
ბიძინა.

მანქანაში თავჩაქინდრული, ბოლმი-
საგან გაოგნებული ბიძინა ხანაიხან
თავს ასწევდა, წინ კუშტად მზრალ
ლენას ახედავდა.

ათკილომეტრიანი გზა უსიტყვოდ
გალიეს.

სადგურში ბილეთი შეიძინა, ჯანპარ-
ტოებით მდგარ ლენასკენ არეული ნა-
ბიჯით გაემართა. გულს ბავაბუგი გაუ-
დიოდა, სუნთქვა ისე უქირდა, ეგონა
საცაა სული ამომხდებო.

— შებრძანდი ვაგონში, მატარებე-
ლი რამდენსამე წუთში გავა, შეაგება
ბიძინას ლენამ. მე რე წარბები შეათა-
მაშა, თვალბში ჩახედა, შეიშმუშნა და
ნაძალადევი სიცილით ჰკითხა:

— ტირილს ხომ არ აპირებთ? რა
დაგემართათ? რა ვთქვი განა ისეთი? —
მკლავი მკლავში გაუყარა, ვაგონის კი-
ბესთან მიიყვანა, მხარზე თავი მიადო
და ჩუმად, გულიდან წამოსული, მის-
თვის უჩვეულო ნახი ხმით უთხრა:

— მე შამა ჩერქეზი მყავდა, დედა კი
რუსი. შამაჩემი ამაყი, ფიცხი, სიტყვა-
ძვირი და ამავე დროს გულჩვილი იყო,
დედა მარტოდენ სიკეთისა და სათნო-
ების გამსახიერება. მე ფინთი, უგულო
ვარ, ხომ ბიძინა? არა, მე ყველაფერს
ვხედავ და ვგრძნობ. ცუდად ნუ მომი-
გონებთ.

ბიძინა დაკოყრილ ხელბზე ეამბორა.
ამ დროს ორთქლმავალმა დაიკივლა,
ბიძინა ვაგონის კიბის საფეხურზე დად-
გა, მატარებელი დაიძრა.

— წერილი რომ მოგწერო, ლენა, მი-
პასუხებ?

— არ ვიცი, — ლენამ ფეხს აუჩქარა.
— გევედრები...

მატარებელმა სელამ უმბატა, ლენა
ჩამორჩა, უცებ შედგა, ბიძინას მიაძა-
ხა — ჩემს წერილს ჩასვლისთანავე მიი-
ღებთო, სახე ცხვირსახოცში დამალა,
ბიძინას ზურგი უჩვენა. სისხლი თავში
აუფარდა ბიძინას, ჩემოდანი თავისკენ
მიითრია, გადმოხტომა განიზრახა, მაგ-
რამ მატარებელი უკვე ისეთი სისწრა-
ფით მიაპობდა ჰერს, ბიძინა უთუოდ
დაიმტვრეოდა, ზედმეტ საზრუნავსა და
სადარდელს გაუჩენდა ლენას.

„პირველსავე სადგურში გადმოვალ
და უკანვე გამოვეყები რომელსამე მა-
ტარებელს“, — აღვლევბულმა გაიფი-
ქრა. სადგურამდე გუნება შეეცვალა,
მოიწყინა: „არ მოეწონეარ, სადგურში
საუბარიც კი არ ისურვა ჩემთან — შე-
დი ვაგონშიო, მომახალა. უკანასკნელ
წუთებში რამ გაასათუთა, გაანახა?
ალბათ, სიბრალულის გრძნობამ“.

„რას ვომწერს?“ ამაზე ფიქრი ხან
თითქოს ცოტათი ამხნეებდა, ხანაც
ზარავდა.

* * *

შელამებისას მშობლიურ დათოვლილ
ბაქანზე გადმოვიდა, შარელის ტოტები
აიკეცა, მეზობლის ბიჭს ჩემოდანი აპ-
კიდა, ხელჯოხი მოიმარჯვა და შინისა-
კენ გზას გაუდგა. ნაცნობ ეზოებს, აგუ-
რის ახალ სახლებს ცნობიმოყვარეობით
ათეალიერებდა.

მწვანედ შეღებილ, მამის ნახელავ
ჰიშვარს მკერდით მიაწვა და შეკრთა,
საიდანაც მამის ბოხი ხმა შემოესმა.
იქი სოროთი შემოსილ ვაშლის ხიდან
შაშვი ჰახუპხით აფრინდა.

მორია არ შემოეგება, ალბათ დაბერ-
და, მოკვდა.

მეზობლის ძალმა შეუყვება. აივანზე
მოკაცული, უდროოდ გატეხილი, ღამა-
ბუნებული, თეთრთმიანი დედა გამოჩ-
ნდა, შვილი მყისვე იცნო, ერთი შეპ-
კივლა და ჩაეკონა.

ივანეშვიცი. ბუხართან ჯორჯოებზე ჩამოსხდნენ. ბიძინამ ჩემოდანი გახსნა, საკაბეები და ფეხსაცმელები დედას გაუწოდა.

— ესეც შენია, სახლის პატრონმა დამაბარა — დედიკოს გადაეცითო, — პატარა ნაკრავი დედას კალთაში ჩაუგდო.

დედამ მსხვილი ძაფი მაკრატლით გაჭრა. გაზეთი რომ გაშალა, თვალები გაუფართოვდა, მერე შეიღს მიაჩერდა გაცივრებით.

— აქ ფულია ბლომად, შეილო, დარაღაც ბარათი.

— ბარათი? — წამოიყვირა, სიხარული ვერ დაჰფარა.

«ფულს ბევრს გართმევდით და ისეც თქვენთვის ვინახავდი, ჩემო კარგო, დაუფიქრებო ბიძინა. შინ თუ გარეთ მე ყოველთვის მესმოდა ჩემზე მეოცნებე თქვენი კეთილი გულის სევდიანი ფეთქვა. თქვენს თვალებში მე ვხედავდი მხოლოდ ჩემს სახეს, მაგრამ რა ეჭნა, როცა სხვა მიყვარს! ქალაქ შტეტინში გავიკანი იგი, ჩემებრ ტყვე და უფლებაყრდილი. მე არ ვიცი, სად არის იგი ახლა. ომი კარგა ხანია დამთავრდა, როგორ დავეიჯერო, რომ მისი ძელები საღვთო ჩაყრილია მიწაში... მე იგი მახსოვს ცოცხალი... რა საშინელია სიკვდილი! მამა ომში დამეღუბა, დედიკო ჩემ თვალწინ გარდაიცვალა შტეტინში.

ნუთუ არსებობს ისეთი ბედნიერება, რომელსაც შეუძლია დამავიწყოს მშობლები? მე მინდა მუდამ ახლოს მყავდეს დედა, ახლოს მეგულებოდეს მამა, ჩემს გრძობასა და ფიქრს ვუზიარებდე, რჩევა-დარიგებას ვისმენდე, ვეფერებოდე და მეფერებოდნენ. სისულელეა იმის თქმა — მოხუცებული უნდა მოკვდესო, ეს ბუნების კანონიაო. გულს, სიყვარულს თავისი კანონი აქვს, ამიტომაც

აღმამიანი ვერ ურიგდება სიკვდილს. გონა შეიღისათვის როდისმე დაბერდება მამა, დედა?

მე მახარებს ჩემი ხალხის კეთილდღეობა, მისი დიდი მიღწევები. სხვა სიხარულიც მწყურია, ჩემო ბიძინა, სიხარული, რომელიც გულიდან ამომგლიჯა მშობლების, საყვარელი მამაკაცის სიკვდილმა. რამდენიმე ღამეა თქვენზე ვფიქრობ, გული მეთუთქება. ნუთუ ისეც მართობა? მე კი ისე შევეჩვიე თქვენთვის ზრუნვას.. თუ თქვენ ვერ გასძელით უჩემოდ, დრომ ჩემი სახე თუ ვერ წაღეკა თქვენს გულში, მაინც...

ლენა».

ბიძინა ამომშრალი, გაბევებული თვალებით დაჰყურებდა ლენას წერილს. იმ უეცარმა ცვლილებამ, რაც გამოშვიდობების ფაზს მოხდა ქალში. აიჟი კი არა, იმედის მსგავსი, ნემსის წვერის ოდენა ცისარტყელა გამოაჩინა ბიძინას სულის გაავდრებულ ცაზე. ლენას გული თურმე სხვას ეკუთვნოდა და ეკუთვნის, დიდი ხანია სხვას ეტრფის და უხმობს. ბიძინა კი დარწმუნებული იყო — ლენას არავინ უყვარდა.

კარდიდან არყით სავსე ბოთლი გადმოიღო, ხარბად გამოსცალა. ჯორჯო ახლოს მიაჩოჩა ბუხართან, ცეცხლს მიაშტერდა. სახე თანდათან დაუმშვიდდა, ზედ სიყვარულისა და ბუხრის ნათელი დაადგა, ქუთუთოები დაუმძიმდა. იგი საღვთოში იყო, ლენას თავი მხარზე ედო, უსმენდა...

— მამაშენი სულ იმას ნატრობდა — ჩემი ბიჭი ნეტავ ერთხელ კიდევ ვინილა საკვიდო ხალიჩაზეო. საფეხქლებთან ამა შეგთერთებია, ქიდაობა, მაინც შესძლებ, შეილო, მამაშენის სული ვაუხარე. ორმოცდაათი წლისა იყო, ი: ჰქოია კავშირის საუკეთესო ფალავანს სირცხვილი აჰამა.

ბიძინას ცნობიერებამდე ბუნდოვნად აღწევდა დედის სიტყვა.

დედამ ტაშტით თბილი წყალა შემოიტანა.

— ნამგზავრი ხარ, შეილო, გეტყობა ფეხები გტკივა, წყალში ჩაჰყარე, ტკივილი გაგივლის და უკეთ დაგეძინება.

— არ მინდა.

— ძილის წინ შენ ხომ გაცუვარდა ფეხის დაბანა?

— არ მინდა...—არაადამიანური ხმით დაიღრიალა.

დედამ შესაბრალისად დაახამხამა წამწამები, მოიბუხა. ბიძინამ დედის თეთრი თავი მკერდზე მიიკრა, დაუყვავა:

— ძალას ნუ მატან, დედიკო, რასაც გთხოვ — შემისრულე. დაეთვერი, მაპატიე...

— ლოგინი სად გაგიშალო? — შევილის სიყვარულისა და დარდისაგან და-

დარულ დედის სახეს ცრემლი დაეღებდა.


— მამაჩემის ოთახში. *ერეკლესული*
ბიძინა

— იქ ცივა, ავად გახდები.

— არა, დედიკო, ავად არ გავხდები.

ბიძინამ შუქი გამორთო, ტანთ გაიხადა, დაწვა. ძილში შფოთავდა, საჭიდაო ხალიჩაზე ტანებს ერკინებოდა...

დედას არ ეძინა, ხმელ ჭინხსა და ნაფოტს ყრიდა ბუხარში, ცეცხლს აგურგურებდა, რომ შეიღს არ შესცივნიოდა. სულგანაბული მიუახლოვდა — ფეხებთან საბანს შეეუყეცაევო. საბნის ქვეშ ფრთხილად შეჰყო ხელი, მოაფათურა, კოჭებთან მოკვეთილ ფეხებს თითები შეაელო, თვალთ დაუბნელდა, დაბარბაცდა, ამოიკენესა: შენ მოგიყვდეს, დედა, შეილო.



გაგაუხუდი რაიწყო არე...*

XXI

წვიმდა. გულისგამწყვალვლად ხმაურობდნენ სახურავებიდან ჩამოშვებული წყალსადინარი მილები. წვიმა მოდიოდა ერთნაირად, არც მატულობდა, არც იკლებდა. ამ განუწყვეტელი წვიმისაგან ციოდა კიდევ არ იხსნებოდა ცა, არ იწეოდა მალა, ზედ სახურავებზე აწვა თბილისს.

ამ დილას კოტე უგუნებოდ გავიდა სახლიდან. ნელი ნაბიჯით მიდიოდა. არაფრად აგდებდა იმას, რომ წვიმა ასველებდა. არც იმას ცდილა, ავტობუსში ჩამჯდარიყო და თავი შეეფარებინა. რას არ ფიქრობდა? ქარხანაზე, თინაზე, სოსოზე... არც კი უნდოდა ქარხანაში მისვლა და განგებ ნელა ირჯებოდა, მელიტონის დანახვა არ უნდოდა... ორი რამ ეჯავრებოდა კოტეს: ფლიდი კაცი და გველი. მელიტონი კი ერთიც იყო და მეორეც.

„მე მისი ძმასავით საყვარელი მეგობარი ვარ!.. ასე არა თქვა?... სწორედ ასე თქვა. — გაახსენდა ძველი ამბავი. — აი, ვისთან დამამეგობრა ლეინომ?! უუჰ! — აღმოხდა და ტანში შეაერტოლა.“

ახლა სოსო წარმოუდგა თვალწინ. — როდის მიყიდი ველოსიპედს?... — ეკითხებოდა. — „გიყიდი, შვილო, გიყიდი“. — ჰპირდებოდა. — ხელფასს ავიჭებ და გიყიდი, — ატყუებდა. აბა, როგორ უნდა ეყიდა. ხელფასს საცხოვრებლად იღებდა და არა ველოსიპედისთვის. ახლა თინას გაესაუბრა: „შინ ხომ არ წამოხვალ?“ „როგორ არა, ნება

გაქვს მოხვიდე სახლში“. „დღეს არა, მამა, სხვა დროს. ხვალ ან ზეგ მოვალ!“..

კოტე გაჩერდა და აქეთ-იქით გაიხედა, წვიმა ასველებდა, მაგრამ ეს არაფრად მიაჩნდა. ხალხი საწვიმრებში იყო გამოწყობილი, ანდა ქოლგა ეჭირათ ხელში. კოტემ ირგვლივ მიმოიხედა, რომ გაეგო სად იმყოფებოდა, ან სად იყო გაჩერება. მისკენ მომავალი ტრამვაი დინახა, დაელოდა. ერთი ვნახოთ სად გაჩერდება. წინ ჩაუარა და კარგა მოშორებით გაჩერდა. ვატმანმა შეამჩნია, რომ ვიღაც კაცს, ალბათ გამოყუყუებულ ბებერს, ტრამვაიში ჩაჯდომა უნდოდა და დაუცადა.

— გამდლობთ, გენაცვალე, გამდლობთ! — ამბობდა კოტე უკანა ბაქნიდან ასვლისას.

— ბილეთი აიღეთ! — მიმართა კონდუქტორმა.

კოტემ მანეთიანი მიაწოდა.

კონდუქტორმა ბილეთი და ხურდა მისცა. წვრილი ფული დაუთვლელად ჩაიყარა ჯიბეში. წვრილი ფული რა დასათვლელია, ენდობა, ცხადია, ხურდას სწორად მისცემდა.

დიდხანს მიგრიალებდა ტრამვაის ვაგონები. წვიმა არ შეწყვეტილა. მარჯანიშვილის კუთხესთან გადმოვიდა და ისე ნელა გაემართა, თითქოს კარგი დარი ყოფილიყოს და ტყებმოდეს ახლად დაბადებული გაზაფხულის მზით.

როგორც იქნა, მივიდა ქარხანაში. მთლად გაწუწული, დასველებული. „იქნებ გაეცივდე?... კარგი იქნება, მაგრამ ვიცი, რომ არ გაეცივდები!“ თავის ოთახში შევიდა. სავარძელი კასრისა აქვს, საწერი მაგიდაც კასრისა. გრძელ მაგი-

* გაგრძელება იხ. „მნათობა“ № 9, 10, 11.

დას გარშემო კასრისავე სკამები აქვს შემომდგარი.

პალტო გაიხადა და ჩამოჰკიდა. ქუდი მოიხადა და ფანჯრის რაფაზე დადო.

ტელეფონის ხარი დაირეკა. გამოეპასუხა.

— კოტე, შემოდი ჩემთან! — ჩაესმა გველის ხმა. სწორედ ასე ჩაესმა კოტეს. ალბათ, ელოდა მის მოსვლას, რომ დაჯდომაც არ აცალა, მაშინვე დაუძახა.

მელიტონი ფეხზე შეეგება:

— როგორ ხარ, პა?..

— კარგად, კარგად.

მელიტონმა აქეთ-იქით გაიხედა და უბეში ხელი ჩაიყო.

— აი, ეს შენი წილია! — უთხრა და ათთუშნიანების შეკვრა წინ დაუდო.

— ეს რა არის? — იკითხა კოტემ გარკვევით.

— აიღე, შენია.

— რაში?..

— შენი წილია. რალს უყურებ, აიღე. არავინ შემოვიდეს!

მართლაც სწორედ ამ დროს ვილაცამ კარებში თავი შემოჰყო და იკითხა:

— შეიძლება?

— მოითმინეთ! — მაშინვე მიაძახა მელიტონმა.

კოტემ კარისკენ გაიხედა და სწრაფად აიღო შეკვრა. უბეში ჩაიღო.

— დღეს ზუთიათასი დეკალიტრი ღვინო უნდა წაიღონ, მზად ხართ გასაცემად? — საქმიანი კილოთი წარმოთქვა მელიტონმა.

კოტემ არაფერი უპასუხა. იცოდა, რომ ეს სიტყვები ტყუილად იყო ნათქვამი.

— მაშ თუ მზად ხართ, წადით, შეუდგეთ მუშაობას, — უთხრა და დაჯდა. კოტე არ გადიოდა კაბინეტიდან. უმძიმდა წასვლა. რალაც აკავებდა. პირზე მომდგარი სიტყვა ვერ წარმოეთქვა.

როგორც იქნა, ფეხი ათირია და კაბინეტიდან გავიდა. პირდაპირ სასხმელ საამქროს მიაშურა. ავსებდნენ კასრებს და ლუქავდნენ. მკერდის მარცხენა მხარეს, იქ სადაც აღამიანს გული აქვს, კოტე ტკივილს განიცდიდა. ოღონდ ვერ მი-

მხედარიყო, ფიზიკურად სტიკოდო თუ სწუხდა და ტკივილად ერეგებებოდა. დროდადრო ჩაიდებდა ხოლმე უბეში ხელს და მოისინჯავდა მკერდს. ფულის შეკვრა ხედებოდა ხელში. „ამოვიღებ და აგერ აქვე, წყალსადინარ არხში გადაყრი“. — გაუელვებდა ხოლმე ფიქრში, მაგრამ თვითონვე ემუქრებოდა თავის თავს. „აბა, ერთი გადაყარე!.. ვერაფერსაც ვერ გადაყრი!.. ეს შენი წილია!.. ქურდობაში, მამაძალობაში, კომბინაციაში მონაწილეობისათვის... თუკი იმათ მიიღეს, შენ რალა ხარ?.. შენც გეკუთვნის!“

კოტეს არ ეგონა, თუ ეს დღე გავილიდა, მაგრამ ამ დღემაც განვლო და ძალიან სწრაფადაც განვლო. სამუშაო ბევრი იყო, მუშაობაში კი მუდამ შეუძინევლად გადის დრო.

კოტე დაღლილი და გოგნებული წავიდა ქარხნიდან. რამდენი ფული აქვს ჯიბეში. თვითონაც უკვირდა... უნივერსიტეტში ჩაუარა გვერდში. სოსო გაახსენდა და უკან გაბრუნდა. გაახსენდა რომ ქვედა სართულზე ველოსიპედებს ჰყიდიან.

„უკვე თოთხმეტი წლის ბიჭია. რა თქმა უნდა, ცუდი არ იქნება, ველოსიპედი რომ ჰქონდეს.“

— აბა, ერთი კარგი ველოსიპედი ამომირჩიეთ!

— მოზრძანდით, იქნებ თქვენ თვითონ ამოირჩიოთ?

— მე თვითონ? კარგი, მე თვითონ ამოვარჩევ!

არჩევდა. არჩევა არც იყო საჭირო. ყველა ერთნაირად კარგია. არავითარი ზიანი არა აქვს. ბორბლები ტრიალებენ, საკე მუშაობს. მაგრამ კოტე მაინც არჩევდა და ვერ გადაეწყვიტა, რომელი აეღო.

ბოლოს მაინც აარჩია და ნოქარს მიუბრუნდა.

— თქვენ თვითონ წაიღებთ? — ჰკითხა ნოქარმა.

— არა, დღეს ვერ წავიღებ. ფული არ მქონია თან, — უთხრა ნოქარს და გაბრუნდა; — უკაცრავად, — დააყოლა დამნაშავეს კილოთი.

აღარ იყიდა. გადაიფიქრა.

— ამ ფულს ჩემს ცოლშვილს ვერ მოვახმარ. არამი იქნება ერთიც ვნახოთ, ჩემი სოსო მაგ ველოსიპედიდან გადმოვარდეს და თავი გაიტეხოს! ხო შეიძლება უარესიც დაემართოს?! — ჩურჩულებდა თავისთვის.

გამოვიდა უნივერსალიდან.

ისევ წვიმდა. ისევ სველდებოდა, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა.

ფეხსაცმელების მალაზიის წინ განერდა და უაზროდ ათვალერებდა ვიტრინაზე გამოფენილ ფეხსაცმელებს.. „აგერ ის მალაქუსლიანი შავი ტუფლები შეეფერება თამარს“. — გაიფიქრა და დააქცერდა. — მოეწონება კიდევ, უბრალოა, სადა და ამავე დროს მოხდენილი.. ვუყვიდი და გაეახარებ!.. თუმცა რად უნდა, თამარს ხომ აქვს ტუფლები... მერე რა? ორი ექნება რად უნდა ორი? არ უნდა ორი!.. როდის ჩივის, ორი მინდაო?!. ეყოფა ერთი! — ესაუბრებოდა თავის თავს.

კარგი იყო ვიტრინის წინ დგომა. წვიმა არ ასველებდა მას. ამ დროს პატარა ბიჭი ამოუდგა მას გვერდში... ისიც კოტესავით ათვალერებდა ვიტრინას. ის შესცქეროდა თავის მოსარგებს.

კოტემ ზევიდან დახედა მას, მაგრამ სახე ვერ დაუნახა. ვიტრინის სქელ მინაში მკრთალად მოჩანდა ბიჭის გამხდარი, თხელი, ჩრდილივით მიმქრალი სახე. მერე ფეხებზე დახედა. შემოცვეთილი ფეხსაცმელები დაინახა.

— რომელი მოგწონს? — ისე სერიოზულად შეეკითხა კოტე, თითქოს დიდ ადამიანს ელაპარაკებო.

— აი, ის, ყვითლები, კარგია. — მიუგო ბიჭმა და თითით უჩვენა.

კოტეს გაეღიმა ბავშვის სერიოზულობაზე.

— რატომ არ გიყიღის მამაშენი?..

— არა მყავს და როგორ მიყიღის?..

— დედა?..

— დედა მიყიღის. დამპირდა კიდევ აიღებს ფულს და მიყიღის! — ისე მიუგო, თითქოს გამოაჯაგრაო.

კოტე უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ ერთხელ კიდევ დახედა ბიჭს. ბიჭი

კი ჭევეშიდან უცქეროდა კოტეს, ბავშვს უნდოდა, ენახა, ვინ იყო ეს ხანშიშესული კაცი, ასე რომ ელაპარაკებოდა. მათი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს... ერთმანეთს გაუღიმეს...

კოტემ უბეში ხელი ჩაიღო და ათთუმინიანი ამოიღო.

— შედი, ბიჭუნა, იყიდე! — უთხრა კოტემ და ფული ხელში ძალით ჩაუღო.

— არა, ეს როგორ შეიძლება. ამდენი ფული. არა... არა!..

— შედი, შედი...

— მერე ეს...

კოტემ მალაზიის კართანაც კი მიიყვანა ბავშვი და ნელა უბიძგა კარისაკენ. თვითონ კი წავიდა...

„რად უნდა ორი? ერთი ეყოფა! როდის ჩივის ორი მინდაო?! — ამბობდა გულში და ნელა მიაბიჯებდა წვიმაში. გაბრუებული მივიდა შინ.

— ეს როგორ გივლია, ვერაფერს შეაფარე თავი?... მთლად დამბალხარ! — სამღურავით უთხრა თამარმა.

— გაშრება.

თამარმა პალტო აივანზე გაიტანა და გასაშრობად თოკზე გაკიდა. კოტე საწერ მაგიდასთან მივიდა, უჯრა გამოაღო და, როგორც უბრალო ქალაღები, ისე ჩაჰყარა შიგ ათთუმინიანები. ზიზლით დახედა. „ეყაროს“, — გაიფიქრა და უჯრა დაკმა.

თამარი შემოვიდა და კოტეს სახეში მიაჩერდა.

— რა დაგემართა. ხომ არავეინ გაწყენინა?

— არა, არავეინ.

— უცნაურად გამოიყურები. არ ისაღილებ?

— ვისაღილებ. — მიუგო და გაჩუმდა. — ძალიან დავსველდი და, მგონი, გავცივდი. — დაუმატა ბოლოს.

თამარი შეწუხებული მიაცქერდა.

— ერთნატილი მივლის. არაყი მომიტანე. გვააქვს?..

— როგორ არ გვაქვს. ვინ არის მისი დამლევი? ახალ წლის აქეთია, ხელუხლებლად დევს.

— ხოო, მომიტანე..

კოტე სუფრას მიუჯდა და არაყს დაელოდა.

თამარმა საკმელთან ერთად არაყით სავსე ბოთლი გამოუტანა და წინ დაუდგა. კოტე თამარს არ უცქეროდა. თითქოს რამე დანაშაული ჰქონოდა, თვალეში ვერ უყურებდა. თავი დაბლა ეკირა. არაყის ბოთლი გახსნა და ჩაის ჭიქაში გადმოაპირქვევა.

— რას შერები? აგერ არაყის ჭიქა.

— ჩაის ჭიქით დავლევ, შეციებული ვარ. მომარჩენს!..

— არა, არ დაგანებებ!

— ნუ დამიშლი, შენ გენაცვალე. ამ ერთხელ!..

თამარმა ბოთლს ხელი შეუშვა.

კოტემ არაყი გადაჰკრა და სიმწრისაგან რამდენჯერმე ჩაახველა. მერე პურის ნაჭერს მოკიდა ხელი.

— ძველია! — შენიშნა კოტემ.

— დილას ისე წახვედი, ფული არ დაგიტოვებია! დაგაიწყდა?..

— ჰო, დამაიწყდა.

კოტემ ჯიბეები მოისინჯა, წერილი ფულის გარდა ხუთმანეთიანი მოჰყვა ხელს და შეეტყო გაეხარდა.

— აჰა, სოსო გაგზავნე. შინ არ არის? მაშ ვინ წავა? იყოს ძველი! — უთხრა თამარს და წამოდგა. საკმელს აღარ მიეკარა. მიძიმე ნაბიჯით გავიდა მეორე ოთახში და საწერ მაგიდას მიუჯდა. საწერ-კალამი აიღო. კარგა ხანს იჯდა, წერდა და შლიდა. უკანასკნელად დაწერილი სტრიქონები რამდენჯერმე გადაიკითხა, მოეწონა და უცვლელად დატოვა. წერილი უკრავში ჩადო, იქ სადაც ათუთმნიანები ეყარა.

XXII

კარგა ხანია თინა დაწვა, ძილს მისცა თავი, მაგრამ მაინც არ ეძინებოდა. გულის გამწვრილებელი ფიქრები არ ასვენებდნენ. შფოთავდა...

ოთახში სინათლე არ ანთია, მაგრამ ქუჩიდან მაინც შემოდის მაღალ ბოძებზე დაკიდებული ელნათურების შუქი. კედლებზე აღბეჭდილია ფანჯრებზე დაშვებული ფარდების ჩრდილი. ქუჩაში გავლილი მანქანა ხანდახან შე-

მონათებს ხოლმე ოთახში და ფარდების გამოხატულება ერთი კედლიდან მეორე კედელზე გადაჰქვს. ხდება წამებში, რადგან ჩაივლს თუ არა მანქანა, ატორტმანებული ჩრდილები ისევ მოპირდაპირე კედელზე ჩნდება. თინას მშერას უნებლიეთ იტაცებს ამოძრავებული ფარდა, აყოლებს თვალს, მაგრამ ქრება წამიერი სანახაობა და თინაც მშვიდდება.

„აი, ახლა კი დავიძინებ!“ — ამბობს გულში და თვალებს ხუჭავს, გვერდს იცვლის, ცდილობს გაითანტოს გონებიდან აბეზარი ფიქრი, მაგრამ ვეებერთელა კითხვის ნიშანივით წამოიჭრება ხოლმე: ნუთუ ყველაფერი გათავდა?..

ერთი ამოხვრა რომ შეეძლოს, ჩაეძინებოდა. ვერ ოხრავს, თორემ ჯაერსა და ბოლმას ამოაყოლებდა. ვერ ოხრავს, რადგან ვინმე გაიგონებს, ვინმეს გააღვიძებს და შეეკითხებიან, რა დაგემართათ.

„ეს ნამდვილად ასეა... ამას მტკიცება არა სჭირდება... ვანა ამას თავიდანვე არ ვამჩნევდი? სამი თვის გათხოვილი ვიყავი და ვიღაც ქალთან თუ ქალიშვილთან ატარებდა დროს. ექსკურსიაზე წავიდა შევნაბადაზე. სამი ქალი და სამი ვაჟი შევნაბადაზე... იქნებ ეს არც იყო ასე? მე ხომ არ მინახავს? მხოლოდ მიუთხრეს, მეტი ხომ არაფერი? ხომ შეეძლოთ არ ეთქვათ? მაშინ აღარც ის ექსკურსია იქნებოდა მართალი, აღარც ის სამი ქალი და სამი ვაჟი და აღარც შევნაბადა!“ — ფიქრობდა თინა და ძლივს იმაგრებდა ყელში მოწოლილ ქვეთინს.

„ახლა კი დავიძინებ!“ — თქვა და ისევ დახუჭა თვალები.

„ნეტავი რომელი საათია?“ — ჰკითხან თავის თავს.

„სამი იქნება... შეიძლება ოთხი იყოს... რა ვიცი, როგორ მივხვდე?“

კარგა ხანია ყველას სძინავს, ქუჩიდანაც დიდი ხანია აღარ ისმის აღამიანის ღებხის ხმა. არც მანქანებისა, არც ავტობუსებისა.

„უნდა დავიძინო... არც ასე შეიძლება. ხვალ უძილო ვიქნები და ბავშვს ვეღარ მოუვლი!“

„მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, წავალ დედასთან და ყველაფერს ვეტყვი... მამასაც ვეტყვი, არც იმას დაევშალავ... აი, ასე და ასე იტყევა გივი. მთელი სიცოცხლე გამიმწარა-მეთქი. არა, მთელი სიცოცხლე კი არა, სამი წელიწადი!.. მაგრამ რა შეუძლიათ იმათ. როგორ დამეხმარებიან?.. აქი მითხრა მამამ, ნება გაქვს შინ მოხვიდეო. მეც წავალ შინ!..“

გულზე მოწოლილი გრძნობა გამოთქმას ითხოვდა და თინა ფიქრებში გამოხატავდა მწარე სინანულს...

„ან და რა პირით უნდა შევჩვილო დედას. განა არ მახსოვს, ვათხოვების წინ რა სამდურავით მითხრა: — რაღა გირჩიო, შვილო, ახლა რაღა ძალა მაქვს მე... შენი ბედი შენ თვითონ გადაგაწყვეტია, უჩვენოთ, მარტოდ მარტოს. არ ვარგა ასე, შვილო, არ ვარგა!.. რა ჯავრიანად მიცქეროდა დედა, თავის დროზე რომ არა ვკითხე. მე კი ვატყებულ ვიყავი და გივის გარეგნობის მეტს არაფერს ვხედავდი. შეამაყებოდა ასეთი ქმრის გვერდით გავლა. მივდიოდით ერთად და, თითქოს ყველას ვეუბნებოდით: აი, რა ქმარი მყავს!.. სულსა და გულში კი ვერ ჩაეხედე მას...“

აი, თურმე რა ქმარი მყავს?!

ახლა კი დავიძინებ... უსათუოდ უნდა დავიძინო... აი, ასე, პირაღმა დავწევები და ჩამეძინება... ოჰ, როგორ მწყინს!.. როგორ მტკივა გული... აი, დავიძინებ და ტკივილი დამიამდება!..“

შორიდან ტრამვაის გრილის ხმა გაისმა. ალბათ ხიდზე გადაიარა. ხმაურით ივსება ქუჩა და ზანზარებს ფანჯრები.

— უკანასკნელია?.. ალბათ უკანასკნელია!..

წამოიწია და ფანჯრისაკენ გაიხედა. გაცრეცილი სინათლე ეცა თვალებში. გაცრეცილი, ახლადდაბადებული სინათლე... აღარც ფარდის ჩრდილი იხატება კედელზე. უკანასკნელი კი არა, დილის პირველი ვაგონი ყოფილა... გათენებულა!..

ახლა კი საბანში ჩამალა თავი და დიდხანს იყუჩა...

ათიოდე წუთით ჩასთვლიმა, მაგრამ

ათი წელიწადი რომ დასჭირდებოდა იმ სიგრძე სიზმარი ნახა... გულს უკაწრავდნენ ერთ დროს ზოლოტივანის პარკში ნანახი არწივები და ფარშევანგები... პატარა ჩიტი კი კუთხეში ჩაცუცქულიყო და თვლემდა...

ძლივს გაათენა.

ეს დღეც ჩვეულებრივად დაიწყო. ისე როგორც გუშინ. გივი წაივდა საქმეებზე, რომლებიც ასე გამოუღვევლად ჰქონდა. თვითონ კი ბავშვის მოვლა, სახელდახელო სარეცხი. უხაროდა კიდევ, რომ გასარეცხი ჰქონდა. გულს აყოლებდა. თანაც მიზეზი ჰქონდა თავი აღუნული ყოფილიყო, არ შეეხედა დედამთილისთვის, რომელიც ალერსიანი, მაგრამ ყალბი მოფერებით თავს აბეზრებდა:

„დედიკო, შვილიკო, საყვარელო“... — სულ ეს ეკერა ტუჩებზე, ნამდვილად კი თინას დარდი არც ესმოდა, არც აწუხებდა, მხოლოდ გივი და გივი! შვილის ავ-კარგს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა. „ყველა მას ენაცვალოსო“. — ხშირად ამბობდა.

— ქმარს მოუარე. არ გააჯავრო, გაუგონე, მოეფერე და ისიც კარგად მოგეცქევა! — ეტყოდა ხოლმე და მიდიოდა სამუშაოზე. მას თავისი ცხოვრება ჰქონდა, თავისი ქვეყანა, თავისი ინტერესები და ადამიანთა წრე. ის არც კი ერეოდა ქმრის საქმეში, თავისი საქმის თვითონ იცისო. არ აწუხებდა ქმრის დარდი თუ ვარამი. თავის მხრივ სტეფანეც ასე იყო განწყობილი ცოლის მიმართ. ოღონდ თავზარდამცემი არაფერი მომხდარიყო ოჯახში. თავზარდამცემი, უცებ რომ შემოიჭრება. მოულოდნელად რომ შეარყევს და შეცვლის ცხოვრების კალაპოტს. თანდათანობით, ნელინელ შემოპარულ, შეუმჩნეველ უბედურებას კი ვერც ქმარი ამჩნევდა, ვერც ცოლი. და ბოლოს სტეფანემ შეამჩნია ეს უბედურება. მარო კი მაინც თვალებს ხუჭავდა, მაინც არ ამჩნევდა. ეს უბედურება მათი შვილი იყო, რომელიც გაიზარდა ასეთათვის თავნება, უქნარა და უხასიათო.

ამ დილას მარომ რამდენიმეჯერ სცადა თინასთან გამოლაპარაკება. გულჩახვეულობის მიზეზის გაგება უნდოდა. მაგრამ „პო“ და „არა“, ხანდახან „დიხსაც“ მიუგებდა ხოლმე. გულის ტკივილის ნამდვილ მიზეზს არ ეუბნებოდა, იცოდა, ვერ გაუგებდა.

მაროც თავისებურად სჯიდა: პირველი არ არის გივისაგან ასეთი საქციელიო. გულში კმაყოფილებასაც გრძნობდა, ფიქრობდა, გაინავარდოს, გაიხაროს ჩემმა შვილმაო.

„პირველი არ არის, მაგრამ მე ველარ ვიტან ამას,—ფიქრობდა თინა,—სჯობს ყველაფერი გათავდეს, ვიდრე ცხოვრება ასე გაგრძელდეს“, — გადაწყვიტა მტკიცედ.

იმ საღამოსაც მთვრალი მოვიდა გივი.

— ისევ მთვრალი ხარ!? — უკმაყოფილოდ ჰკითხა თინამ და გაბოროტებული მიაჩერდა სახეში.

— შენი საქმე არ არის, დავლევ თუ არა, გესმის?! — მკვახედ მიამახა და შეუბღვირა.

— ვისთან დალიე?.. იმ შენ ვიგინდარა ამხანაგებთან, არა?! — აენტო თინა. სახეზე აღმური მოედო. ის აღარ ჰგავდა თავის თავს, შეჰყვია, — ან ჩვენ, ან ისინი, შენი თავლაფდასხმული ამხანაგები და ვილაც ზნედაცემული ქალები, რომლებთანაც დღემუდამ დაეთრევი.

— ვინ არის ვიგინდარა? ვინ არის ზნედაცემული, ვინ, ვინ? — მუშტებმოღერებული მიაჩერდა გივი და მაგიდას თვალი მოავლო, რომ რამე აეღო და ესროლა. საფერფლის მეტი ვერაფერი ნახა: სწვდა და ბრაზით გააქანა თინასკენ. საფერფლე თინას არ მოხვედრია, მაგრამ გვერდში ჩაუარა და იატაკზე დაეცა.

თინა განცვიფრებული მიაჩერდა გივის, იმ წუთს გივის თვალებში მხეცა დაინახა, რომელიც დღემდე რატომღაც მიუყნებელი იყო.

— რას მიცქერი, რას? თუ ცოლი

ხარ, ცოლი იყავი, ნუ მიედმრელები. კაცის საქმეებში ხელეხარე ნუ ეყოფი — დაუმატა მუქარით და მწარლსაგან გასწია. ეს ისე ამაყად წარმოთქვა, თითქოს ისიც კაცი ყოფილიყო.

ხმაურზე მარო შემოვიდა. ის თმაგაწეწილი იყო, ლოგინიდან წამომხტარიყო. საშინაო ხალათი უკულმა გადაეცვა.

— დედიკო, — მიმართა მან თინას, — რატომ აჯავრებ, მოეფერე, მოასვენე, მიდი, საწოლი გაუშალე!

თინა აღვილიდანაც არ დაძრულა.

„არ ვაპატიებ!.. არ ვაპატიებ!.. — ფიქრობდა მწარედ. — მე რომ ეს ვაპატიო, შემდეგშიც ასე მომექცევა, უარესს მიზამს!“...

მარომ შვილს ლოგინი გაუშალა და თავის ქნევით, თინასადმი უკმაყოფილო ბუტბუტით, მეორე ოთახში გავიდა. გივი გაჯავრებულის იერით მივიდა თავის საწოლთან, წელა, აუჩქარებლად ტანთ გაიხადა და მიწვა.

— ჩააქრე სინათლე! — ბრძანა.

თინა გოგის საწოლს მიუჯდა. დასცქეროდა თავის პირშოს. მის მშვიდ ძილში სურდა თავისი სიმშვიდე ეპოვნა.

გივიმ ზვინავა ამოუშვა, არავითარი ჯავრი არ ჩაჰყოლია გულში, თინასათვის კი წინაღამის ამბავი განმეორდა:

ისევ მოქანავე ფარდა კედელზე... ქუჩის ხმაურის თანდათან მიწელება, დაუოკებელი გულისტკივილი და ჩრჩილივით მწიწკნავე იშვი გაუთავებელ ფიქრში გახვეული. მერე ისევ პირველი ტრამვაი, გაცრეცილი დილა და გაცრეცილი თვალები...

არ უნდოდა ფიქრი, მაგრამ ფიქრი არ ეშვებოდა და ძილს არ აძლევდა.

გარიერაზე მაინც ჩასთვლიმა და უცნაური სიზმარი ნახა. უცნაური და სასიხარულო:

მზე ამოდიოდა და უსაზღვროდ იზრდებოდა ცა. თინამ ლავარდი თვალები ოცნებით მიაპყრო ამომავალი მზის სხივებით შეფერილ ცის კედლს. უცებ ლეგა ღრუბლები წამოვიდნენ მზისაკენ... შეერთა თინა, მაგრამ ღრუბლებმა მაინც ვერ დაჩრდილეს მზე.

წვიმაც წამოვიდა, მზე კი მაინც ბრწყინავდა.

მზე პირს იბანს!.. მზე პირს იბანს! — წამოიძახა თინამ და ხელები გაიშვირა ცისაკენ.

მერე ძირს დაიხედა. ყვავილებით მოფენილი ველი გადაეშალა თვალწინ. ყვავილთა ფურცლებზე გარიჴრაჴის მარგალიტები ბრწყინავდნენ, ახლად-გაფურჩქვნილი კოკრები ეძახდნენ და იზიდავდნენ მას, როგორც ახლადგადვიძებული გაზაფხული დაუძახებდა: ფეხშიშველამ გაიარა ყვავილებზე... თერე-ბოდა სურნელებით... გვერდზე გაიხედა და დაინახა ანკარა ნაკადული, ნაკადული ქალაში მოჩხრიალბდა. თინაც გაჰყვა ნაკადულს. მისდევდა და მიიმღეროდა. ნიავე სცემდა სახეში... ახლა ბლჩა გადაეშალა თვალწინ. წითელი, ცრემლმორეული ვარდები თავს ხრიდნენ მის წინ და სცივივოდა ცრემლები ვარდებს. ვენახებში შევიდა. ვაზი შენიშნა ცრემლიანი. მერე ტირიფები შემოხვდა, ისიც ცრემლიანი...

შემდეგ კი ვილაც ქალი შავ ნაბადს შლიდა, ისე, როგორც შავ, უზარმაზარ ღრუბელს. ცის კაბადონს სწვდებოდა მისი ცალი კალთა, მეორე კალთა კი მას ეფინებოდა და სულს უხუთავდა. ბევრი გაიბრძოლა, ბევრი იწრიალა, ბოლოს მაინც გამოძვრა ამ ნაბდიდან. თვალიც გაახილა. არავითარი შავი ნაბადი. მხოლოდ და მხოლოდ მისი მსუბუქი ვარდისფერი საბანი დაჰვენოდა თვალსა და ბაგეებზე.

„ასე ცხოვრება არ შეიძლება“, — გადაწყვიტა თინამ. წამოდგა, ტანთ ჩიცვა და ოთახში ხმაურით გაიარა. გივიმ თვალეები დააჰყვიტა.

თინას გივისკენ არ გაუხედავს.

— არ გძინავს? — იკითხა.

გივი შესსკქეროდა, ელოდა, გამოიხედავსო, მაგრამ თინა მეორე ოთახში გავიდა. გივი აენთო. წამოხტა. ტანსაცმელი ჩაიცვა და ხმამაღლა დაიძახა:

— თინა!...

თინა ოთახში შემობრუნდა. ხელში ზავშვის ქვაბი ეჭირა. წინა საღამოს გამ-

ზადებული ფაფა შემოიტანა და პატარა მაგიდაზე დადო.

— არ გესმის?! — მიამაზა და პაპიროსის კოლოფს სწვდა. ზიზღის გამოხატვით პაპიროსი მარჯვენა ტუჩის კუთხეში გაიკეცხა, ასანთი მოუქიდა და ღრმად ჩაისუნთქა. ამ ხნის განმავლობაში ის თვალს არ აცილებდა თინას, თითქოს ყველაფერ იმას, რასაც აკეთებდა, თინას გამოსაჯავრებლად სჩადიოდა.

ასანთი ჩააქრო და საფერფლეს დაუწყო ძებნა, ვერ ნახა და ჩამქრალი ასანთი მაგიდაზე მიაგდო.

— საფერფლე მომიტა! — შესძახა უკმეხად.

თინამ უნებლიეთ გაიხედა გივისკენ. გივი თვალეგაწითლებული გამოიყურებოდა. დაბერილი ქუთუთოები ამტკიცებდნენ, რომ ძილი მოთავეებული არ ჰქონდა.

საფერფლეს გახსენებაზე თვალზე ცრემლი მოადგა თინას. ის იატაკზე ეგდო ქიმოტეხილი... რა იყო ეს? თავხედობა, თუ მართლა არ ახსოვდა, როგორ ესროლა იგი თინას?!

— საფერფლე! — დაიძახა გივიმ ხელმეორედ.

თინას გულში ყველაფერი ჩაფერფლილი იყო. აღარ გრძნობდა სიყვარულს გივისადმი. არა თუ სიყვარულს, უბრალო პატივისცემასაც კი. აღარც იმედი შერჩენოდა ერთად ცხოვრებისა, ტკბილად ცხოვრების იმედის ნატამალი, რადგან კარგა ხანია ამჩნევდა, რომ გივი ვილაცით იყო გატაცებული...

ფანჯარასთან მივიდა, ჩამოჯდა, ფანჯრის რაფას დაეყრდნო და თავი ხელებში ჩამალა. ის არ ტიროდა... არც ჰკითინებდა... ოღონდ ჩაფერფლილ სიყვარულს გრძნობდა გულში.

ამ დროს ზარი აწკრიალდა. არც ერთი არ მიდიოდა/კარის გასაღებად. თინა იმიტომ, რომ ამ უსიამოვნო წუთში არავის შემოსწრება არ სურდა, გივი კი თინას ელოდა, თინა ადგეს და გააღოსო, რომ მწუხარე განწყობილებიდან გამოსულიყო, იქნებ გული შემოიბრუნოსო ჩემსკენ...

ზარი რამდენჯერმე განმეორდა. ბოლოს ისევ თინა ადგა და უხანიათოვ გასწია კარისაკენ. კარი გააღო და მოულოდნელად დედა დაინახა. ის ჯავრიაინ ჩანდა. ჩაშავებულ თვალებში დარდი მოუჩანდა. თინას უცებ გული შეეკუმშა. ვერც კი მოახერხა ეთქვა, შემოდო. შესცქეროდა გაოგნებული.

— რა დაგემატა, შვილო, რამ დაგაბნია?

— ძალიან გამეხარდა შენი მოსვლა და დაებენი, დედა!.. მოდი, გენაცვალე, ცუდი ხომ არაფერი მოხდა, ასე ადრე რომ მოხვედი ჩემთან?..

— არა, შვილო, ცუდი არაფერია. მომენატრე. რამდენი ხანია აღარ მოსულხარ. ვწუხდი, ვაი თუ რამე დაემართა-მეთქი...

თამარი ოთახში შევიდა.

— გოგის სძინავს? — იკითხა.

— სძინავს.

შეხედა გივის, პერანგისამარა მაგიდასთან მიმჯდარს და მიესალმა:

— გამარჯობა, შვილო, განა აგრე უნდა, ბიჭო, ამ ხნის ქალი შემოვედი, არც კი გაინძერი, ტყუილად მაინც გაილიძე, ვითომ გაგეხარდა ჩემი მოსვლა!

გივი შეიშმუნა და ფეხზე წამოდგა, ტანსაცმელს იცვამდა და უქმყოფილოდ ფიქრობდა გულში — „ამანაც სწავლება დამიწყო!“...

— დილიდანვე სისხლს მიშრობს, არც მიგონებს, არც მივლის, მაჯავრებს და მალიზიანებს! — უტიფრად შესჩივლა.

თამარმა თინას გადახედა. თინამ მაინც არაფერი თქვა. ის ყოველგვარ უქმყოფილებას უშალავდა დედას, ჯავრსა და დარდს გულში იკლავდა, რადგან ყველაფერში თვითონ იყო დამნაშავე.

— საფერფლე მომიტა-მეთქი, — განაგრძო გივიმ, — შეიღჯერ ვთხოვე, ყურიც არ გაიბერტყა. განა ცოლი ასეთი უნდა იყოს?!

თინა დაიხარა, საწოლის ქვეშ შეიხედა, მერე მუხლებზეც დაიჩოქა და საწოლისქვეშედან გატეხილი საფერფლე გამოიღო. ხმის გაუცემლად მაგიდაზე

დაუდო. გივის მაინც ვერ გაახსენდა საფერფლის გატეხვის მიზეზი.

— ეს რა მესმის. ავი შეუბნებოდი მიყვარსო?! ეს არის შენი სიყვარული?... — თამარი ჯერ თინას დააქერა და, მერე გივის, ელოდა მათ პასუხს, მაგრამ, როდესაც ორივე სდუმდა. თვითონ განაგრძო, — ოჰ, რა ბედნიერია ის ადამიანი, გინდ ვაი იყოს, გინდ ქალი, რომელსაც პირველი სიყვარული ბოლომდე გაჰყვება!...

დედა თინას ჰკიცხავდა, თინა კი უღანაშულო იყო, ამიტომ ბოლომდე ვერ დაფარა თავისი საიდუმლო და გადაწყვიტა ყველაფერი ეთქვა. მოუყვა კიდევ, როგორ ლოთობს დღემუდამ, როგორ დადის ამხანაგებში და საექვო ქალებში, როგორ შეისწრო ლილისთან.

ლაზვარივით მოხვდა თამარს ეს ამბავი. გამწარებული და გულშემოყრილი უსმენდა, გივი კი შიგადაშიგ ურთავდა სიტყვებს, — კაცო ვარ და ამხანაგებიც მყავს! შენ ჩემი ცოლი ხარ. ისინი კი მხოლოდ ქალები არიან! შე აღარც მახსოვს ლილი, მორჩა და გათავდა, გაიგე? იყო და აღარ არის!

— ასეთი ქმრის ხელში საცოდავი ყოფილხარ, შვილო, მაგრამ შენზე საცოდავი თვითონ ყოფილა. საცოდავი და სულით ღარიბი. ეს რომ ისეთი სიღარიბე იყოს, როდესაც ლუკმა პური არა აქვთ, კერძი არა აქვთ, ანდა ჩამოცვეთილ ტანსაცმელს წლობით ვერ იცვლიან, ადამიანი იქნებოდა, მაგრამ ეს სულით ყოფილა ღარიბი. ასეთ ადამიანს არც ნამდვილი სიყვარული განუცდია და არც ნამდვილი ბედნიერება!

ამ დროს გოგის გაეღვიძა. ის თვალების ფშვენტით წამოდგა საწოლში, მიიხედ-მოიხედა და დიდედა რომ დაინახა, შესცინა, პატარა ფუნთუშა ხელეში გაუწოდა, ამიყვანეო.

— მოდი, გენაცვალე, მოდი! — აღერსით უთხრა, მაგრამ თვითონ მივიდა, გულში ჩაიკრა, ჩაიხუტა. — შენ არაფერი გესმის, საყვარელო, — სინანულით წაიხურჩულა, — მერე გივის მი-

უბრუნდა და უთხრა, — ქალებში მოხეტიალე კაცს რა უფლება აქვს ამ სასათუშოზე თავის დადებისა, აქ, ამ ჭერქვეშ ძილისა, იმ ჰაერის სუნთქვისა, რომელსაც ეს უმანკო ბავშვი სუნთქავს!

— ეს ჩემი სახლია. ცოლშვილიც ჩემია, ისიც ჩემი საქმეა, თუ როგორ მოვუვლი, ვისაც არ მოვწონვარ, გზა დიდია!...

ამ პასუხზე თამარი აენტო. ყელში სისხლი მოაწვა. ის ცეცხლწაქილებულსა ჰგავდა. მართლაც გულზე ცეცხლი მოედო, მაგრამ სიღარბაისლემ დასძლია და წყნარად, მაგრამ მწარედ უთხრა:

— შენ ღირსი არა ხარ ასეთი ცოლშვილისა!

— როგორ თუ ღირსი არა ვარ?! — მაშინვე მკვებედ მიიძახა გივიმ. — ღირსი, ღირსი! — გამოაჯავრა კიდეც. — ადამიანი ადამიანია, შენი შვილი რითა მჯობია?!

მართლაც გარეგნულად არაფრით არ სჯობდა თინა ქმარს. გივი ტანადი იყო, წარმოსადეგი, კარგი შესახედაობის ახალგაზრდა. არაფერი აკლდა მის თვალტანადობას. ისე რომ ამ მხრივ ვერაფრით ვერ გაჰკილავდი. თამარმა უცქირა, უცქირა და მწარე სინანულით გაიფიქრა: „ამ მშვენიერი გარეგნობის ყმაწვილში, რამ ჩააბუდა ასეთი უხიავი სული!“... სათქმელად კი უთხრა:

— ცხადია, გზა დიდია და მე წავალ. ღმერთმა ქნას, რომ კარგად იყო. სწორი გზით გეაროს! — თავშალი აიღო, წამოიხურა, ერთი წამით სახეზეც კი გადმოიფარა, რომ მოესწრო მომდგარი ცრემლის ფარულად მოწმენდა. ეს მოახერხა კიდეც და თავჩალუნულმა კარისკენ გასწია.

— ნუ წახვალ, დედა? — ისე მწუხარედ და უილაჯოდ მიმართა თინამ, თითქოს შესტირა, როგორც ბავშვობის დროს შეუტირია, როდესაც მარტო დაუტოვებია სახლში.

— არა, შვილო, მე წავალ. ქმარშვილს მოუარე, ოღონდ თქვენ იყავით კარგად, მე თქვენს საქმეში არ ჩავერე-

ვი. ასე მიძიმეა, შვილო, ცხოვრების კაპანი, რომელშიც შენის ნებით ვაჟყავი თავი!...

ერკენული
გეგუნიოთქა

XXIII

შვიდი საათიც არ იქნებოდა, როდესაც კოტეს გაეღვიძა. თავი სტკიოდა, მაგრამ მაინც ადგა. მღვიძარეს არ უყვარდა ლოგინში წოლა. სამზარეულოში გავიდა. ფეხის ცერებზე გაიარა, რომ თამარი და სოსო არ გაეღვიძებინა. ელექტრონის ქურაზე გასაცხელებლად წყალი შედგა. მერე წვერის საპარსი მოწყობილობა გადმოიღო, ძალზე ფრთხილად მოძრაობდა, ეშინოდა რამე ნივთისთვის ფეხი არ წაეკრა და ხმაური არ აეტეხა. წყლის გაცხელებას ელოდა და მოლოდინში ფიქრებს მიეცა. რამდენიმე წუთის განმავლობაში თავის ბავშვობაში გადაიხედა, გაიხსენა ივრის ქალები, უდარდელად რომ დარბოდა ვენახებში. მამის გარდაცვალება და ობლობის პირველი მძიმე წლები, როდესაც დედა ხმალომღებულებით თავს ადგა, შვილი არავინ დაძინაგროსო, მაგრამ ვინ დაჩაგრადა პატარა კოტეს, როდესაც დიდსაც და პატარასაც უყვარდა კეთილი და უწყინარი ხასიათის გამო. თვალი გადაავლო თავის სიყმაწვილეს, პირველ სიყვარულს — თამარს. თინას დაბადებას, სოსოს დაბადებას. მერე მისი ფიქრი დღევანდელ დღეს გადაევლო და შუბლი შეეჭმუნა, ტკივილი იგრძნო. „შენი წილია!“ — ჩაესმოდა ყურში. „არ მინდა ეს ჩემი წილი — ესეც თქვენი იყოს... პო, თქვენი იყოს!!!“

ჩაიღნის ხუფი ახმინდა და ფიქრებისაგან გამოერკვა. დენი სწრაფად გამორთო და ონკანთან მივიდა. ონკანის თავზე სარკე ეკიდა. იქვე ეწყო საპარსი მოწყობილობა. დიდხანს ატრიალო ფუნჯი საპონში, თითქოს ვერ ზედავდა გაფუჭებულ ქაფს. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა რომ წვერი უნდა გაეპარსა და სახეზე ჭაფი წაისვა. ნელა ირჯებოდა. დროდადრო მოწყვეტილად ჩაიჭ-

ნედა ხოლმე ზელს, თითქოს ვინმესგან თავს იცავსო. წვერი გაიბარსა და დააცქერდა თავის სახეს. შუაგულ თმაშიც კაღარა შერთოდა, მაგრამ მაინც შავი სჭარბობდა. ნაღვლიანად ეჩვენა თვალები. ვახუჟა და ხელახლა გაახლა, იქნებ შეჩვენებო. არა, არ ეჩვენებოდა... სახე გაჟღერებოდა და თვალები მართლაც საღვაც წასვლოდა...

უცებ გულში ჩხვლეტა იგრძნო და ქვედა ბაგე აუთავდალა. ტუჩები გაუფითრდა და აუთრთოლდა. გული აუფანცალდა. მარცხენა ხელი შუბლზე გადაისვა, მარჯვენა ხელში სამართებელი ეჭირა და არ იცოდა რა ექნა, დაედო სამართებელი თუ განეგრძო თავისი სქელი, ოდნავ შევერცხლილი უღვაშების შესწორება.

სამართებელი ხელიდან გაუვარდა. დაიხარა რომ აეღო. აიღო კიდეც, მაგრამ ახლა უფრო მწვავე ტკივილი იგრძნო გულში. გვერდზე გაიხედა. სამიოდე ნაბიჯზე სავარძელი იდგა, ძველი, მაგრამ ფართო და რბილი. ბარბაციით მივიდა და მთელი ტანის სიმძიმით ჩაეშვა შიგ. ხელი ჩაიქნია.

— ეექ! — ამოიხრიალა.

უნდოდა ეთქვა „გათავდაო“, მაგრამ სული ეხუთებოდა და სიტყვის თქმავერ მოახერხა, ვერც დაძახება შესძლო. თუნდაც ცარიელი უაზრო ბგერები წამოეძახა, რომ ვინმეს გაეგო და მიშველებოდა. გაიხედა კარისკენ, რომლის იქითაც მის ცოლშვილს ეძინა. ის იმედით იცქირებოდა იქით. იქედან ელოდა შველას, მაგრამ მის ცოლშვილს არ ესმოდა მისი უხმო ძახილი. თვალები კი მაინც კარისკენ ჰქონდა მიპყრობილი, უძახდა თვალებით, უძახდა სახის გამომეტყველებით. რამდენიმე წუთიც და ბაგეები მოეგრძობა. ამოების სიმწარე გამოეხატა ზედ. თვალები თანდათან უცივდებოდა, მრგვალ და ცივ. უსიცოცხლო, ჩაშავებულ შუშებს ემსგავსებოდა, მაგრამ, ეს შუშის თვალები, ღია და ცივი, მაინც მეორე ოთახის კარისკენ იცქირებოდნენ. იმედი აღარ მოჩანდა მასში, მაგრამ მაინც

იქით იყო მიპყრობილი, იქით, მეორე ოთახის კარისკენ. და ასე დარჩა ეს თვალები მეორე ოთახისკენ მიპყრობილი, მოლოდინში და უხმო ძახილში.

XXIV

„ეს ფული ჩემი არ არის!“ — წერდა კოტე მოკლე ბარათში, მაგრამ იმას კი არ ამბობდა, ვის ეკუთვნოდა. არც მოვალე გამოჩენილა და ვისი უნდა ყოფილიყო?..

ამ ფულით დაკრძალეს კოტე, მაგრამ ეს მას აღარ ესმოდა... სამი ადლი მიწა მოუზომეს და ამავე ზომის თეთრი სასახლე გამოუქედეს. ამაზე მეტს რას წაიღებდა?.. კაცურმა კაცმა უნდა დატოვოს რამე—ნამოღე-წარი, კარგი შვილები, თორემ წაღებით ამ ქვეყნიდან ვინ რას წაიღებს?..

„კარგი კაცი იყოო!“ — ასე იგონებდნენ კოტეს ნაცნობ-მეგობრები.

კაი კაცის სახელი მაინც დატოვა კოტემ.

არც ეს იყო პატარა რამე!..

XXV

ხმაამოუღებელივ გამოვიდა გარეთ. კარი გამოიხურა და გულიც დაეხურა. დატოვა პერი, რომელშიც თითქმის სამ წელიწადს ცხოვრობდა. ცალ ხელში ჩემოდანი ეჭირა, მეორე ხელში გოგის პატარა ფუნთუშა ხელი. სწორედ ეს ხელი იყო მისი იმედი, სწორედ ეს პატარა ხელი ჰპირდებოდა, რომ ყოველგვარ სიღუპკირეს აატანინებდა. რამდენიმე კიბე ჩამოიარა და ნაღველა იგრძნო. ბოლმა მოაწვა. ყელში მოებჯინა მწარე გრძნობა. ცრემლი მოადგა თვალებზე, მაგრამ თავს იკავებდა. წამოვიდა და ისეთი გრძნობა გამოჰყვა, თითქოს რაღაც დარჩა აქ, იმ ბინაში, სადაც ამდენ ხანს დაჰყო...

ყველაზე ძვირფასი, რაც თინას გააჩნდა, თან მიჰყავდა, ხელი-ხელში ჩაჭიდებული მიაბიჯებდა მასთან ერთად. „რა უნდა დარჩენოდა ამაზე ძვირფა-

სი?“ — ფიქრობდა თინა, მაგრამ მაინც მიყვებოდა მწარე სინანული და გულ-ნატყენად გრძობდა თავს.

აქ, ამ სახლში, მოიტანა მან თავისი სინორჩე, თავისი სისპეტაკე, ხელმიუკარებელი სიფაჭიზე, ახალგაზრდული ბედნიერი სიხალისე და სწორედ ეს დარჩა იქ, ეს დატოვა იქ...

კიბეებზე ჩამოვიდა და სახლის კართან გაჩერდა. მის წინ დაქროდნენ მანქანები, ავტობუსები. მოძრაობა და ხმაური თვალს უჭრებოდა და ღრინცელით უვსებდა ყურებს.

დიდხანს გაჩუმებული იდგა მანქანის მოლოდინში. აი, მის წინ ჩაისრიალა ნაცრისფერმა მანქანამ. თინამ ხელი დაუქნია და დაიძახა:

— ტაქსი!..

მძლოლი შეეყოყმანდა, მაგრამ მაინც გაჩერდა. მძლოლმა შიგნიდან გაულოკარა. თინამ ჯერ ჩემოდანი შედგა შიგ, მერე ბავშვი შესვა, ბოლოს თვითონ შევიდა.

— აკაკი წერეთლის პროსპექტზე!

— ვიცი, სადაც ცხოვრობთ!

— საიდან? — გაიკვირვა თინამ, წინ გადაიწია, შეხედა მძლოლს, ნაცნობი ხომ არ არისო. ბუნდოვნად გაიხსენა რაღაც... თითქოს იცნო კიდევ.

— ეს თქვენი ბავშვია?..

— დიახ.

— ასე შეწუხებული რატომ გამოიყურებით?

— არა, არა ვარ შეწუხებული!..

— გამოცვლილხართ, მაგრამ ისევ ისეთი ხართ.

— როგორი?..

— ერთხელ თქვენს ოჯახში ვიყავი. მხოლოდ ერთხელ გნახეთ. ბოლო დროს ვეღარ გხედავდით... გათხოვდით?..

— დიახ!.. მაგრამ აი, ახლა. — კინაღამ გულის დარდი წამოსცდა. — დიახ, გათხოვდი... ეს ჩემი ბავშვია!..

თინას სახეზე სიწითლემ გადაჰკრა... თვალები დაენამა. შუბლზე ხელი გადაისვა, ვითომ თმებს ვისწორებო, და ხელი თვალებზე აფარებული დაიტოვა.

მძლოლმა სარკეში დაინახა თინას სახე. ხელის აფარება მხოლოდ ნეტყე წამით დააგვიანდა, ისე რომ მძლოლმა სიწითლედ შენიშნა და მოწმენდილ ცასავით სუფთა თვალებიდან ჩამოვარდნილი ცრემლიც...

— როდის იყავით ჩვენთან? — შეეკითხა თინა.

— სამი წელი იქნება. მამათქვენმა მოგიყვანა. მე არ ვიცნობდი მამათქვენს. მე ვიყავი ნაცნობის ნაცნობი... გახსოვთ, ლევანს რომ მეძახდნენ?..

— დიახ, მახსოვს. აგეთი იყო მამაჩემი. სტუმარი უყვარდა.

— იყო?..

— დიახ, იყო. გარდაიცვალა. გულსაგან. ბერეს სვამდა. დარდიც დაატყდა თავზე.

— ძალიან მწყინს. კარგი კაცი იყო. იმ ღამეს თქვენ მე თხოვნა არ ამისრულეთ. გათხოვეთ რამე დაგეკრათ და უარი მითხარით. გახსოვთ?

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, ღია მელიტონთან ერთად იყავით ჩვენსას.

— მოკვდით, არა?

— დიახ!..

თინამ ფულის მანიშნებელს ძებნა დაუწყო. ხელში თუმნიანი ეჭირა. ფულის მანიშნებელი ვერ იპოვა და მაინც გაუწოდა ფული.

— ეს ხომ ტაქსი არ არის?..

— ნუ-თუ?.. მამ რატომ გამიჩერეთ?..

— დამიძახეთ და მეც გაგიჩერეთ. მით უმეტეს, გიცნობდით.

ლევანი მანქანიდან გადმოვიდა. ჩემოდანი გადმოიღო. მერე ბავშვს ორივე ხელი მხრებთან მკლავებში ჩასჭიდა და გადმოსვა. ვიდრე თინა გადმოვიდოდა, ლევანმა ბავშვი მაღლა აიტაცა და სახელი ჰკითხა.

— გოგი, — უპასუხა ბიჭუნამ.

— ოო, რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილა, რა შესანიშნავად სცოდნია თავისი სახელი! — იხუმრა ლევანმა.

ბავშვმა შესცინა.

თინა მანქანიდან გადმოვიდა, ლევანმა უბრალოდ უთხრა:

— ეს მანქანაც ნაცრისფერია, მაგრამ ეს ჰადარაკის დაფის უჯრედებით არ არის აპკრელებული, ისე როგორც ტაქსები.

— დიახ, დიახ, მართალსა ბრძანებთ. ასე გამოდის, მე ამპრელებია თვალები. კრელად მომჩვენა მანქანა.

ლევანმა ხელი გაუწოდა. თინამაც ხელი გაუწოდა და დიდი მადლობა გადაუხადა. ხელის ჩამართმევით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

მხოლოდ რამდენიმე წუთით გაეფანტა თინას თავისი დარდი. გაქროლდა მანქანა და ისევ შემოეხვია მძიმე ფიქრები.

კიბეებზე აღიოდა და მუხლები არ ემორჩილებოდა, თითქოს გრძნობდა, რომ სწორი ნაბიჯით არ მიდიოდა.

X XVI

დედა და შვილი აივანზე ისხდნენ. გოგი იქვე თავისთვის თამაშობდა. მას სკამები ერთი მეორის გაყოლებით დაედგა, თვითონ წინ ჩასდგომოდა და ორთქლმავალივით გაჰკიოდა, მატარებელი მომყავსო.

დაღონებული იყო თამარი. თალხი ტანსაცმელი მკვეთრად გამოჰხატავდა მის მწუხარებას. ეს ფერი, უღიმღამო და პირქუში, აბნელებს არა თუ ადამიანის სახეს, გულსაც. ექვს თვეზე მეტია, მას შემდეგ რაც კოტე გარდაიცვალა. და მაინც ღიმილივ არ მიჰკარებია მის ბაგეებს. სულერთავად დაღვრემილი და გულჩათხრობილია.

— ნუ ჯავრობ, დედა, პენსია ხომ გაქვს, მე სამსახურს დავაწყებ და ვიცხოვრებთ, არ დავიკარგებთ.

— მე სულ სხვა რამე მიკლავა გულს. ისე ვათხოვდი, არ შეგვეკითხე, ახლა მიატოვე ქმარი და არც ეს გვეკითხე. იქნება სხვანაირად სჯობდა?..

— დედა, გენაცვალე, მაშინ რომ არ გეკითხე, მართლა დავაწყებ. თუმცა არც კი ვიცი, რატომ არ გეკითხე, რატომ დროზე არ გაგაგებინე. გაბრუებული ვიყავი... ვატაცებული... თვალდახუჭუ-

ლი გავყევი... არა, არც აგრეა, თვალის გახელილი მქონდა, მაგრამ გივის გარდა თვალში არაფერი მომდებოდა. ახლა ჩემი წამოსვლა აუცილებელი იყო. სხვანაირად არ შეიძლებოდა. მე მასთან ვერ ვიცხოვრებ, ნამდვილად ვერ ვიცხოვრებ... შემძაგდა!..

— ოჯახს ახგრევე, აგერ იმას, — ხელი გაიშვირა გოგისაკენ, რომელიც ამ დროს კვლავ ორთქლმავალივით გაჰკიოდა, — მამას უკარგავ!..

— ოჰ, შენ რომ იცოდე, როგორი მამაა, მაგას არ იტყოდი. არ იცის იმან შვილის ფასი!

— მაინც, შვილო, მაინც!

— რა მაინც?

— მაინც მამაა!.. ოჯახს ნუ დაანგრევე. რადგან გაჰყევი, თავი უნდა შესწირო. ისევ და ისევ ბავშვის გულსათვის. ბოლოს სანანებლად არ დაგრჩეს. შეჩვეული კირი გერჩივნოს შეუჩვეველ ლხინს!

— არა, დედა, არავითარი კირი არ მინდა. არც შეჩვეული და არც შეუჩვეველი. გოგის გეფიცები, არც ლხინს დაეცემა... მე მხოლოდ ცხოვრება მინდა ადამიანური, ადამიანთან!..

თამარმა ველარაფერი უთხრა. მიხვდა, რომ თინას ვერ გადააჯერებდა და გაჩუმდა.

ერთი კვირის შემდეგ თინა სამუშაოს საძებნელად წავიდა. მელიტონი ინახულა. მან ძალიან გულთბილად მიიღო. დედაც მოიკითხა, პატარა ძმაც. განშორების მიზეზებიც გამოჰკითხა. შეწუხებული უსმენდა თინასაგან გულუბრყვილოდ მოყოლილ ამბავს. ორ კვირას ატარა, ადგილი ვერ აღმოუჩინა. ბოლოს, თავიდან მოსაცილებლად, თავის მეგობართან, ხე-ტყის საწყობის გამგესთან გაგზავნა, სადაც შორს, ქალაქგარეთ, ნავთულში. წერილი გაატანა, დიდის მონდომებით სთხოვდა, ბარათის მომტანი როგორმე მოეწყო რამე სამუშაოზე. მელიტონმა წერილი კონვერტში ჩადო, მაგრამ არ დააწება, რომ გზაში წაეკითხა თინას, თუ მის გამო როგორ სთხოვდა თავის მეგობარს. თინამ

კონვერტი არ გახსნა. ზრდილობა ნებას არ აძლევდა სხვისი წერილი წაეკითხა. როგორც იქნა მიაგნო ამ საწყობს. შემით საესე ვეებერთელა ეზოში ბევრი ხალხი ირეოდა. დირექტორი კანტორაში არ დახვდა, ამიტომ თინა მას ეზოში დაეძებდა.

უზარმაზარ მორებთან ორი კაცი იდგა და მხიარულად ლაპარაკობდა, მათ სანდომიანი სახე ჰქონდათ, სერიოზული გამომეტყველება. თინა მიუახლოვდა და ერთ მათგანს მოკრძალებით ჰკითხა!

— უკაცრავად, დირექტორი თქვენ ხომ არ ბრძანდებიან?...

ორივეს გაეღიმა. ერთმა მათგანმა ხუმრობით უპასუხა:

— დირექტორი ჩვენსავით გამზადრი არ არის. მოძებნე კარგა მსუქანი კაცი და დირექტორი უსათუოდ ის იქნება!..

თავაზიანობის გამო თინამაც გაიღიმა და მოსცილდა მათ.

ახლა უკვე მსუქან კაცს ეძებდა თინა. მართლაც იპოვა, მაღალი, სქელი, ღიბიანი, მწითური სახით, თვალგებრიალა კაცი. მას კოსტუმი ეცევა, ჰალსტუჯი ეკეთა, შლიაბაც ეხურა...

თინამ კონვერტი მიაწოდა. დირექტორმა წერილი გადაიკითხა და უცნაურად შეხვდა თინას. ეტყობოდა, ძალიან მოეწონა, შაქარნარევი ენით გამოელაპარაკა, აშკარად ჩანდა, ეს არ იყო მისი ბუნებრივი ხმა.

— წამობრძანდით, გამოწყევით. — უთხრა მან თინას, — სამუშაოს, რასაკვირველია, მოგიხერხებთ. ოღონდ არ ვიცი, როგორი სამუშაო შეგეფერებათ. თქვენ, რასაკვირველია, ხე-ტყის საქმეს არ იცნობთ. ალბათ მდივნად შესძლებთ მუშაობას. — გზაში ელაპარაკებოდა და გრძნობამორეული შეავლებდა ხოლმე თვალს. — მდივნად აგიყვანთ. ჩემს პირად მდივნად. საქმე ბევრი არ გექნებათ. მართალია, ჯერ ეს საშტატო ერთეული არ დაუმტკიცებიათ, მაგრამ სულ მალე დამიმტკიცებენ. მანამდე კი ისე იყავით... თქვენს ზელფასს მაინც მიიღებთ. ამას მე მოგიხერხებთ, ჩემი საკუთარი

ჯიბიდანაც რომ იყოს, მაინც მოგიხერხებთ. ისე რომ თქვენ ზეალ დილიდან დაიწყეთ სიარული!

— ბოდიში, მაგრამ, ეს როგორ შეიძლება. ზელფასი თქვენი ჯიბიდან?..

— ამაზე ნუ სწუხართ. ჯერჯერობით ასე იქნება, მერე ყველაფერი მოგვარდება!

— ოოჰ, რას ბრძანებთ. როდესაც შტატს დაგიმტკიცებენ, მეც მაშინ მოვალ. ასე აჯობებს!..

— მაშ შემოიარეთ სამი დღის შემდეგ. უსათუოდ შემოიარეთ, ნუ დამერიდებით! შელიტონი ისე მოზოგს, ისე მეხვეწება, რომ მე იმას უარს ვერ ვეტყვი ძალიან დიდ პატივსაც ვცემ.

— დიახ, შემოვივლი, უსათუოდ შემოვივლი. მშვიდობით, ბატონო, — საჩქაროდ მიუგო თინამ და შეშინებულივით შებრუნდა. ჩქარი ნაბიჯით გაემუხრა, მაგრამ სულ მალე სურვილი დაეზადა სირბილით წასულიყო, გაქცეულიყო, რაც შეიძლება მალე მოშორებოდა ამ ადგილს და ამ მსუქან, მგელივით თვალგებრიალა კაცს.

გულგატეხილი, დაღლილი და მოთენთილი მივიდა შინ.

თამარი მიხვდა რომ სამუშაო ნაშოვნის არ ჰქონდა, არაფერი უკითხავს. პირიქით მოეფერა და დაამშვიდა, რა განქარებებს, იშოვნისო.

მართლაც ერთი კვირის შემდეგ თინა დიღმის კოლმეურნეობაში მოეწყო.

როდესაც თინა კოლმეურნეობაში მივიდა, თავმჯდომარემ ისე თავაზიანად მიიღო, ისე მამამეილური სითბოთი ელაპარაკებოდა და უხსნიდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა, რომ თინას გული აუჩუყდა კიდევ. კოლმეურნეებიც სიყვარულით შესცქეროდნენ მას. ისეთი სიყვარულით, სინათლის შუქივით რომ ინთება ადამიანის სახეზე. თინამ აქ ადამიანები დაინახა და თავისუფლად იგრძნო თავი. ის სანერგეში მუშაობდა, მოხუც მებაღესთან მყნობა და ჩითილების გამოყვანა უნდა ესწავლა. შორს იყო, მაგრამ დაუზარელი იყო თინა.

ყოველ დღე უხდებოდა ასეთი შორი და გრძელი გზის გავლა.

XXVII

რუსთაველის პროსპექტზე, „დარიალის“ წინ, ყმაწვილების ჯგუფი იდგა. მხიარულ გუნებაზე იყვნენ და ერთმანეთს ენამახვილ გამოთქმებში ეჯიბრებოდნენ, თან ქალიშვილებს ათვალეერებდნენ და მათ გარეგნობას ნიშანს უსვამდნენ.

— სამიანი!

— ოთხიანი!

— ხუთიანი! — გაიძახოდნენ მათ გასაგონად.

ხშირად კამათობდნენ კიდეც, ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ შეფასებაში. თუ რომელიმე ქალიშვილი ძალზე მოეწონებოდათ, ხმამაღლა შესძახებდნენ:

— ჯეირანივით გოგოა!..

— ას წელიწადს სულ ასე მშვენიერი იყოს!

უცნობ ქალიშვილს გულზე სიამეფფინებოდა, მაგრამ ეს ყმაწვილები ამ სიამეს იქვე უმწარებდნენ.

— რატომ ას წელიწადს, სამას წელიწადს იცოცხლოს!..

— ყვავი ხომ არ არის? — გამოეპასუხებოდა რომელიმე.

— თვითონ თუ ყვავი არ არის, სხვას ხომ აყვავებს!

მათ სიტყვებში აშკარა დაცინვა ჩანდა. ქალიშვილები უკან მიუხედავად მირბოდნენ. უარესი არაფერი გვითხრანო.

შესახედავად კარგი ყმაწვილები იყვნენ. ტანადები, აწყობილნი, იერიანი. ბევრი ინატრებდა კიდეც მათ გარეგნობას. მოდის მიხედვით იყვნენ გამოწყობილნი. ორ მათგანს მწვანე შარვალი ეცვა, მესამეს აგურისფერი, მეოთხეს, კი ყავისფერი ხავერდისა. შარვლის ტოტები ისე მოკლე და ისე ვიწრო ჰქონდათ, რომ თითქმის ტანზე ეკვროდათ. საყელო გაეხსნათ და გულგაღელილები იყვნენ. არც ერთ მათგანს ქუდი არ ეხურა. მრგვალად შემოკრეჭილი, მაგრამ აბურძგნილი თმები თავზე ყვავის ბუდესავით მოუჩანდათ.

ამ ყმაწვილებში ყველაზე უფროსი გივი იყო. მიუხედავად ამისა, მათ შორის სხვა მბრძანებლობდა. ოცი წლის ვაჟი, ვახტანგი. შესახედავად ვახტანგი უნაკლო იყო. სწორი ნაკეთები, მაღალი შუბლი, ციმციმა თვალები, გამომეტყველებაც სასიამოვნო, მაგრამ დაილაპარაკებდა თუ არა, მაშინვე ეკარგებოდა ფასი მის გარეგნობას. ლაპარაკობდა მოგონილი ხმით, რაც ჩვეულებად გახდომოდა. ხმარობდა ისეთ სიტყვებს, რომლებიც არც ერთ ლექსიკონში არ შეგხვდებოდათ. ის ცდილობდა ვაჟკაცური იერი ჰქონოდა. ფეხს ისე ადგამდა, თითქოს ბრძენი ყოფილიყოს, დინჯად და მძიმედ. მხრები ისე ეჭირა, გვეგონებოდათ, ემძიმებოთ. განცვიფრების გამოსახატავად წარბების აწევა სჩვევოდა. ლაპარაკის დროს, ნათქვამის დასამტკიცებლად, ხელებს იშველიებდა. მესამეს შოთა ერქვა, მეოთხეს—ირაკლი. დიდებული ადამიანებში იყვნენ მათი სახელების მატარებელი წინაპრები. ეს ყმაწვილებიც ამ საამაყო სახელებს ატარებდნენ.

ეს ოთხი „ვაჟკაცი“ ერთმანეთს აყოლილი იყო. ერთად თამამად გრძნობდნენ თავს. ახლაც თამამად იყვნენ. არავის არ ერიდებოდნენ. ხალისისათვის დროდადრო იგინებოდნენ კიდეც. გინება არავის არ ეხებოდა, მაგრამ უწმაწურად ისმოდა.

დაბინდდა. პროსპექტზე ელნათურები აენთო. გაბრწყინდა მალაჩიების ვიტრინები.

მეგობრები ფეხზე დგომით ჩამოწყუნენ.

— ახლა რა ვქნათ, ბიჭებო? — იკითხა ვახტანგმა.

— თითო ბოთლი ღვინო დედის რქსავით შეგვერგება! — თქვა შოთამ და ირაკლის გადახედა.

— მე რომ მიცქერი, რას მიცქერო. ტო, მანეთიანიც არ მიცყავის ჯიბეში! — მიაძახა განაწყენებულმა ირაკლიმ.

— არც მე მაქვს რამე! ვერაფერი ვერ გამოგტყუე მამაჩემს, გაბრაზებულა ჩემზე! — ჩაურთო გივიმ.

— რაზეა გაბრაზებული?

— ცოლი რატომ გაგვექცაო? რა ჩემი ბრალია. მოვედი სახლში და შინ არ დამიხვდა. წასულიყო. რა მექნა, თოკით ხომ არ დავაბამდი, არ უნდა და ძალაა?!

— მე რომ მკითხო, — თავისებურად ბოხი ხმით და სიტყვების გაჭიმვით წარმოთქვა ვახტანგმა, — მაგისთანა ცოლს სულაც არ გავაჩერებდი სახლში. რო მირბის, რას მირბის?!

— სიტყვა ბანზე ნუ ააგდეთ, რა ვქნათ, როგორ დავლიოთ?

— შევიდეთ და დავლიოთ. მორჩა და გათავდა, — გადაწყვიტა ისევ ვახტანგმა. — ჯერ დავლიოთ და მერე რამე მოხერხდება. ბოლოსდაბოლოს ჩვენზე დარჩება. ხომ არაფერი გვმართებს მაგათი. დიდი რამეა, ერთხელ ნისიად დაგვალევინონ?!

— სწორია. რა მოხდება? გვექნება და გადავიხდით! — ერთმანეთს დამოწმუნენ და „ღარიალის“ კარისაკენ გასწიეს.

დინჯად და სერიოზულად შევიდნენ დარბაზში და ცარიელ მაგიდას შემოუსხდნენ. მოუსვენარდ იხედებოდნენ აქეთ-იქით, ელოდნენ ოფიციანტს. ჯავრობდნენ, რომ ოფიციანტი მაშინვე არ გაჩნდა მათთან.

— შენ, ამხანაგო, ვინ ემსახურება ამ მაგიდას? — გასძახა ვახტანგმა ოფიციანტს, რომელიც შორიახლოს ზურგშებრუნებული იდგა.

— მე, ბატონო!

— მერე დროზე ვერ მოხვალ?

— ახლავს, ბატონო!

ოფიციანტი ორმოცდაათი წლისა მაინც იქნებოდა. მელიოტი იყო, მხოლოდ ყურებს ზევით და უკან კეფაზე შერჩენოდა თმები, ისიც შექალაქარავებული. ახალგაზრდები რომ დაინახა, გულზე ჯავრი შემოეყარა, ვაი, თუ ამ ბიჭებს ფული არა აქვთ და ტყუილად მიმსახურონო. აყოვნებდა მისვლას, იქნებ, ლოდინი მოხერხდეთ და სხვა მაგიდასთან გადასხდნენო, მაგრამ დაუძახეს და მეტი გზა არ ჰქონდა უნდა მიეღო შეკვეთა.

— რომელი ღვინო გეკვს? — თამაზად იკითხა ვახტანგმა.

— რვა ნომერი.

— უუჰ!

— არ მოგწონთ, ბატონო?

— არა.

— ოცდასამს მოგართმევთ.

— ან ეგ რა ღვინოა?!

— მეექვსე.

— ფუჰ, მაგას რა დაგვალევინებს?!

— მაშინ, ბატონო, სამარკო ღვინო მიირთვით. პირველი, მესამე.

— მეთორმეტე თუ გაქვთ?..

— ტიბაანი?

— ჰოო.

— არა, ეგ ღვინო არა გვაქვს.

— რას იზამ, მოიტათ მესამე ნომერი. მე ამისთანა რესტორანზე რა ვთქვა! — ვახტანგს შეგინება უნდოდა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა და არ შეიგინა.

— საქმელს რას მიირთმევთ?

— რა გაქვთ?

— მზად, ბატონო, არის ხარჩო, სოუზი, ბულამა, კატლეტი, ბიტკი...

— მაიცა, მაიცა, სეტყვისასვით რომ დამაყარე, ჩვენ ეგ სოუზები და ხარჩოები არ გვინდა. ზეირიანი რავე მოგვიტანე.

— ვარიას მოგართმევთ, შემწვარ ტაბაკას.

— მე ვიცი, ამათი ვარია როგორიც იქნება! — წყრომით ჩაურთო გვიმი, — ბებერ. დაჩივებულ ნაკრუხალს შეგვიწვავენ და, ვარიაო, გეტყვიან.

— რატომ გგონიათ, ბატონო?

— ოთხი მწვადი შეაწვევინე, ოლონდ, გესმის, კარგად შეწვას, უმი არ იყოს, თორემ უკან გაგატანთ. ახლა კი უკებ საუზმე მოიტანე. ღვინო, ჯერჯერობით, ოთხი ბოთლი იყოს.

— ახლავე, ბატონო!..

ოფიციანტმა ხელსაბოტი შემოიქნია. მკლავზე გადაიგდო და გაიქცა.

— დასაწყისისთვის კარგია! — ჩილაპარაკა შოთამ.

ირაკლი მთლიანად ამხანაგებზე იყო მინდობილი, თვითონ არასოდეს არ იჩენდა სითამამეს, ყველაფერზე თანახ-

მა იყო, მომიკლზე არასოდეს უარს არ ამბობდა. ამიტომ ამხანაგები მას უმარიფათოს უძახდნენ. როდემდის უნდა ვათრიოთ ეს გლახის ჭირიო, ასე ამბობდნენ მასზე, ირაკლი კი ასეთ მიმართვაზე იღიმებოდა, არ სწყინდა.

თანდათან ხალხი მოემატა. უკვე ყველა მაგიდა დაკავებული იყო. ზოგიერთი ფეხზეც იდგა და ელოდა, როდის გაათავისუფლებდნენ მაგიდას, რომ თვითონ დამსხდარიყვნენ. დარბაზი იხრჩობოდა პაპიროსის კვამლში, საჭმელების ოხშვიარში და ერთმანეთში არეული შეუცნობელი სიტყვების ყაყანში.

თავდაპირველად ვაქაკობის სადღეგრძელო შესვეს. მერე ქალები ახსენეს და ისინიც აღდგურძელეს. ვისაც ვინ მოწონდა, ის გაიხსენა. მშაბიჭებიც მოიგონეს და ჩაის ჭიქებით შესვეს მათი სადღეგრძელო.

მათ ლაპარაკში ხშირად ისმოდა სიტყვის გაუძებნაობა, უღალატობა, მშობა და მეგობრობა.

გივის ცოლშვილი უდღეგრძელეს. ვახტანგმა ალტაცებით წარმოთქვა სიტყვა. ხან აქო, ცოლშვილიანი ხარო, ხან გაჰკილა, ამხანაგებისათვის დაიკარგო. ბედნიერიც უწოდა. ბოლოს გაახსენდა, რომ ცოლი შინ აღარ ჰყავდა და დააიშვდა, ნუ გეშინია, თავისივე ფეხით მოვაო.

გივი თავალუნული უსმენდა. ის გონებით მათთან აღარ იყო. მართლაც გაახსენდა ცოლშვილი, რომელიც კარგა ხანია არ ენახა. სიმთვრალის დროს მწარედ შეიგრძნო თინას გაქცევა, გოგის სიშორე, თითქოს სიყვარულის გრძნობამ თავი იჩინაო, მაგრამ ამ გრძნობას მთლიანად არ ეძლეოდა. ბრახობდა, რატომ თავისი ფეხით არ დაბრუნდაო, თვითონ უკადრისობდა, არ მიდიოდა მათ მოსაყვანად. არ შევხვებოდა, თავს გაუვაო, ვნახოთ, როდემდის იჯიუტებსო, უნდა გავტეხო მისი სიკერბეო, მაგრამ ახლა, როდესაც ღვინომ გრძნობა დაუტეხო, თინაც

მოენატრა, გოგის ნახვაც მოესურვა. მის გულში ბრაზი და სიყვარულის გრძნობა ერთმანეთს იშვილებოდნენ. ბოლოს მაინც სიყვარულის გრძნობამ გაიმარჯვა და ჩაიმღერა:

„ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად, შემოვძახოთ მეგობრულად!“

დანარჩენებიც ასყვენენ.

ოფიციალტი მოვიდა და წყნარად მიმართა:

— აქ სიმღერა არ შეიძლება!

— შენი რა საქმეა, შე... — მიამახა გივიმ.

— თქვი, რა შე? — შეუბღვირა ოფიციალტმა.

— წადი, წადი. თავი დამანებე! — ხელი აუქნია გივიმ და სამადლობელი გადაჰკრა, მაგრამ მაღალფეხიანი ჭიქა მაგიდაზე დადგმის დროს ისე მაგრა დაარტყა, რომ ჭიქა გატეხა. „როგორ მიხედავს, როგორ მიხედავს!.. — ბუზღუნებდა თინაზე ჯავრით მოწამლული.“

ვახტანგმა შეხედა გივის, ჭიქის გატეხვის მიზეზს ვერ მიხვდა. დარდიმანლობაში არ მაჯობოსო, გაიფიქრა და იმანაც დაჰკრა მაგიდას ჭიქა. მეზობელი მაგიდიდან ერთი კი შეავლეს თვალი, მაგრამ ხმა არ გასცეს. ჩვენი საქმე არ არისო. მსხვერვის ხმაზე ოფიციალტი შემობრუნდა, შეწუხებული სახით, ზრდილობითაც და მოკრძალებითაც მიმართა:

— ბიჭებო, ამ ჭიქებმა რა დაგიშვათ, რად ამტვრევთ? ეს თქვენ არ გეკადრებათ!

— ვითომ რატომ არ გვეკადრება? — დაცინვით შეეკითხა გივი.

— იმიტომ, რომ ჰკვათამყოფელი კაცი ტყუილ-უბრალოდ არ დაამტვრევს ჭიქებს!..

— წადი და შენი ცოლშვილი დაარიგე!..

— არა, ბატონო, მე თქვენ არ გარიგებთ. მე გთხოვთ, წესიერად მოიქცეთ. აბა, როგორ უნდა დაგარიგოთ, მამათქვენმა ჰკუთა ვერ გასწავლათ და ასე უცებ მე როგორ გასწავლით!

— აბა, პირი მოკეტე! — მწყრალად მიძახა გვიმ. — ერთი ამას დამიხედე, მამაჩემსაც რომ გადასწედა. მამაჩემს როგორ ახსენებ, შე!..

— რა, შე?

— არაფერი. წადი. ოთხი ბოთლი ღვინო კიდევ მოიტანე. ამას ყურადღებას ნუ აქცევ. ბოლმბაზეა მოსული! — ლაპარაკში ჩაერთა ვახტანგი. სცადა ოფიციალური დაეშოშმინებინა.

— ისიც შეაწვევინე, ის, თქვენი ნაერთხალი ვარია! — დაუმბა გვიმი.

ღვინო თავში შეუჯდრათ და უფულობა აღრაფრად მიიჩნდათ.

ოფიციალტმა ჩუმად მოაგროვა ჭიქის ნამსხვრევები და წავიდა.

გვიმი ბოთლში დარჩენილი ღვინით ჭიქების შევსება დაიწყო. მეოთხე ჭიქა ნაკლები დარჩა. ელოდნენ ღვინოს, მაგრამ ოფიციალტი არ მოდიოდა. ამ დროს მერზობელი მაგიდა გათავისუფლდა. ლევანი შემოვიდა ამხანაგით და თავისუფალ მაგიდას მოუსხდნენ.

— რას ისურვებ, გაიოზ? — ჰკითხა ლევანმა ამხანაგს, რომელსაც ზმირ თმაში თეთრი შერთვოდა, მაგრამ ულუაშები მთელ ზედაბაგებზე შავად და სქლად ჰქონდა გადაწვენილი. ცისფერი წყლიანი თვალები და საკმაოდ მაღალი შუბლი გულმისაზიდს ზდიდა მას.

— შენ შენი საქმე იცოდე. დაჯექი და ცოტა ილაპარაკე. ეს მე ვიცი რასაც მოვითხოვ. გახსოვდეს რომ შენ ჩემი დაპატიყებული ხარ. ხო გაიგე? — მიუგო გაიოზმა და აულაგებელ სუფრას უსიამოვნოდ გადაავლო თვალი.

ლევანს გაეღიმებოდა.

მოირბინა ოფიციალტმა.

— ალაგეთ, და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად. ჩვენ დრო ცოტა გვაქვს. რომ არ გაცდეთ, ყური დამიგდეთ. რაც კარგი და გემრიელი გქონდეთ, ორი კაცის სარგო, რაც შეიძლება ჩქარა გააჩინეთ აქ. ერთი ბოთლი ქინძმარაულიც მოგვიტანეთ. მეტი არ დაგვიჭირდება.

ოფიციალტი ღმილით უსმენდა გა-

იოზს, თანაც თეფშებსა და დანაჩანგალს ალაგებდა.

— ვითომ გვეყოფა ერთი-მეორე? — იჭენეულად იკითხა ლევანმა.

— გვეყოფა. ჩვენ აქ დასათრობად არ შემოვსულვართ. ჰოო, ამას თავი დავანებოთ. ახლა, ეს მითხარი, როდის ამთავრებთ ჰიდროსადგურს?

— ჯერ სადაა. სამი წელიწადი მაინც დაგვიჭირდება.

— ეს სამი წელიც მალე გაფრინდება, ასე არ არის?..

— გაფრინდება! — მიუგო ფიქრში წასულმა ლევანმა, — ასეა, ასე! — ლევანი გულნაკლულად გამოიყურებოდა, გაიოზი კი მხიარულად, ისე თითქოს მის გულს არასოდეს დარდი არ გაჰკარებოდეს.

შეჭედიანებულმა ყმაწვილებმა ახლადშემოსულებს გადახედეს და მათ ლაპარაკს მიუგდეს ყური. მეგობრული ტკბილი ბაასი სასიამოვნოდ ჩაესმოდათ ყურში.

— ვახტანგ, ხედავ ამათ? — ჩაილაპარაკა გვიმი, — კაი კაცები ჩანან. ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე ტკბილი სიტყვით მაგათი გული მოვიგოთ. შეიძლება სულაც მაგათ გადაიხადონ ჩვენი დანახარჯი.

ვახტანგმა ითაკილა.

— რა დაგეშართა. ხელზე ოქროს საათი გიკეთია და დანახარჯისა გეშინია? — მწყრალად მიუგო ვახტანგმა.

— არ მეშინია, მაგრამ, როგორ გამოვეტყდეთ, რომ ფული არა გვაქვს.

— ეს მე ვიცი! — უთხრა ვახტანგმა და საინზე ჩანგალი ააწკრილა.

ოფიციალტი შუბლშეკრული მიუახლოვდა მათ.

— ღვინო! — ესროლა ვახტანგმა ბრძანებით.

— ღვინოს ველარ მოგიტანთ!

— როგორ თუ ვერ მოგიტან!

— ვერა, ბატონო, ჩვენ ღვინოს იმას ვასმევთ, ვინც სმა იცის, ვინც ღვინის ყადრი იცის! — უთხრა და გაბრუნდა.

ყმაწვილებმა ერთმანეთს შეხედეს. საგონებელში ჩაეარდნენ, ღვინის სმის

ხასიათზე სწორედ ახლა იყვნენ, ღვინოს კი აღარ აძლევდნენ. აქეთ-იქით თვალს აცეკებდნენ; იქნებ ვინმე ნაცობი ვნახოთ და ღვინო გამოგვიგზავნოსო. ვერავენ ნახეს. „ისევ ესენი უნდა წამოვაგოთ ჩანგალზე. სხვა გზა არ არის. მართალია, ის ერთი უცხვირპიროა, მაგრამ ის მეორე ხომ კარგ კაცსა ჰგავს, კეთილს, გულუბრყვილოს. თანაც ნაბდის ქუდი ახურავს. ეტყობა კახელია, ღვინის კუთხიდან. ღვინის წესები კარგად ეცოდინება!“ — გაიფიქრა გივიმ და ხელში ჭიქა აიღო, ფეხზე წამოდგა და მეზობლებს მიმართა:

— ნება მიბოძეთ, ძმები გიწოდოთ, უფროსი ძმები. სხვანაირად ვერ მოგმართავთ. იცით, დაგინახეთ თუ არა, მაშინვე მომეწონეთ, სადღეგრძელო, რომელსაც მე ახლა ვიტყვი, აი, ჩემი ამხანაგების სახელით გთხოვთ, თქვენც მიიღოთ!

ლევანი ღიმილით შესცქეროდა, გაიოხმა კი შუბლი შეიკრა. ჯავრობდა კიდევ, ჩვენს სუფრას რად გადმოსწვდნენო, მაგრამ, ეტყობოდა, თავს იკავებდა და არაფერს ამბობდა.

— ბრძანეთ, ბრძანეთ. სიამოვნებით მოგისმენთ! — გამოეპასუხა ლევანი. გაიოხი კი თანხმობის ნიშნად ხმაამოუღებლად იქნედა თავს.

— მე მინდა ჩვენი სამშობლო ვადღეგრძელო. ვიცი რომ თქვენ სამშობლო გეყვარებათ. გამარჯვებული იყოს, აყვავდეს და გაძლიერდეს!..

— კარგია, კარგია! — გაიძახოდა ლევანი. — გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..

გაიოხი კი იბზვირებოდა.

გივიმ ჭიქა გამოსცალა, მეზობლებს გადახედა და სამაგიერო სიტყვას დაელოდა.

გაიოხი წამოდგა, გივის შეხედა, სახეში ჩააცქერდა და როგორც ოხვრა ისე აღმოხდა გულიდან:

— გაუმარჯოს, ყმაწვილო, ჩვენს სამშობლოს, მაგრამ ნება მიბოძეთ შეგვეითხოთ, პირადად თქვენ რას აკეთებთ სამშობლოსათვის?! ღვინით სავ-

სე ჭიქებით რომ ვიძახოთ, სამშობლოს გაუმარჯოსო, ამით რა ვაკეთებთ?.. არაფერი! ასე იღწვით, ყმაწვილო, სამშობლოსათვის?!.. საქმით, საქმით დაამტკიცეთ სამშობლოს სიყვარული. საქმის მოკიდეთ ხელი. თავი დაანებეთ სადღეგრძელოებს, ეს არაფერს გვაძლევს!.. — მან ჭიქა მოწყვეტილად მოსვა და დაჯდა. ლევანს კი სახეზე ღიმილი შეაშრა.

— მართალია, ყმაწვილებო, საქმეა საჭირო. გულით და სულით ვუერთდები თქვენს სადღეგრძელოს! — თქვა ლევანმა და ნელინელ დალია ღვინო.

სიჩუმე ჩამოეარდა. მეზობლებმა თვინთ სუფრაზე თავი დახარეს. იქვე გაწყდა ის ძაღვი, რომელიც მათ შორის უნდა გაბმულიყო.

გივის უნდოდა ეთქვა, რომ ის ინეინერია, მუშაობს კიდევ, მაგრამ ასეთი პასუხის გამო სახტად დარჩა და ხმა ჩაუწყდა, ვერაფერი თქვა.

— ეს ვინა ყოფილა? — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— ერთი ამის ეხვირს დამიხედეთ, რამ სიგრძეზე ჩამოუქვია! — დააყოლა ვახტანგმა.

გივი გამშრალი იჯდა. „ასე იღწვით, ყმაწვილო, სამშობლოსათვის!“ — კვლავ ჩაესმოდა ეს სიტყვები. „შენ ვილა ხარ? ნეტავი ვაგვაგებინა შენ როგორ-ღა იღწვი სამშობლოსათვის?“ — ეკითხებოდა გულში, ოღონდ ხმას არ იღებდა.

ვახტანგი ოფიციალურად მივიდა. იქ კარგა ხანს ელაპარაკა, ბევრი ეხვეწა და ბოლოს მაინც დაითანხმა და ოთხი ბოთლი ღვინო კიდევ მოუტანეს. ძმაბიჭებმა ღვინო რომ დაინახეს, გამხიარულდნენ და ხალისიანად განაგრძეს სმა.

ცოტა ხნის შემდეგ მათი მეზობლები ოფიციალურად გაუსწორდნენ. წასვლის წინ ლევანმა ღიმილით გადახედა ახალგაზრდებს და უთხრა:

— არ გეწყინოთ, ყმაწვილებო, ასეთი ფიცხი მეგობარი მყავს. თავისებური კაცია და რა ვქნა. ნუ დაგვემღურობით!..

— რა საქმე აქვთ ჩვენთან. ვიცი მ-
გათი ამბავი. გულს გაუხსნი და სუფ-
რაზე შემოგისხდებიან. არ ეტყობათ,
რომ უქნარები არიან?! — ეუბნებოდა
გზაში გაიოზი ლევანს.

გივის გული ჩასწყდა. შეურაცხყო-
ფილად გრძნობდა თავს, ხმას არ იღებ-
და. „ასე იღწვით, ყმაწვილო, სამშობ-
ლოსათვის!“ — ჩაესმოდა ყურში. მას
ძალიან სწყინდა ეს სიტყვები. უფრო
იმიტომ სწყინდა, რომ ეს მართალი
იყო და ეს სიმართლე ყოველმხრივ
ეხებოდა მას.

ოთხი ბოთლიც გამოსცალეს. ღვინო
მეტი აღარ მოუტანეს და წამოდგნენ.
დადგა ყველაზე მძიმე წუთი. ფული
უნდა გადაეხადათ. ირაკლი, მხდალსა
და გლაზის ჭირს რომ ეძახდნენ, ადრე
გაუშვეს. ოფიციატმა ერთი მათგანის
წასვლა რომ შეინიშნა, შეეშინდა, ყვე-
ლანი არ გამეპარონო და მაშინვე სუფ-
რას მიეარდა. უცებ უანგარიშა.

— ჩვენზე იყოს! — ხმადაბლა უთხრა
ვახტანგმა.

— როგორ თუ თქვენზე იყოს, ეს
სასადილო ჩემი კი არ არის?!

— მერე რა მოხდა, ჩვენზე იყოს.
რაღაც ორასი მანეთის გამო თბილისი-
დან ხომ არ გავიქცევით! — შეეშველა
შოთა ვახტანგს.

— სანამ ფულს არ გადაიხდით,
თქვენ აქედან ვერ წახვალთ!

გივი ჩუმად იჯდა. ხმას არ იღებდა.
უცდიდა, დაიყოლიებდნენ თუ არა
ოფიციატს ნისიაზე. როცა დარწმუნ-
და, რომ ოფიციატის სიჯიუტეს ვერ
გასტეხდნენ, მაჯიდან ოქროს საათი
შეიხსნა და მაგიდაზე დადო.

— აჰა, შე... — მიმართა მან ოფიცი-
ანტს. — ამას გიტოვებ. ხვალ მე თვი-
თონ მოგიტან ორას მანეთს. წელან რომ
ბიჭი წავიდა, მისი დაპატივებული ვი-
ყავით, ის გაიპარა, რას იზამ! ხმა არ
ამოიღო, აიღე, შეტრიალდი და წადი!

ოფიციატს შეეშინდა გივის არ
ეთქვა ის რაც „შე“-ს შემდეგ იფარე-
ბოდა და მართლაც შებრუნდა, ოღონდ
საათისათვის ხელი არ უხლია.

— წადით! — თქვა მან და მეორე
დარბაზისაკენ გაემართა.

— ბიჭოს, კარგია! — წამოიძახა ვახ-
ტანგმა.

— ხოო და რა მოხდა, ხვალ მოეუ-
ტანთ და ეს არის. მორჩა?... — თქვა
შოთამ.

— არა, მე ვიცი, როგორც მოეუ-
ტანთ! — ჩაილაპარაკა გივიმ. მან საათი
აიღო და ოფიციატისკენ გაეშურა.

ვახტანგი და შოთა კარისკენ წავიდ-
ნენ.

— უკაცრავად, თქვენნი სახელი? —
მიმართა გივიმ ოფიციატს.

— ვიქტორი.

— ვიქტორ, შე კაი კაცო, რაზე გვი-
წყრები, განა შენ ახალგაზრდა არა
ყოფილხარ? ასეთი არაფერი დაგმარ-
თნია?

ოფიციატმა რომ გაიგო „შე კაი
კაცო“, გულზე მოეშვა, ალბათ არც
მაშინ მლანძღავდაო და გულთბილად
მიუგო:

— შეიძლება უარესიც დამმართნია,
მაგრამ ჩემის ნებით ცუდი არაფერი
ჩამიღენია!

— კარგი, რაც იყო, იყო. ამას ნუ
გამოუღდები. ძალიან გთხოვთ ეს საათი
დაიტოვო. პატიოსანს სიტყვას გაძლევე
ხვალ ან ზევ მე თვითონ დავიხსნი.

— არა, შევილო, არ მინდა. ამით
მახარებთ? მე ოქროს საათი არასოდეს
არა მქონია, მაგრამ უბედურად არ
ჩამითვლია ჩემი თავი. წადით, ვითომ
ჩემი შევილებისთვის მიუშვევია პური.
ოღონდ სხვა დროს ნუ იზამთ ამას.
წადით, ალალი იყოს!

— არა, თუ საათს არ დაიტოვებ,
ვერ წავალ. — მიუგო გივიმ და საათი
ძალით ჩაუღო ჯიბეში.

გივი წავიდა. მხოლოდ ერთხელ მიი-
ხედა უკან, ოფიციატი ხომ არ მომ-
დევსო. ოფიციატი უკან არ მისდევდა,
ოღონდ გასცქეროდა კი...

— ოჰ, რა ბიჭია, ანგელოზს არა
ჰგავს? მაგრამ, ნეტავი სად გაიზარ-

და?! — ჩაილაპარაკა ოფიციალტმა თავისთვის.

როდესაც გივი პროსპექტზე ავიდა, ვერც ერთი ამხანაგი ვერ ნახა. ისინი წასულიყვნენ. ამხანაგი მიატოვეს, თავის თავს თვითონ მოუვლისო. დაიწყებოდათ სადღეგრძელოში ნათქვამი მშობის სიმტკიცე.

გივი მთვრალი იყო, მაგრამ თავი კარგად ეჭირა. საათის დატოვება იმდენად არ აჯავრებდა, რამდენადაც ის ვილაც ნაბდის ქუდიანი კაცი... „თქვენ, ყმაწვილო, აგრე იღწვით სამშობლოსათვის?“ — ისევე თვალწინ ედგა და ეკითხებოდა, — „შენ როგორ იღწვი? შენ ვილა ხარ?.. მე ჭკუას მასწავლი და ვინ იცის შენ თვითონ რა გაიძვერა კაცი ხარ! ქურდი, კომბინატორი, მეჭრთამე! მაგრამ, რას ვჯავრობ მასზე? რა დამიშავა?.. რა მითხრა ისეთი, ასე რომ ეწყრები?“

ოპერის შენობასთან მივიდა და ტროლეიბუსს დაელოდა: შეხება იქვე ამართულ საათს. თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა. გაჩერებასთან ვილაც უცნობი ვაჟი იდგა. ერთმანეთს შეხედეს.

— გამარჯობა! — მოკრძალებით უთხრა უცნობმა.

— გაგიმარჯოს! — გაეხარდა გივის ადამიანის გამოლაპარაკება.

— ხომ არაფერი გიჭირთ? — ჰკითხა უცნობმა.

— რატომ მეკითხებით?

— ძალიან შეწუხებული გამოიყურებით. თუ რამე გიჭირთ, იქნებ მე შეემძლოს, დაგეხმაროთ.

— არა, მადლობელი ვარ!

უცნობი ახლოს მივიდა. ღვინის სუნის შეიგრძნო და გაიღიმა.

გივიმაც გაუღიმა, ოღონდ ერთმანეთისა ვერ გაიგეს, რისთვის იღიშებოდნენ.

ტროლეიბუსი შმაგივით მოვარდა. მესამე ნომერი იყო.

— არ მოდიხართ? — ჰკითხა გივიმ.

— არა, მე მეოთხე ნომერს ველოდები.

— მშვიდობით, — ხელი დაუქნია გივიმ.

დიდუბისაკენ მიდიოდა: დაინახოს სტადიონთან რომ ჩამოხტა, გადაავიწყდა რესტორანი, ნაბდისქუდიანი კაცი და ოფიციალტი. ახლა თინა და გოგი დაუდგნენ თვალწინ.

„რამდენს მიზედავს! — ფიქრობდა გივი, — შინ არ მობრძანდება, ერთი იმ ქალბატონს დამიხედეთ!“

ტრამვაიში გადაჯდა და ახლა პროსპექტზე აგრილდა ვაგონები.

„ამალამვე წაფიყვან შინ! გაბედოს და უარი მითხრას!“

„მეხუთე გაჩერება“, „მეექვსე გაჩერება“, „მეშვიდე გაჩერება!“ — სთვლიდა. მერე ჩამოვიდა და ორიოდ წუთში თინას სახლის წინ გაჩნდა.

„ავიდეს თუ არა?“ — ყოყმანობდა კარგა ხანს.

ერთი კვირის წინათაც მოვიდა გივი თინასთან. ცოლშვილის შინ წაყვანა უნდოდა. კიბეებზეც ავიდა. ბნელოდა და არავის არ დაუნახავს. ათი წუთი მაინც იდგა კართან. ვერ გადაწყვიტა ზარის დარეკვა. ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, ფიქრში წასულმა მოსწია. იდგა და ფიქრობდა, დაერეკა თუ არა. მაინც არ დარეკა. სოჯიუტემ, ამპარტავნობამ, თვითმოყვარეობამ ნება არ მისცა შესულიყო, ადამიანურად ეთხოვნა, შინ წამოდიო. გამობრუნდა და გულგრილად ჩაირბინა კიბე. გივი მაშინ ფხიზელი იყო. ახლა ველარ გაბრუნდებდა უკან, ახლა მთვრალია. მაშინ სიფხიზლემ შეუშალა ხელი, ახლა სიმთვრალე შეუწყობს ხელს.

და გივიმ ზარი დარეკა.

გვიან იყო. ოჯახს შეშფოთება დაეტყო. სკამების მიწვე-მოწვევა. ელექტრონის ანთება.

— მოდი, შვილო, მოდი! — გულმოკლულად მიმართა თამარმა. — მერე თინას გასძახა:

— გივი მოვიდა, მიხედე!

თინა არ გამოეპასუხა. თამარი აივანზე გავიდა, რომ გივისთვის ხმა არ გაეცა, მოლოდინში მოთმინებიდან გამო-

სული გივი წინა ოთახში შევიდა. თინა საწოლ ოთახში იყო და არ გამოდიოდა. გივიმ საწოლ ოთახში დააპირა შესვლა, მაგრამ თინამ კარი გადაკეტა.

— ცოტა ხანს გამოდი, სათქმელი მაქვს!

თინამ არ უპასუხა.

დააბრაუნა და ხმამაღლა დააყოლა:

— არ გესმის?..

— რა გინდა, რა?

— გამოდი და გეტყვი.

კარი გაიღო და გამოვიდა თინა. ის სადად იყო ჩაცმული, დეარცხნილი, სამაგრებით კეფაზე შემორგვალებული თმით. საშინაო ჭრელ ხალათში და მაღალქუსლიან ქოშებზე.

სულ სხვად ეჩვენა გივის თინა, არც ეს ხალათი ახსოვდა და არც ეს ქოშები. თითქოს დამსხვილდაო, დიდ ქალად მოეჩვენა. სახითაც შეცვლილიყო. თვალებში ნალექი უკრთოდა.

— შინ მოსვლას აღარ აპირებ? — ისე შეეკითხა, თითქოს მხოლოდ წინა დღეს დაშორებულებიყვნენ ერთმანეთს.

— დღემდე არ იცოდი?..

— რა?

— დაბრუნებას რომ არ ვაპირებ!

— წამოდი, ნუ ჯიუტობ. მე უშენოდ რა ვამაძლებინებს!

მწარედ გაეღიმა თინას.

— აქამდე როგორ გასძელი? ძალიან გვიან გაგახსენდი. ბავშვსაც არ მოაკითხე!

გივიმ საცოდავი გამომეტყველება მიიღო.

— ბავშვს ჩააცვი და წაეიდეთ.

— გახსოვს საფერფლე?..

გივიმ არ უპასუხა.

— მაშ რაღა გინდა ჩემთან. თუ კი შენ ჩემზე დასარტყმელად წამოიწიე, როგორღა უნდა ვიცხოვროთ ერთად. დღეს საფერფლე, ხვალ მუშტი, ზეგვინ იცის რას მესვრი!..

— არაფერსაც არ გესვრი, მაგრამ, იცი რა, თავზე ვერ დავისვამ. ცოლი ცოლ უნდა იყოს, ქმარი კიდევ—ქმარი! შენ ცოლი ხარ და ცოლი იყავი. მბრძანებლობას ნუ კი დამიწყებ. მე შენ

არაფერს გაკლებ, ყველაფერი გაქვს.

— ყველაფერი?

— აბა რა გაკლია?

— შენი ადამიანობა მაკლია, სითბო მაკლია. ბოლოსდაბოლოს წესიერი სიტყვა მაკლია!..

გივი მაინც ვერ მიხვდა რა აკლდა თინას. რომ ეთქვა, სასმელ-საჭმელი მაკლიაო, ტანთ არ მაკვიაო, ჭერი არა მაქვსო, უცებ გაიგებდა, მაგრამ თუ მეგობარ ქალს წყალზე და პურზე უწინარეს გულის სითბო ენდომებოდა, გულისხმიერება და ყურადღება ყოველდღიურ პურივით დასჭირდებოდა, ეს გაუგებარი იყო მისთვის.

„ადამიანობა“, „სითბო“, „გულისხმიერება“ — რაზე მესაყვედურება? ფიქრობდა და გაშტერებული მისჩერებოდა სახეში. ისე გრძნობდა, თითქოს ყველა ამას თინა კი არ ლაპარაკობდა, არამედ ვინმე სხვა, მისთვის უცნობი ქალი.

— როგორც ჩანს, მე სხვა ვარ, შენ — სხვა. მე არ შემიძლია ორგულ კაცთან ცხოვრება. წადი და მიხედე იმ საცოდავ ქალებს, რომლებიც წუთიერ სიყვარულს ეძებენ, შემთხვევითი ალერსისათვის თავს კარგავენ. შენ ეს სასახლოდ მიგაჩნია, ვაქცავობა გგონია, მე კი ამას სამარცხვინოდ ვთვლი!..

თინა შებრუნდა და სამზარეულოში გავიდა. იქიდან გაისმა ბრაზით წართმეპული სიტყვები:

— ჩვენს ოჯახში ფეხი აღარ შემოდგა. მძულხარ და შენი დანახვა გულს მიწუხებს! სასამართლოში დაგიბარებენ. იქ გამოჩნდება რა კაციცა ხარ!..

გივი ამ სიტყვებმა გამოაფხიზლეს. შუბლი შეიკუმუნა, თვალები დაწკურა. „ეს რა მესმის?“ — გაიფიქრა. გონს მოვიდა. შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. თავმოყვარეობამ იფეთქა და უცებ წელში გაიმართა. მაგიდას მუშტი დაარტყა. წყლით საეგვრაფინზე სარქველი აწყრიალდა.

— ვინც შენ დღეის იქით შეგებევწოს, კაცი არ იყოს!.. შენზე კი არ დამდგომია თვალი! — შეპყვირა და გარეთ

გავარდა. კარიც გაიჯახუნა. კიბეებზე ლანძღვით ჩაირბინა. იგინებოდა.

სოსოს ეძინა. მაგიდაზე მუშტის დარტყმამ გამოაღვიძა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. უფროსების საქმეში არ ჩაერია. ოღონდ კიბეებიდან უწმაწური ლანძღვა რომ შემოესმა, წამოხტა, უნდოდა დადევნებოდა. დედამ არ გაუშვა, შეაჩერა. სოსო უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო, ღონეც ერჩოდა, ლანძღვა-გინებისთვის ვალში არ დარჩებოდა.

თინა მთელი ღამე შფოთავდა. თუ ჩაეძინებოდა, ისევ ეღვიძებოდა, მისი ტირილი დედას რომ არ გაეგონა, ჩუმად ქეითინებდა, ცდილობდა არ შეეწუხებინა ისედაც გამწარებული ქალი.

— ხო დანახე ვისთან ვცხოვრობდი?! ყოველ ღამე ასე მთვრალი მოდიოდა. თუ კი შეველაპარაკებოდი, ლანძღვა-გინებას არ მაკლებდა. იმაზეც კი ბრაზობდა, როდესაც ჩუმად ვიყავი და სულ არ ცეცმდი ხმას. ხმა ამოიღეო, რას გაჩუმებულხარ, რა კოპები შეგიკრავსო. რომ შემოვალ, უნდა გაიცინო, უნდა გაგებარდესო! მოდი და გაიცინე და გაიხარე მთვრალი ქმრის დანახვაზე. მითხარი, მტყუანი ვარ?..

— მტყუანი ხარ, შეილო, მტყუანი! შეილისათვის უნდა შეინარჩუნო მისი თავი. შენ პირველ ბედს ხელი არ უნდა ჰკრა. ბავშვს მამა უნდა შეუნარჩუნოს. სჯობია შენ დაიტანჯო, ვიდრე შეილი ჩაგდო სატანაჯელში..

თინა დედისაგან ასეთ პასუხს არ მოელოდა. „შენ მე არ გიყვარვარ“, უსაყვედურა და დამდურებული ჩაწვა ლოგინში. არავის ესმოდა მისი ჩუმი ქვითინი.

XXVIII

გივი ბრანმოჩეული მიდიოდა. ჯაგარი ახრჩობდა. სული ეხუთებოდა. მთლად გამოფხიზლდა. ნაბიჯი ააჩქარა, ცდილობდა გაჰქცეოდა იმ ბრაზსა და ჯაგარს, გულში რომ უტრიალებდა. ასე მივიდა ტრამვაის გაჩერებამდე. აქ შეჩერდა და შეეცადა დაწყნარებულიყო.

ლიანდაგს გახედა, მერე ცას ახედა. უღრუბლო ცაზე ვარსკვლავებიც უცნობი მებდნენ. ამან, თითქოს, ლანძღვაწინაა. მართლაც იმედის სანთლებივით ბრწყინავდნენ აღრიანი შემოდგომის ვარსკვლავები.

კიდევ გახედა ტრამვაის ლიანდაგს. ტრამვაი არ ჩანდა.

სულ რამდენიმე წუთის წინათ უკანასკნელმა ვაგონებმა ჩაიგრაილეს. დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. არ მიდიოდა, ელოდა, იქნებ ტრამვაი მოვიდესო.

„რომელი საათია?“ — ეკითხებოდა თავის თავს.

წამაღუწუმ მაჯაზე დაიხედავდა რომ დრო გაეგო, მაგრამ მაშინვე, მის გულს რაღაც სჩხვლევტა. ავიწყლებოდა რომ საათი აღარ ჰქონდა.

„ასე ილწვი სამშობლოსათვის?“ — ჩაესმოდა ყურში.

„ნეტავი შენ როგორღა ილწვი, არ შეიძლება ჩვენც ვიცოდეთ?..“

„ალალი იყოს, ვითომ შევიღებისათვის მიჰმეგია!“.. — ერთი იმ საცოდავ ოფიციატს დამიხედეთ, ალალი იყოსო!“.

„მაკლიო, სითბოო... სიტყვაო... კიდევ? კიდევ რა გაკლია?!“.

„ეს რა დღე დამიღდა?!.. ვის გადავეყარე?!.. ყველა მე შემტერება!“..

— ბოდიში, ასანთი ხომ არა გაქვთ. ერთი, პაპიროსს მომიკიდეთ!

გივიმ ჯიბეზე ხელი იკრა. ასანთი მოიგდო ხელში. კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო და აანთო. მოუკიდა.

— გმადლობთ.

— არაფერს.

ასანთის შუქზე გივიმ უცნობს ამღვრეული თვალებით შეხედა. მხოლოდ ის შენიშნა, რომ ისიც ახალგაზრდა იყო. ის მაუღის ფაბრიკიდან გამოვიდა. უცნობმა ნაფაზი დაარტყა და მიძიმედ ამოიხარა.

— ტრამვაი აღარ დადის?

— ეს ხმა გივის გულთბილად შემოესმა და ხმადაბლა მიუგო:

— ეტყობა აღარ დადის, კარგა ხანია ვუცდი, არა ჩანს!

— ფეხით მოგვიხდება წასვლა. ოჰ,

ეს როგორ დამემართა! — სწუხდა უცნობი. — როდისღა მივალ სახლში?

უცნობმა კიდევ ერთხელ გახედა ქუჩას და ხელი ჩაიქნია. — „ტრამვეთი აღარ მოვა!“ — გადაწყვიტა.

ფეხით გაუდგნენ გზას.

ჩუმად მიდიოდნენ. გივი დროდადრო შეხედავდა ხოლმე უცნობ თანამგზავრს და რადგან სათქმელს ვერ პოულობდა, ისევე ჩუმად, ხმაამოუღებლად განაგრძობდა გზას.

— ხშირად გემართებათ ასე? — იკითხა უცნობმა.

— როგორ?

— აი, ასე, როცა ტრამვეის ვეღარ მოუსწრებ და ფეხით გიხდება წასვლა?..

— არა, პირველად შემემთხვა.

— მე ხშირად.

კვლავ ფეხშეწყობილად მიდიოდნენ. მიუყრებულ პროსპექტზე, მიძინებულ სახლებზე ელნათურები ციმციმებდნენ. ერთ საღარბაზო კარიდან კატა გადმოხტა, მან რბილად, უხმაუროდ გადაიბრინა ქუჩა.

— პრელი იყო.

— მეც აგრე შევნიშნე.

— მე შეგონა თქვენ აქ რომელიმე ქარხანაში მუშაობდით და სამუშაოს შერჩით! — უთხრა უცნობმა. — მე დღესაც აგრე დამემართა! საქმეს თავი ვერ მივანებე.

— რა საქმეს?..

— საქსოვი დაზგა გადავაკეთე. ამას მოსდევს დროისა და მასალის ეკონომია!..

— დროის ეკონომია? — იკითხა გივიმ.

— ესე იგი დროის ნაკლებ მონაკვეთში მეტის გაკეთება.

— მესმის.

ისევ გაჩუმდნენ.

მიწნარე პროსპექტზე, მიუყრებულ სახლებს შორის, მათი ფეხის ხმა მკაფიოდ ისმოდა.

გივის უნდოდა ესაიამოვნებინა უცნობისათვის და ნატყრასავით უთხრა:

— ცოტა ადრე რომ ყოფილიყო, თითო ბოთლი ღვინო რომ დაგველია, ცუდი არ იქნებოდა, არა?..

— ასე გვიან? იცი, ძმაო, არ დაეფარავ, მე ღვინო მიყვარს, ესკვამ კედლებზე, ოღონდ ყოველთვის თავს უდრეხავ. ეხლა ისე გვიან არის, ღვინოც რომ იყოს, მაინც არ დაველე. ხვალ დილით სამუშაოზე უნდა გავიდე. ნაღვინევი და ძილგატეხილი როგორღა ვიმუშაებ?..

— ხვალ ნუ წახვალ სამუშაოდ, მორჩა და გათავდა!

უცნობი გაჩერდა და ღიმილით შეხედა გივისს.

— რას იღიმები, რა მოხდება, ქვეყანა ხომ არ გადაბრუნდება?..

— ქვეყანა არ გადაბრუნდება, მაგრამ, არ ვიცი, როგორ ვთქვა. აი, მაგალითად, თქვენ ხომ სადმე მუშაობთ? რალაცას ხომ აკეთებთ?.. ამხანაგები ხომ გყავთ?.. საქმეში რომ უაღაღატო, გელოდებოდნენ და ერთი ლიტრა ღვინის გამო არ მიხიდიეთ, მართალია ქვეყანა არ გადაბრუნდება, მაგრამ...!

— ხოო, მესმის, მესმის. თქვენ გინდათ, თქვათ რომ უთქვენოდ საქმე გაფუჭდება. სხვა ვერ შეასრულებს იმას, რასაც თქვენ ასრულებთ!

— არა, მე მაგას არ ვამბობ. შეიძლება ჩემზე უკეთესადაც შეასრულონ, მაგრამ რადგან ის საქმე მე მევალება, მე უნდა გავაკეთო. თუ არ გავაკეთებ, სირცხვილს ვჭამ!

გივიმ არ უპასუხა.

შეუმჩნევლად ფეხს აუჩქარეს და დალაღვა იგრძნეს.

— ტაქსი მაინც გამოივლიდეს! — თქვა გივიმ.

— რალად გვინდა ტაქსი. რამდენიმე წუთიც და სტადიონამდე მივალთ. მე იქიდან შორს აღარა ვარ.

— სტადიონიდან იოლია. იქ დილაამდე არ სწყდება მოძრაობა. რამე მანქანა შეგეზვდება და გავყვებით.

— მაგას ფული უნდა.

— ჩაესხდებით და წავალთ. თუ ფული არ გვექნება, არც მივცემთ. რა მოხდება, რას გვიზამს? — თქვა გივიმ და სიცილი დააყოლა.

— სირცხვილია. კაცმა თავისი ღირსება ყველგან და ყოველთვის უნდა და-

იცავს. უცნობ კაცს რატომ უნდა გაა-
ლანძღვინო თავი?..

— გამლანძღავს და მე ვიცი მისი.
თავბედს ვაწყვევლინებ!..

უცნობი გაჩერდა. განცვიფრებით შე-
ხედა გივისს. ამოისუნთქა რომ დაღლილს
სული მოეთქვა.

გივიც შეჩერდა.

— თქვენ მე ვერ გამიგეთ. შეიძლება:
იმან ხმაც არ ამოიღოს, მაგრამ გულ-
ში?.. გულში ხომ უეჭველად შემოგა-
გინებთ! ვინც არ იცის ვინა ვარ, რად
გავალანძღვინო თავი?..

— გულში? გულში რამდენიც უნდა
იმდენი მლანძღოს, მე ხომ ვერ გავიგებ.
ისევე განაგრძეს ზაზა.

— თქვენ ალბათ აქ ქარხანაში მუ-
შაობთ, არა? — ჰკითხა უცნობმა.

— დიხს ქარხანაში.

გივიმ არც კი იცოდა თუ აქ ქარხა-
ნა არსებობდა.

— რაზე?..

— მე ინჟინერი ვარ!

ისევე გაჩუმდნენ.

„ინჟინერი ყოფილა, — გაიფიქრა გი-
ვიმ, — მე კი?“..

— რა გქვიათ?..

— გივი. თქვენ?..

უცნობი გაჩერდა და სახეში მიაჩერ-
და. პატარა ხანს უცქირა. ამ სახელის
გაგონებაზე რაღაც გაახსენდა.

— თქვენ რაღა გქვიათ?..

— გეტყოდით ჩემს სახელს, მაგრამ
სულ არ მინდა თქვენი ნაცნობობა. გი-
ცანით, ვიცი, ვინცა ხართ!..

— რას მერჩით, ძმავო? — შეეკითხა
მოულოდნელი პასუხისაგან სახტად და-
რჩენილი გივი.

— ვის რად უნდა შენი ძმობა! — ზიზ-
ლით მიაძახა უცნობმა ახალგაზრდამ და
შებრუნდა. მარცხნივ გაუხვია, ორჯო-
ნიკობის ქუჩისაკენ, სადაც ცხოვრობდა.
მან გაიხსენა თავისი ახლო წარსული.
გაიხსენა თინა, გაიხსენა, როგორც ჩამ-
ქრალი სიხარული, როგორც დაკარ-
გული ბედნიერება!

„მეც დამნაშავე ვარ, მეც, ამ უსვინ-
დისოს რომ შევატოვე!“.. — ფიქრობდა

გზაში, მაგრამ თავის თავს იქვე ამარ-
თლებდა. — მე ვინა მკითხავს? რა უფ-
ლება მაქვს?..

უკანმოუხედავად მიდიოდა. თუნდაც
აუჩქარა, რომ აღარ დაენახა ის ადამი-
ანი, ვინც სიცოცხლე გაუმწარა მისი
ყრმობის მეგობარს.

გივი აზრზე ვერ მოდიოდა, უკვირდა
რისთვის გალანძღეს. ტკბილი სიტყვის
მეტე არაფერი უთქვამს, მას კი ასე
უდიერად მოექცნენ. დიდხანს გაოგნე-
ბული იდგა და ფიქრობდა თუ ვინ უნდა
ყოფილიყო?

სადაც გონების ღრმა კუნჭულში
მოგონების სხივი აენთო...

ლილის დღეობა... თინას თანაკლასე-
ლები... ახალ კოსტუმში გამოწყობილ
ყმაწვილს, ჰკვიან ბიჭად რომ მოჰქონდა
თავი, რა ერქვა?.. სახელიც კი აღარ
მახსოვს!.. ისე კი დამსხვილებულია...
აღარ გავს იმ ჩია ბიჭს... რა ერქვა?
ცდილობდა გახსენებოდა მისი სახელი,
მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა...

ამ დროს „ვოლგამ“ ჩამოიარა. შო-
ფერმა ფანჯრიდან გადმოიხედა. ისე
შეხედა გივისს, აშკარა იყო, მგზავრს
ექებდა.

— კარგია, ჩემო ძმავო, მანქანით გას-
რიალება, მაგრამ ფული რომ არა მაქვს,
რა მოგტე?..

— მერე რა, დღეს არა გაქვთ, ხვალ
გექნებათ. თქვენ გენაცვალთ ჩემი
თავი, როცა გექნებათ, მაშინ მომ-
ცემთ! — დარდიმანდულად მიუგო
მძლოლმა. — დაბრძანდით.

— გულში ცუდს ხომ არაფერს იტყ-
ვი ჩემზე, აი, მერე, როცა გადმოვალ.
არ გამლანძღო თუ ძმა ხარ!..

— არა, ძმავო, პატიოსან კაცს რატომ
გავალანძღავთ?!

მძლოლმა კარი გამოაღო და გივი მან-
ქანაში ჩაჯდა.

— ძალიან კი დავიღალე!..

— რამ დავღალათ?..

— მთელი დღე... მთელი დღე...
ექვს — ვერ თქვა დაძმრწვივარო და
გულზე მოაწვა მწარე გრძნობის უჩვე-
ულო ნაკადი, არასოდეს რომ არ გა-
ნუტდია, ისეთი.

გივიმ თვალეზი მილულა და საზურ-
გეზე თავი მისდო. წუთით ჩასთვლიმა.

— რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ?..

— კამოს ქუჩაზე.

— ნომერი?

— ჩვიდმეტი.

კარგა ხანს ხმაამოუღებლად მიქროდ-
ნენ ცარიელ ქუჩებში.

— აი, მივედით.

— მადლობელი ვარ, შენი ჭირი-
მე. — გივიმ მაგრად ჩამოართვა მძლოლს
ხელი.

მანქანა წავიდა...

„ეს რა ხალხი შემხვდა? ვინ
არიან?.. რატომ არიან ასეთები? რო-
გორები? ცუდები? რომელიღაც ფაბ-
რიკის მუშა... უბრალო მძლოლი... სა-
ცოდავი ოფიციაინტი... მგონია არც ნაბ-
დისქუდიანი იყო ცუდი კაცი! ერთმა
დამარიბა, მეორემ გამლანძლა, მესამე
დამეშუქრა, ამან კი სიკეთე მიყო, უფა-
სოდ მომიყვანა.“ — ფიქრობდა გივი და
გადაწყვიტა ოთახში ჩუმად შესულიყო.

მაროს არ ეძინა. პირველი საფეხური-
დან მოესმა შეილის ფეხის ხმა. ფანჯ-
რიდანაც დაინახეს როგორ გადმოვიდა
მანქანიდან.

ოთახის კარი ღია დახვდა.

— შეილო, აქამდე სადა ხარ, ლოდი-
ნით გული გადამელია! — საყვედურით
უთხრა დედამ.

ცოტა მოშორებით მამა იდგა. მწყრა-
ლად გამოიყურებოდა. ხელები უთრ-
თოდა. მის კეხიან ცხვირზე სათვალე
ბტოდა, რადგან სიბრაზისაგან თავს ხან
მალა აიქნევდა, ხან დაბლა ხრიდა.

სტეფანემ ვერ მოითმინა და ტყვია-
სავით ესროლა:

— სად დაეთრევი?!

— რა გზაზეც დამაყენე, იმ გზაზე
დავეთრევი! — მიუგო გივიმ.

— როგორ, მე გეუბნები იხეტიალე-
მეთქი?

— დიახ, შენ. თქვენ ორივენი!

— მე რალად, შეილო, მე რალად
მკიცხავ?

— დედა რომ ხარ, სწორედ იმი-
ტომ...

— მზე და მთვარე შენზე ამომდის.
ერთხელ არ მახსოვს რამე გეთხოვნის
და არ შემესრულებინოს.

— ეეჰ, დედაჩემო, აბა, მამ მარტო
ჩემი ბრალია?

მამამ დახვდა გივის მაჯას და შე-
ნიშნა, რომ საათი არ ეკეთა ზელზე.

— აჰა! — ხმაშალა შესძახა მან, —
საათიც გაუყიდა. მერე რა საათი!
ოქროსი! შენ რა ღირსი ხარ ოქროს
საათისა?.. რა ღირსი?!.. სად არის სა-
ათი?

გივიმ არხეინად მიუგო:

— დავაგირავე.

— როგორ თუ დავაგირავე?!

— ამხანაგებმა ვიქეიფეთ და დანა-
ხარჯის საფასურში საათი დავუტოვე.
წელან ვფიქრობდი როგორმე ფული შე-
შოვნა და საათი დამეხსნა, მაგრამ ახლა
აღარ დავიხსნი. რად მინდა მე ოქროს
საათი? განა უბრალო საათი დროს ვერ
მიჩვენებს?.. რაც ჩემთვის საჭირო იყო,
ის არ მოგიციათ და ოქროს საათს რა
თავში ქვად ვიხლი?!..

— როგორ თუ არ მომიცია. განა მე
ცუდი მამა ვარ?

— შენ რომ კარგი მამა ყოფილიყავი.
შენ თვითონ აღშრდიდი. მაგრამ შენ
ჩემთვის არა გცალოდა. პაშას გააზრდე-
ვინე ჩემი თავი, ვილაც დედაკაცს. შე
ისეთი კაცი დაედექი, როგორიც პაშახ
შეეძლო აღეზარდა. მამობაც იმან გამო-
წია და დედობაც!

სტეფანე სახტად დარჩა. ენაზე მომ-
დგარი სიტყვა ბაგეებზე ჩაუქრა და ხმა
ჩაუწყდა. ველარაფერი უთხრა. გაოგნე-
ბული შესცქეროდა შეილს, რომელიც
უცნაურ ბრალს სდებდა, თანაც გული
მოუკლა და საგონებელში ჩააგდო:

„მე კი არ ამიზრდია, პაშას აუზრდია!

— მართალია? — ეკითხებოდა თავის
თავს.

— „მართალია!“ — ჩასძახოდა შინა-
განი ხმა.

(გაგრძელება იქნება)

გიორგი მინაანი

ტერეზას დაბადების დღე

გმირული ღრამა ა მოქმედებად

მოქმედი პირობი:

ტერეზა — ოპოტი წლისა.

ხოსე — 19 წლისა

ვიოლეტა — 17 წლისა

ანტონიო — 15 წლისა

ტერეზას შვილები

აპოლონიო სელვირო — ტერეზას ძმა.

ამანდა — გოგონა კაბარედიან.

ელდაი ჰამილტონი — მხატვარი.

მარსელო აღვარესი

ელდარტე გრასიო

როდრიგეს მენდესი

მანოლა მენდესი

კლუბები.

ალფა — 17 წლისა; ელდარტეს ქალიშვილი.

ელვირა — შეახნის, მეტად მსუქანი დედაკაცი.

კარლოსი — მეტად მსუქანი მამაკაცი, ელვირას ქმარი.

ვენტურა — 35 წლის მამაკაცი.

მოქმედება მიმდინარეობს კუბაში, 1961 წლის აპრილში.

რამდენიმე სიტყვა რეჟისორისა და მხატვრის საუბრადღებოდ

კუბაზე, სადაც მედამ სითბოა და ძვირფასი საკურორტო ადგილები, არისტოკრატიული კლუბები არსებობდა. კლუბები გაშენებული იყო თვალწარმტაც სანაპიროებზე და წვერებად მხოლოდ მდიდარ ხალხს იღებდნენ. აქ ქვიფობდნენ, თამაშობდნენ ბანქოსა და რულეტკას და უსაქმურად ატარებდნენ ღრის. ახლა ეს შენობები ხალხს გეტოუნის.

მე მრავალი ასეთი კლუბი ვხაზე კუბაში. ხშირად აქ მარტო ფანჯრები კი არა, კედლებიც იმდენად გამკვირვალე მინისაა, რომ კაფეებიდან და რესტორნებიდან მოჩანს ზღვის ნაპირი ოქროს პლაჟითა და კუბის შოკოლედი პეიზაჟები, მაღალი პალმებოთა და ტროპიკული მცენარეებთა.

აღმათ კუბა ყველაზე მუსიკალური ქვეყანაა.

აქ რადიოში მთელი ღღის განმავლობაში მხოლოდ საცეკვაო მუსიკასა და სიმღერებს გადმოსცემენ.

მაშინაც კი, როდესაც კუბაში მეტად დაძაბული მდგომარეობა იყო, ყოველ წუთში მოვლოდნენ მტრის თავდაცემის და ჰავანასა და სხვა ქალაქებში ტერორისტები ბომბებს აფეთქებდნენ, რადიოში სულ მარტო საცეკვაო მუსიკა მოისმოდა.

მაგრამ ხანდახან მუსიკა რომელიმე აკორდზე უცხად შეწყდებოდა და მაშინ მონსოლა ფიდელ კასტროს მკეპარე ხმა, ან ლევენდარული ქალის ვიოლეტა კასალესის ცეცხლიანი სიტყვება, რომლებიც სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდებდნენ.

ტრაგიკული და მზიარული ერთად! ეს კუბელი ხალხის ორგანული თვისებაა.

პირველი მოქმედება



კაფე-ბარი. ბუფეტის გარშემო მაღალი სკამებია. აქ კედლების მაგიერ ერთიანი დანერგებაა, საიდანაც მოჩანს პლაჟი ყვითელი ქვიშით და მაღალი პალმების ხეივანი. კაფეში ორი არიან: 19 წლის ახალგაზრდა ხოსე, რომელიც კოქტეილს ამზადებს, და აპოლონიო სელვირო, ორმოცდაათი წლის შეპილარაგებული, მზით გარეჯული ვეფაყო.

აპოლონიო ბუფეტთან მაღალ სკამზე ზის და გაზეთს კითხულობს. მიუხედავად ხნოვანებისა, იგი სათვალეს არ ხმარობს.

ბუფეტას თაროზე ჩამოყიდებულა ხოსეს ახალთახალი კოლტი, რევოლვერის თათი ვერცხლითაა მოქედილი.

კაფეს მარჯვნივ ქვიშისან შემოსასვლელი კარები აქვს, მარცხნივ კი — სისტემროში შესასვლელი.

აპოლონიო — (გაზეთი გადადო, კოქტეილი აიღო) ისევ აუფეთქებიათ ყუმბარა ჰაენანა... ორი კაცი მოუკლავთ.

ხოსე — (აღღვებული) შე ყველას დაეხერტები... არც ერთს არ გავეშვებდი ცოცხალს... არც ერთს... ყველა ყოფილ ადამიანს დაეხერტები... ისინი ურევენ... ისინი. გვიჭირებენ საქმეს.

აპოლონიო — (წყნარად) ხერტენ, მაგრამ... ყველას ვერ დახერტებ... მწელია მათი გამოცნობა.

ხოსე — შე კი გამოვიცნობდი! დიდიდან საღამომდე ჰაენანის ქუჩებში ვივლიდი და ყოველ გამეღვლეს თვალებში ჩაებუდვდა... ვინც კი არ იღივება, — პირში ტყვია ძალღეშელს! ვინც დღეს კუბაში არ იღივება, მას არ უყვარს ჩვენი ჩვეულებები!

აპოლონიო — (იციანის) ეგებ კაცს დედა მოუყვდა, ან შეუვარებულმა მიატოვა და ღიმილის თაყი არა აქვს?! მაშინ? მაშინ რაღა ექნათ?

ხოსე — პო... რასაკვარველია, ასეთებს ხელსაც არ ვახლებდი. ხუმრობა ხომ არაა, შევეარებულმა მივატოვეს... მაგრამ... (უცხად გაეცხლდა) ტერორისტებს კი... ტერორისტებს ყველას დაეხერტები... არც ერთს არ ჩაეჯივნი ციხეში... ყველას დაეხერტებო. (უცხად მოღბა და ხეყწინით მიმართა) ძია აპოლონიო, უთხარი დედას... გამიშვას შენთან ჰაენანაში. აქ პლაგ-ხირანში ნამეტანი მოწყენალობაა. არავითარი ხიფათი, არავითარი სავეფაყო საქმე. ასე... ამზადე კოქტეილი, სუფრა გაშალე, სტუმრებს გაუღიძე, მოუარე, ჩემი კოლტი კი (რევოლვერზე უჩვენა) უსაქმოდ ჰქიდიო... გაჯერა? ერთხელაც არ გამისროლია. უთხარი დედას, გამომიშვას, შენ თუ ვრევე, უსათუოდ გამომაშვებს... დაიბრდი, რომ კარგ საქმეზე დამაყენებ!

აპოლონიო — ვერცხვი!

ხოსე — მართლა?

აპოლონიო — გეფიცები. (ისევ გაზეთის კითხვა დაიწყო).

(სისტემროდან შემოდის ა მ ა ნ დ ა — შეგვერემანი, ცეცხლთვალეა, ოცი წლანა ქალიშვილი. მას ტანზე შემოსხარტული თხელი კაბა აცვია).

ამანდა — (ჯდება მაღალ სკამზე, აპოლონიოს გვერდით) დილა მშვიდობისა, ახალგაზრდებო!

ხოსე — საღამო, ამანდა!

ამანდა — (აპოლონიოს ხელიდან გაზეთი გამოსტაცა) შენ რად არ მომესალმები? რად ხარ ვერც მოღუშული?

აპოლონიო — მომეშვი, ხომ ხედავ — გაზეთს ვკითხულობ!

ამანდა — (აპოლონიოს ეხვევა, ჰკოცნის, თვალებში ჩასჩერებია) აქეთ შემომხედე! გამიღიამე! გული გამიოხება!

აპოლონიო — (თვალებში ჩასჩერებია) ვანა შენ ველი გაქვს?

ამანდა — შენ ჩემი გული რად გინდა? გულა კი არა, აი ეს თვალები... ეს მკლავები... აი ეს ტურები... (ჰკოცნის) აი, შენ ჩემგან რა გინდა, ყველაფერი შენია... მოლაღ შენი ვარ... რას ვაჩუქებულხარ? მითხარი რამე! ამოხსენი სიყვარული... მომარტყე... გამეხარდება... მომარტყე, შენ არაფერი დაგეყარებება, მე კი... მე კი ვამეხარებება... რა არის ადამიანი, ვარდა სიხარულისა... ჩემო რუხო მგელო... არა, მგელი კი არა, ძალი ხარ, ელდერტერიერი... ჭალარა ელდერტერიერი.

აპოლონიო — მომეშვი... ხელს ნუ მიშლი! (გაზეთი აიღო).


ამანდა — (გულმოსული) „ხელს ნუ მიშლი!“ ამ დღით ხასიათი გინდა გამოფუქო! რატომ ღამე არ გიშლი ხელს? (ადგა, ხმადაბალი ღიღინითა და იოლი ცეცხით შედის ბუფეტში და ხოსეს უახლოვდება). საღმუნს ჩემთვის ამზადებ?

ხოსე — რასაკვირველია, შენთვის, ამანდა!

ამანდა — (ხოსეს მოეხვევა) ჩემთვის სულ ერთია, შენ თუ აპოლონიო! მაგრამ შენ მირჩე-

ნახარ ამ ქალბარა ელდერტერიერს, ჩემო ხუჭუქა ბიჭო! შენც ხომ მოგწონიარ? ვიცი, მოგწონიარ! რას გინებე... გაწითლდი კიდევ!

აპოლონიო — ბავშვს მოეშვი!

ამანდა — (იციანის) „ბავშვს...“ ასეთი ბავშვები... (ამოიოხზა) ეჰ, სამი წლამი ტემპერამენტი ბავშვი...


ხოსე — რა განსხვავებაა?

ამანდა — შენ რა გეხსივ, ხოსე? დიდი განსხვავებაა... ცოტა უმცროსი რომ ვიყო, სხვა ხელობას ამოვიტარებდი.

ხოსე — გინა ჩვენს რევოლუციას მოცეკვავებ ქალები არ კირდება?

ამანდა — „მოცეკვავებ ქალები“! მართლაც, გულბრწყვილო ბაღლი ხარ, ხოსე. ცეკვა მხოლოდ რეკლამაა ჩემი პროფესიისათვის. (ხოსეს ბეჭებზე ხელი მოხვია) რეკლამა, იცი რას ნიშნავს... ჩემო... „ბავშვო“!

ხოსე — (ამანდას მკლავებიდან თავს ითავისუფლებს) დამაცადე! საუზმე უნდა დაეამზადო!

აპოლონიო — (გულმოსულა) ბავშვს მოეშვი-მეთქი!

ამანდა — (უკან ბრუნდება, აპოლონიოს გვერდით ჯდება, მას ეხვევა და თვლებში ჩასჩერება) შენ რომ ძალი არ იყო, მიუხედავად ამ ქალბარა თმისა... მიუხედავად იმ, ამ ნაოჭებისა, სახე რომ გაქვს დაღარული, — შენი შეყვარება კიდევ შეიძლებოდა. იმიტომ, რომ შენ მამაკაცი ხარ... თუმცა ცოდვანი და არამზადა.

აპოლონიო — (გახეთი გადგო, იღიმება, ამანდას ხელი მოხვია) ამა! შემიყვარე და დავრჩეთ პლან-ხორონაში... ნულარ დავბრუნდებით ჰავანაში.

ამანდა — (სეკრეტულად) გინა ცოლად შემირთავ?

აპოლონიო — (ირონიულად) აი... აი... აი... აი! რა სუფთა ოჯახი შეყოლებს! რა ერთგული მეუღლე!

ამანდა — (აპოლონიოს სილა გააწნა) უნამუსო! თუმცა... შენგან აღამაანი კარგს რას უნდა მოელოდეს!

(ამანდა აღა ადგა, რადიოაპარატთან მივიდა. მომართა. ძლიერდება ტემპერამენტური საცეკვაო მუსიკა. ამანდა ცეკვავს, ცეკვავს ნერვიულად, ისტერიულად. უცბად ატარიდა და დივანზე პირქვე დაემშო).

აპოლონიო — (ამანდასთან მიდის) ეი, შენ, ჩიტუნია! ეს სექტაკლო შენ კაბარეში მოაწყვე... ჩემზე არ მოქმედობს. (ბრძანების კილოთი) ადგიე! ზეზე!

ამანდა — (მორჩილებათ წამოჯდა) მამაკაცი!

აპოლონიო — წადი... ნომერში!

ამანდა — (თვლები ამოიწმინდა) მამაკაცი!

აპოლონიო — წადი-მეთქი!

ამანდა — მომეშვი!

ხოსე — მოდი, ამანდა... საუზმე მზად არის.

(ამანდა თმას ისწორებს, ბუფეტთან ჯდება და საუზმეს შეეჭეკება).

აპოლონიო — (ხოსეს) ყავა დამისხი! (ჯდება. გაზეთის კითხვას განაგრძობს).

(სასტუმროდან შემოდის ედუარდო პამილტონი: მალალო, გამხდარი, უკვე

მთლად გათეთრებული, სამოცი წლის კაცი, სპორტსმენის ტანადობით).

პამილტონი — გამარჯობა, ხოსე!

ხოსე — სალამი, სენიორ პამილტონი!

პამილტონი — სენიორა ტერეზა სადაა, ხოსე?

ხოსე — დედა ბაზარში, საუიღლებზე წაივია. მილე დაბრუნდება. რაიმე საჩქაროა, სენიორ პამილტონ?

პამილტონი — (ამანდას გვერდით ჯდება) ასეთი არაფერი... ერთი ყავა დამიმზადე!

ხოსე — ახლავ... გაიციანთ, სენიორ პამილტონ. ეს ბიძაჩემია, დედაჩემის ძმა: აპოლონიო სელვირო. პავანდან. ეს კი... სენიორი ედუარდო პამილტონი ბრძანდება... მხატვარი.

პამილტონი — დიდად სასიამოვნოა!

აპოლონიო — მეც დიდად მოხარული ვახლავარ, სენიორ პამილტონ! გაიციანთ (ამანდაზე უჩვენა).

პამილტონი — (ამანდას ხელს ართმევს, თვლებში ჩაჩერება) ძალიან გვაკეთი თქვენი ქალა შეილია?

აპოლონიო — (იღიმება) არა, სენიორ პამილტონ... (მხრები აიწვია) მოგეხსენებათ... მოხუცი კაცის თავის შეჭეკვა...

პამილტონი — (იციანის) „თავის შეჭეკვა“... მართლაც, რომ მშვენიერია. (უკვე თამამად გადაუსვია ამანდას თავზე ხელი, თვლებში ჩაჩერება) მოხუცობა გართობასა და თავის



შევეცეას ხელს არ უშლის, სენიორ აპოლონიო. (ამანდას) რა კეკლუცი რამე ხარ, გოგონა! (აპოლონიოს) ჰაინიდან როდის ჩამობრძანდით?

აპოლონიო — გუშინ გეახელით.

ჰამილტონი — (აპოლონიოს ესაუბრება, ამანდას კა აღფრთოვანებული მისჩერებია) დიდი ხნით ალბათ, დასასვენებლად?

აპოლონიო — არა, სენიორ. მხოლოდ ორი დღით. ჩემს დას დაბადების დღე უნდა მიველოცო.

ჰამილტონი — მართლა, დღეს სენიორა ტერეზას დაბადების დღეა!

აპოლონიო — თქვენ კი დიდი ხანაა აქ ბრძანდებით?

ჰამილტონი — (ყავას შევეცევა) სასტუმროში ახლანაა გადმოვსახლდი... ისე კა აქ, ახლოს, ვეხოვრობდი, მეთევვებთან.

აპოლონიო — (ჩაფიქრდა) ჰამილტონ... ედღაი ჰამილტონ... (იყინის) ანკი ბრძანდებით, შეერთებული შტატებიდან.

ჰამილტონი — (იღიმება) დიახ, იანკო! მაგრამ ჩემისთანა იანკებს ფადელ კასტრო კუბიდან არ აძვევს.

ხოსე — (აპოლონიოს) სენიორ ჰამილტონი ესპანეთის გმირია. ფრანკოს წინააღმდეგ იბრძოდა... ფასისტების წინააღმდეგ!

ჰამილტონი — (ხელი ჩაიწვინა) „გმირი“... რაღა დროს ჩემი გმირობაა, ხოსე! (წამოღდა, ამანდა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და აღტაცებული განაგრძობს) მართლაც რომ მშვენიერი და კეკლუცია! (აპოლონიოს) მამ, ხელ უსათუოდ მიზბრძანდებით?

აპოლონიო — დახ... ხელ! (იყინის) და ეს კეკლუციე ჩემთან ერთად მოდის.

ჰამილტონი — (მზარტულად) ეს კი სამწუხაროა... მართლაც, რომ სამწუხაროა. (ამანდას ხელზე კონცის) რა გეწყობა, მშვენიერო სენიორიტა. ზოგ მოხუცს ბედი წუალობს... ზოგს კა... (ხელები გაშალა) მშვიდობით, ლამაზო! (გადის).

ამანდა — (აღტაცებული, ჰამილტონს თვალს გააყოლებს) აი, ესაა ნამდვილი მამაკაცო... ვაჟკაცი.

აპოლონიო — ის ხომ ჩემზე უფროსია.

ამანდა — ამ ცხოვრების ანაფერი არ გაფუგება, აპოლონიო.

აპოლონიო — (ხოსეს) ეს იანკო აქ რას აკეთებს?

ხოსე — ხატავს.

აპოლონიო — ხატავს? რატომ შინცდამაინც პლაე-ხირონაში. განა კუბაზე ცოტაა ლამაზად გაღალები... ამ ჭაობებში რა ნახა?

ხოსე — ამბობს, ასეთი წყნარი ადგილი მთელ მსოფლიოში არ არისო. ის ყველგან ნამყოფია: ინდოეთში, ჩინეთში, ბირმაში, რუსეთშიც კა...

აპოლონიო — დედაშენს რად კითხულობდა?

ხოსე — დედა მას პერანგებს ურეცხავს. სენიორ ჰამილტონი კარგი და გულკეთილი ადამიანია... მართო უყვარს სიარული... მთელი ჩვენეი ჭაობები შემოაიხა.

აპოლონიო — ჭაობები?

ხოსე — ჰო, ჭაობები. რა იყო?

აპოლონიო — არაფერი. ვინ ვითხრა, რომ ჰამილტონი ესპანეთის გმირა?

ხოსე — თვითონ ამბობს.

აპოლონიო — (გააჯერა) „თვითონ!“ შე სულელო! შენ კი გჯერა!

ამანდა — (კარებს, რომელშიც ჰამილტონი გაედა, თვალს არ აცილებს) რა კარგია ამ ქვეყნაზე ცხოვრება. (აღტაცებული) მე დღეს კარგ ხასიათზე ვარ, აპოლონიო!

აპოლონიო — (უკვე ეპყიანობს. ამანდას ხელი მოხვია. ფეგრება) მართლაც რომ კეკლუციე და ლამაზი ხარ, ამანდა. რა იქნება, რომ ცოლად შეგიერთო? რას იტყვიან?

ამანდა — (ზიზღით შეხედა) მე ცოლად არ გამოგადგები, ელდერტიერიო... ჩემისთანებს არ თხოულობენ. ესეც არ იყოს... (განუშდა).

აპოლონიო — რა?

ამანდა — დაგაგვიანდა, აპოლონიო! მე უკვე სხვა შემავარდა. (ჩადიოს მართავს, საცეკვაო მუსიკა მოისმის).

აპოლონიო — (მარხარებს) ეინ? იანკო ხომ არა?

ამანდა — რატომაც არა? ეს იანკი ნამდვილი ვაჟკაცია.

(უცხად მუსიკა შეწყდა. პაუზა).

ხოსე — რაღაც ამბავია!

(მოისმის დიქტორა ქალის აღფრეებული ხმა:

„ლამარაკობს ჰაინა! ლამარაკობს ჰაინა! მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები: დღეს ლამით, ჰაინაში დაატრსლეს ტერორისტ-დივერსანტების დიდი ჯგუფი, რომელსაც

ხელმძღვანელობდა შვედეთელი შტატების აგენტი რამონ სოლადო. აღმოჩენილია დიდძალი ამერიკული საბრძოლო იარაღი, ანტირევოლუციური ლიტერატურა და პრეს-ლაშქარები. ძიება გრძელდება.

უკანასკნელი ცნობების გადმოცემა შეწყდა და ისევ მხიარული საცეკვაო შელოდნა გრძელდება.

პოლინიო — (ჩაფქრებული) რამონ სოლადო... არ გამოვიწია.

ამანდა — (გაოცებული) შე ვიციან სოლადოს... რამონ სოლადოს ჩვენი კაბარეს მუხატრინის ვაჟია... ანტიკატორი. ნუთუ ის მართლა ტერორისტია... კუთხე შევიწლები.

პოლინიო — ახალგაზრდა?

ამანდა — ვინ?

პოლინიო — ეს შენი რამონ სოლადო?

ამანდა — (შტები აიჩქა) მამაკაცია დაახლოებით ორმოცი წლის.

პოლინიო — (ირონიულად) შენთვის ყველა მამაკაცია მეც მამაკაცი ვარ... ჰამილტონიც... ეს ტერორისტიც, რამონ სოლადო... შენ ხოსესაც მამაკაცს ეძახა!

ამანდა — (პოლინიოს არ უსმენს. თავისთვის) რევოლუციას ჩემთვის კარგი არაფერი მოუტანია... პირაქით, მე მრცხვენი რევოლუციის... ძველად კი, არაფერი არ მრცხვენიდა. მაგრამ დღე სიამოვნებით დავაბრბობდი ყოველ ტერორისტს... მოვსპობდი იმ არამზადებს, რომელთაც უნდათ ჩემს კუბაში ძველი დააბრბონ... რომელთაც უნდათ ჩვენი გოგონები ჩემს გზას დაადგენ და გახდნენ ჩემსავე... (ირონიულად იცინის) ჩემსავეთ „მოციკევეები“. თოპ, ერთი კვირის წინათ მკოდნოდა, რომ რამონ სოლადო ტერორისტი, მოკლავდი... და დღეს მეც, ალბათ, ადამიანს მიწოდებდნენ. ერთ გმირობას მიინჩაიდენდა გოგონა კაბარედან. (პოლინიოს ზიზღით შეხედა)... გოგონა, ამ ქალაქი ელდერტივიჩის გასართობი სივანი. ხოსე, ერთი წმინდა ბაყარდი დამისხი, უნდა დავთვრი!

პოლინიო — (ბრძანებით, ხოსეს) არაა საჭირო!

ამანდა — აბაა საჭირო, ხოსე! მე ახლა ანკი უნდა ენახო! (მიდის იქით, საითაც ჰამილტონი წავიდა).

სასტუმროდან შემოდის ცოლქმარი: მსხვილი, მსუქანი დედაკაცი და ღიბიანი მამაკაცი — ელვირა და კარლოსი.

კარლოსი — (აღელვებული) ვაიგონეთ, ჰეანაშო რა ამბებია?

ელვირა — მთლად გადაბრუნდა ქვეყანა. ეს რადიო მოსასპობია. არხად მისგან საშველი არა... ადამიანი ყვავი კი არაა, სამასი წელიწადი იცხოვროს... ასე ყოველ წუთში უსიამოვნება და ნერვულობა ვის უნახავს!

კარლოსი — დაწყნარდი, ელვირა... დაწყნარდი, ქალი ხომ გიბობარი, რადიოს ნუ ჩართავ-მეთქი! რადიო ყველაზე საშინელი მოვლენაა ჩვენს ეპოქაში.

პოლინიო — (ირონიულად) დიახ... მძიმე დრო დადგა, სენიორ!

კარლოსი — დიახ, მეტად მძიმე! ადამიანს თუ კეთილი ცხოვრება სურს, ან ასი წლით აღრე უნდა დაიბადოს რევოლუციამდე, ან ორმოცდაათი წლის შემდეგ.

პოლინიო — თქვენ საიდან ბრძანდებით?

კარლოსი — პავანიდან, სენიორ.

პოლინიო — პროფესია?

კარლოსი — აფთიაქი მჭევს... ერთი პატარა აფთიაქი ჰეანაშო. მე მანდა, რომ ყველა ჯანსაღი იყოს და ადამიანები ერთი მეორეს არ ხოცავდნენ. თქვენ კი, სენიორ, რა ხელობის ბრძანდებით?

პოლინიო — მე უბრალო ჩინოვნიკა ვარ... ქალაქის მუნიციპალიტეტში ვმუშაობ.

კარლოსი — დიდად სასიამოვნოა, აბა, გვასაუბრე, ხოსე! საშინლად მშობი რაც უფრო არეული დროა, მით მეტი მადა ემატება ადამიანს. რა გეწყობა, ასეთია ცხოველის ინსტინქტ: ვირთავებები ხომალდად ვარბიან ხანძრის მოლოდინში, კაცი კი ჰამად იქცევა და ჰონს აგროვებს ომის წინ.

ელვირა — შენ გგონია, ომი იქნება?

კარლოსი — რატომაც არა... ომს ხელს რა შეუშლის?!

პოლინიო — გგონია, ომი არ იქნება, სენიორ!

კარლოსი — ომი უსათუოდ იქნება. თვითული ამერიკელისათვის, რომელსაც კუბაში საკუთარი ჰონება ჰქონდა, პირდაპირი ანგარიშია ამ ჰონების სთი პროცენტი გადადოს იმისათვის, რომ რევოლუციას ყველაფერი უკან წაართვას და დაიბრუნოს. იცათ ეს რამდენი მილიარდი იქნება, სენიორ?

პოლინიო — ალბათ, ბევრი...

კარლისი — ომს გენერლები და სალდათები კი არ ხელმძღვანელობენ, ფული ხელმძღვანელობს... ფული იწვევს... ფულია მთავარი, სენიორ... ოქრო...
ელვირა — ღმერთო დაგვიფარე ცოდვილების... ხოსე, ტაფამწვარი, შაშხა და სალდათი მოგვინახად!

კაფემო ოთხი კაცი შემოდის, ჰილის ფართო ქუდებიანი, ხელში უკირავთ მაჩეტები, შაქრას ლერწმის საჩეხი დაშნასავით გრძელი და ფართო დანები. ესენი არიან გლეხები: მარსელო აღვარეს — გამხდარი, მაღალი, მზით გარეჯული ახალგაზრდა, დიდი წვერით; როდრიგეს მენდესი — ჩია ტანის, ჰალარა, ტახანით გამხმარა ზანგი, მისი ზეიმურტი წლის ვაგი მაროა, ცოცხალი თვალბოთა და მუდამ მომღმირ სისხიანი, და ედუარტე გრასიო — ფართოწვერიანი ახმახი ეაქაკო. ჩანს, ეს აღმიაწვნი ბევრს მუშაობენ ფიზიკურად კუბის მცხენეარე მზას ქვეშ. მათ ბრუნვებებს შარვლები აცეცათ და მოკლესახელოებიანი ფერადი პერანგები.

გლეხები განიერი და ნელი ნაბიჯებით, თითქოს ელადასი ვრდებათო, უახლოვდებიან ბუფეტს.

ედუარტე — (ჯიბეში ხელს ჩაიფოფს, ხოსეს თვალი ჩაუკრა) ხოსე... შენ რომ იცი... რაიმე ყულის გასაგრძობელი!

ხოსე — (ჰალარა ზანგს) ძია როდრიგეს! შენ როგორც ყოველთვის... წმინდა ბაქარდი?

როდრიგესი — (იღიშება... მზრებს აიჩჩავს) ედუარტეზეა დამოკიდებული... დღეს ეს ხბდის.

ამოლონიო — დღეს მე ვიხდი... დაბრძანდით, მეგობრებო!

ედუარტე — მაღლობელი გახალავართ... ჩვენ თვითონ გადავიხდით!

ხოსე — გაიყანით ეს ბაჭანები, ჰავანიდან, დედაჩემის ძმა. (ამოლონიოს) ესენი კი... აჭურები...

როდრიგესი — (გაბარებულ) დიდად სასიამოვნოა! (ხელს ართმევს) როდრიგეს მენდესი.

ედუარტე — ედუარტე გრასიო, სენიორ! თქვენ ძალიან კარგი და გყავთ... ტერეზა დიდებული აღამიანია... უჩაღი ქალი. ზემრობა კი არაა, სამი ზაემეი მარტოკამ აღზარდა... დაუბზარებლად.

როდრიგესი — ბოლოს ღმერთმა უშველა და ასეთი სახლი მიიღო.

ხოსე — ეს სახლი ჩვენი კი არა, რეველუციონისაა, ძია როდრიგეს!

ედუარტე — განა რეველუცია ჩვენი არაა, ხოსე?

როდრიგესი — (ხოსეს) უცხოერეთ და იმხიარულეთ, შეიღო, ყოფილა სამართალი ამ ქვეყანაზე. აქ ძველად ღიპიანი სისხლისმწოველი მეპატრონეები ცხოვრობდნენ.

ამოლონიო — დაახ... გასივებელი მუქთახორები.

კარლისი — (ჰამას თავი მიანება და ცოლს ვადაბედა) სენიორ ამოლონიო, უნდა მოვახსენოთ, კაცს რომ ღიპი ჰქონდეს, ეს იმას არ ნიშნავს, ის მუქთახორა იყოს ან სისხლისმწოველა.

ამოლონიო — ტყუილად მოგდით გული, სენიორ! თქვენ ხომ შეათითაქვ ბრძანდებით და არა მემამულე?!

ელვირა — (ამოლონიოს) ჩემს ქმარს ყურადღებას ნუ აქცევთ... მეტად ნერვულია...

როდრიგესი — მე აქ მოვხუცდი, სენიორ ამოლონიო, და გჯერათ... ამ კულში არასოდეს არ ვუფილვარ... გლეხებს აქ არ უშვებდნენ.

ამოლონიო — (წვერავს ედუარტეს) თქვენი, ალბათ, აჯანყებულთა არმიასი ბრძანდებოდით?!

ხოსე — (ედუარტეს დასწრებს) ედუარტე სიერა-მესტრას მივბში იბრძოდა... ფიდელ კასტროსთან ერთად... ოპო! რამდენი ქალაქი აუღია ედუარტეს: სანტ-იაგო დე კუბა... მანსანილიო... ტრინიდადი... სანტა-კლარა...

ედუარტე — (იციინს) გეყოფა, ხოსე!

ხოსე — მანტანსასის ქუჩებში კი ორი ტანკი ააფეთქა... მარტო ედუარტემ.

როდრიგესი — დაახ... ედუარტე ეაქაკო ბიჭო!

ხოსე — მარსელო კი... (მარსელოზე უჩვენა) მარსელო სნაიპერია... სერკანტი. თუ სადმე მიაგარი ბრძოლა და გაჭირვება იყო, — ფიდელი იტყობდა: „მარსელო წავაო“.

მარსელო — კარგი ხოსე!

ხოსე — მარსელოს არ უყვარს, როდესაც მის ეაქაკობაზე ლაპარაკობენ. იგი ორჯერ მოკლეს ბრძოლაში... მაგრამ გადაარჩა...

როდრიგესი — მართლაც, რომ სასწაულით გადაარჩა.

ხოსე — და როდესაც ფიდელის არმია ჰავანას უახლოვდებოდა, ძია როდრიგემ გლეხები შეაგროვა და პლაე-ხირონას ვარნიზონს დაეცა თავზე და გაანადგურა.

როდრიგესი — რომელი ვარნიზონი... სულ ოცდარვა სალდათი და ერთი სერკანტი იყო...

ხოსე — (მანოლაზე უჩვენა) მანოლა კი... რა ქნას საწყალმა მანოლამ... იარაღს კარგათ ხმარობს, კარგი ბიჭოა, მაგრამ... (მხრები იჩინა. მარსელოზე და ედუარტეზე უჩვენა)

მარსელისა და ედუარტეს საჯავახო საქმე ქონდათ... მათ ჰქონდა აიღეს, მე და მარსელამ კი სად ვივადიკეთ?

ელვია — მახსოვს, რა აურზაური იყო ჰავანაში, „წვერიანები“ რომ შემოიჭრნენ, სტოლა, ყოფნა, ბომბების ბათბებუთები... (იციან) კარლოსი სარდალში ჩავატყვევებ, სარდალსა და წუბო გვაქვს. შემინოდა, ჩემი ღიმილი არავის მოეცლა.

ამოლინო — (გლეხებს) დაბრძანდით, შეგობრებო! (ხოსეს) რას უყურებ? დაასხი წმინდა ბაქარდი!

როდრიგესი — (შვილებს უჩვენებს) მანოლას წმინდა რომი არ უნდა... შავს რაიმე ტუბილი... მანოლა — ეთიომ რატომ?

როდრიგესი — იმიტომ, რომ ბაქარდი შენი საქმე არაა! (გლეხები გადებიან).

ედუარტე — (რომი გადავრა ამოლინოს) ჩვენსკენ დიდი ხნით, სენიორ?

ამოლინო — საუბედუროდ, დრო არ მაქვს... მხოლოდ ზვალამდე...

ედუარტე — უკვე ერთი წელია, ჰავანაში არ ვყოფილვარ.

მანოლა — ამბობენ, ტერორისტების დიდი ჯგუფი დაუტრუსალებითო.

კარლოსი — მართალია... ახლა გადმოსცეს რადიოთი.

როდრიგესი — რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო სხვადასხვა სახის ხალხი ცხოვრობს.

ამოლინო — აქ კი? თქვენთან როგორაა?

ედუარტე — ჩვენი... წყნარად ვცხოვრობთ... ყველანი ერთმეორეს ვიცნობთ...

როდრიგესი — ტუბილად ვცხოვრობთ, სენიორ...

ამოლინო — კოოპერატივი გაქვთ?

როდრიგესი — დიახ, კოოპერატივი! ახ ჩვენი თემჯგოფი! (ედუარტეზე მივითითა).

ედუარტე — (უკვე მესამე ზოქა რომს სვამს, ამოლინოს თვალი უქნია) ესენი კა... (ამხანაგებზე უჩვენებს) ჩემი ქვეშევრდომები არიან... (იციან) მე რევოლუციას ლატიფუნდისტა გახლავარ... მოკლედ, ახალი შემამულე!

ამოლინო — (ციქებს ხელახლა ავსებს) ამეჩიკლებს არ უნდათ, რომ ჩვენ კოოპერატივები გვექონდეს... გვემუქრებიან... ამბობენ, შემამულეებსა და კაპიტალისტებს უკან დავაბრუნებთო.

მანოლა — ვერ შიარტვეს!

ედუარტე — ახა ერთი ვაბედონ!

როდრიგესი — იანკის ჰუეა ხომ არ დაუქარგავს, სენიორ! იმ სად მასხედან ამერიკელები, (ქნისზე ხელი დაიკრა) მათ კარგად იციან კრებულების ხასიათი. ვერ გაბედავენ.

მარსელო — (აქამდე გაზუმებული იჯდა და სვამდა) გაბედავენ!

მანოლა — ვინ?... ეინ გაბედავს, მარსელო?

მარსელო — ამერიკელები... შემამულეები... მექარხნები... (მანოლას თვალბში ჩახედდა) გულუბრყვილო ბიჭუნა! ნუთუ მართლა გგონია, რომ ის არამხადები მთელ თავის ქონებას შენ სამუდამოდ ჩაგივადებენ ხელში. გეტყვიან: „ახა, ჩემო მანოლა... ცისფერთვალბიანი ზანგის ბიჭუნა, მიირთვი ყველაფერი... ყველაფერი შენია... ჰამე! სე! იმხიარულე!... ფადელმა სკოლა ავაშენა, ისწავლე, კაცი გამოდა!... იცხოვრე ჩიტვით! იარე ყაფში... მიირთვი ბაქარდი... შეიყვარე გოგონები, თერთი, შავი, რომელიც გინდობდეს... ვინც მოგეწონოს!“ გულუბრყვილო ხარ, მანოლა! გაბედავენ ძალღმრელები.

ამოლინო — შეიძლება ვაბედონ, შავხამ... გამარჯვებით, შიანც ვერ გამარჯვებენ.

მარსელო — ვაბედავენ და ბრძოლასაც დაიწყებენ... იმ ჩემი სიტყვა... დამბასოვრეთ!

ელვია — (ამოლინო) რასაკვირველია, არ დაწყინარდებიან!

მარსელო — (მთრალი თვალბი მოწურა და ელვირას აღმაცერად ვაბედა) თქვენ კი რას მოიხრებთ, სენიორა?... როგორ ვნებათ, რომ დაწყინარდენ, თუ არ დაწყინარდენ?... ვაბედონ, თუ არ ვაბედონ?

ელვია — (ვაფთორდა, დაიბნა) რას ბრძანებთ...

ედუარტე — (გულმოსული) მარსელო! ხომ არ ვაგვიბებლხარ? ჰუეაზე მოდი!

მარსელო — შაბატივთ, სენიორა... ეს მე... ისე... რასაკვირველია, ვიხუმრე... (ამოლინოს) მეტს ნულარ დამისწამთ, თორემ... შეიძლება კიდევ რაიმე უარესი ვთქვა.

ედუარტე — (ბრძანებით, მარსელოს) აღიქვი ზეზე!

მარსელო — (წყინარად) შენ არავინ გეკითხება.

ედუარტე — აღიქვი-მეთქი!

მარსელო — (ედუარტეს ბეჭებზე შეგობრულად ხელი დაატყა) ნუ მიწყრები, ედუარტე! ან

ხალს ეგონება, შენი შემინია! (აპოლონიოს) დიდი მადლობელი, სენიორ! დღეს სიცხეა... წმინდა ზაქარდი საცხენი რა დისაღვრა?.. პირდაპირ თავში აღის! (ადგა, ჩელი ნაბიჯებით კაფედან გადის).

(გლებები აღგნენ).

ელჰარტე — (ელვირას) აბატიეთ, სენიორა! მარსელის არც უფიქრია თქვენი შეურაცხყოფა... მას თქვენზე კი არ მოსდის გულა, ის საერთოდ უხეში და გაბორბტებულია იმიტომ, რომ მისი შეიღა მშა ერთად, ერთ დღეს დახვრიტონ ზატისტის პოლიციელებმა, მამა კი საკუთარი ქონის წინ ხეზე ჩამოუხრჩეს... თვითონ მარსელი ტყვეებითა და ცხრია-ღუღი... აბატიეთ... გაბორბტებული კაცია... გმადლობთ, სენიორ აპოლონიო. ჩვენც გვაბატიეთ!

როდრიგესი — (აპოლონიოს ხელს ართმევს) უფრო ხშირად გვესტუმრეთ ხოლმე... ჩვენს პლაზ-ბრონაში წყნარად დასვენება შეაძლება.

ხოსე — ძია როდრიგესი ელჰარტე! დედამ ვთხოვათ ამ საღამოს გვესტუმროთ... ხომ იცით, მისი დაბადების დღეა!

როდრიგესი — უსათუოდ შოვალთ, უსათუოდ... ნახვამდის, სენიორ აპოლონიო!

ელჰარტე — მშვიდობით, ზატონებო!

(გლებები გადიან. აპოლონიო ღიმილით გააყოლებს თვალს გლებებს).

კარლოსი — (დაღვრემილი მისწერებია კარებს. პულის შემდეგ) დღეს ბევრი რამ არის ჩემთვის გაუგებარი... მიხარია... თითქოს ყველაფერი მიხარია... მაგრამ, სენიორ, მერწმუნეთ, არ ვიცი, რა მხატვრებს.

აპოლონიო — თქვენ, გეტყობათ, ნერველი ადამიანი ბრძანდებით!

კარლოსი — რა მოგახსენოთ!

ელჰარა — ეს მე მკითხეთ. ჩემი ქმარი მეტისმეტად ნერველია.

აპოლონიო — კარგი ადგილი ამოვიჩინებოდა დასასვენებლად. ჩვენს კენჭულზე ასეთი წყნარა კუთხე მეორე არ არის.

ელჰარა — (ხოსეს) შე ჩაი დამისხი, ხოსე, კარლოსს კი ყავა.

კარლოსი — (გულმოსული) რატომ მაინცდამაინც ყავა? ეგებ მეც ნაი მინდა?

ელჰარა — (აპოლონიოს) ხომ ხედავთ, რა ნერველია, ჩვენ ძველად კენჭულ კიურასაოზე ვცხოვრობდით, — იქ საშინელი მოწყენილობა და არავითარი ბიზნესი. მთელი კვირის განმავლობაში ორი კაცი არ შემოვიდოდა აფთაქში, თითქოს სურდოც არავის ემართებოდა.

აპოლონიო — თქვენ კუბელები ბრძანდებით?

კარლოსი — კუბელები... თუმცა რა განსხვავებაა?..

ხოსე — როგორ თუ რა განსხვავებაა! სამშობლო!

კარლოსი — (მხრები აიჩეჩა) სამშობლო, რასაკვირველია, სამშობლოა, მაგრამ... მე არც იმდენად მდიდარი ვარ, რომ სურვილი მქონდეს ჩემი ქონების დასაცავად ვინმე დავიჭიროო, და არც იმდენად ღარიბი ვარ, მე ვინმეს ვემსახურო... ისე კი სამშობლო... რასაკვირველია, სამშობლოა!

ხოსე — (აღმფითებელი) და კუბა თქვენ არ გიყვართ?

კარლოსი — ტუტუცი! კუბა რომ არ მიუვარდეს, ვინ მამალებდა აქ ცხოვრებას! ან ვინ მაკავებს? — აედგებოდი და წავიდოდი.

ხოსე — კიურასაოდან რატომ გამოიქცით?

კარლოსი — კი არ გამოვიქციე და... ჩემი სურვილით წამოვედი, ბიძია. უკეთეს ადგილს ვეძებდი ვაჭრობისათვის. თუმცა შენ წარმოდგენაც არა გაქვს, რა არის ვაჭრობა... მე აა, ვფიქვავ, რომ ფიდელ კასტრო და მისი რევოლუცია მომწონს უფრო, ვიდრე სისლან-მსმელი ზატისტა და მისი პოლიციელები... მაგრამ მე წყნარად მინდა ვიცხოვრო! წყნარად, ადამიანი! რევოლუცია კარგი საქმეა, მაგრამ... მე რევოლუციასთან ერთად ცხოვრებაც მინდა, დასვენებაც... ხალისიც... სულ მუდამ მიშვევემ ადამიანის ყოფნის გავგონია? გესმის თუ არა, ყმაწვილო კაცი?

ხოსე — შესმის... მაგრამ მე ჩემი კუბისათვის, ვინც არ უნდა იყოს, ყელს გამოვადარაქ!

კარლოსი — ლაღრე, რამდენიც გენებოს... მე კი არავისთან არ ვაპირებ ჩხუბს. პიჩიეთი, ყველას ვეალერსები... ვეფერები... ვინაც როგორც უნდა, ისე იცხოვროს, ოღონდ მეც მომასვენოს ამ ჩემ სამშობლოში.

ელჰარა — (აპოლონიოს) ხედავთ, რა ნერველია?

აპოლონიო — (ამდენ ხანს ვაზეთს კითხულობდა და საუბარში არ ლებულობდა მონაწილეობას.

ხოსეს) ყავა დამისხი!

(ქრჩილან შემოდის მზიარული და მკვირცხლი, ღამაში ქალი პროდუქტებით სახვს

- კალათით. ეს ხოსეს დედაა, მიუხედავად იმისა, რომ ტერეზა უკვე ორმოცი წლისაა, ავი სულ ახალგაზრდად გამოიყურება).
- ტერეზა** — დილა მშვიდობისა, ბატონებო! ალბათ, ჩემმა ხოსემ შამშილით დღესმოცა.
- ელვარა** — რას ბრძანებთ, ტერეზა? ხოსე გამოცდილა ოფიციალური მუშაობა.
- ტერეზა** — ახლავე გეახლებით, ბატონებო! მუსიკა რად არ ისმის, ხოსე?
- ხოსე** — მუსიკა საღამოს იქნება, დედა... შენს დღესასწაულზე!
- (ტერეზა სასტუმროში შედის).
- ხოსე** — (ჯიბიდან პატარა სარკე ამოიღო, ამოღონის უჩვენებს) აი რა ვუთხდე დედაჩემს სახეობად... ვერცხლისა... საკუთარი ფულით ვაყიდე.
- (კაფეში შემოვარდება ანტონიო, ორი სავსე კალათით. ეს თხუთმეტი წლის, თმაქორორა შეგვერემანი ბიჭია).
- ანტონიო** — (უცხად კალათები დიდგა, ამოღონის მივარდა და ეხვევა). ძია ამოღონიო! დედა დამპირდა, თუ კარგად დავამთავრებ მეექვსე კლასს, მიეღ ზღვებულზე შენთან გამოაშვებს ჰავანაში.
- ამოღონიო** — აბა შენ იცი!
- ხოსე** — ჰავანაში არაფერი გესაქმება.
- ანტონიო** — გარემო! შენ არავინ გეკითხება. ძია ამოღონიო, მივიღე ერთი რევოლვერი!
- კარლოსი** — რევოლვერი რად ვინდა, ანტონიო?
- ანტონიო** — როგორ თუ რად ვინდა?
- ხოსე** — გოგონებთან რომ თავი მოიწონოს.
- ანტონიო** — შენ გიყვია აქ ეს დეაგნებული კოლტი, რომ უველამ დაინახოს... მე კი არც ერთ ჯუჯიას არ ვაიცილდე... ჰკითხეთ მარსელის, როგორ ვისვრი... სნაიპერი ვარ.
- ელვარა** — ჯობია, არათმეტყიე ისწავლა, ანტონიო, და არა სროლა.
- ანტონიო** — (ამოიხბრა) ვველა ჰქვას ასწავლის ამ საცოდავ ანტონიოს! (კალათებს ხელი მოაგლო და ტერეზას უკან გამოეკიდა).
- ხოსე** — (უვას ამზადებს, ამოღონის) წესს არქიტექტურის ინსტიტუტში მინდა შევიდე. რას მირჩევ?
- ამოღონიო** — კარგი აზრა.
- კარლოსი** — ჩამდენსაც დღეს კუბაში აშენებენ, იმდენი ას წელიწადს არ აუშენებიათ. ფიდელს, ალბათ, არ უნდა, რომ ვინმე უბინაოდ დარჩეს. (ნაღვლიანად) ცხადია, ახლა არქიტექტორები უფრო მეტია საპირო, ვიდრე შეფთობაქეები...
- (კარედან მანქანის ხმაური მოისმია).
- ელვარა** — მადლობა ღმერთს, მგონი, ვილაც მოვიდა.
- კარლოსი** — (ირინიულად) შენ საზოგადოება გაკლია. დასვენება მოგეწყინა!
- (კაფეში შემოდას სანტე ვენტურა. ეს გამზდარი, შუახნის, შეგვერემანი კაცია, ვენერგიული სახითა და ქორისებური თვალებით).
- ვენტურა** — (არავის ყურადღებას არ აქვევს. უდება მალა კაშზე, ზუფეტთან) ეი, ბიჭუნა! ერთი ტაფამწარი შაშხით. ჯერ კი ფორთოხლის წვენი... მხოლოდ ცივი!
- ელვარა** — (ქმარს) გვეოფა ჰამა! ტუჩები მოიწმინდე და წაეიდეთ... გავისერიწოთ, სანამ ჯერ კიდევ დილაა.
- კარლოსი** — (ტუჩები მოიწმინდა, ამოიხბრა) შენგან მოსვენება არაა... აღამიანურად საუბრობის საშუალებასაც არ მიაძღვე.
- (ელვარა და კარლოსი გადიან. ხოსემ კარაქი და შაშხი აიღო, სამზარეულოში გავიდა).
- ამოღონიო** — (ვენტურასაკენ არც იღუჩება) რატომ ჩამოდა?
- ვენტურა** — საჩქარო საქმე მაქვს შენთან. მარტო ხარ?
- ამოღონიო** — არა... გოგო მახლავს.
- ვენტურა** — აქ რა ამბებია?
- ამოღონიო** — (გახეთს ჩაჩერებია) მშვიდობა... სიწყნარე...
- ვენტურა** — გარემო?
- ამოღონიო** — უველგან სიწყნარეა. ზღვის ნაპირზე... სრუტეში ერთი ბატარეა დგას... ერთი ოფიცერი და ოციადე ჯარისკაცი. გუშინ მანქანით შემოვიარე მთელი სანაპირო... დაახლოებით ორმოცდაათი მილს მანძილზე... სოფლებში ვიყავი... გლეხებს ვესაუბრე... მოკლედ... კარგი ადგილია... სულ ახლოს შაქრის ქარხანაა «ცენტრალ აუსტრალია»...
- ვენტურა** — ამ ადგილებს კარგად ვიცნო.
- ამოღონიო** — ვინ არის ეს რამდენ სოლადა, წუხელი დამით რომ დაუტყრიათ... დღეს რადიოთი გამოაცხადეს.
- ვენტურა** — ეშმაკმა იცის... იდიოტიო თავებზეთ ებმებან მახემი.



- (შემოდის ხოსე და ენტურას წინ საუზმეს დგამს).
- აპოლონიო** — შეც მომეცი ტაფაწყარი შაშით!
- ხოსე** — ახლავ. (გადის).
- აპოლონიო** — ნუთუ აქედან დაიწყება ყველაფერი?
- ენტურა** — შეიძლება აქედან... შეიძლება ერთბაშად სტადიასზე მზრიდან.
- (კაფეში ორი ჩვილები-თვრამები წლის გოგონა შემოიჭრება. ეს ხოსეს და ეიო-
ლეტა და მისი ამხანაგი ალფა ვიოლეტას ხელში ფუთა უჭირავს).
- ვიოლეტა** — (კარბშივე გაუვირის) ხოსე! ეი, ხოსე!
- აპოლონიო** — (ერთიმ გულმოსულად) რა გაუვირებს?
- ვიოლეტა** — (გახარებულად) ძია აპოლონიო! (მივარდება, ბიძის მოხვედვა, კონის) შენ ყველა ბიძებზე საუკეთესო ბიძა ხარ ამ ქვეყანაზე. აი რა ვიციდე შენი ნაჩქარა ფულით. (ფუთა გაშალა და ამოიღო სახალხო მილიციის ფორმა, ცისფერი ხალათი, ყავისფერი შარვალი და ბერტეტი).
- აპოლონიო** — (იციინს) ყოჩაღ! ამერიკელები, როგორც კი დაგინახავენ ამ ტანსაცმელში, და-
ფრთხებიან და შიშით დაიხლებიან.
- ვიოლეტა** — ტყუალად დამცინი! ამა კითხე ალფას, როგორ ვისვრი.
- აპოლონიო** — რატომ არ მიცნობ ამ შენ მეგობარ გოგონას?
- ალფა** — (ხელს ართმევს) ალფა გრასიო!
- აპოლონიო** — (ჩაღაც უნდა მოიგონოს) გრასიო... გრასიო... შენ წვერიან ელვარტეს ქალი-
შვილი ხომ არა ხარ, კოპერატივის თავმჯდომარე რომაა?
- ალფა** — (გახარებულად) თქვენ მაიაჩემს იცნობთ?
- აპოლონიო** — როგორ არ ვიცნობ!.. მეგობრები ვართ. ახლა სწორედ აქ იყო.
- (შემოდის ხოსე ტაფაწყარით).
- ხოსე** — (გახარებულად) ალფა!
- ვიოლეტა** — მე კი ვერ მაჩნევ, არა! (აპოლონიოს) ესენი რომ ერთად არიან, გარშემო ველა-
რავის ხედავენ.
- ალფა** — სულელი!
- ვიოლეტა** — „სულელი“. ვითომ შენ არ გყვარს ხოსე?
- ალფა** — განა მე ამას ვმალავ, რომ ხოსე მიყვარს? (ხოსეს ლოყა გაუწოდა) აბა, მაკოცე!
(ხოსემ ალფას ლოყის მივიერ ტუჩებში აკოცა).
- ალფა** — (ხოსეს თავში წაუტილა) უხ, შე გივი!
- ხოსე** — (ალფას ხელი მოხვია) შეხედე, ძია აპოლონიო, რა თვლები აქვს ჩემს გოგონას... აი
ჩემი სიყვარული. (მკერდზე მიიკრა).
- ალფა** — მომეშვი!
- ვიოლეტა** — ამითა ლაფობამ მომკლა! (ალფას ხელში ხელი სტაცა და სირბილით სას-
ტუმროში შეიყვანა).
- ხოსე** — (ენტურას) კიდევ რა მოგართვით, სენიორ?
- ენტურა** — ყავა!
- ხოსე** — (ყავას დაასხამს, ენტურას წინ დადგამს) მე... ახლავე მოვალ. (ვიოლეტასა და ალფას
უკან გამოუდგამ).
- ენტურა** — შენ აქ უკვე ყველა გაგიცვლია!
- აპოლონიო** — აქ ჩემი და შემოაბს. ეს ბიჭი და ეს გოგონა ჩემი დისწილებია. მაგათ რა მო-
უვებრხო, არც კი ვიცი...
- ენტურა** — (ყურები დაქვიტა) ვითომ რაო?
- აპოლონიო** — რა და... აქედან თუ დაიწყო, როგორც შენ ამბობ...
- ენტურა** — (გადაკრით) შე ეს არ მითქვამს.
- აპოლონიო** — გითქვამს თუ არ გითქვამს, ეს სულ ერთია... შენ ეს მითხარი, ჩემს დასა და მას
ბავშვებს რა ეფუო! ტერუხა ჩემი ერთადერთი და... მეტი ნათესავი მე არ გამაჩნია.
- ენტურა** — ნათესავები... რასაკვირველია, ნათესავები მძიმე ბარგია ასეთ მდგომარეობაში!
- აპოლონიო** — დღეს ჩემი დის დაბადების დღეა... და, საცოდავი, დაჩქმუნებულაა, რომ მე მას
მოსალოცად ჩამოვედა.
- ენტურა** — აქურა ხალხზე რას იტყვი? როგორ არიან განწყობილი?
- აპოლონიო** — განა აქ ხალხთან ლაპარაკი შეიძლება? საკუთარ დასთანაც ვერ ებედავ საუ-
ბარს. ხომ ხედავ, რა აღტაცებით უიფულობენ სახალხო მილიციის ფორმას?

- ვენტურა** — ეს არაფერია! ხალხს ყოველთვის ეშინია მთავრობის. ოღონდ დიწყოს და შემდეგ ყველაფერი რიგზე წავა.
- აპოლონი** — ამათ თავის მთავრობის არ ეშინიათ.
- ვენტურა** — ჩვენები არაფერს ცოცხალს არ დატოვებენ. აქ დასამალი არაფერია... არაფერს არ დაინდობენ... არაფერს, რომ რვეოლუცია აღარ განმეორდეს.
- აპოლონი** — არ დაინდობენ არც ჩემს დასა და მის შეილებს?
- ვენტურა** — მოვლავაჰაჰე შენს დას, რომ რამდენიმე დღით ბავშვებთან ერთად ჰავანაში წაგიღეს... შენთან, სტუმრად... მიეცი ფული, მანქანა ათხოვე... წაგიღენი!
- აპოლონი** — მე?
- ვენტურა** — შენ აქ უნდა დარჩე. ასეა ნაბრძანები!
- აპოლონი** — კი, მაგრამ, უკვე ყველას ვუთხარა, რომ ზვალ დღით მივდივარ-მეთქი.
- ვენტურა** — ეს არაფერია! იტყვი, გადავიფიქრეო.
- აპოლონი** — ტერეზა რომ დამთანხმდეს, როდის გავუშვა ისინი ჰავანაში?
- ვენტურა** — (მხრები აიჩეჩა) შენ ვინა, შეგატყობინო დესანტის გადმოსვლის თარიღი — დრო მაგრამ ამის შესახებ მეც ისე ვიცი, როგორც შენ!
- აპოლონი** — მგონი, ვირთაგვასავით გავები ზაფანგში!
(შემოდის ტერეზა, ვხაზივთ იცეთებს თეთრ წანსათარს).
- ტერეზა** — რა სიტყვა ამ აღრიან დღით, თითქოს უკვე ნამდვილი ზაფხულია... (ვენტურას) კიდევ რას მიირთმევთ, სენიორ?
- ვენტურა** — გმადლობთ, სენიორა! ყველაფრით კმაყოფილი ვარ... გემრიელად ვისაუზმე.
- ტერეზა** — (იღიმება) ჩემს ძმას კი უკვე მოეწყინა... ალბათ, ჩვენი საქმელები არ მოსწონს და შირბის ჰავანაში.
- ვენტურა** — არა, თქვენი ძმა აღარ შირბის, სენიორა. სწორედ ახლა შელაპარაკებოდა...
- ტერეზა** — (გახარებულა) მართლა?
- აპოლონი** — მართლა, ტერეზა... გადავწყვიტე დაერჩე თქვენთან ჩამდენიმე დღე... დავისვენებ.
- ტერეზა** — ოჰ! რა გაეხარებდათ ბავშვებს... იცით, სენიორ, მათ აპოლონიოსავით არაფერ უყვართ. გასაგებია, ერთადერთი ბიჭია. ესეც ნამეტანი ანებიერებს ბავშვებს. ხან რაიმეს გამოეგზავნის, ხან ჩემდა მალულად ფულს ანუქებს.
- ვენტურა** — ნომერი თუ გაქვთ თავისუფალი, სენიორა?
- ტერეზა** — დადი სიამოვნებით. ნომრები ჩამდენიც გნებავთ! (აპოლონიოს) აქ ჩვენთან დიდებულად დაისვენებ. სამი თვეა არ მინახავხარ და, მგონი, კიდევ გამზდარხარ... თითქოს დაბერებულად მიჩვენებ!
- აპოლონი** — რას უცდი? ბიყვანე ჩემი მანქანა, ჩაჯექობ ბავშვებთან ერთად და წადით ჩამდენიმე დღით ჰავანაში!
- ტერეზა** — რას ამბობ, აპოლონიო? დღეს ჩემი დაბადების დღეა. საღამოს სტუმრები მოვლენ!
- აპოლონი** — რატომ მიინცდამიანც დღეს, ზვალ წადით!
- ტერეზა** — ნუ ზუმრობი შენ აქ დატოვოთ და ჩვენ კი წაგიღათ? (ვენტურას სიცილით) გესმისთ, სენიორ?
- ვენტურა** — რატომ? კარგი აზრია, წაბრძანდით ჰავანაში ჩამდენიმე დღით, თუკი ამის საშუალებას!
- აპოლონი** — გაისვირნებ, დაისვენებ. ბავშვებს კინოში წაიყვან, ქალაქს არჩვენებ. ფულს მე მოგცემ.
- ტერეზა** — (კისკისებს) რა კარგია, როდესაც ძმა მდიდარია, ფულიც აქვს და მანქანაც. (სერით-სულად) მე ახლა სასიყვარლოდ არ მცალა, ძმაო. მე რომ წაგიღებ, აქ ვინ იზუშავებს; სულ ახალი და ახალი საჭურჭლები მოდის. შენ გავიწყდება, რომ სამსახურში ვარ!
- აპოლონი** — მაშინ მარტო ბავშვები წაგიღენ. ხოსე მშვენიერად მართავს მანქანას. მე და შენ კი აქ დარჩეთ.
- ტერეზა** — ნუ სულელობ, აპოლონიო! ბავშვებს ნუ ამატულიანებ! სკოლას მოვლებთან. მინდა ისინი აღამიანები გამოვიდნენ და არა შენსავით უსაქმური-აყარები.
- აპოლონი** — (წაწყენი) განა მე აჯარა ვარ?
- ტერეზა** — (იციინს) ეს... ისე... ვიხუმრებ. (მუტრული აიღო, სამხარეულოში გადის).
- ვენტურა** — არა... მაგ აქედან არსად არ წავა... ნურც ფიქრობ... ფუქი ცდა.
(კაფეში შემოდის ამა და ამა და კამიოტონი).
- კამიოტონი** — ზღვა კი არ უნდა დახატო აჰანდა... მხატვარმა სურათში ის უნდა გადმოცეს, რასაც განიცდის, როდესაც ის აბობოქრებულ, ან წყნარ ზღვას მიჩერებია.

ამანდა — თქვენ კარგათ ლაპარაკობთ, მაგრამ მე... მე არაფერი არ მესმის! ეს ხომ ცუდი... რომ მე არაფერი არ მესმის?

მაილტონი — არაფერია სენიორიტა ზოგს ყველაფერი ესმის, ზოგს არაფერი არ ესმის, მაგრამ ქვეყანა მიიღო არსებობს.

(მაილტონი და ამანდა ისე გაივლიან კაფესა და სცენიდან გადიან, რომ აპოლონიო და ვენტურა ვერც კი შეამჩნიეს).

ვენტურა — ეს ვოგო კაბარეღანაა?

აპოლონიო — ჰო!

ვენტურა — ეს არის შენთან?

აპოლონიო — (გაიღიმა) აქამდე ჩემთან იყო.

ვენტურა — ეს კი ვინ არის?

აპოლონიო — იანკი.

ვენტურა — შენ იცნობ?

აპოლონიო — დღეს გავიცანი.

ვენტურა — აქ რა ეშმაკი უნდა?

აპოლონიო — ამბობენ, ხატავსო...

ვენტურა — ოჰ, ეს „შხატვრები“... „შხატვრები“! მაგის აქ უოფნის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ეგვიც... მუშაობს?

აპოლონიო — შესაძლოა.

ვენტურა — შენ მაგ უნდა „მოსინჯო“, მაგრამ ფრთხილად!

აპოლონიო — ვეცდები.

(სამზარეულოდან ტერეზა დაბრუნდა).

ვენტურა — ნომერი მზად არის, სენიორა?

ტერეზა — დიახ! თქვენი. მეოხუთმეტე ნომერია. (გასაღებს გადაცემს).

ვენტურა — გმადლობთ! (გადის).

ტერეზა — მშვიდი ხომ არა ხარ? ხომ არაფერი მოგიშხადო?

აპოლონიო — არა... მე უკვე ვისაუზმე. (დას თვალებში ჩაჩერებია) რატომაა, ტერეზა, რომ არცერთ ჩემ თხოვნას, შენ არასოდეს არ ასრულებ?

ტერეზა — (გაკვირვებულ) რას ამბობ? ზუმრობ, რასაკვირველია!

აპოლონიო — რათ მიშლი, რომ ბავშვებს ცოტა დრო გაეატარებო?

ტერეზა — ბავშვებს? მე გიშლი?

აპოლონიო — გავუშვათ ისინი ორი დღით ჰვანაში... მხოლოდ ორი დღით!

ტერეზა — ეს იმით ვთხოვეს?

აპოლონიო — (ტერეზას მოუხვევია, იცინის) ვერ დაგიფარავ... მთხოვეს, ორი დღით არაფერი არ დამავდებდა. (ტერეზა მყარდში ჩაიყრა. თვალებში ჩაჩერებია) ჩემო დაიყო ტერეზა! როდესაც პლაგ-ხირონაში ჩამოვდივარ, ჩვენი ბავშვობა მაგონდება... თითქოს მე ხოსე ვარ და შენ კი... ვიოლეტა... (კოცნის ტერეზას კაფეში აურზაურია და ყვირით ანტონიო ვიოლეტა, ხოსე და ალფა შემოიჭრებიან. წინ ანტონიო გამორბის ხელში ვიოლეტას ბერეტი).

ვიოლეტა — (ანტონიოს მისდევს) დამიბრუნე... ჩემი ბერეტი დამიბრუნე... გაწეღავ! (ალფა და ხოსე კეკავენ).

ანტონიო — (მივარდება, ტერეზას უკან იმალება) მიშველე, დედა! მიშველე!

ვიოლეტა — აქ მომეცი ბერეტი!

ტერეზა — (ანტონიოს ხელი სტაცავს) დაუბრუნე, შე ცუდლუტო. (ზურგზე წაუტყუებენ).

ხოსე — (ეკევა მიატოვა, ანტონიოს ეცა) დაუბრუნე-მეთქი, ბერეტი! (ახალგაზრდები ანტონიოს წაესვებიან. აპოლონიო იცინის).

ტერეზა — (ბავშვებს ახავეს) მომისმინეთ!. მომისმინეთ, თქვე ეშმაკებო! ბიძია აპოლონიო ჰვანაში ვპატოვობთ!

ვიოლეტა — (გახარებული) ბიძია აპოლონიო!

ანტონიო — მეც... მეც წავალ ჰვანაში?

ტერეზა — ყველანი წახვალთ, მაგრამ ერთი პირობით: მანქანას, მარტო ხოსე წაიყვანს (ანტონიოს) შენ, საქვს ხელს არ ატლებ!

ხოსე — კი, როგორ არა... მივართმევ!

ტერეზა — მიდიხართ მხოლოდ ორი დღით.

ვიოლეტა — როდის წავალთ, ძია აპოლონიო.

აპოლონიო — მე არ მოვდივარ... მე აქ დავრჩები ტერეზასთან ერთად... ცოტას დავისვენებ... თქვენ კი წადით... ორი დღით... თუმცა, მე აქ, ათიოდე დღე დავრჩები, მაგრამ... (ბავ-



შეებს თვალი უქნია) დღდათქვენი ამბობს: მეტი ხნით, რომ წაგიდენ სკოლას მოცდებანო?
ტერეზა — (ძმას) ბავშვებს ნუ აქვზებ, თორემ სულ არ გავუშვებ!
ვაილენტა — (გახარებული) ალფაჲ ხომ ჩვენთან წამოვა?
ხოსე — რასაკვირველია წამოვა!
ვაილენტა — როდის მივდივართ?
ხოსე — დღეს დღვას დაბადების დღეა... სტუმრები მოვიდნენ... ხვალ კი... ხვალ პავანაში.

ალფა
ანტონიო
ხოსე
ვაილენტა

} (ერთად) ძია... ძია აპოლონიო!

(აპოლონიოს შემოესიენ და კოცნიან).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

იგივე დეკორაცია.

ღამე.

კახე სადღესასწაულოდ არის გაჩაჩადნებული. ყველგან ჰკიღია ფერადი სანათურები და თიგულები. მუსიკის ყუთიდან მოიხმის თევაშვიტლო, ცეცხლიანი კუბური საცეკვაო მუსიკა.

სცენაზე მზიარელება. ცეკვავენ ალფა, ხოსე, ვაილენტა, ანტონიო, ამანდა, ჰამილტონი, კარლოსა და ელვირა. აპოლონიო და ვენტურა ბუფეტთან კოჭტილს შეეძევებიან.

ტერეზა — (კოხტად გამოწყობილი, ბუფეტთან დგას, კოჭტილს ასხამს ჭიქებში და თამამად მღერის, სიმღერა შეწყვიტა და ხმამაღლა იძახის) აბა, გჯყოფათ ცეკვა, აქეთ მობრძანდით! დავლიოთ! (მუსიკალურ ყუთს მივარდება და გამოთამაგს. მუსიკა შეწყდა).

ხოსე — ჩემო საყვარელო დედიკო! (ტერეზას ხელი სტაცა და ჰაერში აიტაცა, ბავშვივით მზარზე შეისვა).

ჰამილტონი — ვინ იტიქრებს, სენიორა ტერეზა, რომ ხოსე თქვენი ვაია.

ტერეზა — მეც მიკვირს. დღეს პირველად ამიტაცა ხელში. (ჰკოცნის) ჩემი საყვარელი ბიჭი!

ანტონიო — (შურათ) მე? ვანა მარტო მავაა შენი საყვარელი?

ტერეზა — (იციხის) შენ ჯერ ძალი არ გყოფნის, ვერ ამიტატებ... (ანტონიოს ჰკოცნის) აბა, მობრძანდით, დავლიოთ!

კარლოსი — (ვიქა აიღო) თქვენი სადღეგრძელო იყოს, სენიორა ტერეზა.

ელვირა — ბედნიერებას გასურებთ... იცხოვრეთ და იმზიარელეთ ამ ქვეყანაზე. კარგი აღმანი ბრძანდებით, ტერეზა... ბავშვებიც კარგი გყავთ. დიდხანს იცოცხლეთ. კარგი ხალხი ღმერთს უყვარს.

ჰამილტონი — (ვიქა ასწია) მე ღმერთი არა მწამს, სენიორა ტერეზა... რაც ცხოვრებაში მინახავს, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ღმერთი სისულელეა... მაგრამ მე წინააღმდეგი არა ვარ! ვისაც რა უნდა, ის იწამოს! მე მინდა...

აპოლონიო — (ერთიმ ზემობით, ჰამილტონს შეაწყვეტიტინებს) ესე იგი თქვენთვის სულ ერთია, ვის როგორ უნდა, ისე იცხოვროს!

ჰამილტონი — როგორ თუ სულ ერთია?

აპოლონიო — ვის რა უნდა, ის იწამოს... ვის რვეოლუცია... ვის... (გარეშდა).

ჰამილტონი — განაგრძეთ, სენიორ, რას ვაჩემდით?... მოკლედ, გინდათ თქვათ, რომ ჩემთვის სულ ერთია რვეოლუცია თუ კონტრრვეოლუცია. (ამანდას ყანყაროში ხელი ამოსდო) გესმის, ჩიტუნია... ედღა ჰამილტონისათვის სულ ერთი უოფილა რვეოლუცია თუ კონტრრვეოლუცია.

აპოლონიო — მე ეს არ მიტქვამს, სენიორ ჰამილტონ!

ჰამილტონი — ეხ, სენიორ! შეიძლება თქვენ მართალი ბრძანდებოდეთ! (ხელები გაშალა) რა გავწყობა, ეს ცხოვრება რთულა ამბავია, მას ვერც კობერნეტოთ გამოიანგარიშებ და ვერც რენტგენის სხივებით გააშუქებ. მაგრამ ეს კო, ვინც უკვე მიხვდა — რაა ცხოვრება და გამოიცინო მისი ოინები, იგი ან შთლად ბედნიერია და ან სულ წყალწიღებულა.



ვენტურა — თქვენ, ალბათ, ბედნიერი ბრძანდებით, სენიორ ჰამილტონ!

ჰამილტონი — ესე იგი, თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ მე უკვე შეძელი ცხოვრება?

ვენტურა — მარტოხელა კაცი რომ სამშობლოს ვარეთ ცხოვრობს, მან უკვე უნდა იცოდეს, რა ცხოვრება... და იგი ან მთლად ბედნიერია და ან მთლად უბედური. თქვენ კი უბედურს არ გავხარათ!

ჰამილტონი — (ხუმრობით) უპირველეს ყოვლისა, დღეს უკვე მარტოხელა აღარ ვახლავართ, (ამანდას მეგობრულად ბეჭებზე ხელი მოხვია) და, რაც მთავარია, სენიორ!.. (ვენტურას თვალეში ჩახედდა) მობერებელი ლომები სიკვდილის წინ ღრმა ჯუნგლებში მიადიან, რომ მხეცებმა მისი სიკვდილი არ დაინახონ და არ გაიხარონ!

ვენტურა — თქვენ გგონიათ, სენიორ, რომ კება ღრმა ჯუნგლებშია?

ჰამილტონი — (შურტაცხყოფილი) სენიორ! ამ შურტაცხყოფას მე თქვენ ტერეზას დღესასწაულის გამო ვაპატოებ... და მადლობა ღმერთს, რომ დღეს კარგ ზასათზე ვარ.

ტერეზა — (შეშინებულია) რასა ბრძანებთ!.. რა დროს ჩხუბია... თქვენი სადღეგრძელო იყოს, სენიორ ჰამილტონ!

ჰამილტონი — თქვენი სადღეგრძელო, სენიორა ტერეზა!

ამანდა — ედღაი! ჩემო ედღაი! (ეხვევა) გული ნუ მოგდის ამ არამზადაზე... გინდა სილას გავაწინავ!

ჰამილტონი — რას ამბობ, ამანდა?

ამანდა — არა... გამაშვი! მე მაგას უნდა გავარტყა!

ვენტურა — მამატიეთ, სენიორ ედღაი! აზრადაც არ მქონია თქვენი შურტაცხყოფა მამატიეთ, სენიორ!

ჰამილტონი — (ვენტურასაკენ ხელი ჩაიჭინა) არ ღირს! გვეოფათი! (ტერეზას სადღეგრძელოს განაგრძობს) მე თქვენი სიხარული მახარებს, ტერეზა! მახარებს ყველაფერი ის, რაც კარგმა იდამიანებმა თქვენთვის გააკეთეს... რაც რეგულიამ გააკეთა თქვენთვის. მე მოიყარს თქვენი კება... მოიყარს ისე, როგორც ჩემი შურტაცხებული შტატები... როგორც ჩემი ესპანეთი... ჩემი მადრიდი... კება მაყვარს, როგორც ჩემი პირში... თუმცა მე არც ცოლი მყავს და არც ვაჟი. იცით, ტერეზა, მე დღემდე ვეძებდი... ვწვავლობდი... ვეძებდი, როგორ და რა გზით გამოეხატა ჩემი სიყვარული კუბისადმი... რასაკარგვლა, ტილოზე... მე მხატვარი ვარ... და შეშინოდა, — ვაითუ ისე მოკვდე, კებაზე არაფერი დაეტოვო-მეთქი.

ამანდა — (ნაწუენი) რა დროს შენი სიკვალაია!

ჰამილტონი — (ამინდას) განა აღამიანი მარტო სიბერით კვდება! (ტერეზას) მხოლოდ დღეს, ტერეზა... დღეს საღამოს მოენახე, როგორ გამოეხატო ჩემი სიყვარული კუბისადმი. მე დავხატე თქვენს სიხარულს, ტერეზა, თქვენი დაბადების დღეს! ამას შემდეგ კი დამშვიდებული შემოძლია წავიდე თქვენი კენძულიდან.

ამანდა — სად, ედღაი, სად წახვალ?

ჰამილტონი — იქ, სადაც ახალი კება მოსალოდნელი, ამანდა! ასეთი ქვეყნები კი დღეს ჩვენს ცოლილ მიწაზე ძალიან ბევრია.

ამანდა — მე? შე კი...

ჰამილტონი — თუ გინდა, ჩემთან წამოდი... თუ არ გეშინია! იქ სროლაა და... ხშირად გმირებიც კვდებიან.

ამანდა — სად, ედღაი?

ჰამილტონი — იქ... სადმე... (თვალეში ჩახედდა) გეშინია?

ამანდა — რას ამბობ! შენთან სადაც გინდოდეს, თუნდ ჯოჯოხეთშიც.

ვენტურა — სენიორ, თქვენ რას უფრო ხშირად ხატავთ — პეიზაჟებს, თუ პორტრეტებს?

ჰამილტონი — სინდისს, სენიორ!.. სინდისს!..

ვენტურა — არ მესმის!

ჰამილტონი — (ხელები ვაშალა) რა ვაწუეობა: ზოგს ესმის, ზოგს არ ესმის... ასეა მოწყობილი ეს ცხოვრება.

(გარედან შემოდის როდრიგესი, ედუარტე, მარსელა და მანოლა. როდრიგესსა და მანოლას შემოაქვთ სახე თაბახი, რომელზედაც ლამაზად აწვია ანანასები, ბანანები, ფორთოხლები და კუბის მარცხენა ნაწილი).

ტერეზა — (სიხარულით შეიკვლა) როდრიგეს! ედუარტე! მარსელა! ჩემო ძვირფასებო... (გღუბებს მთავარდება, ყველას სათითაოდ ჰკოცნის).

- როდრიგესი** — (იციანს) ტერეზა, მე რად მაყოც ასე იოლად, ეღუარტეს კი პირდაპირ ტერეზაში დაეწაფე!
- მარსელო** — ჭერევი ჭერეის უფრო სცემს პატეს, როდრიგეს!
- ტერეზა** — (ზემალა კისკისებს) აბა, შენს ჯინაზე კიდევ ვაყოცებ! (ეღუარტეს კისკისზე ზამოეცა და აყოცა).
- როდრიგესი** — ეს პატარა საჩუქარი ჩვენგან მიიღე, ტერეზა! ხომ იცი, რომ გვიყვარხარ... შენა კარგი, ჩვენი კარგია... შენი სიხარული, ჩვენი სიხარულია.
- ეღუარტე** — სულამ შვილობისა, მეგობრებო!
- ამოლონი** — (გლებებს) აბა, მობრძანდით! ტერეზას სადღეგრძელო დაელით!
- როდრიგესი** — ტერეზას სადღეგრძელო... დიდი საამოვნებით!
- ზოსე** — ძია როდრიგეს, შენ როგორც ყოველთვის, წმინდა ბაქარდი?
- როდრიგესი** — დღეს დღემანაა და მოკიდებულა... ტერეზა მასპინძელი.
- ამოლონი** — (ხოსეს) ყველას წმინდა რომი დაუსს!
- როდრიგესი** — რა კარგია, როდესაც ქალს მდიდარი მამა ჰყავს.
- ეღუარტე** — მდიდარ მამას მდიდარი ქმარი სჯობია.
- ამოლონი** — ვაიციანთ, სენიორ ვენტურა, ესენი ჩემი დის მეგობრები არიან.
- ვენტურა** — (სათითად ყველას ზელს ართუვს. წვერიან ეღუარტეზე შეჩერდა) ბევრა ბრძანდებით აქ, საპატაში, აჯანყებულთა არმიის მონაწილენი?
- ეღუარტე** — ასამდე კაცი ექნებით.
- მარსელო** — რას ხუმრობ, ეღუარტე? ასი სადაა... ოცამდე თუ ექნებით.
- როდრიგესი** — ახლა ყველა ჩვენმა ბავშვმა წვერი მოუშვა და ეღუარტეს ასი კაცა მიტან ექნება.
- ალფა** — (ნაწყენი) მარტო ხოსე აპარსავს წვერს.
- ზოსე** — (დარცხვინილი) არა... მე კი არ ეპარსავ... საუბედუროდ ჯერ წვერი არ ამოშდის... მაგრამ ექიმმა მოხბრა, ერთი წლის შემდეგ იმხელა გვერი შექნება, როგორც მარსელასა აქვსო.
- კარლოსი** — არაფერია, მე ერთ კვირაში ჰავანაში წაველ და თმის გასაზრდელ უნივერსალურ წამალს ჩამოვიტან. (ხოსეს) შენგან ფულს არ ავიღებ... მაგრამ უნდა დამეხმარო, რაც შეიძლება—მეტი წამალი გამოვიყიდინო, ორ-სამ თვეში ეღუარტეზე გრძელი წვერი გექნება.
- ჰამილტონი** — (ხოსეს თვალი ექნა) არ დაუჯერო. ამ უნივერსალური წამლით წვერი არ ამოვიღებ, ხოსე!
- ტერეზა** — (იციანის) სენიორი კარლოსი კი ბევრ ფულს გააკეთებს... ჩვენი სოფლის ბიჭები მხოლოდ წვერებზე ოცნებობენ.
- კარლოსი** — (იციანის) ვანა მე ეფარავ, რომ საქმის კაცი ვარ?
- ეღუარტე** — (ხოსეს) ნუ სწუხარ, ხოსე, მე დაგიმომბ ნახევარ წვერს!
- როდრიგესი** — წვერისა რა მოგახსენო... და ხოსე ქალიშვილს კი წაგართმევს.
- ეღუარტე** — ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ტერეზა თუ თანახმა!
- ალფა** — (მამას) თქვენი ახრი ჩვენ არ ვავინტერესებს. (ხოსეს ზელში ხელი გამოსდო და თვალბაში შეხედა) მხოლოდ... წვერი რომ ჰქონდეს...
- ჰამილტონი** — არაფერია, ვოგონა, მალე შენ ხოსეს ნიჩაბავით ფართო და... აბრეშუმივით ნახა წვერი ექნება.
- კარლოსი** — სრულიად მართალი ბრძანდება სენიორი ჰამილტონი. ერთ კვირაში ჩამოვიტან ჩემს წამალს და ნახავთ, ხოსეს როგორი წვერი ამოუვა.
- ჰამილტონი** — (იციანის) ასე უბრალოდ ხდებიან აღმადანი მილიონერები.
- ვიოლეტა** — აბა ვიცეკოთ! (მუსიკალურ ყუთს მივარდება, ავტომატში ფულს ჩაადებს და მოისმის საცეკვაო მუსიკა).
- ეღუარტე** — მოლა, ვიცეკოთ, ტერეზა!
- ტერეზა** და **ეღუარტე** ცეკვავენ. ტერეზა ახალგაზრდა ვოგონასავით ტრიალებს. ყველანი, ცეკვავენ, მარსელოს, ვენტურასა და ამოლონიოს გარდა.
- ვენტურა** ამ და ამოლონიომ კოჭტილით სავსე ჰიჭები აიღეს და ავანსენაზე მივიდნენ. ვენტურა სათს დაჩერებია).
- ამოლონი** — რას დაჩერებხარ სათს?!
- ვენტურა** — დროა, უნდა წავიდე!
- ამოლონი** — (გაკვარბულია) ახლა?
- ვენტურა** — პო...
- ამოლონი** — რაღა მარტო დამიანც ახლა?!



ვენტურა — საქმე მაქვს.

აპოლონი — ასე უცხად წასლა რად გადაწვივით?

ვენტურა — რატომ უცხად... შენთვის არ მითქვამს, როდის უნდა წავიდე.

აპოლონი — კი, მაგრამ, ხალხი დაინტერესდება, რაღა მინცდამაინც ამ შეღამინაში... მალე...

ვენტურა — ვინც რა უნდა, ის იფიქროს... ჩემთვის სულ ერთია!

აპოლონი — შენ გგონია, დღეს დაწვივა?

ვენტურა — (მხრები ააჩეჩა) შეიძლება დღეს... შეიძლება ერთი თვის შემდეგაც...

(ცეცხა და მუსიკა ვრძელდება).

აპოლონი — (პაუზის შემდეგ) ტყუილბრალად აწყენო იანკის!

ვენტურა — მე მაგ იანკის ვერაფერი გავუბე!

აპოლონი — ვერც მე.

ვენტურა — მხატვარი ჰამილტონი თუ გაგიგონა?

აპოლონი — მე და შენ რუღეტისა და ბანქოს მოთამაშეებს უფრო ვიცნობთ, ვიდრე მხატვრებს. მე, რასაკვირველია, კარგ სურათს როცა ვუყურებ, სიამოვნებას ვგრძნობ, მაგრამ მისი ავტორი არასოდეს არ მაინტერესებს.

ვენტურა — შეიძლება ეს იანკი მართლაც მხატვარი იყოს, მაგრამ საუკვეო პიროვნებაა.

აპოლონი — მით უკეთესი!

ვენტურა — კი, მაგრამ, დღეს უკვე უნდა ეიცოდეთ, ვინაა ზვენი... და ვინაა სხვისი.

აპოლონი — რატომ მინცდამაინც დღეს... შენ გგონია, დღეს დაწვივა?

(პაპალტონმა ცეცხას თავი დაანება, თავისი ჭოქა აიღო და მიაგლასთან მივიდა).

ვენტურა — (მოწიწებით ზეზე წამოიჭრა) დაბრძანდით, სენიორ!

ჰამილტონი — (ჯდება) თქვენ კუბელი ბრძანდებით?

ვენტურა — ნამდვილი კუბელი, სენიორ!

ჰამილტონი — (ვენტურასაკენ არც იყურება) კარგია... (ჯიბიდან საათი ამოიღო, დაჩერებია),

აპოლონი — (ვენტურას გადახედა, თვალთ უჩვენა. ჰამილტონს) მიგეჭჭარებათ, სენიორ ჰამილტონ?

ჰამილტონი — სად?

აპოლონი — ალბათ... დასაძინებლად!

ჰამილტონი — (აპოლონის ბეჭეტზე ხელი მოხვია) არა, სენიორ აპოლონიო... ამაღამ მე დილაშდ მძის არ ვაპირებ, ასეთი ქვიფის დროს ძილი ვის გაუგონია! ეი, ამანდა! აქ მოდი!

ამანდა — (შირბენს) რა იყო, ეღლა!

ჰამილტონი — სენიორ აპოლონის უნდა, რომ მე წავიდე და დავიძინო! შენ რას იტყვი?

ამანდა — ჰალარა ელდერტერბერმა არ იცის, რომ მე ჩემი ბედი უკვე მოვანახე... და ეღლა! ჰამილტონი გაგუფებით მიყვარს.

აპოლონი — აი, შე... ენაქაქაქა!

ჰამილტონი — არა... ამანდა არ სტყუის... მართალს ამბობს.

აპოლონი — (ჰამილტონს) თქვენ მდიდარი ბრძანდებით?

ჰამილტონი — (აპოლონის თვლებში ჩახედა) რაღა მინცდამაინც მე ამომიღეთ მიხანში და შეურაცხყოფას შეურაცხყოფაზე მიყენებთ?

აპოლონი — რას ბრძანებთ?! თქვენი შეურაცხყოფა არც მიფიქრია!

ჰამილტონი — (თანხმობის ნიშნად თავი დახარა) მხატვრე, სენიორ, დიახ... მუდამ მავიწყდება, რომ უკვე მოხუცი ვარ. არ იფიქროთ, რომ სულთ მოხუცი ვიყო... გულში ისევე ცეცხლი ტრიალებს... მაგრამ სარკეში რომ ჩაეხედავ, უცხად მაგონდება: მოხუცი ვარ.

ამანდა — (სტერეოლად) სტყუი, ეღლა!

ჰამილტონი — (ალერსიანად, მოეხვევა) ვტყუი, ამანდა! რასაკვირველია, ვტყუი! (აპოლონის) თქვენ შევითხებით, მდიდარი ვარ თუ არა? რა მოგახსენოთ... თუმცა, მდიდარი ვარ... მაგრამ ვაპირებ კიდევ უფრო გამდიდრებას. (ისევე საათს დახედა).

ვენტურა — თქვენც ამ სასტუმროში ცხოვრობთ?

ჰამილტონი — დიახ, სასტუმროში. ალბათ გაინტერესებთ, საათს რაზე დაჩერებებივარ!

ვენტურა — არა... მე არაფერი არ მაინტერესებს...

ჰამილტონი — საწუჭაროა!

ვენტურა — აქ საწუჭარო რაა?

ჰამილტონი — ის, რომ თქვენ არაფერი არ გაინტერესებთ... თუმცა, სულ ერთია... (ზოსეს) ეი, ზოსე! დამახსოვრებინა ბეაქარდი!

ხოხე — ახლავ, სენიორ ჰამილტონ!

ჰამილტონი — ამბობენ, დღეს თვითმფრინავებმა შეჭრის ქარხანა „აუსტრალია“ დაბომბეს!

აპოლონიო — დიახ... ასე ამბობენ.

ჰამილტონი — ძალიან შვილები!

ვენტურა — დიახ... ძალიან შვილები... (ჰამილტონის სახეს თვალს არ აცილებს).

აპოლონიო — არამზადები!

(სამავემ ერთიმეორეს შეხედა).

ტერეზა — (მაგიდასთან მივარდა, ვენტურას) თქვენ მოწყენილი ბრძანდებით, სენიორ!

ვენტურა — რას ბრძანებთ? მე დიდებულ ხასიათზე ვარ, სენიორა!

ტერეზა — (ჰამილტონს) თქვენთან მინდა ვიცეკო!

ჰამილტონი — (ზეზე წამოიჭრა) დიდი საამოვნებით!

მარსელო — (ამანდას უახლოვდება) ვიცეკვით, ლამაზო!

ამანდა — ვიცეკვით!

(ამანდა და მარსელა ცეკვავენ).

მარსელო — რატომ ხართ ასე ლამაზი?

ამანდა — (უხეშად) არ ვიცი.

მარსელო — ზოგადად თქვენ გიყურებთ... ძალიან მომწონხართ!

ამანდა — მე ბევრს მოეწონე.

მარსელო — ეს კარგია, რომ ბევრს მოსწონხართ... მაშ მე კარგი გემოვნება მქონია... მე არ ცელები.

ამანდა — ალბათ, არ ცელებით.

მარსელო — რომ შეგეყვაროთ?

ამანდა — შემეყვარეთ... ამით მე რა დამავლდება?

მარსელო — (პაუზის შემდეგ) ალბათ, მე ცუდად ვეცეკე!

ამანდა — რამეკარგულია, ცუდად!

ვენტურა — (აპოლონიოს) პირველ ყოვლისა, ეს წვერიანები უნდა მოისპონ.

აპოლონიო — ე, მაგრამ, როგორ?

ვენტურა — მოესპობთ! ზოგი ზურგიდან... ზოგიც პირდაპირ.

ჰამილტონი — (ტერეზასთან ცეკვა დაასრულა) გმადლობთ, სენიორა! (ხელზე კოცნის).

ამანდა — (მარსელოსთან ცეკვას თავს ანებებს) გმადლობთ! (ჰამილტონისავე მირბის) შენთან მინდა ცეკვა, ელდი!

ჰამილტონი — დიდი საამოვნებით!

ამანდა — (ცეკვის დროს) არაფერ აქ ისე კარგად არ ცეკვავს, როგორც შენ!

ჰამილტონი — ეს წვერიანი, ლამაზი ვაჟკაცი?

ამანდა — ის მხოლოდ სიყვარულს მიხსნიდა.

ჰამილტონი — ეტყობა, კარგი ბიჭია! შენ არ მოეწონს?

ტერეზა — (მხიარულად ტრიალებს) ალფა, ხოსე, ამანდა, აბა ერთად!

(განხედება წრე და ყველანი ხელობელნიკილებული ცეკვავენ. მოცეკვავეები ცეკვით ვადიან შემაბანდს იქით.

აპოლონიო და ვენტურა მაგიდასთან სხედან. მარსელო მარტო ზის ბუფეტთან და კოჭტეაუს შეამცეკვა).

ვენტურა — ეს იანკი ნამდვილი იანკია!

აპოლონიო — ეშმაკმა იცის... მე უკრ მგას ვერაფერი გავეძვე!

ვენტურა — მოკლედი, დიდი გამოქვილი კაცია... ეგ აქ, საბატაში, ტყუილად არ უნდა იჯოს.

აპოლონიო — ასე ფიქრობ?

ვენტურა — დარწმუნებული ვარ.

აპოლონიო — ენახოთ.

ვენტურა — (ხათს დამჩერდება, მაშინაღუტად იმეორებს) ენახოთ... ენახოთ...

აპოლონიო — (ნერვიულად) ბოლოს და ბოლოს, მე მაინც მითხარი მარათალი: ამანდა დაწყება თუ არა?

ვენტურა — (აპოლონიოს თვალებში მისჩერება და დიდი პაუზის შემდეგ თანხმობის ნიშნად თავს დახრის) ამანდა!

აპოლონიო — (აღუღებელი და შემფოთებული, ჰმა ძლივს ამოიღო) ამანდა!

ვენტურა — რა განსხვავება ამანდა თუ ხელაში?

- ამოღონიო** — (კიდევ შემოათვალაერა) ეშმაკსაც წაუღია! ეს გაბზარული ქოთანა ცუდი თვეში საფარია.
- ვენტურა** — თუ ცეცხლითა და ტყვიით არ შეეგებებიან სტუმრებს... ამ ქოთანს ვერც კი შევხვდებით ახლებს.
- ამოღონიო** — აქ ისეთი პურზაური ატყდება, რომ ძალა პატრონს ვერ იტნობს... ყოველ აქაურ ბიჭსა და გოგონას ან ავტომატი და ან კოლტი აქვს... და ოცნებობს, როგორმე გამოიყენოს.
- ვენტურა** — (დააიწყდა, რომ ეს ახლაგზრდები ამოღონიოს დისწულებია) ბიჭებსა და გოგონებს ამაღამ უჩვენებენ. რა გამოჩენილი არიან!
- ამოღონიო** — შენ ხომ არ შეშალახარ?!
- ვენტურა** — (აწყნარებს) სრულიად სველდებულა არაა, რომ შენმა დისწულებმა აქედან სროლა ატეხონ... შენ მათ უყუარხარ და... გიჯეროდი კიდევ!
- ამოღონიო** — ხომ ვაგონე: აქ ასამდე „წვერიანია“... და, ამას ვარდა, კიდევ რამდენი ახლა-გაზრდა ფიქრობს, რომ წვერი მოუშვას.
- ვენტურა** — საბავარ საათით აქ აბუ ერთი წვერიანი და უწვევრო ცოცხალი აღარ დარჩება! (მუსიკა შეწყდა. ყველანი ბუფეტთან მირბიან).
- კარლოსი** — (მარსელს) თქვენ რატომ არ ცეკვავთ, მარსელო?
- მარსელო** — რა მოგახსენოთ ჩემზე ამბობენ, ცუდად ცეკვავსო.
- კარლოსი** — (იციანს) ალბათ, იხუმრებს. რომელი კუბელია, ცეკვა რომ არ იცოდეს?
- მარსელო** — არიან ასეთები!
- ზოსე** — (ალფა აიტატა და მალალ სკამზე დასვა) რას დაღვე?
- ალფა** — რასაც შენ დაღვე!
- როდრიგესი** — ედუარტე! მეშინია, ზოსე ქალიშვილს წაგართმევს.
- ედუარტე** — ქალიშვილის რა მოგახსენო და ზოსეს კი დღეს წაგართმევ!
- ტერეზა** — (კოსკოსებს) რამდენი ზანია, ასე მეშუქრები, ედუარტე!
- ედუარტე** — ტერეზა! მოდი, ერთა გაბედე და დღევანდელი დღესასწაული ჩვენა ქორწინებას დღედ გამოაცხადო!
- ტერეზა** — რას რომავ, ედუარტე? სირცხვილია, ბავშვებს ესმით!
- ედუარტე** — მეშინია, ბავშვები მოგვასწრებენ და ჩვენ დაერჩებით რიყეზე...
- ვიოლეტა** — მარტოაც რომ ტყუილად უბედობენ დედა და ძია ედუარტე... (თვითმჯივინავის ზუზუნით მოისმა. ყველანი სმენად გადაიქცნენ).
- ჰამილტონი** — ალბათ, სამგზავროა.
- ვენტურა** — (მრავალმნიშვნელოვნად, ჰამილტონს) რომელი საათია?
- ჰამილტონი** — როგორ? ძილი ვინდათ?
- ვენტურა** — არა... უნდა წაიღებ!
- ჰამილტონი** — ასე გვიან?! სითყვენ?
- ვენტურა** — ყოველ კაცს თავისი საქმე აქვს, მისტერ ჰამილტონ.
- ედუარტე** — (თვითმჯივინავის ყურის უჯღებს) ღიახ... სამგზავრო უნდა იყოს...
- როდრიგესი** — ალბათ, სამგზავროა... დღეს დილით ამ არამზადებმა ქარხანა „აუსტრალია“ დაბამბეს!
- ტერეზა** — არა, ეგენი არ მოგვეცემენ ადამიანურად ცხოვრების საშუალებას.
- ვენტურა** — (უცერად) როგორ ფიქრობთ, მასტერ ჰამილტონ, თქვენები როდის დაგვეცემიან თავზე?
- ჰამილტონი** — (პაუზის შემდეგ) რომელი „ჩვენები“?
- ვენტურა** — თქვენები! რასაცერველია, მე ვაულისხმობ შეერთებულ შტატებს... მოკლედ, ამერიკელებს!
- ჰამილტონი** — თქვენ დავრჩათ განაცხადით, რომ მე „ჩვენების“, ესე იგი შეერთებული შტატების მზევარეა გახლავართ... აგენტი, მოკლედ!
- ვენტურა** — რასა ბრძანებთ, მისტერ. ჰამილტონ! როგორ გვყადრებათ!
- ჰამილტონი** — (აუღილეხლად) მაგრამ თქვენ ძალიან პრიმიტიულად მსჯელობთ, სენიორ. ეგრეთ წოდებულ „ჩვენებსა“ და „თქვენებზე“. მე, მაგალითად, არ გიცნობთ და არ ვიცი თქვენთვის ვინაა „ჩვენები“ და ვინ „თქვენები“. მე პირადად ჩვენები კუბაშიც შევიც და შეერთებულ შტატებშიც.
- ტერეზა** — მე ჩემი კუბა, რასაკვირველია, ყველაზე უფრო მიყვარს... მაგრამ ხალხი... კარგი ადამიანები... კუბაშიც ბევრია და შტატებშიც. აი, მაგალითად, სენიორ ჰამილტონ... იანკო პრძანდებით, მაგრამ... მაპატიეთ სითამამე... მაინც სულ ჩემად მიამჩნიახართ! ისე, როგორც როდრიგესი, ედუარტე... როგორც მარსელო!

- ჰამილტონი** — გმადლობთ, სენიორა! (ვენტურას) სენიორა! ნუთუ თქვენ იმ კუბელებსაც „თქვენებს“ ეძახით, რომელთაც გვატყუალაში და ფლორიდაში წვართნიან, რომ თავს დავსხან რევოლუციურ კუბას?.. და შეიძლება ამაღამ, ამ ბნელ ღამეში უკვე მოინწყოს ფიან მათი გემები, შეიარაღებული ბანდატებით, თქვენს კუნძულისაკენ?
- ვენტურა** — (გაოცებული) რატომ შეიარაღებინა ამაღამ?!
- ჰამილტონი** — შეიძლება ამაღამ... შეიძლება ერთი თვის შემდეგ... მაგრამ ჩემს შეტოხებაზე არ მიპასუხებთ.
- ვენტურა** — რა უნდა ვიპასუხოთ?
- ჰამილტონი** — ვინ არიან ის კუბელები? თქვენები?
- ვენტურა** — (ხმამაღლა, რომ უველამ გაიგონოს) მათ როგორ შეიძლება ჩვენები ეუწოდოთ... ოხრებსა და მოლაღატებს! ერთი გაბედონ და... ჩვენ მათ ეუწვენებთ!
- ხოსე** — დიას, სენიორ ვენტურა! ოღონდ ერთი დაიწყებდნენ და ჩვენ მათ მაგრად ვაგემებდით! მხოლოდ იმის მეშინია, რომ აქ, სამატაში, არ მოვლენ... უფრო მოხდენილ ადგილს მოძებნიან დესანტისათვის.
- ვენტურა** — ხოსე მართალია... აჰ, ეს ქაობები ვის რად უნდა...
- ჰამილტონი** — დიას, შეე მგონია, აჰ... არ მოისურვებენ ვაღმოსვლას!
- ამოლინიო** — ამბობენ, თქვენზე ამბობენ, ესპანეთში ფრანკოს წინააღმდეგ იბრძოდანო.
- ჰამილტონი** — რას ჰქვია „ვიბროლი“? მართალია, მე ომის დროს მადრიდში ვახდით... და, რასაკვირველია, რუსულრიკელთა მხარეზე ვიყავი!
- ამოლინიო** — იარაღს ხომ ხმარობდით? ხომ ისროდით?
- ჰამილტონი** — როგორ შეიძლება, თუ ომში ვინმეს მხარეზე ხარ, იარაღი არ იხმარო?
- ვენტურა** — თქვენ კომუნისტი ბრძანდებით?
- ჰამილტონი** — არა, სენიორა!
- ამოლინიო** — მაშ, რისთვის იბრძოდით ესპანეთში?
- ჰამილტონი** — თქვენ გგონიათ, ამ ქვეყანაზე ხალხთა გასათავისუფლებლად მარტო კომუნისტებმა უნდა იბრძოდნენ?
- ამოლინიო** — (დაიბნა) შე პოლიტიკაში ეუბნად ვერკვევი, მისტერ ჰამილტონი!
- ტერესა** — კვარა პოლიტიკაზე... ჩემზე ილაპარაკეთ... დღეს ჩემი დღეობაა.
- ვენტურა** — (ჰამილტონს) ესპანეთი... ესპანეთი... ოცდახუთი წლის წინათ თქვენ ჯანსაღი და მკვარე ვაყავი ოქნებოდი, მისტერ ჰამილტონი!
- ჰამილტონი** — მაშინ თქვენი ხნისა ვიყავი, სენიორა... ეჰ, დღეს რომ თქვენს ასაკში ვიყო!
- ვენტურა** — (ილიმება) რას იხმადით?
- ჰამილტონი** — ან ანგოლაში ვიწინებოდი, ან ლაოსში... და, მერწმუნეთ, კარგად მეცოდინებოდა, ვინაა მტერი და ვინ მოყვარე: — „ჩვენები“ და „თქვენები“.
- ვენტურა** — იარაღს იხმარდით ისე, როგორც ოცდახუთი წლის წინათ?
- ჰამილტონი** — საკვირველი აღმაინი ბრძანდებით! როგორ შეიძლება ბრძოლაში უიარაღო იყო?
- ვენტურა** — და პორტუგალელებს ესროდით?
- ჰამილტონი** — მე ფაშისმს ვესროდი, ისე როგორც ოცდახუთი წლის წინათ ესპანეთში.
- ვენტურა** — ვინ გაგზავნათ თქვენ ესპანეთში?
- ჰამილტონი** — (გაკვირებული) როგორ თუ „გამგზავნა“?
- ვენტურა** — (ძღუს უხსნის) მგაღიოდა... გასამრჯელოს ვინ გაძლევდათ?
- ჰამილტონი** — (გაეცინა) ჩვენ სხვადასხვა ენაზე ელაპარაკობთ, სენიორა... და ვერასოდეს ვერ გაიგებთ. სჯობია, დავლოთ.
- ხოსე** — (საუბარში ჩაერევა) სენიორ ვენტურა, სენიორ ჰამილტონი თავისი ნებით იყო ესპანეთში... როგორ უნდა აგახსენათ... ასე ვთქვათ... იდეისათვის... იდეა ჰქონდა...
- კარლოსი** — რასაკვირველია, ძველად ასეთებიც იყვნენ.
- ვენტურა** — რევოლუციის დროს ვანა თქვენ კუბაში იყავით?
- ჰამილტონი** — დიას!
- ვენტურა** — და ჩვენ გვემხრობოდით?
- ჰამილტონი** — ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე ჯერ კიდევ არ ვიყავ, თქვენ ვის თვლით „ჩვენებად“.
- ამოლინიო** — (იციინს) ესეც შენ, ვენტურა!
- ვენტურა** — თქვენ მე შეურაცხყოფა მომყენეთ!
- ჰამილტონი** — ნუთუ მართლა? (ხუმრობით) რა ვიწუხობა... რაკი ასეა, ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება დღემდე უნდა ვადაწვევდით. მართალია, უკვე მოხუცი კაცი ვარ, მაგრამ ეს ბუტია და მა მოედანინ! შევეჯიბროთ ერთიმეორეს. (მარჯვენა მკლავი დაიკაფა და შეჯიბრებისათვის ემზადება).



ვენტურა — ინებეთ, თქვენს განკარგულებაში ვარ!

ზოსე — (მაგიდას მოარბენინებს) აქ ჯობია!

ვიოლეტა — (გაბარებულია) რა საინტერესოა, ნეტავ ვინ გაიმარჯვებს?

ანტონიო — მე ვიცი, ვინც გაიმარჯვებს!

ედუარტე — მე მსაჯი ვიქნები!

მანდა — ყოჩაღ, ედუარტე, შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ!

(პამილტონი მაგიდას მიუჯდა, მეორე მხარეზე ვენტურა ჯდება და ორივენი შეჯიბრებისათვის ემზადებიან, ვინ ვინ გადაუწყვეს ხელს).

ედუარტე — (მაგიდას მივარდა და მოჯიბრეთა წინ კოტეილით სახეს ჰკრა დაიდგა) ეს კოტეილი ჩემი სახელობისაა და ჯილდოდ ის მიიღებს, ვინც გაიმარჯვებს. მაგრამ არ ვფარავ ჩემს სურვილს... მე თქვენს მხარეზე ვარ, სენიორ პამილტონი! მინდა თქვენ გაიმარჯვოთ!

პამილტონი — ვეცდები, სენიორა!

ვიოლეტა — მეც ძია ედუარტის მხარეზე ვარ!

ალფა — ჩვენ ვეღვანი თქვენს მხარეზე ვართ, სენიორ პამილტონ!

ვენტურა — გამოდის, რომ ჩემს მხარეზე აქ არაფერ არაა!

კარლოსი — მე თქვენს მხარეზე ვარ, სენიორ ვენტურა... იმ პირობით, თუ... შეჯიბრებას წააგებთ!

ედუარტე — (ვენტურას) მე ვარ თქვენს მხარეზე... მე არ მიყვარს მკვლელები... რომლებიც ადამიანებს ტყუას ესროდნენ, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მოაგებთ!

(პამილტონი და ვენტურა იდაყუებით მაგიდაზე დადებულენ და შეჯიბრება დაიწყო. ჯერ კიდევ არ ჩანს, ვინ გაიმარჯვებს).

მანდა — (პამილტონს გვერდით მიუჯდა) აბა, შენ იცი, ედუარტე უსათუოდ უნდა გაიმარჯვო... გესმის უსათუოდ. მე ასე მინდა უარს ვერ შეტყუო... გაიმარჯვებს!

ანტონიო — (ქვემოდან უპერეტს მოჯიბრეთა იდაყუებს) სენიორ ვენტურა... იდაყვის აწევა აკრძალულია... მაგიდაზე დაბჯინეთ!

ედუარტე — (ანტონიოს) ხელს ნუ გვიშლი!

(ვენტურა პამილტონის მარჯვენას თანდათანობით მაგიდისაკენ ხრის).

კარლოსი — (აღუღებულნი, აპოლონიოს) სენიორ, დროს რად გეარგეთ? ვითამაშოთ! (ჯიბიზე ხელი გაიყრა, საფულე ამოიღო) მე ხუთ პესოს ვდებ სენიორ ვენტურას მხარეზე! თანახმა ბრძანდებით თუ არა?

პოლონიო — (თვალს ადევნებს მოჯიბრებებს) მოთმინეთ!

კარლოსი — (ედუარტეს) შემდეგ... გვიან იქნება, სენიორ, ხუთი პესო!

(პამილტონი დიდი ჯაფით ხელს გამართავს და ვენტურას მარჯვენას მაგიდისაკენ ხრის).

პოლონიო — (ჯიბიზე ხელი გაიყრა. კარლოსს) თანახმა ვარ, სენიორ... კიდევ ათი პესო სულ ოხუთშეტი! გნებავთ?

ედუარტე — (გულმოსული, კმარს მივარდა) კეთილად ხომ არ შეშლილხარ? (დამსწრეებს მიმართა) ჩემი კმარი საშინელი აღმამინია... დღეღამე შეუძლია ითამაშოს — ან ბანკო, ან რულეტა! თუ ბანკო და რულეტა არაა, ავტომობილების ნომრებზე თამაშობს... ხშირად კლიენტებთან თამაშობს იმაზე, თუ ხუთი წუთის განმავლობაში რამდენი ვოგონა გაიქლის ჩვენს აფთაქთან... გჯერათ თუ არა, სამგლოუიარო განცხადებებზედაც თამაშობს! — კაცი მოკვდა თუ ქალი... შემობრალეთ, ბატონებო, ჩემზე საყილავა დედოფალი ქვეყანაზე არაა!

(ვენტურა ძალას მოიკრებს და პამილტონის მარჯვენას თანდათანობით მაგიდისაკენ ხრის).

კარლოსი — (პოლონიოს ხელში ეცა) ოცდაათი... ოცდაათი პესო, სენიორ!

პოლონიო — დამაკადეთ!

ედუარტე — (აღუღებულნი) რაღა დროის მოცდა! (მოუთმენლად, აპოლონიოს) ოცდაათი პესო, სენიორ, გესმით თუ არა?

ანტონიო — სენიორ ვენტურა! იდაყეს ნუ წვეთ ზევით!



- აპოლონიო** — (გულშემატვლი, ვენტურაჲ) ეს თაღლითობაჲ!
- კარლიხო** — არაეთათარი თაღლითობი, სენიორი ვენტურა კანონიერად იმარჯვებეს!
- როდრიგესი** — (ელუარტეს) შე ერთი პესო მაჭეს, ვინდა, ვითამაშოთ?
- ელუარტე** — შე მსაჯი ვარ!
- როდრიგესი** — (მარსელოს მივარდა) მარსელო ვინდა, ერთი პესო იშოვო?
- მარსელო** — მომეშვი, როდრიგეს!
- ელუარტე** — (როდრიგეს) მოდიით... შე და თქვენ, სენიორ!
- როდრიგესი** — შე სენიორ ვენტურას მხარეზე ვარ!
- ილუარა** — (აღელვებული) კარგი, შე თქვენთან, მისტერ ჰამილტონის მხარეზე ვიქნები... თქვენთან კა... (ტერეზას მიმართა) სენიორ ვენტურას მხარეზე... ერთთან წავაგებ პე-სოს, მეორესთან მოვიგებ!
- ტერეზა** — (იცინის) შე არ ვთამაშობ, სენიორა!
- ელუარტე** — როგორ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში დამიანწმა მოითმინოს და არ ითამაშოს? (ვეენტურა აგერ-აგერ გაიმარჯვებს ჰამილტონზე).
- კარლიხო** — (აპოლონიოს მკლავზე ხელს სტაცებს) თქვენზე ოცდაათი პესოა, სენიორ!
- აპოლონიო** — მიითმინეთ, სენიორ... ჯერ კიდევ საეჭვოა, ვინ გაიმარჯვებს?!
- (საღლაე შორს თოფი გაეარდა. ვენტურამ შეეიბრება ვიატოვა, ზეზე წამო-იჭრა და სმუნად გადაიქცა).
- ტერეზა** — ეს რა უნდა იყოს?
- მარსელო** — (მოღუშული) ალბათ, თავს დაგვესხენ!
- ტერეზა** — ასე ნუ ხუმრობ, მარსელო!
- მარსელო** — (ზეზე დგება) ვხუმრობ, ტერეზა... რასაკვირველაა, ვხუმრობ.
- როდრიგესი** — ალბათ, ბავშვები ისერიან... ცელქობენ!
- ელუარტე** — ეს სროლა ბავშვების ცელქობას არა ვაგს, როდრიგეს!
- როდრიგესი** — ღმერთო ჩემო... რად უნდოდათ ბავშვებს იარაღი? რად დაერბიეს?... ერთმანეთს დახოცავენ!
- კარლიხო** — (აპოლონიოს შეხედა) აფსუს, ოცდახუთი პესო დავკარგე!
- (ხელახლა მოისმის შორეულა სროლა, მაგრამ ახლა უკვე ავტომატების ზმარი კა-კანი).
- მარსელო** — ეს კი უკვე ხუმრობა აღარაა, ტერეზა! თავს დაგვესხენ ძალღმვილები!
- ჰამილტონი** — დიხ, როგორც ჰგავს, დესანტია! (ჩქარი ნაბიჯით სასტუმროში შედის).
- ვენტურა** — (ჰამილტონს თვლია გააუილა. აპოლონიოს) გამოცდილი მოხუცია ეს იანკი... შე თვლიანვე ვიცანი.
- (შორეული სროლას ხმა გრძელდება. ვიოლეტა ადგილიდან მოსწყდა და სა-სტუმროში შედის).
- მარსელო** — (ჩქარი ნაბიჯით მიდის, კარებში შემოტრიალდება) ელუარტე! როდრიგეს! ვა-ნოლო! ალფა! ხოსე! აბა ჩქარა!
- (მარსელო სცენიდან გაბზის, მას უკან ელუარტე, როდრიგესი, ვანოლო და ალფა გამოეყილებიან.
- ხოსემ ბუფეტთან კოლტი ჩამოიღო, ყუთი გამოსწია და ჯიბეებს ვახნებით იესებს).
- ტერეზა** — (ნერველად, ხოსეს) შენ სად მიდიხარ?
- (ხოსე არ უპასუხებს, დედას მხოლოდ აკოცებს და სირბილით გადის კაფედამ).
- აპოლონიო** — (ტერეზას მივარდა) ტერეზა, ამ დაწყველილ საზღს სარდადი თუ მიანიც აქვს!
- ტერეზა** — სარდადი? კი, როგორ არა... იი... ჰვედა სართულში... იქ გრილი კაფეა. სახაფხე-ლო... ჰეის კედლებით...
- ელუარტე** — ღმერთო ჩემო, რა ვეშეველება! (ქმარს) ვაიქცეთ!
- კარლიხო** — რას ამბობ, ელუარტე?... ამ სიბნელეში საღლაე გადავიჩნებებით.
- (ვეენტურა არა არაეის არ ეთხოვება, ისე გადის კაფედან).
- ამანდა** — (მხოლოდ ახლა გამოერკვა) ედღაი სად არის? (ეძახის) ედღაი! ედღაი! (კარებში გამოჩნდება ჰამილტონი. მას წყნან ხალათი აცვია. მხარზე ატრ-მატი პეილია, წელზე ვახნებით გამოცილი ფალსკა აქვს შემოკრული).
- ამანდა** — ედღაი! შე შენ აქედან არ გაგიშვებ!
- ჰამილტონი** — (ამანდას უწყნარტოზე ხელი მოუცაცუნა). სროლის დროს აღარ ხუმრობენ, ნი-ტუნია! (ხალათის ღილებს იბნევს და თითქოს სანადიროდ მიემგზვრებოდეს, დინჯე-ნაბიჯებით გადის კაფედან).



ამოღონო — (ანტონიოს) აბა, ვასწი რვეოლვერო და ვაზნები მომიტანე, ბალიშის ქვეშ მაქვს!

(ანტონიოს სისტემროში შერბის).

ტერეზა — ღმერთო ჩემო, რა უცხად აირა ვველაფერი...

(კარებში, ხელში კარბანით, გამოჩნდა ვიოლეტა, მას უკვე სახალხო მილიციის ფორმა აცვია).

ტერეზა — (ქალშვილს შეხედა და წაიჭრჩხელა) ალბათ, უველა პეტიდან შეიშალა!

(ვიოლეტამ არ შეხედა არც დედას, არც ბიძას, ენერჯული ნაბიჯით გაიარა კაფე და გარეთ გავიდა).

ტერეზა — (ადგილიდან ვერ დაიძრა. უმწეო თვალებით შეხედა ამოღონოს და მწიარედ გაიღიმა) ხედავ ამ ქალბატონს, როგორ ჩაგვიარა? თითქოს მე დედა არ ვიყო! რა ვუყო ბავშვებს, არ ვიცი... სრულად აღარ მიჯერებენ... მთლად აიშვეს... შენ კი... შენ კი მარტო, მარტო გავუშვა ისინი ჰაენანში!

(შემოვარდება ანტონიოს და ამოღონოს რვეოლვერსა და ვაზნებს გადასცემს. შორეული სროლა გრძელდება).

ელვირა — აი, ესეც წყნარი ადგილი... თითქოს აქ დასასვენებლად კი არა, სასიკვდილოდ მოვედით!

(ანტონიოს ადგილიდან მოწყდა და კარებისაკენ გაიქცა).

ტერეზა — (შეივლია) შენ საით?

ანტონიოს კარებში შერბულავით გაეარდა და სიბნელეში დაიკარგა.

ტერეზა — (ამოღონოს) დაწვიე! დააბრუნე! გემუდარები, ნუ გაუშვებ!

ელვირა — დაგვიფარე, ღმერთო მადლო!

კარლოსი — თუ ჩვენი ხსნა და შევლა მხოლოდ ღმერთზეა დამოკიდებული, ჩვენი საქმე უკვე ცუდად უთქვია!

(გ ა რ დ ა).

მოქმედება მესამე

სარდაფი. გაუთლელი ქვის კედლები. აქ ისეთივე კაფეა, როგორც ზედა სართულში. მარჯვნივ ქერამდუა აწვდილი მაღალი კაბე.

აქ ძლივს მოისმის ბრძოლის გუგუნა. სცენაზე არიან: ტერეზა, ამანდა, კარლოსი და ელვირა. კარლოსი და ელვირა ბნელ კუთხეში სხედან. ამანდა ზედა საფეხურზე ზის და ყურს უდგებს ბრძოლის ხმაურს.

ტერეზა — (ჩანს, იმისათვის ალაგებს ქუჩკლებს და აწყობს კაფეს, რომ შვილების ბედზე არ იფიქროს, ნეჩუვლი და მაღალი ხმით) ზაფხულში, როდესაც უველგან სიძება და ადამიანს სული ეხუთება, აქ ისეთი სიგრილეა, რომ სამოთხე გვეგონებათ! ძველად აქ მე დამლაგებლად ვმუშაობდი... უბრალო მოსამსახურედ... ახლა კი... (ნერვულად იცინის) ახლა კი... მე ამ სისტემროს პატრონს მეძახიან... აბა მე რისი პატრონი ვარ? (ამოიოხრა) ო! ბავშვები... ბავშვები სულ ხელიდან წავიდნენ... მე აღარ მიჯერებ. რა ვუყო, არ ვიცი, როგორ მოუვარო. სენიორ, ეგებ რამეს მითრთმევთ!

კარლოსი — გამადლობთ, სენიორა... მადა არა მაქვს!

ამანდა — (ხევით იყურება) მადლობა ღმერთს, მგონ, თენდება!

კარლოსი — შეიძლება, ამ გათენებას ჩვენი განადგურებაც მოჰყვეს.

ამანდა — დღისით შიშაც უფრო ნაკლებია, ვინემ ამ წყევლიად ღამეში... დღე თითქოს სიკვდილიც უფრო ადვილია, ვინემ ღამე...

ელვირა — (გაცეცხლებული) ვთხოვთ გაბრუნეთ! „სიკვდილი“, „სიკვდილი“... მე სრულიადაც არ ვფიქრობ სიკვდილზე... და არავის არა აქვს უფლება მოგვეყოს ის მე, ან ჩემი ქმარი... ამის უფლება არა აქვს არც რვეოლუციის და არც იანკის... ჩვენ არავისათვის ცუდი არ გვიქნია და არც არავის წინააღმდეგ არასოდეს არ გვიბრძოლია. ღმერთო ჩემო! რა გვინდოდა, რომ ჩამოვედით ამ დაღუბულ პლაე-ხირონში.

კარლოსი — პლაე-ხირონი! პლაე-ხირონი! რა იცი, ქალო, ეგებ ახლა აქ ჯობია, ვიდრე ჰაენანში... შეიძლება აქ უკვე მთელი ქალაქი დაბომბალა.

ამანდა — ეს რადიო მაინც არ გაუფიქრებელიყო. (ცოხზე ჩამოღის და ტერეზას მიმართავს) სადაა თქვენი ბავშვები სენიორა? ნუთუ არ წუხართ?

ტერეზა — ვინ მოგახსენათ, არ ვწუხვარო... მაგრამ...

კარლოსი — (ბუფეტთან მივლიდა) სენიორა ტერეზა! მომიშადავო ტაფაშწვარი შაშხით... სალა-
თი და კოქტეილი! (ჩაფიქრდა) არა... ტაფაშწვარი და სალაითი საჭიროა (ჩაქაჩა) მაგონდა
დამისხით... წმინდა ბაქარდი!

ამანდა — გეშინიათ, სენიორა?

კარლოსი — უადილო ხუმრობაა, სენიორიტა! გარშემო ბრძოლაა და ჩვენ კი ვართავებებით
გამომწყვდეული ვართ ამ სარეგულაციო!

ამანდა — (კარლოსს ნიკაპზე ხელი მოუტაცუნა და მოეფერა) გული რად მოგდით, სენიორა?
ელვირა — (ამანდას ხელი ჰკრა) შენ, ეი!

ამანდა — (დაიბნა) ნუთუ გგონიათ, რომ მე ამას... (კარლოსს ხელი მიამოხრა და უნდოდა
რაღაც უხეში ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა) ნუთუ გგონიათ, რომ თქვენი ქმარი მინდა
გადავიბირო?

ელვირა — (კასობს) შენ შენი იანკი და შენი ამოღონით გუყოფა... ჩემს ქმარს მოეშვი...
გომბიო!

ამანდა — (უცხად გაეცხლდა) თქვენ, სენიორა, სულელი ხართ, უტყუარო... ჩერჩეტი, როგორც
თხა! არა, თხაზე უარესი...

ტერეზა — (გულმოსული შესძახა) ამანდა!

ამანდა — (გაეცხლებული, ტერეზას აღარ უსმენს) თქვენ ნების კია ბრძანდებით... ბაღლინ-
ჯო... არა, ბაღლინჯოზე უარესი!

(გარედან სროლის ხმა მოისმის. ამანდამ ბუფეტზე პურის საჭრელ გრძელ
დანას წაავლო ხელი და ელვირას შეუტია).

ელვირა — (იკივლა) კარლოს!

ამანდა — (ელვირას დანით უახლოვდება) ახლა მე თქვენ დაგკლავთ... გოკვიით დაგკლავთ...
და თქვენი კარლოსი მონით ადგილიდანაც არ დაიძვრება. მე ამასაც მოკლავ. ამ გაბე-
რილ ტიპობას. ზედავთ, როგორ ცახცახებს?..

ელვირა — (ყვირის) მიშ-ველდეეთ!

ტერეზა — ამანდა!

ამანდა — (უცხად დაწყნარდა) ნუ გეშინიათ, ტერეზა! მე ამ მერალ მძორს ხელსაც არ ვახლებ...
(ღანა ბუფეტზე დააგდო) ადამიანები... (ისტერულად იციჩის) ადამიანები... ამათაც ად-
მიანები ეწოდება. (ელვირასა და კარლოსს ხელი მიამოხრა). ნუთუ თქვენც ადამიანები
ხართ?... ეი, საღ არიან ადამიანები! (ხელი კიბისკენ გაიშვირა, იჭით, საიდანაც სროლა
ხმა მოისმის) აი ადამიანები! ისინი შტერს ებრძვიან... კვდებიან... გმირულად იბრძვიან...
ჩვენ კი... (კარლოსსა და ელვირას შეხედა) ჩვენ კი... შტვერი... ლაქა... ტალახი... მერა-
ლი ნეხვი... სიბინძურე!..

(სროლის ხმა უფრო ახლო და ახლო მოისმის).

ამანდა — ლითონის ფული მოშვეით. ტერეზა!

ტერეზა — რად განდა, ამანდა?

ამანდა — მომეყო!

(ტერეზა ამანდას ფულს მისცემს. ამანდა კაბზე ადის).

ტერეზა — საღ მიღიხარ, ამანდა! იქ სჩოლაა.

(ამანდა ზევით ადის და შვირე სართულში მიიშალება. მოისმის მუსიკალური
ყუთის ავტომატში ჩაშვებული ფულს ჩხრიალი... და თავაშვებული საცეკვაო მუსიკა
სიმღერითა და ვიტარებით).

კარლოსი — ეს... ამანდა... გულადი გოგოა...

(ამანდა უკან კაბზე ჩამოდის. მუსიკაში ანტონიოს ალტაცებული ხმა
შეშვიკრა).

ანტონიოს ხმა — დამჭერს... ტყვიით დამჭერს... მე ნამდვილად დაჭრილი ვარ!

ტერეზა — (ადგილიდან მოწყვდა. კაბზე არბის და ვაკეის) ანტონიო! ანტონიო, შეილო!

(კაბზე გამოჩნდება ალტაცებული და აღელვებული ანტონიო. იგი კოქლობს
და მარჯვენა ბარბაყზე ჭრილობას ხელის გულით მალავს).

ანტონიო — (გახატებული ყვირის) დედა, მე დაჭრილი ვარ! ნამდვილად დაჭრილი... ტყვიით!

ტერეზა — (შეიღს ეცემა, მოხებვია, მკერდში ჩაიჭრავს, კაბზე დასვა) აჰ, შე სულელი!
ჩემო პატარა სულელი! რა გახარებს? რა გახარებს, შეილო?! (კონცის, ეალერსება, შარ-
ვალსა ხელის) შე გიგო... შე უკეთო!

ანტონიო — (ტარსებში დარჩენილი... აღელვებული უჩვენებს) აი აჰ... აჰ მომხვდა... ზედავ
ჭრილობას?

ბერეზა — (უნდა შეიღო დააწინააღმდეგოს) კრილობა კი არა, კანია გააწერული. ვის გუბუნებოდა, რომ მიჰყვარა ამ ცეცხლში. (თავში წაართვა). მე შენ გიჩვენებ სეარს! (უცხად მოღბა, აქოცა, ნერვულად იღიმება) ერთი ამას შეხედეთ... გმირი... გმირი... (ინტერესულად იცინის) რა გმირა ბეჭი მყავს! (უცხად გულმოსული) დააწინააღმდეგე! ამ ფეხებზე! (სეარს) ამაღდა, მომეშველეთ... იქ ყუთში... ბანდა.

(ა მ ა ნ დ ა ყუთს მივარდება, გამოაღებს, ბანდს ამოიღებს და ტერეზას გაღასკვებს).

ამანდა — (ანტონიოს წინ ჩაიხრჩვება) გტყვი?

ანტონიო — რასაკვირველია, მტკიცად... მაგრამ... არაფერია... ოჰ, რა ბრძოლაა, რომ იყოფეთ! აურაცხელი მტერია... მოდიან და მოდიან სადესანტო ტანსაცმელებში... სენიორ პამილტონმა მათხოვა მე თავისი ავტომატი და სულ ვისროდი.

ამანდა — (ანტონიოს ხელი მოხვდა) უოჩად ანტონიო! შენ ნამდვილი ვაჟაკი ხარ!

ბერეზა — (შეღის კრილობას უხვევს) აუფკაცო... ცხვირმოუხიციელი... გოჭოვით ვაჟაკი.

ამანდა — პარველი დაჭრილი... მტერთან ბრძოლაში!

ანტონიო — აქ იმდენი დაჭრილებია, ამანდა... იმდენი დახოცილები.

ბერეზა — (შეღის თავში წაართვა) ნუ იცაყნები... ხელს ნუ მიშლი.

ანტონიო — (შეკვირად) ვაიმე... დედა, მტკიცად!

ბერეზა — (მკაცრად) გტყვი? ჯერ საღა ხარ, ტყვილი აწი ნახე! (ისევ შოღბა, კოცნის) ჩემო ბიჭუნა... რასაკვირველია რომ გტყვი... (ისევ გბზახდა, თავში წაუტიალა) თუ გტყვი, იქ რას მიფიქროდი?

ამანდა — ნურუ მთელს კეზაზე ასეთი ბრძოლებია ამაღამ, როგორც აქ, პლაე-ხირონაში?

ანტონიო — (ტყვილებით იმანებება) რადიო რად არ მუშაობს?

ბერეზა — (კრილობას უხვევს) შენი საქმე არაა!

ამანდა — შეიძლება, აპარატს ტყვია მოხვდა.

ანტონიო — მომტანეთ აპარატი... მე აქამუ მადგებ.

ბერეზა — იწეკი-მეთქი... ნუ ფართხალებ!

ელვირა — ეგებ ანტონიომ მართლაც შეაკეთოს აპარატი... გულს გადააფოლებს... ტყვილიც დააუწყებდა.

ამანდა — მე მოვიტან აპარატს. (წამოიჭრება და მალე არბანს).

ბერეზა — მოეშვი, ამანდა! იქ სროლა... დაიღუპება!

ამანდა — არაფერია... ტყვია ჩემთვის არ მოიცლის.

ანტონიო — (ხელით უჩვენებს) იქ კაფეში მთელი ფანჯრები ტყვიითაა დაცხრილული და ჩაღწეული.

ელვირა — (ამოიხიბა. პირველს იწერს) ღმერთო, გვიხსენი, იესო ქრისტე!

ბერეზა — ზოსე არ ვინახავს... ან ვიოლეტა... საღ არიან?

ანტონიო — იქ ვის იცნობ ამ კუფუნას დამეშო, ვის შეხვდები, თუ ფეხი არავის დააბიჯე. მე მხოლოდ სენიორი პამილტონი ვნახე... მარსელო და ედუარტე.

(კრებულ ამანდა ჩამოღის, რადიოაპარატი მოაქვს).

ამანდა — აპარატს ტყვია მოხვედრია... ო, აქ! გვერდით ნახვრეტია!

ანტონიო — აქ მომეცი... ვეცდები გავაკეთო! (აპარატს მიუჯდა და მამინვე დაუწყო დამლა) ალბათ, კონტაქტია გაწყვეტილი.

კარლოსი — (პრეტენზიით) ასეთ კაფეს რატომ არა აქვს ღრმა სარდაფი პროდუქტებისათვის?

ბერეზა — სარდაფი გვაქვს სენიორ კარლოს. მაგრამ იქ ყელამდე წყალი დგას. მოგესვენება... ზღვის ნაპირა სულ ახლოსაა. თავშესაფრად არ გამოგადგება!

კარლოსი — (ირონულად) თქვენ გგონიათ, რომ ეს ვართყვების სარდაფებია უფრო საიმედო თავშესაფრია, ვიდრე ის სარდაფი?

ბერეზა — სარდაფი წყლით სავსეა, სენიორ!

ანტონიო — (აპარატს შლის) იქ, შეიძლება, კაცი კიდევ დაიხრჩოს!

ელვირა — (შემინებული) რაღაც საშველი უნდა მოვიფიქროთ, თორემ დავიღუპებით!

ამანდა — მივციით ნება, ბერეზა, ჩამკრწენ იმ წყლით საესე სარდაფში!

ელვირა — (ამანდას, მკვახედ) ეს თქვენი საქმე არაა, ზმა ჩაიყვინდე!

ამანდა — (ისევ დანახე უჩვენია) ამ დანას ხედავ?

კარლოსი — (ცოლს) ქალო, რას ლაუბობ!

ანტონიო — ღმერთო ჩემო, რამ აანერვიულა ეს ხალხი! დედა! წყალი დამალევი!

ბერეზა — (მაცივრიდან ბოთლს გამოიღებს, ჩანს, ძალზე ნერვულად, რამდენიმეჯერ დაეცეტას და გააღებს მაცივარს) რა ვუფო ხოსეს, არ ვიცი... მაცივრებთან ყველა კლიტე მომ-

ლილია... არა, მას კი არ ვემდურის.. ჩემი ბავი კუვიანი ბავია... მაგრამ, აბა, ხოსე რა ოფიციაანტი... არქიტექტორის ფაქტობრივ უნდა შევიდეს... თუკი... რასაკვირველია... ეს ომი არ ვაგრძელდა... და თუ ცოცხლები დაგრძობ. მაგრამ... არა—ან ჩვენ მოვიპოვებთ ან ისინი.

ელვირა — რა სისულელეა! რატომ მაინცდამაინც უნდა მოვიპოვოთ ან ჩვენ, ან ისინი?.. ვანა მოლაპარაკება არ შეიძლება? ისინიც ხომ აღამაანები არიან და არა მხეცები!

ანტონი — (გაიცხვლდა) ვინ არიან აღამაანები? ჩვენი რევოლუციის მტრები... ფილელ კატროს მტრებს თქვენ აღამაანებს ეძახით?

კარლოსი — (კოლს) შე ჩერჩოტო, რა გალაქაქებს! ვერ ხედავ, ბიჭა დაჭრილია, მაგას ახლა კაცის მოკვლაც შეუძლია.

ანტონი — (გავიკრეფული და დაბნეული) მოკვლა? მე? რას ბრძანებთ!.. მე თქვენ რაზე უნდა მოგვლა?

(უზოლიან კიბზე შემოიჭრებთან შეიარაღებული როდრიგესი და ელვირა ტე. კობის თავში ჩაიხიქეს და ზედა საბრტულს იცავენ შემოტრევიდან).

კარლოსი — (პირველიაჩ იწერს) ღმერთო, გეხსენია!

ტერეზა — (იმედგლომებული) ელვარტე! (კიბე აირბინა) ელვარტე! ხოსე სად არის?

ელვარტე — არ ვიცი, ტერეზა... ხოსე დღეს თვალათაც არ დამინახავს.

ტერეზა — (უკან კიბზე ჩამოდის) საკოლავი აპოლონიო!.. დასასვენებლად ჩამოვიდა...

ელვირა — ჩვენ კი?.. ჩვენ კი, როგორ გგონიათ, აქ საბრძოლველად ჩამოვიდით? დიდი მადლობელი ვახლავართ, სენიორა, ასეთი დასვენებისათვის! (ქმარს მივარდა) შენ ხარ დამნაშავე, შენ, მხოლოდ შენ! გასსოვს, გულებზემოდ, წავიდეთ კორასაში, აქ დავასვენოთ-მეთქი... შენ კი დაიჯინე — პლაე-ხირონა... აი, ესეც შენი პლაე-ხირონა!.. დაბრძანდი, დაისვენე!..

კარლოსი — მომეშვი!

ტერეზა — სად არიან ჩემი ბავშვები?.. სად არიან ხოსე და ეიოლუტა?

(კობის თავში, ხელში ავტომატით გამოჩნდება მარსელო).

მარსელო — (ელვარტეს) ყოჩაღ, ხირალლო! მან თავისი ბიჭებით დესანტის ხომალდი ააფეთქა... მე ჩემი თვალთ ვნახე, როგორ გადატრიალდა და ჩაიძირა.

კარლოსი — რაო?! ვანა დესანტი გვით მოვიდა?

მარსელო — ერთი ვემით კი არა, გემებით, სენიორ! ტანკებიც კი გადმოსხსნ!

ტერეზა — მარსელო, სადაა ჩემი ხოსე? აპოლონიო სადაა?

მარსელო — (დიდხანს მიჩერებული ტერეზას. პულხის შემდეგ) დამისხი რამე!.. დამალევიწე!..

ტერეზა — რას ვაჩემებულხარ? ხოსე რა უყავი?

მარსელო — ხოსე მე... არ მინახავს... დამისხი წმინდა ბაქარდი!

ტერეზა — ეიოლუტა?

მარსელო — ეიოლუტა ავტო კიბესთან ზის მოფარებულმა... ნუ გეშინია... არა უშავს...

ელვარტე — ასე რად დადუმდნენ?.. ზედავ, რა სისურვება!

მარსელო — მთელ ჩვენს რაიონს ილუა შემოატრეყეს... ალბათ... ალბათ, შემოგვთავაზებენ, რომ უბრძოლოდ ჩავებარდეთ!

კარლოსი — ჩავებარდეთ?.. როგორ თუ ჩავებარდეთ?

ელვარტე — მაშ როგორ გგონიათ, სენიორ! ჩვენ სულ ცოცხლებიც, დაჭრილებიცა და დახოცილებიც ასორმოცდაათა კაცა ვართ... ისინი კი ათასები... ზემარობა ხომ არაა, ოთხი გემით მოვიდნენ!

მარსელო — (სავსე ჩაის ჭიჭა გადაჰკრა) გმადლობთ, ტერეზა! ერთი კიდევ დამისხი!

ტერეზა — რას ამბობ, მარსელო?

მარსელო — დამისხი! როგორ? გენანება?

ტერეზა — შევარგოს! შენთვის მე არაფერი არ მენანება, მარსელო! მხოლოდ მეცოდები... წმინდა ბაქარდი ხუმრობა არაა... ეგებ, ღმერთით გავურაო?

მარსელო — არა, წმინდა ბაქარდი!

ტერეზა — (შეშფოთებული) ეს. რაა? ბეჭზე სისხლი გაქვს!

მარსელო — (დასცალა ჭიჭა) არაფერი! კიდევ დამისხი!

ამანდა — მიბოჭეთ, კრილობას შევიხვევთ!

მარსელო — შემიხვეეთ, ბანდი თუ გაქვთ!

ამანდა — დაბრძანდით! (ბანდს აიღებს, კრილობას სინჯავს).

ტერეზა — ეს ბავშვები კუვიდან შემშლიან. სულ მათზე ვფიქრობ... რა უყუო, არ ვიცი...

ამანდა — (კრილობას უხვევს. მარსელოს ენერჯულდება) საკოლავო ტერეზა... როგორ გგონია... ნუთუ ისინი გაიმარჯვებენ?

მარსელო — რა მოგახსენოთ, სენიორიტა! დესანტი დღია... ვის ეგონა, რომ ისინი აქ ვაღ-
მოვიდოდნენ... ჩვენს ქაობებში კაცი კი არა, ვშმაკაც ფეხს მოიტეხს.

ამანდა — (პრილობას უხევეს) თქვენ გგონიათ, რომ დესანტი მარტო აქ არის. პეტრე-პეტრესკინი
და არა მთელს კუბაზე?

მარსელო — შეიძლება, ყველგან არის... მაშინ...
ამანდა — გტყვიათ?

მარსელო — მე ტკივილისა და პრილობებს მიჩვეული ვარ, სენიორიტა... მაგრამ დღეს ის მაწუ-
ხებს, ზურგში ვინ დამტარა... ზურგში ვინ მესროლა... ნთუთ ვინმე ჩვენთავანშა... რა-
საკვირველია, შემთხვევით... თუმცა... რატომ მიინცდამიანე შემთხვევით... შეიძლება,
განზრახ კიდევ... ჰა, რას იტყვი, ტერეზა?

ტერეზა — რა უნდა ვითხრა, მარსელო! შეიძლება, განზრახ და, შეიძლება, შემთხვევითაც;
როდრიგესი — აჰა, მოძებრებიან... მოზოხავენ!

მარსელო — არ ესროლოთ ეგებ ჩვენები არიან!
(ანტონიო მ რადიოაპარატის აწყობა მიატოვა და კიბეზე მიხობაეს).

ტერეზა — (ანტონიოს მისდევს) ახლაც დაბრუნდი! უკან დაბრუნდა!
ანტონიო — თავი დამინებე!

მარსელო — (გულმოსული) შენ ვი, სკენინა! უკან დაბრუნდი
(ანტონიო გაიანბა, მოწიწებით უკან ბრუნდება და აპარატს მიუჯდა).

ამანდა — (მარსელოს მშველ მყერდს გაკვირვებული დასჩერებია) თქვენ... რამდენა პრილობა
გტონიათ...

მარსელო — იმდენი, რამდენჯერაც ჩემი მოკვლა უნდოდათ, სენიორიტა! ტერეზა, ერთი კდევ
დამისხი!

ტერეზა — არა, მეტს არ მოგვემ! თუმცა... სვი, რამდენიც ვინდა. (უკვას აესებს).
ამანდა — თქვენ, ალბათ, სულ საავამყოფოში იწვიეთ!

მარსელო — არა, სენიორიტა... საავამყოფოში ვინ დამაწვევდა! ლაქაშებში ვიწვიე, ტყეებში,
ჩირგენარებში და, როგორც დავრილა ძალი, ვინთ ვილოკავდი პრილობას... ხომ სე-
დავთ, მაინც ვადაკრაი. (თვალბში შეხედა) თქვენ კიდევ ვინდათ რაღაც მკითხოთ!
შემეკითხეთ ნუ გერიდებათ. ლაპარაკში გავერთობი და ტკივილს აღარ ვიგრძნობ... აი
ასე... ბანდი უფრო მოუპირეთ... უუ! ასე ჯობია, სულ აღარ მტყვი. ოქროს ხელზე
გტონიათ, სენიორიტა! (სახეზე შეხედა) მართლა, რა ლამაზი ყოფილხართ! დიდი ხანია,
რაც პლავ-ხირონაში ჩამობრძანდით?

ამანდა — არა... სულ ორი დღეა თქვენ კი აქაური ბრძანდებით?

მარსელო — დიახ... აქაური! და ყველაფერს, რასაც აქ ხედავთ, ჩემი იყო: ცა... ზღვა... მზე...
ჰაერი... მხოლოდ მიწის ნაცვეთი არ გამაჩნდა. და მქონდა მანეტა... იცით, რა არის მა-
ნეტა სენიორიტა?.. შაქრის ლერწმის საჩეხი დანა... ხელის გულის სიფართო დანა...
დარწმანებით გრძელი და სამართებულებით ბასრი. და მთელი მშა მყავდა... მაშაც მყავდა...
ხორბალი ვრქვა მაშინმეს... ჩემზე უფრო მალაო იყო და ჩემზე ვიყავი. ჩვენს მთელ
ოჯახით დიდიდან საღამომდე შაქრის ლერწამს ვრქვავდით... სხვის ლერწამს, სხვის მი-
წაზე. და ასე... მუდამ, ყოველდღე, და ბოლოს, ჩვენს ყურამდე მოვიდა, რომ სიერ-
მავსტრას მთებში ფიდელ კასტრომ თქვა: „მიწა მას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც ლერწამს
ჩეხავსო“...

ამანდა — (მარსელოს აღელვებული მანერებია) თქვენ ნამდვილი ვაჟკაცი ხართ, მარსელო!
ნამდვილი კაცი!

მარსელო — და მაშინ ჩვენი... მთელი ჩვენი სოფელი, მთელი პროვინცია, ფიდელთან მთებში
წყვედით, რომ ჩვენი კუბა გაკვეთავისფლუებია. (შეყვარა და ხელი ვაიშვარა) ეს ძალ-
ლები კი დაბრუნდნენ, რომ მე მიწა ისევ წამართვან...

ტერეზა — (რომს ასხამს) შეიძლება ხოსე ცოცხალიც იყოს...
მარსელო — (მრისხანედ) ვინ თქვა, ხოსე მოკლესო? ვანა მე ვთქვი? (ხმას აუწია) შეიძლება,
ელდარტემ თქვა? (უფრო ხმამაღლა) ვინ თქვა, ხოსე მოკლეს?

ელდარტე — შენ უკვე მთვრალა ხარ, მარსელო!

მარსელო — (გაცეცხლებული) ვინ თქვა, ხოსე მოკლესო?
ტერეზა — (სახეზე ჭიქას მიაწოდებს) დალიე, მარსელო.

მარსელო — გამადლობთ, ტერეზა. სენიორიტას დაუხსნი.
ამანდა — მე თვით დავისხამე, გამადლობთ! (რომით უკვას აესებს).

მარსელო — (ამანდას) მე შენ სადღევრძელის ესვამ, სენიორიტა, ყარგად შემხვიე პრილობა!
მპატავით, რომ შენობით მოგმართავ, მაგრამ ასე უფრო მეხერხება... გული ნუ მოგვივა...
მართლაც, რომ მშვენიერია და ლამაზი ხარ, ჯადოქარი! აქ ვისთან ვრთავ ხარ? ეს შენ,
მშობლებია? (ელდარტე და კარლოსზე უჩვენა).



ამანდა — (ზიზლით) რას ბრძანებთ?

მარსელო — ეგებ ქმართან ერთად ისვენებ?

ამანდა — მე ქმარი არა მყავს!

მარსელო — ლამაზო, საიდანა ხარ?

ამანდა — პავანიდან.

მარსელო — პავანაში რას აკეთებ?

ამანდა — მე?... უცეკვაუ... კაბარეში.

მარსელო — (გაბარებულად) კაბარეში? დღეს თუ... ნათელი დღე გამოთენდა... და თუ ცოცხალი დავრჩი... და თუ შენ ჩემს შეყვარებას შეძლებ... მხოლოდ ნამდვილად შემიყვარებ... ცოლად შევიერთავ!

ელდარტე — შენ შთერალი ხარ, მარსელო.

მარსელო — ცოლად შევიერთავ!

ამანდა — დაიფიცეთ!

მარსელო — დღევანდელ დღეს გეფიცები! გეფიცები... თუ ცოცხალი დამტოვებს...

ამანდა — თქვენ... ხუმრობთ!

მარსელო — (დაღვრემილი) ვხუმრობ, სენიორიტა. (ისევ თქვენობით მიმართავს) მაპატიეთ თავხედობამ! (ხაფიქრად) ნეტავ... ზურგში ვინ მესროლა? (ელდარტეს) მანდ რა ამბავია?

ელდარტე — მოხობავენ ძალიან შეილება!

მარსელო — (ზეზე წამოძვავს. მარჯვენა ხელით ავტომატი გაისწორა) აბა ასე... თავიდან დავიწყეთ. შევეგებოთ ძვირფას სტუმრებს!

კარლოსი — ბოდიშს ვიხდი, სენიორ მარსელო! მგონი, ასე გეგაზიან!

მარსელო — დიახ, სენიორ! ასე დამარტყვა მაშაჩემმა ოცდამედი წლის წინათ.

კარლოსი — ნუ დამიფარავთ... პირდაპირ მითხარით, რა მოგველს?

მარსელო — რა მოგახსენოთ... ჩვენი მდგომარეობა მაინცდამაინც... (თვალი ექნია, ჩერჩულით) თქვენ გინდათ... თქვენი მუღუღე რომ დაწყნარდეს...

კარლოსი — არა... ჩემს მუღუღეს მაგარი ნერვები აქვს... ეს მე... მე მაქვს ცუდი გული.

მარსელო — (ზიზლით დამაჩნჯა) რა ვთხარათ, სენიორ!.. ხომ გაიგონეთ, მოდიან... მოვლფხავენ... აქ მალე ისეთი ცეცხლი დატრიალდება... ძალიან პატრონს ველარ იცნობს... დავახოცებთ, მაგრამ, ნუ გეშინიათ, ცოცხალი არ დაენებდებით.

ელდარტე — ვაიმე... ვაიმე, კარლოს!

მარსელო — ისინი არავის არ დაინდობენ... მათ არც ღმერთი სწამთ, არც ეშმაკი... არც სიწმინდის აქვთ და არც ნამუსი. თუ გაიმარჯვებს, ყველას დაგვხვრეტენ, ყველას... განტრჩეულად. ჩვენ ისინი კომუნისტებს გეგაზიან, მაგრამ, მერწმუნეთ, სენიორ, მე არც ვიცი, ვინ არიან კომუნისტები.

კარლოსი — კომუნისტები? ო-ო-ო-ო-ო-ო! (უნდოდა რაღაც კომუნისტების წინააღმდეგ ეთქვა, მაგრამ უცხად ტონა შეცვალა, უხერხულად გაიღიმა და განაგრძობს) კომუნისტები... ო-ო-ო-ო-ო-ო!

მარსელო — მაგრამ თუ კომუნისტებს ეგაზიან მათ, ვისაც მონობა არ უნდა, ვინც სხვას წინაშე უჭდს არ ხრის და თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის იბრძვის, მაშინ მეც კომუნისტი ვყოფილვარ, სენიორ. მაშინ ყოველი პატროსანი ადამიანი კომუნისტი ყოფილა!

კარლოსი — მე... პატროსანი კაცი გახლავართ.

მარსელო — განა თქვენს პატროსნებაში ეჭვი მეპარება? ზურგზე ჩემთვის თქვენ ხომ არ ვისვრიათ?

კარლოსი — რას ბრძანებთ, სენიორ მარსელო?... მე იარაღიც არა მაქვს.

მარსელო — ეწუხება, რომ არც მე მაქვს თქვენთვის ზედმეტი იარაღი... მაგრამ არაფერია, მალე აქ იარაღიც გათავისუფლდება... მალე, შეიძლება, მარტო თქვენ მოგიხდეთ ბრძოლა!

ელდარტე — ჩემს ქმარს არასოდეს ხელთ არ სჭერია იარაღი... სროლაც არ იცის.

როდრიგესი — ძველად არც მე ვიცოდი სროლა, სენიორ!

ტერეზა — ვიოლეტა სადაა დაიკარგა?

მარსელო — (კიბზე ადის, იახხის) ვიოლეტა იღვას შემოდით!

(ავტომატებით ხელში ვიოლეტა და ალფა შემოვიარდება.)

ტერეზა — ვიოლეტა, შეილო! ხოსე სადაა?

ვიოლეტა — ხოსე იქ... წინაა, დედა, სენიორ ჰამილტონთან ერთად.

როდრიგესი — სენიორ ჰამილტონი კარგი იანკია.



ედუარტე — ვეღა იანკი კარგია, ვინც კი ჩვენს წინააღმდეგ არაა.

ტერეზა — აპოლონიო? აპოლონიო სადღაა? (აღფას) შენ რა გატარებს,

აღფას — მე... მე არ ვტარი, დედა ტერეზა!

ტერეზა — როგორ თუ არ ტარი?!

ვიოლეტა — (გულმოსული) მოეშვი, დედა, აღფასთან რა გინდა!

ტერეზა — შენ კი რად არ ტარი?

ვიოლეტა — მე რაზე უნდა ვიტარი, რა მაქვს სატარალი?

ტერეზა — ხოსე სადაა, შეილო, ხოსე!...

ვიოლეტა — ხომ ვითხარი, იქაა-მეთქი... სენიორ ჰამილტონთან ერთად!

(კიბის ზედა საფეხურებზე ფეხები გამოზნდა. ჩანს, კაცს შემოსვლა უჭირს... გაჩერდა. ვეღლანი ზვეითყენ იყურებთან.

პაუზის შემდეგ კიბეზე, წელი, მოღლილი ნაბიჯით ჰამილტონი ჩამოდის. ის ბეჭებში მოხრილია, მხარზე ავტომატი ჰკიდია, ხელში ხოსეს კოლტი უჭირავს).

ტერეზა — (ვაფიქრებული დგას, ადგილიდან არ ძივრის) იი ჩემი ბიჭის იარაღი... ეს რე-ვოლუცი კართი კვირის წინათ იყო... (გაზუმდა... პაუზის შემდეგ ხელები უშეწოდ ვაშალა) შეიძლება, ეს სიზმარი იყოს?! ხომ შეიძლება, დედამ ცუდი სიზმარი ნახოს... ალბათ, სიზმარი ვარ.

ჰამილტონი — (მოქანცული. ფეხზე ძლივს დგას) მარსელო, მე ტანკები დავინახე... „შერმანი“... შეერთებული შტატებიდან... საშინელი იარაღია... ნუთუ მთელს კუბაზე ასეთი ბრძოლაა!... ნუთუ ვეღლან დესანტი? (პაუზის შემდეგ) იცით, მარსელო... დღეს ვიღაც... ჩვენებს ზურგში ესროდა.

მარსელო — დიხ. სენიორ ჰამილტონ, ვილაც ისროდა.

ამანდა — (ჰამილტონს მივარდა) ვეღლა, შენ დაჭრილი ხარ?

ჰამილტონი — არა, ამანდა, მოვიქანცე... ჩემი ხნის კაცი!...

ამანდა — (ჰამილტონს დასვაშა, გვერდით მოუჯდებდა) ხნოვანება რა შეიშა? შენ ჰაბუკუიით გამოიყურები! (ჰალარა თავზე ხელს უსვაშს) შენ ჩემი ღმერთი ხარ! თეთრი ღმერთი!... ჰალარა მეომარი... კაცივით მაგარი ვაყავა... თბილი გულით... კაცი ციცილანა გულით... მუდამ ბრძოლაში და ლაშქრობაში გამობრძმედილი.

ჰამილტონი — (ოღნავ ილიმება) „გამობრძმედილი“... ვათავდა ჩემი ლაშქრობა, ამანდა... ვათავდა, ჩიტრნია... ეკ, ცხოვრება... ცხოვრება... რამდენ ბრძოლაში ვყოფილვარ... რამდენი გაჭირვება და აი... საბოლოოდ, სად...

ამანდა — შენ გგონია, თუ იმით ვაიმარჯვეს, დატვრეტენ?

ჰამილტონი — (თავი ვაქნია) არა, ამანდა! ისინი ვერასოდეს ვეღარ ვაიმარჯვებენ. დიხ... მათ შეუძლიათ ვეღლან დატვრიტონ. ვაიმარჯვებთ... ისინი ვერასოდეს ვეღარ ვაიმარჯვებენ. კება მათთვის სამუდამოდ დაკარგულია ვეღლაფერს, რასაც ვარგავენ, ვერასოდეს უკან ვეღარ დაიბრუნებენ. და რასაც მეტს ვარგავენ, მით უფრო ბრახდებიან.

კარლოსი — მათ უკვე ნახუვარი ვეროზა დაკარგეს... ნეტავ, რას ფიქრობენ?... მათ თათქმის მთელი აზია დაკარგეს!

ელვირა — (გულმოსული. ქმარს) შენ ვინ გვკათხება? ვისაც რა უნდა, ის დაკარგოს, პოლიტიკა შენი საქმე არაა!

ჰამილტონი — კუბას ისინი ვეღლანსოდეს ვერ დაიბრუნებენ. უადელ კასტრომ შეერთებულ შტატებს ბრაწი უჩვენა...

ედუარტე — ისინი მალე შექსიკასაც დაკარგავენ... ბრაზილიასაც... მთელ სამხრეთ ამერიკას დაკარგავენ, მისტიერ ჰამილტონ!

ტერეზა — (ყრუ ბრძოლის ხმაურს ყურს უჯდებს) გაჩუმდით!

ედუარტე — ეს... მარცხნივ... ალბათ, ხირალდოს ჯგუფს წააწყდნენ.

მარსელო — ხირალდოს თავშესაფარი არა აქვს.

როდრიგესი — ჯობდა, ხირალდო თავისი ჯგუფით ჩვენთან მოსულიყო... აქ თითქოს ციხე-სიმაგრეში ვხვართ.

ტერეზა — სენიორ ჰამილტონ! ნუთუ ჩემს ხოსეზე არაფერს მეტყვიეთ?!

ამანდა — ეღლაის ძინავს, ტერეზა... ნუ გააღვიძებთ!

ელვირა — ძინავს... წარმოგიდგენიათ! ძინავს ამ ჯოჯოხეთში!

კარლოსი — მაგისტრის სულ ერთია, ჯოჯოხეთით თუ სამთბე... მიჩვეულია!

ჰამილტონი — (თავი ძლივს წამოწია, კარლოსს) ნუთუ თქვენთვის ძნელია, სენიორ, ადამიანობას მიეჩვიოთ... კაცი იყოთ!

კარლოსი — რა განდათ ამით თქვათ, არ მესმის!

ჰამილტონი — მით უარესი თქვენთვის, სენიორ!

- მარსელო** — (ხოსეს კოლტი აიღო, კარლოსს გაუწოდა) აბა, სენიორ, იარაღი...
- კარლოსი** — (უკან იხვეს, თითქოს მარსელოს ხელში გველი ეჭიროს) არა... არა, მარსელო, მე სროლა არ ვიცი.
- ჰამილტონი**, — ჩვენ აქ თითქოს წოეს კიღობაში ვიმყოფებით: არიან წმინდანებიც, აქედან ღურბებიც.
- კარლოსი** — კი მაგრამ, კიღობაში ხომ ვადაბნა სენიორ ჰამილტონი
- ჰამილტონი** — არც ჩვენი კიღობაში დაიღუპება, სენიორ, და ისევ დარჩება ქვეყანაზე წმინდანებიცა და უწმინდურებიც...
- მარსელო** — ვეპი! ისტერ ჰამილტონი! ამ ქარაფშეტა მოხუცმა ნოემ დიდი შეცდომა ჩაიდინა კიღობაში უწმინდურები არ უნდა ჩავსვია... ისინი წარღვნის დროს უნდა დამხრჩეულიყვნენ.
- ჰამილტონი** — დადგება ისეთი დრო, მარსელო, რომ ქვეყანაზე მარტო წმინდა ადამიანები იცხოვრებენ... და... მსოფლიო წარღვნა საჭირო აღარ იქნება.
- ტერეზა** — სენიორ ჰამილტონ, მითხარით რამე... ნუთუ სათქმელი არაფერი გაქვთ?
- ჰამილტონი** — (მოქანცული, ხმა ძლივს ამოიღო) ხოსეს კოლტი... თი იქ კიბესთან ვნახე, სენიორა... კიბესთან... (მწარედ შეიკუმშა, თითქოს რაღაც ეტყინა, და ბუფეტზე დაემხო).
- ამანდა** — რა მოგვივიდა, ელდაი?
- ჰამილტონი** — (ხერხულებს) არაფერი... არაფერი... ასე მირჩენია. (თითქოს ჩაეძინა).
- კარლოსი** — ნეტავ ახლა ჩვენზე რას ფიქრობენ პაენანაში?
- როდრიგესი** — ვინ იცის, ეგებ პაენანაშიც ცეცხლი ტრიალებს!
- მარსელო** — (ანტონიოს მიუჯდა) ეგებ, როგორმე შეაყეთო ეს მანქანა, ეგებ აილაპარაკო ვიოლეტა, დაეხმარე ანტონიოს!
- ვიოლეტა** — (დუღისაკენ ზურგიით დგას და ტრახს, ლულულღებს) მე... რადიოსი არაფერი გასეგება... ანტონიოა მაგის ოსტატი...
- ტერეზა** — (ანტონიოს) ჭრილობა გტყავია?
- ანტონიო** — (მუშაობით გაბრუნდა) მტკივა კი არა, სულ დამავიწყდა.
- ამანდა** — (ანტონიოს) ოხ, ჩემო ვიბრო!
- ტერეზა** — (თავისთვის) „გმირო...“ „გმირო...“ (ჩანს, მეტეს ევლარ იომენს და ჩქარი ნაბიჯით კიბისაკენ მიდის, კიბესთან შეჩერდა. მწარედ შეიკელა) შეილო! (კიბეზე მიჩრბის).
- მარსელო** — (გზა გადაუღობა ტერეზას) უკან დაბრუნდი, ტერეზა!
- ტერეზა** — გაიშვი, მარსელო!
- მარსელო** — დაბრუნდი უკან!
- ტერეზა** — მე დედა ვარ, მარსელო... დედა!
- მარსელო** — შენ კიბელი ქალი ხარ, გესმის ესეც საყმაო!
- ვიოლეტა** — (თვალებს აწმენდს და შესძახებს) დედა, თირს ჩამოდი!
- ტერეზა** — ვიოლეტა, შეილო! (მოთენითილი, წელი ნაბიჯებით კიბიდან ჩამოდის).
- მარსელო** — ტერეზა, საუბრე მოგვიშადა, ჩვენ მშობრები ვართ... აბა, ჩქარა! (გარედან სროლის ხმა მოისმის. ტყვიის ჭახანა მოისმა და უხეთი მუსიკალური ფუთი ამუშავდა. მოასმის ტემპერამენტული თავაშვებული „საცეკვაო“ შელოდია და სიმღერა).
- ტერეზა** — რა ამბავია, ფული ვინ ჩააგდო ავტომატში?
- მარსელო** — ალბათ, ტყვია მოხვდა მუსიკალურ ფუთს.
- კარლოსი** — აი, ცხოვრება.
- (სროლით უკან იხვეს და კიბეზე გამოჩნდება აპოლონიო).
- ტერეზა** — (სახარულით შეჰკედლა) აპოლონიო! შპაი! (შეაბრება და ეხვევა) რა შეშინოდა... რომ მოგვეკლადნენ... ცოცხალი ხარ!.. უფნებელი!.. აპოლონიო, რა ბედნიერებაა! ხოსე? ხოსე სადაა? სადაა ჩემი ბიჭი?
- აპოლონიო** — ხოსე მე არ მანახავს, ტერეზა! იქ ისეთი ავრზაუტია... ისეთი სროლა... ისეთი უოჯოხეთია...
- მარსელო** — (აპოლონიოს თვალს არ აცილებს) განა თქვენ მოგდევენ, სენიორ?
- აპოლონიო** — რასაკერძეულია, მომდევენ... ზღუას ნაპირიდან აქამდე... სულ სროლით მოედოდი... ხაფანგში ვართ, მარსელო... ხაფანგში... ვეღარაფერი ვერ გვიხსნის... არ ვქნათ?
- ელვარა** — (შესძახა) რა ვქნათ და ჩაებარდეთ... ამ ოხერი ქაობებისათვის თავს ხომ არ შეეწირავთ!
- როდრიგესი** — როგორ თუ ჩაებარდეთ?
- ელვარა** — როგორ და ჩვეულებრივად... ისე, როგორც ბარდებიან ხოლმე მტერს, როდესაც ადამიანებს სიკედილი არ უნდათ. ჩვენ ადამიანები ვართ... ადამიანები და არა მანქანები!

აპოლონიო — კი მაგნამ, ვითუ... (შემოათვალე რა და მსწრეები და, რომ დინახა გაეცდეს) ბელ მარსელის, როდრიგის, ედუარტის, ტერეზის, ალფის, ვიოლეტის და ანტონიოს გაქვავებული სახეები, — ელფირასავე შემოტრიალდა და ერთი წყენის მიმართაც როგორ გვეადრებათ, სენიორა, მტრის ხელში წაყარდნას სიკვდილი ჯრბისა...
ელფირა — შე სრულიად არ ვაირებ აქ სიკვდილს... არც მე, არც ჩემი ქმარი.

კარლოსი — (კოლს) ჩემს შესახებ შენ არაინ გვითხება.
 (კბეზე ვარდნი, ხელში ატომატით, უცრად თავშეხვეული მანოლო შემოიჭრა).
როდრიგისი — (გახარებულ) მანოლო... მანოლო! აჰ, შე ემეის ფეხო... შე ვიციდი, რომ ცოცხალი ხარ... ვიციდი და არ ვწუხები... აჰ, ჰკითხე, ვინაე ვინდა... რომ არ ვწუწუნებდი.
 (მანოლო არც მამას, არც სხვა ვინმეს ყურადღებას არ აქცევს. დამსწრეები შემოათვალე რა და აპოლონიოს დაამტრდა.

აპოლონიო თავს უხერხულად გრძობს. უკვე ვარდა პამილტონისა, რომელიც ძილს განაგრძობს, ყველანი აპოლონიოს მიჩურებანი.
მანოლო — (კბეზე ჩამოღის, აპოლონიოს თვალს არ აცალებს... უკვე მთლად ახლოს მივიდა, შეჩერდა და ეკითხება) სენიორ, ხოსე რა უყავით?

აპოლონიო — ხოსე?.. ხოსე მე არ მინახავს...
მანოლო — სენიორ, ხოსე რა უყავით?!

ტერეზა — (მივარდა აპოლონიოს, ბეჭებზე ხელი მოხვია და თითქოს ზღაღღ საშინელების მოლოდინში, მანოლოს წერეული ხმით უპასუხებს) არა... არა, მანოლო! აპოლონიოს ხოსე არ უნახავს... აპოლონიომ არ იცის, სადა ხოსე... შენ მოხარია, მანოლო, ხოსე სადა?

მანოლო — (ხამალა ამოიყენეს) სენიორ, ხოსე რა უყავით?

ტერეზა — (უკმაღ გამოერკვა, აპოლონიოს კისერზე ჩამოეკიდა და მუდარით შებღავლა) აპოლონიო... თუ ძმა ხარ, ნუ დამიფარავ... მოხარია... მოხარია, თუ იცი, ხოსეს რა მოუტედა?.. სად არის ჩემი ბიჭი?

აპოლონიო — ტერეზა, გეფიცება, არ ვიცი. შე ხოსე არ მინახავს...

მანოლო — (გველის ნაკებნივით შეჰკვალა) არ მინახავსო! ამა შე... ზურგში ტყვია ვინ გამარტყია (უკმაღ შემოტრიალდა და აპოლონიოს ზურგი უჩვენა) ხოსე... დაჭრილი ხოსე რომ გამოგყავდათ... დაგვიწათ და ხელი გტაცათ... შე დაეინახე... ხოსე რა უყავით, სენიორ?

(ალფა, ედუარტეს ხელიდან დაუსხლტა, უკმაღ ატომატი გადმოიგდო და აპოლონიოს დაუმოხდა).

ტერეზა — (შეჰკვალა) რას ნადი, ალფა?!
 (მაგრამ უკვე გიანახა, თითი გაეარდა. აპოლონიო ადგილზე შექნდა, თავი შეიკავა, მაგრამ ხელიდან რევოლვერი გაუვარდა. ალფა უკმაღ შერტრიალდა და კბეზე სირბილით აღის, რომ ქუჩაში გაეარდეს).

მარსელი — (ალფას ხელა სტაცა) გეყოფა! უკან დაბრუნდი!
 (ალფა კბეზე ჩაიყვია).

ამანდა — (სასიკვდილოდ დაჭრალ აპოლონიოს მიჩურებია და ამოიხრა) ექმ შე აქაც დავიგვანე! სხეებმა მომასრეს!
 (აპოლონიო, თითქოს სიკვდილს არ აირებს, ადგილიდან დაძრა და ნელო ნაბიჯით ბეფეტს უახლოვდება. გაფათრებული ტერეზა უკან მიყვება. აპოლონიო თითქოს ტერეზას გურბის, უკან მოახედავს... თავს ევლარ შეუკვებს და ბუფეტს უკან შკვლარი ვარდება).

ტერეზა — (შეკვალა) აპოლონიო!

მარსელი — (მარსხანედ) ძმას ნუ დასტარი, ტერეზა, მაგ შენი ცრემლის ღირსი არა!

ტერეზა — (გაოგნებული) რა ექნა? რა ექნა, არ ვიცი?!

(მოისმას სროლის ხმა).

კარლოსი — (რომელიც აქამდე გაოგნებული იღვა, ადგილიდან მოწუდა, ხოსეს კოლტს ხელი წამოავლო, კბეზე არბის და გაყვირის) არა, კაცო კაცო უნდა იყოს და არა ძალდი და მოლაღატე!

ელფირა — (ქმარს დაეწია, ხელა სტაცა) სად მიდიხარ!

კარლოსი — (ხელი ჰკრა ცოლს) თავი დამანებე! (მივარდა, ედუარტესა და მანოლოს გვერდით ჩაჯდა და სროლა დაიწყო).

(მუსიკა გრძელდება. პამილტონი უძრავად ზის, თითქოს ძილს აგრძელებს.

ანტონიო რადიოს შეყვებნას განაგრძობს, უკვე მოისმას გაურყვეველი და ჯერ კიდევ შორეული ხმები, სროლის ხმა მატულობს).



მარსელო — (ყურს უგდებს) აბა, შენ იცი, ანტონიო... ეგებ, როგორმე ააშუშო.
 (ხმა რადიოში უფრო და უფრო ატლს მოსმის: „ან სამშობლო, ან სიკეთე“)

ანტონიო — (გახარებული) აბა, გესმით!

ელდარტე — გაჩუმიდი!

დიქტორის ხმა — „საპატის გმირებო! პლაე-ხირონას ვაჟაყებო! მთელმა ეტამ იცის თქვენი გმარობის ამბავი! მთელი მოწინავე კაცობრიობა თქვენს მხარეზეა! გამაგრდით, მეგობრებო! გამაგრდით... მტერს გავანადგურებთ... ფადელ კასტრო თქვენთანაა... იგი უკვე ფრონტზეა!“

მარსელო — (გახარებული) ესე იგი... ბრძოლა მარტო აქ ყოფილა... პლაე-ხირონაში!

ელდარტე — ასე გამოდის!

ელვირა — ნუთუ გადავჩრით?

ტერეზა — (ამოიხორბა) გადავჩრით, გადავჩრით, სენიორა ელვირა! (დამწირვები შემოათვა-ლურა) გადავჩრით... რასაკვირველია, გადავჩრით! (მუსიკა თანდათან იკარგება... სროლა მიწყნარდა. ახლოდება ტანკების გუგუნი).

ელდარტე — (წელში გაიშართა ისე, რომ მარტო მისი ფეხები მოჩანს. ხმამაღლა გაიძახის) ჩვე-ნები მოდიან!

მარსელო — (ხელ-ნელა, უკვე დაღლილი ჩამოდის კიბეზე) ჩვენები მოდიან. ჰამილტონს მიუ-ახლოვდება) გესმით, სენიორ ჰამილტონ, ჩვენები მოდიან! (ჰამილტონს ბეჭეზე ხელით შეეხო, უნდა გააღვიძოს, მაგრამ ხელი თითქოს გაუშეშდა და ნერვულად მიმართავს) სენიორ ჰამილტონ, რა მოგვივლიდათ? (ჰამილტონი შეარხია, მაგრამ მოხუცი აღარ უბა-სუხებს, ის მკვდარია).

მანდა — (სასოწარკვეთილი) რა მოუვლიდა? რა მოუვლიდა? ედლი!

მარსელო — უკვე მკვდარია...

ანტონიო — (ჰამილტონის ზურგზე უჩვენებს) ეს რა არის?

მარსელო — (ჰამილტონის ზურგი ხელით მოსანჯა) მოუკლავთ... მოუკლავთ ადლიწვილებს... ზურგიდან უსერიათ... პირდაპირ ვერ გაუბედათ... ეეე! პატროსანი იანკი! ედლია ჰამილ-ტონი პატროსანი ამერაქელია... (ქუდი მოახადა).

მანდა — არა... არა... მე არ დავიჯერებ... ნუთუ მართლა! (ჰამილტონის ფეხებთან უხმოდ ჩიკეცა).

(ზევიდან ედუარტე შემოვარდება).

ედუარტე — მარსელო! მარსელო! ფიდელი მოვიდა... ფიდელი! (უკანვე ვარბის).
 (მარსელო, როდრიგესი, ვიოლეტა, ანტონიო, ალფა, მანოლო კიბეზე არბიან და გადიან.)

სტენაზე ტერეზა დარჩა, იგი დგას შუა კაფეში, დაბნეული და საცოდავი. გარ-შემო იყურება, თითქოს დისახლისი მინჯრეულ ბინას ათვალაერებს და არ იცის, რით დაიწყოს დალაგება).

ტერეზა — (ხელებს შლის და ჩერჩულებს) ოჰ! ბავშვები... ბავშვები... რა ეუფო ამ ბავშვებს, არ ვიცი. აპოლონიოც უდროოდროს ჩამოვიდა... ღმერთო ჩემო, კვიდიან შევიშლები ამბობდნენ, ჩემი დაბადების დღე იქნებაო... გახსოვო, სენიორ ჰამილტონ! არა... არა, თქვენ ცოცხალი ბრძანდებიდ! ჩემი ხოსეც ცოცხალია... რისთვის, სენიორ ჰამილტონ? რისთვის ხოცავენ ჩვენს შვილებს ამერიკელები? რისთვის ხოცავენ ჩვენს შვილებს ამერიკელები? რისთვის? ვინ მისცათ ამის უფლება?.. (ცხბისაკენ შემოტრიალდა, ჩერ-ჩულებს) ფიდელო! (უფრო ხმამაღლა) ფიდელო... (ადგილიდან მოსწყდა, კიბეზე არბის და გაიძახის) ფიდელო! ფიდელო, ძვირფასო! ფიდელო! მე მოგიყვები! უვლაფერს მოგიყვება!

(ფარდა)

დასასრული



შაჰრო სამხარეო

კაბუჭური ღლეღამე

მოხბობა

ვენახებიდან მომავალი გზა ერთ ალაგას ორად იყოფა. მარჯვენა მიხვეულ-მოხვეულია, ქვიანი და აქა-იქ ტალახიანი. ხან ფართოდება, ხან ვიწროვდება, ერთი სიტყვით, მიზეზიანი და შარიანი. მარცხენა — სწორი, მკვიდრი, მოქვიშული, სუფთა და, რაც მთავარია, უხიფათოა.

ერთხელ, სოფლისკენ მიმავალი გზის გასაყართან შევდექი. ცხენი პირის მოსატყუებლად ბალახზე მივუშვი. უცბათ დავინახე: აღმართზე, პირდაპირ ჩემსკენ უჩვეულოდ მოპქროდა ცხენი, რომელზედაც ქალიშვილი იჯდა. სწრაფად ავმხედრდი და ქალიშვილის ცხენს ჩემი ცხენი მარჯვენა მხარიდან მივუტყენე; ამით მარჯვნივ გადასახვევი ჩაკვეტეორი ცხენის თავგანწირული, გათანაბრებული ქროლვა მარცხენა გზაზე აეწყო.

— ნუ გეშინია, ცხენი ცხენს მოაყოლე! — მალმალ მივძახოდი თანამგზავრს და გულში იმედს ვუნერგავდი. რვა პრილა ნაღმა ერთხანს უნთო და უნთო ძლიერი ცეცხლი გზას, მერე ქარიშხალი შენელდა და მალე სრულიად შეწყდა. პირუტყვეებს შორისაც არსებობს დაჯერება, მიბაძვა, სიყვარული. მათი ეს განწყობილება მარჯვედ და ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენე. ქალს ლურჯი, ტანზე კოხტად მორგებული შარვალი, უბრალო, ახალი ჩუსტები და გრძელსახელოებიანი, ყელიანი მაისური აცვია. თმა ასწეწია, მკრთალი ფერი ჯერ კიდევ ეტყობა დაუმშვიდებელ

სახეზე. ცხენები შეჩერდნენ თუ არა, ქალიშვილი ჩამოხტა.

— შენი სახელი? — ვკითხე უცნობს.

— ქეთევანი. შენი?

— სულხანი.

— მე აქაური არა ვარ, — უკითხავად დაიწყო ქეთევანმა, — სტუმრად ვარ ჩამოსული... ბევრი შლეგი და თავნება ცხენი მომიხმარებია ჩემს ნებაზე, დღესაც ასე მეგონა, მაგრამ...

— საიდან ხარ ჩამოსული?

— გუდაუთიდან.

— ეს ცხენი ვისია?

— ცხენი ჩემი ნათესავისაა, მასპინძელმა სტუმრები ვენახში გავეასვირნა. შინ წამოსვლისას დავიფინე — ცხენზე შევკადები-მეთქი. მათრახის ერთი მოქნევა და... კინალამ გადამიყოლა ყინიანობამ. ვერ მომიფიქრებია, რით ვადავიხლო სიკეთე!

— გავევალოთ ცხენები.

— ახლა შენ ჩაგავდო განსაცდელში? დედაშენი დაშწყველის: იმ სასიკვდილემ თითონ თავი გადირჩინა, მე კი შვილი მომიკლაო.

— დაგწყველოს კი არა, დედამ რომ ერთხელ შეგხედოს, სალოცავ ხატად მიგიჩნევს!

— კარგ ბიჭს კარგი დედა გყოლია.

— რძალიც კარგი უნდა... — გავთამამდი და შევეხუმრე.

— მაინც როგორი?

— აი, ისეთი...

ქეთევანიც შემეხუმრა და ჩემი სათქმელი მან თქვა:

— როგორიც მე ვარ, არა?

— ჭეშმარიტად. პოდა, შენს სიცოცხლეს რომ ვენაცვალო, განა ნაკლები პატივი იქნება ჩემთვის?!

ჭეთევანი ჩემს ცხენზე შევსვი. მე ჰისი შლეგის მოჭკვიანებას შევუდღე. ცხენი არ მისვამდა, ჩემმა მოხერხებამ და უფრო მეტად სისწრაფემ პირუტყვს თავისი არ გაატანინა. მან ჩემი ხმა, საქციელი, იუცხოვა, უეტრად ყალუზე შედგა, ისევ დაეშვა, ტორები მაგრად დაჰკრა მიწას, მე აღმართს ვუმარჯვებდი, იგი თავიკე დაეშვა, არც შევშინდი, არც დავიბენი, რაც ძალი და ღონე მქონდა, აღვირს მოვზიდე, ამით შეჩერებული ცხენი კვლავ ყალუზე შედგა. შემეფიქრა: პირუტყვი უკან გადავარდნისას ზედ არ დამცემოდა. აქაც იღბალმა მიმართლა; ცხენი ისევ დაოთხეხდა, პირი აღმართისაკენ ვუბრუნე, მოვწყვიტე მიწას და გავაქანე. მალე მიმართულემა შეცვალა, ზიგზაგით წავიდა — ამით ჩემი ჩამოგდების უკანასკნელი ხერხი იხმარა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, აიღო სწორი, საჩემო მიმართულემა, მოტეხილი ნებით ჩემს სურვილს დაჰყვა.

ჭიშკართან ჭეთევანმა თავისი მისაპართი დაწერა და მომაწოდა.

— აფხაზეთში თუ ჩამოხვალ, აუცილებლად მნახე!

— განახავ.

— გაგაცნობ დედას, მამას, ქმარს...

სახეზე გაკვირვება გამომეხატა. ერთბაშად შემეცვალა ფერიც, ხასიათიც, განწყობილებაც, მიზანიც.

კვლავ დუმილი, კვლავ ფიქრი.

— სულხან, მადლიერების გრძნობით გაგიხსენებ მუდამ. მშვიდობით, სულხან!

— მშვიდობით, ჭეთევან!

იმ ღამეს, როცა ჭეთევანს დავშორდი, სიზმარში მისამართს ვეძებდი. ვწუხდი, ვბოდავდი კიდეც. ჩემმა წუხილმა დედის გულამდე მიადწია, დედა გამოფხიზლდა, მან კიდეც მე გამომაფხიზლა.

ჩავეცი, გარეთ გავედი. ნიაზე გამოვცოცხლდი. ხვიზვინი შემომესმა და ცხენისაკენ უმიზეზოდ მტრულად გავიხედე.

ერთი წუთით თვალი გადავაგლე ჩემს გუშინდელსა და წუხანდელ თავგადასავალს, ჯიბიდან ჭეთევანის მისამართი ამოვიღე, ბრაზმორეულმა დაფხიე და ნაფლეთები ჰაერში გავაბნიე.



ლენინი და პარტია

ხალხთა მემკვიდრის ღირსი ღენიწური პარტია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა მეოცე საუკუნის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი პარტიის ისტორიაში შევიდა, როგორც კომუნისტების მშენებლობის ყრილობა. ყრილობამ განაზღვიდა და მიიღო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკური და თეორიული მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტი—კომუნისტების მშენებლობის ღირსი პარტია, რომელიც ბრწყინვალედ არის შეჯამებული სოციალიზმის აშენებისათვის პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ გაწეული კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის შედეგები და დასახულია სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების კონკრეტული ამოცანები.

პროგრამაში — კომუნისტური პარტიის თანამედროვე ეპოქის ამ ღირსი მანიფესტში — მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საფუძველზე გაშუქებულია კავშირების კომუნიზმში გაღმავლების ისტორიული კომუნიზმის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. საკითხთა იმ კომპლექსიდან, რომელიც პროგრამაში ისე ღრმად და კონცენტრირებულად არის განხილული, წინამდებარე სტატიაში შევეხებით მხოლოდ ერთ საკითხს — სკვადრონების ეროვნული ერთეულების დაარსებას.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტისა და მასების ინტერნაციონალური აღზრდისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე აგებულ პროგრამასა და პოლიტიკას. ასეთი პროგრამა და პოლიტიკა შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა რუსეთის პირველი რევოლუციის წინაპერიოდში. ამ პროგრამის ძირითადი შენაარსი ერთი თვითკამორაკევის უფლებით გამოიხატება, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა ერს აქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ეროვნული სახელმწიფოს

შექმნის უფლება. 1903 წელს რსდმპ II ყრილობაზე მიღებული პროგრამა აღიარებდა ყველა ერის უფლებას მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, მშობლიური ენის შემოღებას ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში, პროგრამა აღიარებდა ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა.

ლენინურმა პროგრამამ ეროვნულ საკითხში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელთა პოლიტიკური გათავისუფლებისათვის, ინტერნაციონალური აღზრდისა და ბოლშევიკური პარტიის დროშის გარშენო დარაზმვის საქმეში. დიდწილად ამით იყო განპირობებული ის შესანიშნავი მოვლენა, რომ რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებმა ზურგი შეაქციეს ბურჟუაზულ-ნაციონალისტურ პარტიებს და რუსეთის მუშათა კლასსა და გლეხობასთან მჭიდრო კავშირში გააჩაღეს შეუპოვარი ბრძოლა ცარიზმის, მემარტლებლისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერდა: „ცხრაას ზუთმა წელმა გააერთიანა რუსეთის ყველა ერის მუშეობი“¹.

სოციალური თავისუფლებისათვის ამოძრავებულ საქართველოს მშრომელებს 1905 წლის რევოლუციის დროს შედამ ახსოვდათ თავიანთი ეროვნული ამოცანები და შედგრადა იმდროინდელი მათი განხორციელებისათვის. ხალხის მოთხოვნებში ეკითხულობთ: ყველას უნდა ჰქონდეს უფლება კრებებზე, სასამართლო და სახელმწიფო დაწესებულებებში ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე, მშობლიურ ენაზე უნდა იყოს დაფუძნებული სწავლება, რადგან „თუ კაცს თავისი სამშობლო ენა არ უყვარს, და არა აქვს სხვებისაც ვერ შეიყვარებს“².

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 267.
² ვახ. „ენობის ფერცელო“, № 2762, 1905 წ. პარტი.

1905 — 1907 წლების რევოლუციის ქარცეცხლში განმტკიცდა და გამოიწროა საქართველოს მშრომელთა კავშირი და მეკობრობა კავშირის მშობვე ხალხებთან, რუსეთის მუშებსა და გლეხებთან. საქართველოს მშრომელი მასები გამოცდილებით დაჩქარდნენ, რომ მხოლოდ ყველა ერის მშრომელთა ერთობლივი და სოლიდარული ბრძოლით არის შესაძლებელი თვითმპყრობლობისა და კაპიტალიზმის დამარცხება, სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვება.

მარქსიზმ-ლენინიზმი ვასწავლის, რომ პროლეტარიატი ისე ვერ განთავისუფლდება კაპიტალის ბატონობისაგან, თუ მან არ გაათავისუფლა ჩაგრული ხალხები. დიდი ოქტომბრის ძღვეამოსილმა სოციალისტურმა რევოლუციამ კლასიკურად განახორციელა მარქსიზმ-ლენინიზმის ეს დებულება. მან დაამტოვა იმპერიალიზმი რუსეთში, გაათავისუფლა მუშათა კლასი კაპიტალის, ხოლო გლეხობა მემამულეების ბატონობისაგან, ამასთან ერთად რევოლუციამ გაათავისუფლა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ხალხი, კლასობრივი და ეროვნული ჩაგრვის ორმაგ უღელს რომ ატარებდა. ოქტომბრის რევოლუციამ, რომელიც ინტერნაციონალიზმის დროშით განხორციელდა, ძირფესვიანად მოსპოა ძველი ბურჟუაზიულ-შოვინისტური დამოკიდებულება ერებს შორის ახალ, სოციალისტურ პრინციპებზე აკო დამაინათა საზოგადოებრივი ურთიერთობა და, ამრიგად, საფუძველი ჩაუყარა ხალხთა დიდ მეგობრობას, რომელი განუწყვეტლავ ვითარდება და მტკიცდება.

ოქტომბრის რევოლუციამ ისხნა განაპირა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, „ეროვნულ“ ბურჟუაზიისა და მემამულეების კაბალისაგან, დააყენა ისინი ახალი, სოციალისტური ცხოვრების გზაზე. სოციალისტურმა რევოლუციამ ამასთან ერთად საქართველოს აღუდგინა თავისი სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაკარგა. სოციალისტური მშენებლობის მთელი ისტორიული პერიოდი საქართველოში არის მისი სახელმწიფოებრიობის — საქართველოს სს რესპუბლიკის მშენებლობის, მისი განვითარებისა და სრულყოფის პერიოდი.

ოქტომბრის რევოლუციის საფუძველზე აღმოცენებულმა სსრ კავშირმა მსოფლიოს უჩვენა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებით მშენებლობის გრანდიოზული მაგალითი. ეს ისტორიული უპრეცედენტო მოვლენა იყო. ვინაიდან, კაპიტალისტურ სამყაროს თავისი ბუნების გამო, არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს რაიმე სერიოზული დადებითი გამოცდილება მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობაში. კაპიტალიზმის პირობებში მრავალეროვანი სახელმწიფო ემყარება ძალიან და ჩავერს ერების მიმართ. გეიტრიმ ასეთ პირობებში განცალკევებისა და სახელმწიფო გამოყოფის გზაზე მისწრაფება შეუძლებელია და მას მხარს უჭერს მარქსიზმ-ლენინიზმი.

მაგრამ, საქმის ვითარება პრინციპულად იცვლება სოციალისტური რევოლუციის შედეგად. როცა იქმნება მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც გამოებს და უკმაყოფილებს ყოველგვარ ძალიანობას ხალხების მიმართ, სპობს კლასობრივ და ეროვნულ ჩავერს და ერთობს გაერთიანებას აწიობს სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ასეთ პირობებში ხალხები თვით მოიწარმებიან გაერთიანებისაკენ და მარქსიზმ-ლენინიზმი, ცხადია, მხარს უჭერს საზოგადოების განვითარების ამ პროგრესულ პროცესს.

ვ. ი. ლენინი არა ერთგზის და ხაზგასმით აღნიშნავდა: ჩვენ ვესურს ერების ნებაყოფლობით კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომარეობას მეორე ერისადმი¹.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად საეგებოთ განხორციელდა ლენინის ეს დებულება. ცარიზმისა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბატონობისაგან გათავისუფლებული მშრომელი ხალხები ვადგობით დადგნენ ერთიან, ძლიერ სოციალისტურ სახელმწიფოში ნებაყოფლობით გაერთიანების გზას. კომუნისტური პარტია მხარს უჭერდა და სათავეში ედგა მშრომელთა ამ მისწრაფებას. ერებისა და ხალხების გამოყოფის უცილობელი უფლება ძალში დარჩა, მაგრამ მისი პრაქტიკული გამოყენება, რევოლუციის შემდეგ, მშრომელთათვის უკვე საზიანო იყო და ამიტომ იგი თვით ხალხებმა უკუაგდეს. სოციალისტურმა რევოლუციამ მოხსნა კაპიტალიზმის დამახასიათებელი შეტრგებული წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს გაერთიანების ობიექტურად არსებულ ტენდენციასა და ამ გაერთიანების ძალმომარეობით ფორმებს შორის. ამგვარად, ცარიზმისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის პირობებში გამოყოფის ტენდენცია სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შეიცვალა პრინციპულად მოპირდაპირე ტენდენციით — გაერთიანების ტენდენციით. კომუნისტური პარტია ხელს უწყობდა ამ ტენდენციის განვითარებას, როგორც ხალხთა მასების ინტერესების შესაბამის ისტორიულ პროცესს.

ჯერ კიდევ მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებლები — ვ. მარქსი და ფ. ენგელსი მეცნიერული სოციალიზმის პირველ საპროგრამო დოკუმენტში „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მიუთითებდნენ: „ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის მოსაპასათან ერთად მოისპობა

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 30, გვ. 348.

ეროვნებათა შტრული დამოკიდებულება ერთ-მანეთს შორის¹.

სსრ კავშირში კლასიკურად განხორციელდა მარქსიზმის ეს დებულება. ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირში აღმოიფხვრა ხალხთა შორის ურთიერთდობლობა და დამყარდა ურთიერთშეგობრობა და ძმური თანამშრომლობა.

სკკ ახალ პროგრამაში საეხებით სიძარდიანად არის ხაზგასმით აღნიშნული, რომ ისეთ ქვეყანაში როგორც არის სსრ კავშირი, სადაც ასევე შტეი ერი და ეროვნება ცხოვრობს. „სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია ეროვნული საკითხის გადაჭრა.“

ოქტომბრის რევოლუციის გრანდიოზულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ეროვნული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა სულ სხვადასხვა ხალხთა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ძმური თანამშრომლობა, ხალხთა დიდი შეგობრობა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის საშუალებით, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დამსხვრევის შედეგად ბოლოს უღებს ბურჟუაზიული ერების არსებობას და დასაბამს აძლევს ახალ, სოციალისტურ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, როგორც სოციალისტური ერების წარმოშობისა და განვითარების საფუძველს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კაცობრიობის ისტორია იცნობს ერების ახალ ტიპს, სოციალისტურ ერებს, რომლებიც ძირითადად განსხვავდებიან ძველი ტიპის ბურჟუაზიული ერებისაგან როგორც მატერიალური საფუძვლებით, ისევე თავიანთი სულიერი სამყაროთი.

სოციალისტური ერების ჩამოყალიბების პროცესი იწყება ძველამოსილი სოციალისტური რევოლუციის შედეგად. ეს პროცესი რთული და მრავალმხრივია. იგი არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიული ერების ფორმირების პროცესისაგან. პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის წარმმართველ ძალას კომუნისტური პარტია წარმოადგენს, ძირითადი საყრდენია სოციალისტური ერების კონსოლიდაციისთვის. მისი ხელშეწყობით ხორციელდება ერების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გარდაქმნა, ახალი, სოციალისტური წყობილების შექმნა.

სსრ კავშირის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატებანი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეორგანიზაციისა და კულტურული რევოლუციის დარგში წარმოადგენენ სოციალისტური

ერების შექმნისა და განვითარების აუცილებელ პირობებს.

ახალი, სოციალისტური ერების ძირითად განსხვავებობას ძველი, ბურჟუაზიული ერებისაგან როგორც სოციალ-ეკონომიური ცხოვრების სტრუქტურით, ისე თავიანთი იდეურ-პოლიტიკური მისწრაფებით. შეურიგბედი კლასობრივი წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის დროს ორ მოპირდაპირე ბანაკად თიშავენ ბურჟუაზიულ ერებს. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეარეგოს ბურჟუაზიული ერის შიგნით არსებულ ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობა, შექმნას ე. წ. „საერთო ნიადაგი“. ბურჟუაზიულ ერებს, ისე როგორც თვით კაპიტალიზმს, განუწყვეტლივ ღრღინის და არყევს კლასობრივი ბრძოლა, რომელიც აუცილებლად რევოლუციის გზით უნდა გადაწყდეს. ამასთან მტად საველისმნია, რომ კაპიტალისტური წყობილების პირობებში, როცა ხალხთა დიდი მასები (მუშები და გლეხები) მოკლებული არიან მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობას, ჩამოშორებული არიან სახელმწიფო მმართველობას და არსებითად არ მონაწილეობენ ქვეყნის ეროვნულ ცხოვრებაში, ცხადია, უღარესად შეზღუდულია თვით ერის ხალხურობა.

სულ სხვა საფუძველზეა აგებული და ამიტომ პრინციპულად განსხვავებული ბუნებისაა სოციალისტური ერი. სოციალიზმი ნიშნავს მთელი ხალხის ამაღლებას, მისი მატერიალური და სულიერი ძალების უზვეულო განვითარებას, აყვავებას. სოციალისტური ერები სრულად სარგებლობენ იმ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კეთილდღეობით, რასაც ქმნის სოციალისტური წყობილება. მხოლოდ სოციალიზმის პირობებში ვაჭდა შესაძლებელი მთელი ერის აქტიურად ჩაბმა, თავისი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მხოლოდ ექსპლუატაციის ხუნდებისაგან განთავისუფლებული კომუნისმის მშენებელი ხალხი არის ისტორიის ნამდვილი შემოქმედი. სოციალისტურმა ერებმა არ იციან წარმოების საშუალებათა ეჭრო საკუთრება, ექსპლუატაცია და ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობანი, ისინი უღარესად შეშვიდრობებული, ერთიანი და დაბაზმული არიან. სოციალისტური ერი, რომელიც თავისი სხეულის პარტიონია, ნამდვილად მოიკავს მთელ ხალხს, იგი სრულყოფილი ერია.

მხოლოდ სოციალისტური ერებისაგან შეიძლება საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ისეთი განსაკუთრებული მამოძრავებელი ძალები, როგორც არის: საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა, მზუნველარე სოციალისტური პარტიოტიზმი. მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ასეთ მამოძრავებელ ძალებს ემყარება, უღარესად

¹ კ. მარქსი, ე. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტო“, გვ. 65.

მტკიცე სახელმწიფოა, იგი მტრისათვის მიუვალ სიმაგრეს წარმოადგენს.

სსრ კავშირის გამოცდილებამ დადასტურა, ხაზგასმით არის ნათქვამი პროგრამაში, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია ქმნის შესაძლებლობას და პირობებს უოველგვარი ეროვნული ზავების მოსაპოვებლად, „ერთიან სახელმწიფოში თავისუფალ და თანასწორულ-ღვაწისა და ერთობისა და ერთგულებითა ნებაყოფლობით გაერთიანებისათვის“.

ძირეული სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნების შედეგად საქართველოში (ისე როგორც სსრ კავშირში მთლიანად) შეიქმნა ახალი სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება, განვითარდა და ჩამოყალიბდა სოციალისტური ქართული ეროვნული სოციალისტური ქართული ერის (ისე როგორც სხვა სოციალისტური ერების სსრ კავშირში) კონსოლიდაცია მოკლე ისტორიულ პერიოდში ახსენება, უპირველეს ყოვლისა, სოციალისტური რევოლუციის გიგანტური შემოქმედებითი ძალი. რევოლუციისა, როცა თვით ხალხმა ისტორიის ნამდვილი შემოქმედელი. ეს ხელს უწყობს, ამატებს ერების განვითარებას.

სსკ პარტიის ახალ პროგრამაში აღნიშნულია ის ისტორიული ფაქტი, რომ „სოციალიზმის პირობებში ხდება ერების აუჯავება, მტკიცდება მათი სუვერენიტეტი“.

რევოლუციისა და სოფლის მეურნეობის დიდ აღმავლობას საქართველოში, ისე როგორც საზოგადოდ სსრ კავშირში, თან ახლდა მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, მთელი ხალხის მართებელი კეთილდღეობის ზრდა. ამით გამოიწვია სოციალისტური წყობილების გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. უოველგვარ ამან თავისი მკაფიო გამოხატულება პპოვა მოსახლეობის ისეთ ზრდაში, რომლის მაგვარი წინათ საქართველოს ისტორიის არ ახსოვს.

სხე მავალით, 1921 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა უდრდა 2.401.500 კაცს, აქედან ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 19,8%, სოფლის — 80,2%. 1960 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა უდრდა 4.130.800 კაცს, აქედან ქალაქის მოსახლეობა უდრდა 42,3%, სოფლის — 57,7%¹.

სოციალისტური რევოლუციის სიღვიძე ის არის, რომ ეკონომიური აღორძინებასთან ერთად მას ხალხისათვის მოაქვს კულტურული აუჯავება. განუხრელად ატარებდა რა ლენინური ეროვნულ პოლიტიკის, კომუნისტური პარტია შეუწყნებლად ზრუნავდა და ზრუნავს

უვლა ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აუჯავებისათვის.

ჩვენი ქვეყნის გრანდიოზულ ეკონომიური აღმავლობას თან მოყვა ხალხის სულიერი კულტურის მძლავრი აღორძინება. სწრაფად განვითარდა ქართული ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, შეიქმნა ახალი, ქართული საბჭოთა ინტელიგენცია. საკმარისა თუნდაც აღინიშნოს, რომ ყველა 1000 მოსახლეს საქართველოში უმალღესი განათლებით არის 38 კაცს, — მთავალი და არასრული საშუალი განათლებით — 315 კაცს.¹

ლენინიზმი კულტურული რევოლუციისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს დედანისა. ვ. ი. ლენინი გადამკრით მოთხოვნა, რათა სსრ კავშირში შემოღებულიყო და დაკანონებულიყო „უმატრესი წესები ეროვნული ენების ხმარების შესახებ ზვენს კავშირში შექმავალ სხვა ეროვნულ რესპუბლიკებში“.²

ამიტომ კომუნისტურმა პარტიამ, როცა დასაბა კულტურული რევოლუციის დიდი პროგრამა, მოითხოვა მშობლიულობის აპარატის ეროვნული ნიადაგზე დაფუძნება, სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, პრესის, თეატრის, კინოს განვითარება დედაენაზე, რადგან კულტურული რევოლუციის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე, დედაენაზე. ამისთან კულტურული რევოლუცია ნაციონალური საკითხის გადამწყვეტის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს. ფაქტიური უთანაბრობის ლიკვიდაცია არა მარტო ეკონომიურ, არამედ კულტურის სფეროში, საბოლოოდ სპობს ხალხთა შორის ყოფილ უნდობლობას, რასაც ცარიზმი აღიფეხბდა. კულტურული რევოლუცია ხელს უწყობს ხალხთა ნამდვილად მჭრე თანამშრომლობას და მეგობრობას.

საბჭოთა სინამდვილემ, ისე როგორც სახალხო დემოკრატის ქვეყნების განვითარებამ, ბრწყინვალედ დადასტურა ლენინიზმის ის დებულება, რომ პროლეტარული რევოლუციის შემდეგ, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების დროს კი არ ქრებიათ ეროვნული განსხვავებანი, ეროვნული კულტურა, ყოფა-ცხოვრება, არამედ ახალ საზოგადოებრივ წყობილებაში, ისინი პპოვებენ ახალ შინაარსს და გიგანტური ძალით ეითარდებიან. ქართველები, ისე როგორც ცარიზმის დროს დაჩაგრული სხვა ერები, კი არ გაითქვიფენ უფრო ძლიერ ერში, არამედ გარდაიქმნენ ახალ, სოციალისტურ ერად, მთელი შესაძლებლობით დაეწაფნენ

¹ „საბჭოთა საქართველოს 40 წელი. სტატისტიკური კრებულა“, 1960 წ., გვ. 12.

¹ იქვე, გვ. 152.
² ვ. ი. ლენინი, ნაციონალური და ნაციონალურ-კოლონიური საკითხის შესახებ, გვ. 551.

რევოლუციის მონაპოვარს და უდიდეს წარმატებებს მიღწეის თავიანთი ეროვნული აღორძინების გზაზე.

ქართველი სოციალისტები ერთ უხვად სარგებლობს ყველა იმ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული სიკეთით, რაც მას მოუტანა სოციალისტებმა წუობილებაში. მხოლოდ სოციალიზმის პირობებში გახდა შესაძლებელი შეიღო ქართველი ერის აქტიურად ჩაბმა თავისი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურულ ცხოვრებაში, სოციალისტებმა ქართველმა ერმა არ იყის წარძობის საშუალებებზე კერძო საკუთრება, აღმართის მიერ აღმართის ექსპლოატაცია, ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობანი, იგი უღატყსად დარბაზული, შემკიდრებელი და ერთიანი. სოციალისტური ქართველი ერთ ნამდვილად მოიცავს მთელ ქართველ ხალხს.

ამრიგად, დიდი ოტტომბრის სოციალისტური რევოლუციით აღმოცენებული ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წუობილება გახდა საქართველოს ეკონომიური და კულტურული აყვავების მძლავრი საფუძველი, ახლო, სოციალისტური ქართველი ერის აღორძინების საფუძველი.

როგორც ყველა სოციალისტები ერის, ასევე ქართველი სოციალისტები ერის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს ერთიანი სოციალისტური ეკონომიკა, რომელიც მოიცავს მრეწველობასაც და სოფლის მეურნეობასაც. ქართველი სოციალისტები ერის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენს სოციალისტური დემოკრატია, რომელიც მთელ მშრომელ ხალხს ანიჭებს შრომის, განათლების, დასვენების რეალურ უფლებას სიტყვის, კრების, პრესის, სინდისის თავისუფლებას, რეალურ უფლებას მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობაში. ქართველი სოციალისტები ერის იდეოლოგიურ საფუძველს შეადგენს საბჭოთა საზოგადოებაში გაბატონებული სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია—მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია.

სსრ კავშირში კომუნისმის გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო დაახლოვდებიან ერები, გაიზრდება მათი ეკონომიური და იდეური ერთობა, განათარდება მათი სულიერი საბის საერთო კომუნისტური ნიშნები. მაგრამ ეროვნულ განსხვავებათა, განსაკუთრებით ენობრივ განსხვავებათა წაშლა მნიშვნელოვნად უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე კლასობრივი საზღვრების წაშლა*.

სოციალიზმის პირობებში, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკ XXI ყრილობაზე— მოქმედებს ორი ურთიერთდაკავშირებული პროგრესული ტენდენცია ეროვნულ საერთოში. „ერთი, მიმდინარეობს თავიუფელი ერის

სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება, ფართოვდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებები. მეორე, მნიშვნელოვანი ინტერნაციონალიზმის დრომთაშუაშუა სოციალისტური ერების სულ უფრო მეტად დაახლოება. ძლიერდება მათი ურთიერთგაყვანა და ურთიერთგამდიდრება“.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა და ხალხთა შემდგომი დაახლოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების ლენინურ კურსს, რომელიც მტკიცედ ტარდება სკკ XX და XXI ყრილობათა გადაწყვეტილებათა საფუძველზე. „იმის გამო, — ნათქვამია პროგრამაში, — რომ მეურნეობის ხელშეწყობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებამ დიდი დადებითი შედეგები გამოიღო“, პარტია სახავს ამოცანას „ველავც განახორციელოს საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების კურსი...“

პარტია კვლავც განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ფაქტურ თანასწორობას მათი ინტერესების სრული გათვალისწინებით... კომუნისტური მშენებლობის პროცესში მზარდი დოვლათი საშარათლიანად უნდა განაწილდეს ყველა ერსა და ეროვნებას შორის“.

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პროცესში ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ერების სულ უფრო და უფრო მზარდი დაახლოება მატერიალური წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროში. ამასთან დაკავშირებით პარტიას მიზანშეწონილად მიაჩნია გარკვეულ ზონებში შეიქმნას სარესპუბლიკათშორისი სამეურნეო ორგანოები, რომელიც განახორციელებს სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციას.

ხალხთა დაახლოებას მატერიალური ცხოვრების სფეროში აუცილებლად თან ახლავს ანალოგიური პროცესი ერების სულიერი ცხოვრების სფეროშიც. პარტია მიზნად ისახავს „შეაღწიოს სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტური კულტურის შემდგომ ყოველმხრივ აყვავებას“. კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პროცესში კიდევ უფრო „ძლიერდება ერთა და ეროვნებათა იდეური ერთიანობა, მათი კულტურების დაახლოება... ეთარდება ყველა საბჭოთა ერისათვის საერთო ინტერნაციონალური კულტურა“.

კულტურის ეროვნული ფორმა, რომელიც განუწყვეტლივ ეთარდება, იცვლება და სრულყოფილი ხდება, წარმატებით ემსახურება სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. ახლა, რაც სოციალიზმი საბოლოოდ გამარჯვებულია სსრ კავშირში და საბჭოთა ხალხი მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით შრომობს კომუნისტური

საზოგადოების აშენებისათვის, იგი კვლავაც წარმატებით იყენებს კულტურის ეროვნულ ფორმას. ამევე დროს ეროვნული კულტურის ძეგლები ამაღლებული და შრობილიერია სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის. ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა იყო და კვლავაც იქნება კომუნისტური პარტიის განუწყვეტელი ზრუნვის საგანი. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ «გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს რა სსრ კავშირის ხალხთა კულტურების სოციალისტური შინაარსის განვითარებას, პარტია ხელს შეუწყობს მათ შემდგომ ურთიერთგამდიდრებას და დაახლოებას, მათი ინტერნაციონალური საფუძვლის განმტკიცებას და ამით კომუნისტური საზოგადოების მომავალი ერთიანი ზოგადსაკაცობრიო კულტურის ჩამოყალიბებას».

ასევე მარქსისტულ-ლენინურად არის დაფუძნებული და გადაწყვეტილი პროგრამაში ეროვნული ენების განვითარების საკითხი. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი სახელმწიფო საჯაროებულ ენის წინააღმდეგი იყო, ჯერ კიდევ რევოლუციამდე ლენინი არაერთგზის მიუთითებდა რუსული ენის დიდ პროგრესულ მნიშვნელობაზე და წერდა, რომ რუსულ ენას კიდევ უფრო ამერი პროგრესული მნიშვნელობა ეძენებოდა, იმუნება რომ არ უოფილიყო¹.

რუსული ენა — მუშაობისა და ლერმონტოვის, ბელისკისა და გერცენის, ტოლსტოისა და ტურგენევის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოის, ჩუხოვისა და გორკის, პლესანოვისა და ლენინის ენა — საოცრად მდიდარია, სრულყოფილი და მრავალმხრივი. ამ ენის საშუალებით აღამაინი წარმატებით ეუფლება როგორც რუსული, ასევე მთელი მსოფლიო კულტურის დიად მონაპოვარი.

ვ. ი. ლენინის წინასწარდასახებულია ბრწყინვალედ განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის კონსტიტუციაში არასოდეს არ უოფილა და არც ამჟამად არის მუხლი ერთიანი საჯაროებულ სახელმწიფო ენის შესახებ და, მოუხედაოდ ამისა, რუსულ ენას წარმატებით ეუფლება ახალგაზრდობა ყველა მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში და სკოლის გარეთაც.

პროგრამაში ნათქვამია, რომ სკკ ამოცანად ისახავს «შემდეგშიც უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, სსრ კავშირის თვითუფლი მოქალაქისათვის სრული თავისუფლება ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ყოველ ენაზე, არ დაუშვას არავითარი პრივილე-

გიები, შეზღუდვა ან იმუნება ამა თუ იმ ენის ხმარებაში...

დედენასთან ერთად რუსულ ენის მნიშვნელობის პროცესს, რაც ცხოვრებაში ხდება, დადებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზარებას და თვითუფლი ერისა და ეროვნებისათვის სსრ კავშირის ყველა სხვა ხალხის კულტურული მიღწევებისა და მსოფლიო კულტურის გაერთიანებას. რუსული ენა ფაქტურად ვახდა ერთა შორის ურთიერთობისა და სსრ კავშირის ყველა ხალხის თანამშრომლობის საერთო ენა».

ისევე როგორც ეროვნული კულტურა, ეროვნული ენა შესანიშნავად ემსახურებოდა სსრ კავშირში სოციალისტის მშენებლობას, ასევე კარგად ემსახურება იგი ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გამოვლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. ცხადია, კომუნისტის გამოვლი მშენებლობის პერიოდში მიმდინარეობს საბჭოთა სოციალისტური ერების შემდგომი კონსოლიდაცია, ფორმით ეროვნული და შინაარსით კომუნისტური კულტურის ყოველმხრივი განვითარება.

სკკ თანმიმდევრულად ებრძვის ბერევაზიულ ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლიებას საბჭოთა საზოგადოებაში. პროგრამაში ნათქვამია, რომ პარტია ამოცანად ისახავს «კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელოს ინტერნაციონალიზმის პრინციპები ეროვნული ერთობის დარკში; განამტკიცოს ხალხთა შეგობობა, როგორც სოციალისტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი; შეუდგებლად იბრძოლოს ყოველგვარი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლიებისა და გადმონამოების წინააღმდეგ».

ამასთან ერთად, სკკ თანმიმდევრულად იბრძვის იმათ წინააღმდეგაც, ვინც ნიჰილისტურად არის განწყობილი ცალკე ერების განვითარების მიმართ და ჰკონია, რაყი ნაციონალიზმს ეებრძვით — შეიძლება ყველაფერი ეროვნული წყალს გაეატანოთ. სკკ ბრწყინვალედ ითვალისწინებს, რომ ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით მსაების აღზრდასათვის აუცილებელია კომუნისტები უარყვანდ უნადაღებით ეცადებოდნენ ხალხების ეროვნულ გრძობებს. პარტია შედამ ითვალისწინებს ვ. ი. ლენინის მიითთებას:

«არაფერი ისე არ აფერხებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას, როგორც ეროვნული უსამართლობა»¹.

პროგრამაში აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტია არ დაუშვებს ეროვნულ თავისებურებათა არც უგულვებლყოფას და არც ვაგვიანდებას. პარტია ყოველთვის კარგად ითვა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 596.

¹ ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 693.

ლისწინებს იმას, რომ ხალხების ეროვნულ თავისებურებათა იგნორაცია უდიდესი პოლიტიკური შეცდომაა, რომელიც ჩაშლით ემუქრება სოციალიზმის ისეთ შესანიშნავ მონაპოვარს, როგორცაა ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობა და ძმური მეგობრობა. ამასთან ერთად, პარტია საუცხოოდ ითვალისწინებს იმასაც, რომ ეროვნულ თავისებურებათა ვაზვიალება ნიშნავს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში გადაჩეხვას, ეროვნული ეგოიზმის გაღვივებას, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის პრინციპებისათვის დაღატს.

ეროვნული ურთიერთობის დარგში კომუნისტური პარტიის ამოცანებს რომ ამუქებდა

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ XXII ყრილობაზე, აღნიშნავდა: „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი უდიდესი მონაპოვარეა. თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მას“.

ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულსვეთებით აღზრდილი საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია მზრუნველედ იწონებენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდაღებით შრომობენ იმისათვის, რათა თავიანთი დიდადელი წვლილი შეიტანონ კომუნისმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

პანო ნულკიძე

ხალისიანი და გართალი შემოქმედება

ბრმა ფათერაკმა ქართველ მწერალთა რიგებს გამოაცალა გამოჩენილი ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბელიაშვილი.

როცა ამ მოულოდნელი ტრაგიკული შემთხვევით გონება შეშფოთებული და ამღვრეულია, როცა გული შეუპყრია მწვავე განცდას იმისას, რომ სამარადისოდ ემშვიდობები გულითად მეგობარს, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ გესაუბრებოდა, სამუდამოდ შორდება მწერალს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა და შეეძლო კიდევ უფრო მეტის გაკეთება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისთვის, — ასეთ მძიმე ვითარებაში ძნელია დინჯად და გულდამშვიდებით იმსჯელო მის ლიტერატურულ ნაღვაწზე, მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა, მკითხველის დიდი სიყვარული მისდამი, გვავალებს რამდენიმე სიტყვით მაინც გავიხსენოთ მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც შემდგომში მოელის უფრო გულდამჯდარ შესწავლას, საფუძვლიან განხილვას და შეფასებას.

აკაკი ბელიაშვილი იყო ახალი, საბჭოთა ფორმაციის მწერალი, ქართული და რუსული კლასიკური ლიტერატურის დიდ ტრადიციებზე აღზრდილი, სიახლის ძიებაში დაეყვანებული, საბჭოთა მწერლობის დიდი გამოცდილებით აღჭურვილი შემოქმედი.

სამშობლოს და მშრომელი ხალხის მხურვალე მოსიყვარულე, გულშემატკივარი, მისი ღვინით დაღვინებული, მისი ტკივილებით დამწუხრებული, ბუნებით ხალისიანი, ნათელგონებიანი, — ასეთი სახით დგას ჩვენს წინაშე აკაკი ბელია-

შვილი, როგორც შემოქმედი და ადამიანი.

განათლებით გეოლოგი, მოწოდებით და პროფესიით ლიტერატორი, აკაკი ბელიაშვილი ფართო ინტერესების მწერალი იყო. რომ არაფერი ვთქვათ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მის ინტერესთა წრეში შედიოდა მეცნიერება და ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ცხოვრება, შინაური და საგარეო პოლიტიკური ვითარება, ახლო და შორეული ისტორიული წარსული. რომელთაც არათუ თვალყურს ადევნებდა, ზოგჯერ ვულდასმით სწავლობდა კიდევ, თუკი ამას საჭიროება — მისი ნაწარმოების თემა მოითხოვდა.

საერთო განათლება და მაღალი ინტელექტური დონე ჩანს, განსაკუთრებით. ინდუსტრიულ მუშათა საწარმოო შრომასა და ყოფაცხოვრებაზე დაწერილ მის მოთხრობებსა და რომანებში. ამ მხრივ აკაკი ბელიაშვილზე ვერ გავავრცელებთ იმ საყვედურს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობის ტრიბუნლიდან გაისმა იმ ავტორების მისამართით, რომლებიც კოლმეურნეებზე და ინდუსტრიულ მუშების ცხოვრებაზე წერენ ისე, რომ წარმოდგენა არა აქვთ არც აგრონომიულ მეცნიერებაზე და არც თანამედროვე სამრეწველო ტექნიკაზე. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ აკაკი ბელიაშვილი ვერცხვობდა ტექნოლოგიური პროცესების მშრალ აღწერას და მთელი სიმძიმე გადაქონდა იმაზე, რომ პერსონაჟები ეჩვენებინა, როგორც გარკვეული პორფესიის და ხელობის ადამიანები.

რომლებიც აღჭურვილნი არიან მათი სპეციალობიდან მომდინარე თვისებებით, ინტერესებით, საქმისადმი დამოკიდებულებით.

უდროოდ დაღუპული მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილებში მისი მეგობრები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ, რომ აკაკი ბელიაშვილმა შესძლო ურთულესი მხატვრული ამოცანის გადაწყვეტა — გულთბადობის, ინტიმის შეტანა ისეთ ამბებში, რომლებიც ბევრი სხვა მწერლის ნაწერებში მოკლებული არიან სითბოსა და ემოციურობას.

ეს დიდი მაღლი — გაათბო ყოველი პასაჟი ნაწარმოებისა, ყოველი მომენტი პერსონაჟის ცხოვრებისა საყოთარის გულის სითბოთი, — მხოლოდ იმ მწერლის ხედრია, რომელსაც ამოძრავებს დიდი ჰუმანიზმი, სიმპათია და თანაგრძნობა ადამიანისადმი, სიყვარული ხალხის სასიცოცხლო შემოქმედებითი ძალებისადმი, მწვავე სიძულვილი ყოველივე იმისა, რაც წინ ეღობება ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, ხალხის და ქვეყნის წინსვლას საყოველთაო ბედნიერებისაკენ. მაგრამ სიყვარულიც და სიძულვილიც ზოგჯერ უმოქმედოა, პასიურია. მხოლოდ ქმედითი-სიყვარული, მწერლის საზოგადოებრივ აქტიობასთან შეერთებული სიყვარული, სულიერად ამდიდრებს მწერალს და აწერინებს მას ქმედობით მხატვრულ ნაწარმოებს.

აკ. ბელიაშვილი მთელი თავისი ცხოვრებით იძლეოდა მწერლის საზოგადოებრივი აქტივობის შესანიშნავ მაგალითს. ეს აქტივობა იყო სათავე და დაუშრეტელი წყარო მისი დიდი ლიტერატურული ნაყოფიერებისა.

ყველა დარგი, ყველა წამყვანი უბანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობისა იზიდავდა და აინტერესებდა მას, უწინარეს ყოვლისა, როგორც მოქალაქეს, როგორც გულწრფელ პატრიოტს თავის ქვეყნისას. იგი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ სტატისტიკით, მხოლოდ საგაზეთო ოპერატიული ცნობებით, საგაზეთო სტატიებით და ნარკვევებით. ისწრაფოდა თვითონ ენახა, თვითონ მო-

ესმინა, თვითონ განეცადა დაბაჟილი რიქმი აღმშენებლობისა, დუღილი ყოველდღიურ ცხოვრებისა, მათთვის უმოქმედების მშენებლობისა. ეს არ იყო უმიზნო ცნობისმოყვარეობა, არც მწერლის ვიწრო უტილიტარული ანგარიში, შეეგროვებია მასალა რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების დასაწერად. ეს იყო მისწრაფება, ზიარებოდა ხალხის საყოველთაო შემართებას, საყოველთაო პათოსს და ენთუზიაზმს, რომ ბუნებით ხალისიან მწერალს კიდევ უფრო აემადლებინა სასიცოცხლო ტონუსი, ოპტიმისტური სულისკვეთება მთელი თავისი შემოქმედებისა, მას როგორც დაუღვგარს და მოუსვენარ მოგზაურს, შემოვლილი ქქონდა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრები, სასოფლო-სამეურნეო რაიონები; მას მონაწილეობა მიუღია გეოლოგიურ ექსპედიციაში და ალპინისტურ ლაშქრობებში. უმუშავეთა შტეიგერად მადაროებში, საქმიანი ურთიერთობა ქქონია კოლმეურნეებთან, მუშებთან, ინჟინრებთან, ზოგჯერ მათთან ერთად მოუგვარებია საწარმოო და საყოფაცხოვრებო საკითხები, ერთი სიტყვით, უშუალოდ დაკავშირებული ყოფილა მღელვარე და მშფოთვარე სინამდვილესთან.

აქედანაა ცხოვრებისეული სიმართლე მისი ნოველებისა და რომანებისა, სიმრავლე და მრავალფეროვნება მისი პერსონაჟებისა, ურთიერთისაგან განსხვავებული ხასიათებით, ტემპერამენტით.

რომ შეიძლებოდეს მისი გმირებით რომელიმე ადგილის დასახლება, მივიღებდით საკმაოდ მოზრდილ ქალაქს ნაირფეროვანი მოსახლეობით, სადაც ჩვენ ვნახავდით ყველა სოციალური ფენის, ყველა ასაკის, თითქმის ყველა პროფესიის, მათ შორის, ისეთი სპეციალობის ადამიანებს, რომლებიც ატარებენ ჩვენი დროის მკვეთრ ნიშნებს და რომლებსაც სრულიად არ იცნობდა ჩვენი ხალხის აბლო წარსული.

მეორე დიდი ღირსება, რომელიც სინამდვილიდან მისი მუდმივი და განუყ-

რელი ცოცხალი კავშირიდან მომდინარეობდა, რომელიც აკვირვებდა და ახარებდა მკითხველს, ეს იყო დაუყოვნებელი რეაგირება, სწრაფი გამოხმაურება ცხოვრებისაგან წამოჭრილ საჭიროებებზე, პასუხის გაცემა იმ შორალურ-ეთიკურ პრობლემებზე, რომლებზეც აღელვებდა და აღელვებს ჩვენს თანამედროვეობას, კერძოდ, ჩვენს დღევანდელ ქართველ საზოგადოებრიობას.

მისი კალმის ოპერატიულობის სანიშნურობა მავალითებია სამამულო ომის წლებში დაწერილი მოთხრობათა ციკლი და რომანი „უღელტეხილი“, რომელიც ასახავს რა ქართველი ხალხის მონაწილეობას ფაშისმის წინააღმდეგ, სოციალისტური საშობლოს და მთელი კაცობრიობის გადასარჩენად, გაჩაღებულ სამკედრო-სასიციოცხო ბრძოლაში, გვიჩვენებს ქართველი ადამიანების ერთგულებას საკაცობრიო იდეალები-სადმი, ქართველი მეომრის სიმტკიცეს, მის მხედრულ შემართებას ბრძოლის ველზე, ქართველი ქალის სულგრძელობას, გამარჯვლებას და ამტანობას ომის მძიმე ვითარებაში.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა ჭირი გარდახდათ ჩვენს წინაპრებს თავისი კერის, თავისი ფუძის, თავისი მამულის დაცვისას, თუ რა დიდი მსხვერპლი გაიღეს მათ თავისი ქვეყნის არსებობისა და თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის, მომავალ თაობათა სიციოცხლისა და ბედნიერებისათვის, — მტერ-მოყვარის წინაშე ყოველი ამის ნათელსაყოფად მწერალმა შექმნა სამამულო ომის დროს და მის მომყოლ წლებში რომანები „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“, სადაც ეთნოგრაფიული, ყოფითი დეტალებით დამაჯგრებულადაა აღდგენილი ისტორიული სინამდვილე, მეფორამეტე საუკუნის ეპოქის სული და კოლორიტი, სადაც ჩვენი დროის მწერლის თვალის დანახული მოვლენები გააზრებულია მეცნიერული სისწორით, იმ ასპექტით, რომ ისტორიის მამოძრავებელ ძალას, მის შემოქმედს წარმოადგენენ თავისი არსებობის, თავისი მიწაწყლის, თავისი შთამომავლობის და ეროვნული მეობის შენარჩუნებით სისხლხორცეულად დაინტერესებულ ადამიანთა მანებნი და არა ცალკეული პიროვნებანი, რა დიდი გონებისა და ნებისყოფის არ უნდა იყვნენ ისინი.

დამთავრდა ომი. გამარჯვებული ხალხი დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას და უფრო მეტი ინტენსიობით, ვიდრე ომამდე, შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენას. განახლდა დიდი ინდუსტრიული მშენებლობა. რუსთავეში აშენდა სამრეწველო გიგანტი, და ერთი პირველთაგანი, რომელმაც ეს ისტორიული გამარჯვება აღბეჭდა მხატვრულ ნაწარმოებში, იყო აკაკი ბელიაშვილი. „ვეფხია ხალიბაურში“ მან არამარტო გვიჩვენა ის, თუ როგორ იბადებოდა, იწრთობოდა და ვაჟყავდებოდა მაღალი კვალიფიკაციის ქართველ მუშათა ახალი თაობა, არამედ ასახა ისიც, თუ რა ნაყოფი მოგვეცა ომისშემდგომ ხალხთა მეგობრობის ლენინურმა იდეამ მოქმედებაში.

მაგრამ აკ. ბელიაშვილის ნიჭის ოპერატიულობის ყველაზე მკვეთრი, ყველაზე უდავო დადასტურებაა ჩინებულად დაწყებული რომანი „შვიდკაცა“. რომელიც ქართული სინამდვილის მასალაზე იქმნებოდა და რომლის ამოცანა იყო ვჩვენებინა თუ როგორ ჩაისახა და ვითარდება ჩვენში კომუნისტური შრომის ბრიგადათა მოძრაობა. საინტერესო და საგულისხმო ის არის, რომ ამ საკავშირო მოძრაობას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური წინსვლის და მასების კულტურულ-მორალური ზრდის ამ დიდ ფაქტორს, საერთაშორისო მნიშვნელობის ამ მოვლენას მწერალმა ფესვები და საწყისები ქართველი ხალხის შრომასა, ყოფასა და ტრადიციებში მოუძებნა. სწორედ ეს გარემოება, რომელმაც ინტემი მისცა მწერლის ამ მხატვრულ ნაწარმოებს, იყო უტყუარი საწინდარი იმისა, რომ „შვიდკაცას“ სახით მკითხველი მიიღებდა ეროვნული ფორმის მეტად საინტერესო ნაწარ-

მოგებს ინტერნაციონალურ თემაზე. ასეთივე აქტუალობით და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მდელვარებით იყო აღბეჭდილი მისი ნოველები, მისი პუბლიცისტიკა, მისი სიტყვები და სტატიები ლიტერატურის საკითხებზე.

ჩვენ დიდი გულისყურით და ღრმა ინტერესით ვუსმენდით მას, რადგან მისი გამოსვლები იყო — საკუთარ ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოცხალი, ხალისიანი იუმორით გამთბარი საუბრები მხატვრული შემოქმედების მტკივნეულ საკითხებზე.

ცხოვრების შუაგულში მდგარი, მისი მაჯისცემის ფხიზელი და სათუთი მეთვალყურე, საქვეყნო სახალხო საქმეებით დაინტერესებული აკაკი ბელიაშვილი შინაგანად მუდამ მობილიზებული და ორგანიზებული იყო იმისათვის, რომ მხატვრული თუ პუბლიცისტური სიტყვით, იუმორისტული მოთხრობით თუ ნარკვევით დაუყოვნებლივ გაეცა პასუხი ყველაფერზე, რაც მკითხველ საზოგადოებას აინტერესებდა.

თუ მართალია დებულება, რომ ოსტატობა და ნოვატორობა ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მიმდინარე და გარდასული ამბების დანახვა თანამედროვის თვალთ, მაშინ ამ საამაყო და მაღალ ღირსებას ვერ წავართმევთ აკაკი ბელიაშვილის შემოქმედებას.

შწერალს მუდამ კვალდაკვალ დასდევს და ემუქრება ორი საფრთხე — ბანალობა და ცრუ, მოჩვენებითი ორიგინალობა. ეს არის სცილა და ქარიბდა მხატვრული შემოქმედების უნაპირო და უკიდევანო ოკეანეში. აკაკი ბელიაშვილს, როგორც ჭკვიანს, გამოცდილს და შორისმხედველ კაპიტანს შეეფერება, ბევრჯერ ფრთხილად და უზიფათოდ გაუტარებია თავისი ლიტერატურული ხომალდი ამ კლდეებს შუა, გაუტარებია ისე, რომ მისი ხომალდის ფსკერს იშვიათად თუ მისწებებია პოლიმები, რომლებიც სენტიმენტალობის, მაღალფარდოვნების, რიტორიულობის და უგემოვნების სახელითაა ცნობილი.

მისი ლიტერატურული ენა იყო გამჭვირვალე და წყაროსკვირვანი. ენა კარა, განტვირთული ყოველგვარი მსამსკაულისაგან — მეტაფორებისა და ორნამენტებისაგან, რაც ხშირად აბუნდოვანებს ფრაზას და აძნელებს წაკითხვას.

თავისი თხრობის და სტილის სისადავით იგი პრინციპულად განსხვავდებოდა ბევრი ქართველი პროზაიკოსისაგან, რომელთაც სამკაულები და ზიზილ-პიპილოები მიანიხათ საზოგადოების და მხატვრულობის აუცილებელ პირობად.

განსაკუთრებით ხსარტი, ტვეადი და მოქნილი იყო მისი ფრაზა პატარა მოთხრობებში, რომლებიც მეტწილად კლასიკური ნოველის პრინციპზე იყენებ აგებულნი და მკითხველის ინტერესს აღძრავდნენ მარც ტვენისებური კაცთმოყვარული მსუბუქი იუმორით, სიუჟეტური განვითარების უეცარი შეტრიალებით და მოულოდნელი, თუმცა გმირთა ხასიათების ლოგიკიდან გამომდინარე, დაბოლოებით.

რა გულსატკენი და დასანანი, რომ ამერიიდან აკაკი ბელიაშვილი ჩვენ ველარ გაგვახარებს თავისი ახალი ნაწარმოებებით, თავისი ამერიკული და პარიზული ჩანაწერებით, თავისი „შვიდკაცას“ დამთავრებით.

სამწუხაროა, რომ მისი ბედნიერი ცხოვრება, შემოქმედების სიხარულით გამთბარი მისი სიცოცხლე თავისი მოულოდნელი ტრაგიკული დასასრულით დაემსგავსა მის ნოველებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ასეთ დასასრულს მისი სიცოცხლისას არა აქვს არავითარი ლოგიკა და გამართლება. ან კი რა ლოგიკა და სამართალი უნდა მოვთხოვთ ბრმა შემთხვევას, რომელსაც სწორედ იმის გამო, რომ ბრმა და უგონო, შეუძლია თვალის დახამხამებაში გააქროს ადამიანებისათვის ესოდენ საჭირო სიცოცხლე, მაგრამ არ ძალუძს მოსპოს და დაეიწყება მისცეს ის, რაც შწერლის მაღლიან მარჯვენას შეუქმნია თავისი ხალხის სადიდებლად და უკვდავსაყოფად.

აკაკი ბელიაშვილი

მიხეილ ჭავჭავაძე

თავის ავტობიოგრაფიაში მიხეილ ჯავახიშვილი წერს, რომ იგი დაბადებულია 1880 წელს სოფელ წერაქვეში, შეძლებული გლეხის ოჯახში. ეს სოფელი ბორჩალოს მაზრაში, ახლანდელ მარნეულის რაიონში მდებარეობს.

ოთხი წელიწადი პრივოლნოეს და ჯვალალოდლის რუსულ სკოლებში გავატარეო — იგონებს შემდეგ ჯავახიშვილი. იქედან იგი ყირიმის საბალოსნო და მეღვინეობის სასწავლებელში გადაუყვანიათ, მაგრამ მის ოჯახზე მოულოდნელად დატეხილმა უბედურებამ იძულებული გახადა კურსი არ დაემთავრებია და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

აი როგორ აგვიწერს თავის ავტობიოგრაფიაში მწერალი ამ ებიზოდს:

„მამაჩემმა შულავრის მახლობლად სახაზინო მამულში ახალი სოფელი სიონი გააშენა და თვითონაც იქ გაიჩინა სახლკარი.

1899 წლის დამლევს ჩვენ სახლს მეზობლები დაეცნენ. ჩემი უმცროსი დის სოფიოს მოტაცება უნდოდათ. მამაჩემი შინ არ იყო. ქალები გაუძალიანდნენ. ბრძოლის დროს იმ მხეცებმა ჩემი დაც მოჰკლეს, დედაც და ჩვენი მოჯამაგირეც. მამაჩემი ატეისტი იყო, მაგრამ უბედურებამ მოსტეხა. ძველი ეკლესიის

* ვაჭაყცხეზე აკაკი ბელიაშვილის წერილს, რომელსაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში წერდა „მნათობის“ რედაქციის დაკვეთით მიხეილ ჯავახიშვილის იუბილესთან დაკავშირებით.

განახლებას დიდძალი ფული დაახარჯა და ერთი წლის შემდეგ თითონაც გარდაიცვალა. ამან იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ 1902 წელს იქაურობას თავი დავანებე და მას აქეთ იმ სოფელში ერთხელაც არ მივსულვარ.“

ამის შემდეგ მწერალს ერთი წელი ალავერდის ქარხანაში უმსახურია. მაშინ დაუწყია მწერლობაც. რუსულად და ქართულად ვწერდიო, იგონებს მწერალი. 1903 წელს „ცნობის ფურცელში“ იგი აქვეყნებს თავის პირველ მოთხრობას „ჩანჩურას“ და ხდება ამ გაზეთის მუდმივი თანამშრომელი.

1904 წელს მწერალი მიიწვიეს „ივერიის“ ფაქტიურ რედაქტორად. საგაზეთო მუშაობამ იგი იმდენად გაიტაცა, რომ ამ წელიწადში მხოლოდ რვა პატარა მოთხრობა დაწერა. 1906 წელს „გლეხის“ რედაქტორობისათვის მწერალი სამართალში მისცეს და იგი იძულებული იყო შვეიცარიაში გაპარულიყო. 1907 წელს გადავიდა პარიზში, სადაც უნივერსიტეტში სწავლობდა ლიტერატურას, ხელოვნებას და პოლიტიკურ ეკონომიას. მწერალს უმოგზაურია შვეიცარიაში, იტალიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ინგლისში, ბელგიაში და გერმანიაში. უნახავს თურქეთის დედაქალაქი სტამბოლიც.

1909 წელს სხვისი პასპორტით მწერალი სამშობლოში დაბრუნდა და მონაწილეობდა ჟურნალ „ერის“ გამოცემაში, მაგრამ მეფის მთავრობამ ჟურნალი დახურა, მწერალი დააპატიმრეს და ერთი წელიწადი მეტეხის ციხეში ამყოფინეს. შემდეგ კავკასიიდან გააძევეს და იგი იძულებული გახდა როსტოვში დამ-

ზღვევი საზოგადოების ინსპექტორად ემუშავა.

1913 წელს მწერალს ამიერკავკასიის რწმუნებულად ნიშნავს იგივე დამზღვევი საზოგადოება, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ დაზღვევის საქმე საერთოდ შეჩერდა და მწერალი იწყებს მუშაობას გაზეთ „საქართველოში“. კავკასიის სამხედრო ოქტის უფროსის გენერალ ვოლსკის განკარგულებით იგი ანებებს თავს რედაქციაში მუშაობას და შედის წითელი ჯვრის სამსახურში.

1918 წლამდე მუშაობს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში. ვასაბ-კოების შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოო განყოფილების კოლეგიის თავმჯდომარეა და შემდეგში კი სავაჭრო ვაჭრობის საფინანსო ეკონომიურ და სალიცენზიო განყოფილების გამგეა.

1923 წელს მწერალი აქვეყნებს მოთხრობა „ტყის კაცს“ და საბოლოოდ უბრუნდება მწერლობას. ამ ხნიდან დაწყებული თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მწერალს ხელიდან კალამი არ გაუვდია და იგი ერთგული თავდადებით ქმნიდა თავის შეუდარებელ მოთხრობებსა და რომანებს, ძერწავდა თავის უკვდავ გმირებს.

მიხეილ ჯავახიშვილი იყო კრიტიკული რეალიზმის უკანასკნელი წარმომადგენელი და გამგრძელბელი იმ ტრადიციებისა, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში საფუძველი ჩაუყარა ჩვენი მწერლობის სიამაყემ და საქართველოს უკვირგვინო მეფემ ილია ჭავჭავაძემ.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა დაჰკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა და სუვერენული უფლებები, მას შემდეგ, რაც იგი მოექცა დიდი რუსეთის იმპერიის ფარგლებში, ქართულ ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა ერთგვარმა რომანტიულმა სევდამ, და მაშინდელმა ჩვენი დიდებული მწერლები ბა-

რათაშვილის, ორბელიანის და სხვათა სახით გაიტაცა და შებოჭა საქართველოს წარსულის იდეალიზაციამ და მორჩილმა უიმედობამ. ჩვენი მწერლები ბრმად მისტიროდნენ საქართველოს წარსულ დიდებას, როდესაც ხედავდნენ თუ როგორი თავგამეტებით ცდილობდა ქართველი არისტოკრატია დაევიწყებია თავისი ქართველობა და მეფის ხელისუფალთა ნასუფრალზე მოეღვინა.

ასეთი იყო მეცხრამეტე საუკუნეში სულიერი განწყობილება ჩვენი რომანტიკოსებისა, როდესაც ისინი მეფის მთავრობის სამსახურში შესულნი, საქეფოდ მხარეთმოზე წამოწოლილნი თავისი ქვეყნის წარსული დიდების პასიური ჰერეტიო იყვნენ გართულნი. მომავალში კი ესახებოდათ თავდახრილად და მორჩილად დგომა მეფის მთავრობის წინაშე და თავიანთი გადაგვარების საფასურად მოთმინებით ლოდინი იმისა, რომ ღირსებოდათ, მათთვის მეფის მოხელეებს გულზე ჩამოეკიდათ სტანის-ლავის თუ წმინდა ვლადიმირის ორდენები ან ბოლოსდაბოლოს ეგრეთწოდებული „ზახრბაბუშტა მენდლები“ მაინც.

აი ასეთ დროს, საქართველოში შემოიჭრა სრულიად ახალი თაობა, ეგრეთწოდებული მესამოციანელები, ანუ თერგდალეულები, პროგრესული რუსეთის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის მოწინავე იდეებს ზიარებული ქართველი მოღვაწენი, რომლებმაც ზურგი შეაქციეს მეფის მთავრობის ნასუფრალსაც, მის ჩინებესა და ტიტულებს, მის ბრწყვიალა ორდენებს და ქართველ ხალხში შემოიტანეს სრულიად ახალი მებრძოლი სული. მაგრამ დახეტ საკვირველებას, ამ მწერლებმა ბრმად კი არ დაუწყეს იდეალიზაცია თავისი ქვეყნის წარსულს, გინდ აწმყოს, არამედ კრიტიკული თვლით შეხედეს ყველაფერს და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს თავის თანამემამულეთა ყოველგვარ ნაკულოვანებას.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა
 ტაში?
 რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ
 ვემსახურეთ.
 ჩვენ წმინდა სიტყვა უწინააღმდეგოდ მოვლენით
 ხალხში
 ბოროტი საკლავად. — მათ სულთ-ხდომის
 სიერს ვუყურით.
 თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ზომ იღის
 ღმერთმა,
 რომ წმინდა არის განძრახვა და სურვილი
 ჩვენი:
 ავსიოლია სიერმიდანვე ჩვენ ქართველის
 ბედმა,
 და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძეგლით
 დავლით დღენი.“

ასე წერდა მაშინ ოცდაათი წლის
 ახალგაზრდა კაცი, შემდეგში მთელი
 ქართველი ხალხის სულიერი მამა და
 მოწინავე მებრძოლი ილია ჭავჭავაძე.

მაგრამ არავინ იფიქროს, რომ პოეტს
 მაშინვე გაუგეს მისი კეთილი ზრახვები.
 ილია მომხრე იყო თავისი ხალხის სპარ-
 ტანულად აღზრდისა, იგი მტერი იყო
 მკონარებისა, მონურად ქედმოხრისა,
 მლიქვნელობისა, კარიერისმისა და ყვე-
 ლა იმ ბოროტებისა, რასაც ასე გულ-
 შოდგინედ ნერგავდა მეფის მთავრობა
 და რაც მისი ხალხისათვის ვნების მომ-
 ტანი იყო. იგი დაუნდობლად ამხელდა
 თავის თანამემამულეთა ყველა ნაკლუ-
 ლოვანებას და ამიტომ იყო, რომ იგი
 განაწყენებულმა თავადაზნაურობამ აი-
 თვალწუნა. ცხადია, მაშინვე დააბრა-
 ლეს, თავსა ჭრი საქართველოს და ქარ-
 თველ ხალხს, დასცილი მის ღირსებასო.

მიხეილ ჯავახიშვილი თავის მოგონე-
 ბებში ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრე-
 ბის შესახებ წერს, რომ 1901 წელს
 დიდუბეში, რუსეთის მიერ საქართვე-
 ლოს შეერთების ასი წლის თავზე გა-
 მართულ გამოფენაზე მივედიო, სა-
 დაც: „...უცებ ორ ილიას — ჭავჭავაძეს
 და წინამძღვარიშვილს წავაწყდი. ეს ის
 წინამძღვარიშვილია, რომელიც 60-იან
 წლებში ჭავჭავაძეს შეიარაღებულ მცვე-
 ლად დასდევდა, როცა მას ზოგი ქარაფ-
 შუტა თავადი თუ აზნაური მოკვლას
 ემუქრებოდა.“

როგორც ხედავთ, არც თუ ისე ადვი-

ლი ყოფილა მაშინ სამწერლო მოღვაწე-
 ობა და ამიტომ იყო, რომეცაწინაწყენებუ-
 ლი ილია თავისსავე ლექსშიმინდა:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიამებს ქართველსა
 ამბობს,
 ჩვენს ცუდს არ მალავს, ვე ზომ ცხად
 სიძულელია!“
 ბოიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე
 სცნობს —
 ამ სიძულელიშვიც რაოდენი სიყვარულია!“

ასეთი იყო ეს მებრძოლი პოეტი, რო-
 მელსაც მთელი თავისი სიცოცხლის მან-
 ძილზე არასოდეს არ გაუყიდა არც თა-
 ვისი ღირსება და არც თავისი კალამი,
 ზოლო სიცოცხლის დასასრულს ჯილ-
 დოდ მიიღო ის, რომ მეფის ოზრანკამ
 ილიას მისივე თანამემამულის ხელით
 წიწამურში გული გაუგმირა. ამგვარად
 პოეტი შეიქნა მსხვერპლი იმ ბოროტი
 ძალებისა, რომელთაც დაუნდობლად
 ებრძოდა.

ეს მცირეოდენი ექსკურსი მეცხრამე-
 ტე საუკუნეში ჩვენ იმისთვის დაგვიჩი-
 რდა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის, ილია
 ჭავჭავაძის მიმდევრისა და მისი ტრადი-
 ციების გამგრძელებელი მწერლის ბედო
 ფატალურად წააგავს თვით ილიას ბედს.
 მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მი-
 ხეილ ჯავახიშვილი ქარიშხალივით შე-
 მოიჭრა ქართულ ლიტერატურაში, მან,
 შეიძლება თამამად ითქვას, საფუძველი
 ჩაუყარა თანამედროვე ქართულ ღიღ-
 ბელეტრისტიკას, მანაც ილიას მსგავსად
 სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გა-
 მოუცხადა ჩვენს ადამიანთა ნაკლულ-
 ვან თვისებებს. იგი როგორც მწერალი,
 მთელ თავის სამწერლო მოღვაწეობის
 მანძილზე ამაყად მოაბიჯებდა თავის
 შემოქმედების დიად გზაზე და მის მარ-
 ჯვენას არასოდეს არ აუღია კალამი
 ხელში მაამებლური ან მლიქვნელური
 პანეგირიკების საწერად. მისი მოთხრო-
 ბები და რომანები გამსჭვალულია დი-
 დი ჰუმანიზმით და მებრძოლი პატრიო-
 ტული სულისკვეთებით. მიხეილ ჯავა-
 ხიშვილი დაუნდობელი მტერი იყო ყო-
 ველგვარი მანკიერებისა, სულიერი და
 ფიზიკური დაძაბუნებისა, ზნეობრივი

დაცემისა. მას დევნიად ჰქონდა აღებულ-
ლი ის ცნობილი ხალხური ანდაზა, რო-
მელიც ილია ჭავჭავაძემ თავის „კაცია
ადამიანს“ ეპიგრაფად წაუშმძღვარა და
მთელ თავის შემოქმედებას ლეიტმოტი-
ვად დაუდო: მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირს უკანაო. მიხეილ ჯავახიშ-
ვილმა სააშქარაოზე გამოიყვანა ქართვე-
ლი ხალხის და საერთოდ რევოლუციის
უბოროტესი მტერი, რევოლუციის მიტ-
მანნილი ქმნილება — მედროვე.

თავისთავად ცხადია, მიხეილ ჯავახი-
შვილი არ იყო ცხოვრების მარტო ნე-
გატიური მხარის ამსახველი მწერალი.
მთელი რიგი მისი მოთხრობებისა გამს-
კვალულია ადამიანის მაღალი სულიე-
რი თვისებების გამომხატველი იდეურობ-
ით. აიღეთ მაგალითისათვის მისი მო-
თხრობები „მართალი აბდულაჰი“ ან
„ყბაჩამ დაიგვიანა“, განსაკუთრებით
იხილვებით უკანასკნელი მოთხრობით,
რომელშიაც ასე ფაქიზად და სათუთადაა
აღწერილი უბრალო და ბედით დაჩაგ-
რულ ადამიანთა სულიერი სისპეტაკე და
სიღიადე. ან ისეთი მოთხრობა, როგო-
რიცა „ფინჯანი“, რომელშიაც საოცარ-
ი მხატვრული სიძლიერითაა დახატუ-
ლი ქართველი კაცის მისწრაფება ემსა-
ხუროს თავის საბჭოთა ქვეყანას და
უცხოეთიდან ეს ბედით გადახვეწილი
ადამიანი იღუმალად შემოიპარება, რომ
თავისი გამოგონება, ფოლადივით მტკი-
ცე ფიფქური, თავისავე ხალხს მოუტა-
ნოს.

საერთოდ, მიხეილ ჯავახიშვილის ნა-
წარმოებებში ყოველთვის და მუდამ
პირველ პლანზეა ადამიანი და ამ ადამი-
ანის თვისებები, მისი ავჯარგი, მისი ვნე-
ბანი და მისწრაფებანი.

„ქარხნის ჰეარტიცი ლამაზია და მისი
ხმაურიც სიმფონიად გამოდგება, —
წერს ერთერთ თავის წერილში მიხეილ
ჯავახიშვილი, — მაგრამ მანქანამ თუ
მისი ბატონის, ადამიანის ხმა დაჩრდი-
ლა, მწერლობაში მასინ ახალი კაცის
ტიბს მძლუთამძლე გენიოსიც ვერ შექ-
მნის.“

აი, ამ ახალი ადამიანების მიერ გარ-

დაქმნილი თავისი ქვეყნით მოხიბლუ-
ლი მწერალი საბჭოთა საქართველოს
არსებობის თხუთმეტი წლის თავზე წერ-
და: „მეტისმეტად ძნელია მტკიცე წერილ-
ში ყოველმხრივ ავწერო ის უზარმა-
ზარი ცვლილება, რომელიც ამ 15 წე-
ლიწადში მოხდა. ამ თემას ერთი ტომიც
ძლივს დაიტევს.“

შემდეგ ამ წერილში ავტორი ჩამო-
თვლის გრანდიოზულ ცვლილებებს სა-
ქართველოს ეკონომიკის — სოფლის
მეურნეობის და მრეწველობის დარგში,
რაც ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში
მოხდა, თუ როგორ გადაიქცა ჩვენი
ქვეყანა არა მარტო მოწინავე და უაღ-
რესად განვითარებულ აგრარულ ქვეყ-
ნად, არამედ ასევე მოწინავე ინდუს-
ტრიულ რესპუბლიკად.

ჯავახიშვილი იგონებს თავის წერილ-
ში, თუ როგორი იყო ძველად სახალხო
განათლება, მეცნიერება და ხელოვნება,
როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ
ბევრი იყო წერაყთხვის უცოდინარი,
როდესაც საქართველოში საცოდავ
მღვთმარებაში იმყოფებოდა თეატრი,
გვყავდა ორიოდ მხატვარი და ერთად-
ერთი მოქანდაკე, როდესაც ჩვენში წიგ-
ნების ტირაჟი არ აღემატებოდა რამდე-
ნიმე ასეულ ცალს, და იმეორებს თავისი
წერილის სათაურის სიტყვებს, ერთი
ათად უნდა გამრავლდესო, რადგან
ყველაფერი ასე ერთიათად გამრავლ-
დაო.

„გენიოსმა ბარათაშვილმა თავისი ნა-
წარმოები დაბეჭდილი ვერ ნახა, —
წერს შემდეგ ჯავახიშვილი, — ახლა
კი მისი ლექსები საბჭოთა კავშირში
რამდენიმე ენაზე იბეჭდება. ოქტომბერ-
მა ქართულ წიგნს საზღვრები გაურღვია
და უფართოეს ასპარეზზე გაიტანა. რამ-
დენიმე წელიწადში მრავალი ქართვე-
ლი ავტორი კლასიკოსიც და დღევანდე-
ლიც — რუსულს, უკრაინულს, ბელო-
რუსულს, სომხურს, თურქულსა და სხვა
ენებზედაც დაიბეჭდა. რამდენიმე ახალ
ქართულ მოთხრობას ცნობილმა ფრან-
გულმა ჟურნალმა დაუთმო ალაგი, ხო-
ლო ერთი რომანი ჩეხურ ენაზე გამოვი-

და წიგნად. უწინ ქართველი მწერალი კარს აკაუნებდა და არ უღებდნენ, ახლა კი იგი ფართოდ გავიდას“.

„მწერლობაში სხვა მხრივაც უდიდესი ცვლილება მოხდა. გაქრა შხამიანი დეკლანსი, პირქუში მისტიკა, კულტი ზეკატური ინდივიდუალიზმის და შორეული ბუმბერაზებისა. გაჩნდა ახალნაირი თემა, სტილიც და მეტყველების ხერხიც“.

„ახლა გმირს თვითონ დღევანდლობა გეთავაზობს, იგი ათასობით მოიპოვება კოლმეურნობაში, ქარხანაში, მადაროში, ყინულეთში, ჰაერში, წყალზედაც და წყალქვეშაც“.

მიხეილ ჯავახიშვილს თავისი სამწერლო მოღვაწეობის პერიოდში არც თემები დაკლებია, არც თვალის სიმახვილე და არც ოსტატობა მოღუენებია. ის მართლაც მკლავმაგარი ქვისმთლელივით მოვიდა თემების რიყეზე და როდენისებური ოსტატობით და მტკიცე მარჯვენით ძერწავდა და აქანდაკებდა მარადიულ სახეებს.

„ჩვენი ამოცანაა ახალი სტილი შეექმნათ და მწერლობაში ახალი ქვეყანა და ახალი ადამიანი გამოვაჩინოთ“... სწერდა თავის უბის წიგნაკში შრომით დაქანცული დიდი მწერალი და თითქო ფატალურად გრძნობდა თავის ტრაგიკულ აღსასრულს, იქვე დასძენდა: „ნაადრევეა ჩემი სიკვდილი, მე ჯერ არაფერი არ გამიკეთებიაო“.

ჩვენი უფროსი თაობა მომსწრეა რევოლუციის ყველა პერიოდისა. ჩვენ საკმაოდ დრო და საშუალება გვქონდა გავცნობოდით პოლიტიკურ მოღვაწეთა სულიერ ზრახვებსა და მისწრაფებებს. ჩვენ ყველას გვახსოვს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდში ნამდვილ ბოლშევიკ რევოლუციონერთა საბეტაკი სახეები. გვახსოვს ის ადამიანები, რომლებიც პირველნი თითონ იყვნენ მაგალითის მიმცემნი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი კომუნისტი. ისინი ფანატური გატაცებით იბრძოდნენ რევოლუციური მშე-

ნებლობის მოწინავე ხაზებზე და უარს ამბობდნენ პირად კეთილდღეობაზე. ისინი ზიზლით უცქერდნენ უფუფუნებას და სიმდიდრეს, ყოყლოჩინობას და პატივმოყვარეობას. მათ ერთადერთი მიზანი აცოცლებდა, — მშრომელი ხალხის მომავალი ბედნიერება და მათთან ერთად იზიარებდნენ მათ ჭირსა და ლტინს. განა ეს მათი კეთილი თვისებები არ მოგვაგონდება, როდესაც გავიხსენებთ თუნდაც ბესო ლომინაძესა და ვალია ბახტაძეს, არჩილ მიქაძეს და ვლადიმერ ჯიქიას, მიხეილ აბიანს და ლევან გამყრელიძეს და... რამდენი ერთი ასეთი მგზნებარე ბოლშევიკი შეიძლება დავასახელოთ, რომელთა სახელის მოგონებასთან ერთად ჩვენ მუდამ მოგვაგონდება პატიოსნება, ვაყაყობა, პირდაპირობა, სულიერი სისხეტაკე და ადამიანური კეთილშობილება.

მაგრამ ამ რევოლუციას მოჰყვა ერთი ტიპის ადამიანი. ყველაზე საშიში, ყველაზე მავნე, ყველაზე ვერაგი. ეს იყო მიმიკრიის ყველაზე უნივერსალური თვისებებით აღჭურვილი და ცხერის ქურჭში გახვეული მგელი — მედროვე. სხვადასხვა სოციალური ფენებიდან მოძვრებოდა ჩვენს სინამდვილეში კოლორადოს ზოქოსავით ასეთი მედროვე. თქვენ, მედროვეთა შორის ნახავდით როგორც ყოფილ მოჯამაგირეს, აგრეთვე პრისტაეის ან ქანდარმის ან ბობოლა ვაჭრების შვილებს, ან მეფის ოზრანაყის ყოფილ აგენტებს, საერთოდ ძველი სახელმწიფოებრიობის სანაგვე ყუთიდან ამომძვრალ სოციალურ პარაზიტებს. როგორც მოგვხსენებათ, ყოველი მედროვე ქამელეონით იცვლის ფერს და მხოლოდ რევოლუციის შემდეგ ხდება რევოლუციონერი. მანამდე მას არც უხნაეს, არც უთესია და მზამზარეულზე ცდილობს არხეინად მოიკალათოს. მას ერთადერთი სურვილი ამოქმედებს, როგორმე მოიგოს უფროსის გული, რომ დაუნდობლად გაუსწორდეს ყველას, ვინც კი შესაძლებელია გზაზე გადაეღობოს. მისი მიზანია,

რაც შეიძლება, ენოსავით მეტი მიითა-
ლოს თავისთვის, ებრძოდეს მდიდრებს,
მხოლოდ იმ მიზნით, რომ თვითონ გამ-
დიდრდეს, გაკიცხოს გარყვნილება,
რათა თვითონ ჩაიხრჩოს ამ გარყვნი-
ლების მორევში, სხვებს აბრალებდეს
მეჭრთამეობას და თვითონ იყოს პირ-
ველი მეჭრთამე. მიზნის მისაღწევად
ყველა საშუალება მისაღებად მიაჩნია:
სიცრუე, ღალატი, გაცემა; თუნდაც
საკუთარი მამის დაკვლაც რომ დაავა-
ლონ, უკან არ დაიხვეს და არაფერს არ
ერიდება, არც ძალადობას, თუკი ჯა-
ყოსავით ღონე ერჩის, არც მლიქვნე-
ლობას და გაიძვერობას, თუკი კვაჭი-
ვით ამის ნიჭი აქვს და არც მიაშიტურ
მამაძაღლობას, თუკი მას ეს დამპატი-
ყესავით ეხერხება.

მიხეილ ჯავახიშვილმა მთელი გალე-
რება შექმნა განზოგადოებული სახეე-
ბისა. მსოფლიო ლიტერატურაში თქვენ
იშვიათად დაასახელებთ მწერალს, რო-
მელსაც ერთზე ან იშვიათად ორზე
მეტი ასეთი განზოგადოებული სოცია-
ლური ტიპი შეექმნას, ტიპი აღტურვი-
ლი საერთაშორისო, ყველასათვის გასა-
გებო და მახასიათებელი თვისებებით.
შექსპირის ფალსტაფი, ბალზაკის პო-
სეკი, გოგოლის პლიუშკინი, — ის ნათ-
ლად გამოკვეთილი ხასიათები არიან,
რომელთა მსგავსებს თქვენ ყოველ
დროში და ყველა ერში შეხვდებით.

ასეთივე ზოგადი სახეებია ჯავახიშვი-
ლის მიერ შექმნილი ჯაყო, კვაჭი და
დამპატიყე, მაგრამ რაც განსაკუთრე-
ბით დამახასიათებელია, ეს ტიპები თუ
ხასიათები (ლიტერატურის თეორიაში
არსებობს შეხედულება, რომ ტიპი სხვაა
და ხასიათი სხვა, მე კი მგონია, რომ
ერთი მეორეს არ გამოირიყხავს, რადგან,
საერთოდ, წარმოუდგენელია ტიპი ხა-
სიათის გარეშე)... ეს ტიპები და ხასია-
თები, გამოვლინდნენ სწორედ რევო-
ლუციის შემდეგ. ძველი ყოფიდან ჩვენს
ცხოვრებაში მათ ჭამელეონებივით სა-
ხეშეცვლილებმა გადმოაბიჯეს და შე-

ეცადნენ მტკიცედ შეგუებოდნენ ახალ
პირობებს.

თავის დროზე დიდი ლენინი ჩათლად
ხედავდა ასეთი ელემენტების შემოჭრის
საფრთხეს კომუნისტურ პარტიაში.
1921 წლის 17 ოქტომბერს, პოლიტ-
განათლების მუშაკთა სრულიად რუსე-
თის მეორე ყრილობაზე, თავის
მოსხენებაში ამბობდა რომ...

«...громадный процент коммунистов не умеет
пользоваться советскими законами по борь-
бе с волюнтаризмом, бюрократизмом или с та-
ким истинно русским явлением, как взяточ-
ничество. Что мешает борьбе с этим явле-
нием? Наши законы? Наша пропаганда?
Напротив! Законов написано сколько угодно!
Почему же нет успеха в этой борьбе?..»

იმიტომაც, ამბობს შემდეგ ლენინი,
რომ ჩვენ ჯერ კარგად არ ვიცით ბრძო-
ლა ასეთი მოვლენების წინააღმდეგ,
რომ არაფერი ვთქვათ იმათზე, რომლე-
ბიც პირიქით ხელს გვიშლიანო. და იქვე
დასძენს:

«...Мы производим теперь операции, кото-
рыми занята комиссия по очистке партии, и
есть надежда, что тысяч 100 из нашей
партии мы удалим. Некоторые говорят, что
тысяч 200, — и эти последние мне больше
нравятся.

Я очень надеюсь, что мы выгоним из на-
шей партии от 100 до 200 тысяч коммуни-
стов, которые примазались к партии и ко-
торые не только не умеют бороться с волю-
нтаризмом и взяткой, но мешают с ними бо-
роться».

ამას ამბობდა ლენინი 1921 წლის
ოქტომბერში, როდესაც საქართველოში
საბჭოთა ხელისუფლება სულ ახალი
დამყარებული იყო და მედროვეთა
მიტმასნა 'პარტიასთან ის-ის იყო იწყე-
ბოდა, და მიხეილ ჯავახიშვილის გამჭ-
რიახ თვალსაც არ შეიძლებოდა არ
შეენიშნა ეს სოციალური მოვლენა. და
აი, იგი გვიხატავს ჯერ კიდევ მეფის
რეჟიმის დროს დაბადებულს და თე-
ბერგლის რევოლუციის ხანაში ფრთა-
გაშლილ კვაჭის, შემდეგ საბჭოთა ხე-
ლისუფლების პირველ პერიოდში გა-
მოჩენილ ჯაყოს და უფრო მოგვიანე-
ბით ჩვენს სინამდვილეში დაბადებულ
დამპატიყეს.

ამ ნაწარმოებთანავე უქვევლად ყუ-
რადლებას იმსახურებს სოციალური

დრამის ანსახველი, მძაფრი ფერებით დაწერილი რომანი „ჯაყოს ხიზნები“.

ავტორს აქ გამოჰყავს დამაბუნებელი, ძალაგამოცლილი ქართველი ინტელიგენტი თეიმურაზ ხევისთავი. ამ ინტელიგენტის დრამა იმაში მოგომარეობს, რომ იგი თავისი მსოფლმხედველობით ვერც ეგუება და არც იზიარებს საბჭოთა-ბელისუფლების მისწრაფებებს. ძველ პატრიოტულ თუ ნაციონალისტურ ტრადიციებზე აღზრდილი თეიმურაზ ხევისთავი უფრო მწიგნობრობას გაუტაცია, მთელი თავისი ძალა და ენერჯია ამ წიგნებში ჩაუხარჯავს და ჩაუღუგია და ავტორი მას დაუდობლად უწოდებს წიგნის ჩრჩილს.

აი, როგორ გვიხატავს ამ ნათავადარის პორტრეტს ავტორი:

„თეიმურაზი უშუგო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული და ნაქანდაკევი, მაგრამ გამხდარი და გაძვალებული, მხრებაყრილი და მკერდჩავარდნილი, ბეცი და მელოტი, გაფუქქულ ქათმის მინამგვარი, მწიგნობრობით დაღლილი, დაშრეტილი, გამოწურული და დამდნარი ნაკაცარი, რომელსაც მომავლად თვალწინ მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გააჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი...“

ილიას ლუარსაბ თათქარიძესავით ჯავახიშვილმა თეიმურაზ ხევისთავიც უშვილოდ გამოიყვანა. „თეიმურაზი სწუხდა და იღუშალის დარდით დარდობდა უშვილობირობას და ამაყ ხევისთავთა ნაშიერობის გაჭრობას. რაც ხანი გადიოდა, უშვილო თეიმურაზიც ჯიშის გაგრძელების აღლოსაც უფრო და უფრო ცხარედ გრძნობდა და შეილის ძებნით გატაცებული, გულმოდგინეთ ოფლში იწურებოდა, მაგრამ ოხუნიჯისა და უღმობელი ბედის წყალობით მას „ბერწი“ მეუღლე შეხვდა“. მუღამი — გულის ნადები არ შეუხსრულდა. მეუღლენი წლითაწლოებით შეიღს ელოდებოდნენ, უშვილობას ერთმანეთს აბრალებდნენ და რჩევისა და დარბგე-

ბისთვისაც ხან ერთ ექიანს მიადგებოდნენ, ხან მეორეს, ზოგჯერ ცხრეც სახალხო წამლებს ერიდებოდნენ.

ბოლოს, უნაყოფო შრომით და გაუთავებელი მოლოდინით თეიმურაზს ქანცი გამოელია და იმედი გადაუწყდა. ხევისთავთა გულნატყენმა მონათხეკმა ბრალი საბოლოოთ თავის მეუღლეს დასდო და გული დაიმშვიდა“.

ავტორი ბოლომდე არ ინდობს თავის გმირს და ნაწარბობის დასასრულს ხსნის თეიმურაზის უშვილობის საიდუმლოებას, როდესაც ცხრა შვილის მამა ჯაყო თეიმურაზს მის მეუღლეს მარგოს საბოლოოდ მოსტაცებს და პატარა ჯაყოსაც გაუჩენს.

აი ასეთი დონდლო და წყალწადებულია თეიმურაზი. ის ენაბრკევილია. უღონო, კაცობის არამქონე, უნებნისყოფო. მას შერჩენია სულელური ამპარტაენება და თუ ერთის მხრივ არ ეთაკილება ჯაყოს მოჯამაგირეობა და მის სამოწყალოდ ყოფნა, მეორეს მხრივ უკადრისობს სოფლის მასწავლებლობას. მას თავი საზოგადო მოღვაწედ მიაჩნია და აცხადებს: „...ოცი წელიწადი იმისათვის კი არ ვიმუშავე, რომ სოფლის მასწავლებლობით დაეასრულო ჩემი სიცოცხლე და მოღვაწეობა.“

იგი დასავლეთისკენ იცქირება, ჩამავალ მზეს შესცქერის და ამბობს: — „იქით გაიხედე, ივანე, — ხმის კანკალთ სთქვა თეიმურაზმა დუმილის შემდეგ და თითი დასავლეთისკენ გაიშვირა, — გაიხედე, რა მ... მშვენივით არის შემოსილი დასავლეთი, — მერმე ღრმად ამოიოხრა, თითქო თავისთვის წაბუტბუტა, — ყოველივე დასავლეთიდან მოდის: სიმდიდრე, გ...განათლება, ზნეობა, თ...თავისუფლება და მშვიდ...ლობა“.

ასეთია თეიმურაზ ხევისთავის ფილოსოფია, იმ ხევისთავისა, რომელმაც ვერ წესძლო მოველო ვერც თავისი ოჯახისთვის, ვერც თავისი მამულისათვის. რგი დასავლეთისაკენ იცქირება და იქედან შევლას მოელის.

ავტორი დაუნდობლად უსწორებს ანგარიშს ასეთი შეხედულებების მქონე თავის გმირს და მისი სახით იმდროინდელ უხერხემლო და უკუდო ამპარტავან ინტელიგენციას.

იშვიათი ოსტატობით ხატავს ავტორი ჯაყოს პორტრეტს. ჯაყო, — ესაა ნების პერიოდში აღმოცენებული მედროვე აულაკი გლეხის ტიპი, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გულზე წითელი ლენტი გაიკეთა, ვითომდა იგი დიდი თანაგრძნობით ეგებებოდა რევოლუციას და საქმეზე რომ მიდგა, მაშინვე შეეცადა დაპატრონებოდა თეიმურაზ ხევისთავის როგორც სახლკარს, აგრეთვე, მის თვალუწვდენელ მამულებს. ხოლო, როდესაც აღშფოთებული ღარიბი გლეხები შეესევინა ჯაყოს და პასუხს მოსთხოვენ, მათ შორის ასეთი საუბარი იმართება:

„— ხალხო! რევალაციამ ყველას მიწა და სამართალი მისცა — იწყებს ჯაყო.

— მე სამი დღიური და შენ ასი? — უცებ ჩაურთო ნინიკამ.

— მე მეტი შეგიძლიან მოხნა.

— ჩვენც შეგიძლიან, ეს ხელები რისთვისა გვაქვს?

— ჯაყო მუშაობდი, ეხლაც მუშაობ.

— ვიცით, ვიცით როგორც მუშაობდი, — აწყვეტინებენ აქეთ იქიდანა“.

ავტორი აგვიწერს, თუ როგორ დაეპატრონა გლეხობა — ახალი ცხოვრების ნამდვილი ბატონ-პატრონი თეიმურაზის სახლებსაც და მის მამულებსაც. ჯაყო უძალიანდება, ცდილობს იარაღიც კი მოიშველიოს, მაგრამ თუ ღონეგამოლულ და დაჩაჩანაკებულ თეიმურაზს მის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლო, გლეხობას ეს კარგად შეუძლია, და ნინიკას უროსავით მუშტები მას ჰკუთნა მოიყვანენ და ბრძოლაზე ხელს აღებინებენ.

ფერწერით მხატვრობაში ჩვენ ბევრი გვინახავს უდიდესი ოსტატობით შესრულებული პორტრეტები, როგორც

რეპროდუქციები, ასევე დედნები, მოეხიბლულვართ ამ ოსტატთა კალმის ნამდვილი ჯადოქრობით. გვეხსენებოდა რემბრანდტის, ვან-დეიკის, ტიციანის, ლეონარდო და ვინჩის და ალორძინების ხანის სხვა ხელოვანთა ნამუშევრები. ასევე მწერლობაში, მხატვრულად დახატული ბევრი პორტრეტი ვიცით, თუ გნებავთ, დონ-კიხოტისა სერვანტესის მიერ, ნიკოლოზ პირველისა ტოლსტოის მიერ, პობსეკისა ბალზაკის მიერ და ყოველთვის გაცეცხავს მოვსულვართ, თუ როგორ შეუძლიათ სიტყვის ოსტატებს ასეთი ფერებით და ასე მხატვრულად გააცოცხლონ თქვენს თვალწინ თავისი გმირი. აი ასეთი იშვიათი ოსტატობით აქვს დახატული მიხეილ ჯავახიშვილს თავის რომანში ჯაყოს პორტრეტი:

„ჯაყო ჯივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვის ჰგავდა. დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განიერად გადგმულ თეძოებსა და მხარბუქს, რომ ვიწრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა.

რამდენიმე ნაჭირლობევით დასერილი თავი და პირსახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძგენილი ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქო ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უხარმხარო ზღარბი აცოცებულოყო.

შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგანრიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინ წამოყრილ ცხენის კბილებს და აქყლებილ ცხვირს ამოეყოთ თავი.

ერთი მტკაველის სიგრძე უღვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გადმოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამაზების ყურები დასცქეროდნენ.

შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა, ცხვირი — მოკლე და აქყლებილი; თვალები — მსხვილი კაკლის ოდენა და ამოყრილი, თანაც ცოცხალი და ცუდლუბტი, მოვლვარე და მოუსვენარი; თვა-

ლებს ზედ დასწოლოდა დაბურვილი ხშირი და გრძელი წარბების ღარი, რომელიც მაღალსა და წინ წამოვარდნილ კვინისზე შუაზე გადატეხილიყო.

თავს ეხურა ყავისფერი ოსური ნაბდის ქუდი, ტანთ ეცვა ოსური შალის გაპოხილი ჩოხა, ხოლო ფეხებზე ხალვათი პაიჭები, თათრული ჭრელი წინდები და ახლად ნაყიდი დაბახანური ჩუსტები.

ერთი ადლის სიგრძე და ვერცხლით შეკვდილი თეიმურაზის პაპისეული ხანჯალი ტლანქსა და ბეჭვანიერ გოლიათს ხალვათი სიარულისთვის თემოზე ჩამოეციდა.

ჯაყოს ერთ ხელში რკინით ნაჭედი მაჯის სისქე კომბალი ეჭირა, ხოლო მეორე იდლიაში ჰედილა-ცხვარი ამოეჩარნა, რომელიც ისე ადვილად მიჰქონდა, თითქოს ის ცხვარი ვარიანე მძიმე არ ყოფილიყო. ბეჭვებზე რუსული თოფი ჰქონდა გადაადებული, გულმკერდსა და წელზე სამი საეაზნე ჰქონდა შემორტყმული, ხოლო თემოზე გრძელი მალუხერი ეკიდა".

• • •

„ჯაყოს ხიზნების“ ერთგვარ იდეურ თემატიურ გაგრძელებას წარმოადგენს მწერლის მეორე ნაწარმოები „თეთრი საყელო“.

თუ პირველ რომანში ავტორმა საბოლოო ანგარიში გაუსწორა დამაბუნებელი ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელ წარმომადგენელს, მეორე რომანში ავტორი ცდილობს დაგვიხატოს თანამედროვე ინტელიგენტი ინჟინერი, რომელიც გეოლოგიური ძიების დროს მოხვდება ხევსურეთში.

როგორც ვიცით, ამ ინჟინერს არაფერი არა აქვს განსაკუთრებული. იგი ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცია და ჰყავს ჩვეულებრივი ქალაქურად გაზრდილი ცოლი ცუცქია. ეს ქალი, ავტორის თქმით, ბერწია, არც შეიღს იჩენს, არც ოჯახის მოვლით იწუხებს თავს; იშვიათად ლაპარაკობს ქართულად და

მეტ დროს კოჭიობას ანდომებს. ხოლო მისი ქმარი ელიზბარევი ეკლერით უნებისყოფი ადამიანის და გულმამადგინედ ელოლიაგება ამ თავის უგვეან მეუღლეს.

მაგრამ აი, ელიზბარი მოხვდება ხევსურეთში, სადაც საოცრად შემონახულა ეპეკაცობის ნამდვილი სპარტანული სკოლა, სადაც ხევსურები დაურიდებლად აელვარებენ თავიანთ სატყვეებს და ფრანგულებს თუ დავითფერულებს, სადაც კვლავ ცოცხლობს იახსარი და კოპალა, ლაშარის და გულანის ჯვარი, სადაც ძველებურად ხარშავენ ლუდს და მართავენ ღრეობებს, ხოლო შემდეგ შეზარხოშებულნი ნაპერწყლებს აყრვინებენ თავიანთ ჯავარდნის სატყვერებს.

გავიხსენოთ, როგორ წრთენის ფარიკაობაში ჯურხა ელიზბარს და ყოველი ვარჯიშობის შემდეგ ამხნეებს: წიკლაურ გამახვალ, ნამდვილი ვაჟკაცი იქნებიო.

და მართლაც, ავტორი რკინასავით აკაეებს თავის საყვარელ გმირს. მას აქ სატრფოს თუ საკოლეცაც კი გაუჩენს, ძვალმსხვილ და თემოგანიერ ხათუთას, იმ ხათუთას, რომელმაც, ავტორის ვარაუდით, ელიზბარს სულ უკანასკნელი ცხრა შვილი მაინც უნდა გაუჩინოს და გაუზარდოს. გავიხსენოთ როგორი აქვს ამ ქალს ან ჭეუა ან გონება, ან ზნე, ან ყოფაქცევა. როგორ სწრაფად ითვისებს ეს ქალი თანამედროვე ცივილიზაციის ყოველგვარ სიყეთეს, ან როგორი თავდავიწყებული სიყვარული, სპეტაკი და უმანკო სიყვარული სკოდნია ბუნების წიაღში გაზრდილ ამ არსებას.

მიხეილ ჯაგაბიშვილი ამ რომანში ხატავდა ელიზბარის და ხათუთას სახით იმ იდეალურ წყვილს, რომელთაც უნდა შეეცვალათ თეიმურაზ ხევისთავი და მისი მეუღლე ქართველი ხალხის ცხოვრების გზაზე, ხატავდა ჩვენი ქვეყნის მომავლის იმ ადამიანებს, რომელთაც საქართველოს წარსული დიდებიდან კვლავ უნდა დაეგრუნებიათ და აღედ-

გინათ ფოლადისებური სიმტკიცე, მაგარი მკლავი და ვაყვაცური ძალა, წმინდა და სპეტაკი ოჯახი ჯანსაღი შთამომავლობის შესაქმნელად.

ამიტომ ეპყრობოდა ასე დაუნდობლად ეს დიდებული მწერალი ყველა იმ ცუდი თვისების ადამიანებს, რომელთაც მისი ერისათვის, მისი ხალხისათვის მხოლოდ ცუდი მოჰქონდათ. იგი არ ერიდებოდა სააშკარაოზე გამოეყვანა, გაეციცხა და ემხილება ყველა მავნე და პარაზიტული ელემენტი.

მწერალი ამბობდა, რომ: „შრომა ახალი დროის ახალი სარწმუნოებაა, ახალი რელიგიაა, ქრისტიანობაზე უფრო მძლავრი, უფრო საჭირო და უფრო სასარგებლო“ („ჯაყოს ხიზნები“). ამიტომ, ამბობს ავტორი თავის მეორე ნაწარმოებში „არსენა მარაბდეღში“: „ჩვენ უნდა ყველგან ამოვხოცოთ და ამოვწვათ უკაცური საქმე, აზნაურული ზანტობა, ქედმაღლობა, მფლანგველობა, გარყვნილება, გაუტანლობა და ყოველგვარი სიამე“.

თავის ერთ პატარა მოთხრობაში, რომელმაც დაბეჭდვისთანავე მძაფრი გამოხმაურება ჰპოვა როგორც კრიტიკაში, აგრეთვე, მკითხველთა საზოგადოებრიობაში, სახელდობრ „დამპატიყვეში“ მწერალმა სააშკარაოზე გამოიყვანა ჩვენი საბჭოთა ეპოქისათვის ყველაზე საშიში ტიპი „დამპატიყვე“. ეს ისეთი სახის სოციალური პარაზიტია, რომლის მსგავსნი ფრანგულ ლიტერატურაში ალფონსის სახელით არიან ცნობილნი. ჩვენში კი ჩასიძებული მოქეიფეა, რომელიც ცდილობს ისე მოაწყოს ცხოვრება, რომ სხვამ იშრომოს და თვითონ სულმუდამ ქეიფობდეს. ამისთვის მას სულ ცოტა რამ ჰირდება ცხოვრებაში, სადმე სულ პატარა, თუნდაც ერთი ციკქნა სახელმძღვანელო თანამდებობა ჰქონდეს. და აი, დამპატიყვემაც მიაღწია იმას, რომ თედორეს ბალის ფაქტურული ხელმძღვანელი გახდა, ოჯახში ჩაესიდა, შრომა და ბალის მოვლა-პატრონობა სიმამრს მიუგდო, თვითონ კი ან თავის

პატარა ბიჭუნას ათამაშებს და დღლიდახ სალამომდე დოღს ურახუნებს, ან სამიკტონოში ზის და ღრიალდებს: „ჩემი ძეგისა“: „ორი ქოთანი ვიყიდე, ვაი, ყურიანი და უყურო, ვაი“, ხოლო თვედორე კი ელოდება, როდის მოაშორებენ კისრიდან ამ ბალღინჯოს, როდის გააჩუმებენ დაჰპატიყვეს და როდის გაპყრიან ერთმანეთისგან. „ელოდება და თანაც ფიქრობს: ოთხფეხს ტყიპი შეუჩნდება, ფუტყარს წინწყალი ჩაუჯდება, ხეს ხავსი და ფითრი მოეციდება, კლდესაც ფათალო ჩაექსოვება და ასე ცხოვრობენ სხვისი წვენიტ. ნეტა ადამიანიც ასე ზომ არ არის მოწყობილი?“

„ფიქრობს თვედორე“ და დღემღის ვერ გადაუტყრია“.

რომ ასეთ სოციალურ პარაზიტებთან ბრძოლა ძალზე ძნელია, ამას, მე ვფიქრობ, ბევრი მტკიცება არ ჰირდება. ასეთები დღესაც საქმოდ მოგვეპოვებთან და გვიმშვენიებენ რუსთაველის პროსპექტს.

მე ვფიქრობ, რომ ყოველი დიდი მწერლის მიერ შექმნილ ზოგად სახეს, ჩვენ არ შეიძლება მივუდგეთ ვიწრო ნაციონალური თვალსაზრისით, და სისულელე იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ბალხაკმა ჰობსეკის სახით მხოლოდ და მხოლოდ ფრანგი ადამიანის თვისება დაგვიჩაბა, ან გოგოლმა პლიუშკინის და ხლესტაკოვის სახით მხოლოდ რუსი ადამიანები დახაბა. საქმე ისაა, რომ ბურჟუაზიულ სამყაროში გამოჩეილი ჰობსეკი ყოველ ქვეყანაში მოიპოვებოდა. მას თქვენ ნახავდით ინგლისშიც და ამერიკაშიც, რუსეთშიც და საქართველოშიც, ისევე როგორც ხლესტაკოვისთანა ტიპებს მსოფლიოს ყოველ კუთხეში ნახავთ.

ამიტომ შეუძლებელია მწერალთა მიერ შექმნილი ზოგადი სახე მარტოდ-მარტო კუთხური მასშტაბებით ეზომოთ და ჯავახიშვილის მიერ შექმნილი ტიპებიც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ილუსტრაცია ეროვნული და კუთხურობით შემოფარგლული ხასია-

თებისა. ჯავახიშვილის კვალები განა
ნამდვილად არ ცოცხლობდნენ ჯერ
კიდევ მეთვრამეტე ან მეცხრამეტე საუ-
კუნეში ევროპასა და რუსეთში? გრაფი
კალიოსტრო, ჯიაკომო კახანოვა ანდა
ცნობილი ვიძვერა ვილოკი, რომელიც
შემდეგში საფრანგეთის პოლიციას ჩა-
უდგა სათავეში, არ გამოდგებოდნენ
ევაქის პროტოტიპებად? ან თუ გნებავთ,
ისეთი ლიტერატურული პერსონაჟები,
როგორიც არიან არსენ ლიუპენი და თუ
გნებავთ, ოსტაპ ბენდერი ევაქის ღვი-
ძლი ბიძაშვილები არ არიან? აქვე ისიც
უნდა დაეძინო, რომ ევაქი, როგორც
ლიტერატურულად სრულყოფილი პერ-
სონაჟი, გაცილებით მალა სდგას ზე-
მოთდასახელებულ გმირებზე. ჩვენს სი-
ნამდვილეში იგი დღესაც ყველგან და-
სერიანობს და მისი ბანდის წევრები
გახლდნენ ისინი, რომელნიც სულ რამ-
დენივე დღის წინათ იქნენ გასამართლე-
ბულნი.

* * *

სრულიად თავისებური ნაწარმოებია
ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“.
იგი უფრო რომანტიული პოემაა ამ
სახალხო გმირზე, ვიდრე რეალისტური
რომანი. რომანის ლეიტმოტივი ჯავა-
ხიშვილს გამოსახული აქვს ხალხურ
ლექსში, რომელსაც იმავე ნაწარმოებში
მისი გმირები მღერაინ.

ეს სიმოერა იყო ამ დიდი მწერლის
მთელი შემოქმედების ლეიტმოტივი.
მას, როგორც თავისი ქვეყნის მომავ-
ლისათვის თავდადებულ მწერალს, არ
შეეძლო თავისი ხალხის ავი არ დაეთ-
რგუნა და სააშკარაოზე არ გამოეტანა,
კარგისათვის კარგი გმირები არ დაელო-
ცა და მათთვის გამარჯვების ჰიმნი არ
ემღერა.

ამგვარ ჰიმნს უმღერის იგი სახალხო
გმირს არსენა მარაბდელს. იმ არსენას,
რომელსაც ხალხმა ისეთი შესანიშნავი
ძეგლი აუგო პოემის სახით, როგორიც

ბეერს დიდებულსაც კი არ დირსტბია
ქართველი ხალხის ისტორიის შესახებ
ისეთივე ხალხური გმირია, რომელიც
რობინ ჰუდი, ვილჰელმ ტელი ან სტენ-
კა რაზინი, რომელთა შესახებ ბეერის
რამ დაწერილა მსოფლიო ლიტერატუ-
რაში, ხალხური ლექსებიც, პოემებიც,
დრამებიც და რომანებიც.

ჯავახიშვილმაც არ დაიშურა შრომა,
რათა არსენასათვის მეორე მონუმენტი
აეგო და ეს სახალხო გმირი კიდევ
ერთხელ გაეცოცხლებია ჩვენი ხალხის
გულში. ამ გმირის ტრაგიული ბიოგრა-
ფიით კიდევ ერთხელ გაუშეორა მიხილ
ჯავახიშვილმა მომავალ ქართველ გმ-
ირებს, რომ არ შეიძლება ამოდებული
ხმალი მტერს ყუით მოუქნიო, თორემ
თვითონვე გახდება შენი სულგრძელო-
ბის მსხვერპლი და ხმალი ვადაში გადა-
გიტყდებაო.

„თრიალეთზე მე დავინდე, ახლა ეს
დამინდობს, არ დამკრავს, შერცხვება“—
ფიქრობს არსენა, როდესაც ხმალი გაუ-
ტყდა და კუპატნელის წინაშე უიარაღო
დარჩა.

მაგრამ კუპატნელმა არ დაინდო და
არსენა სიცოცხლეს გამოასალმა.

ასე ესაუბრებოდა ჯავახიშვილი თავის
თანამემამულეებს მთელი თავისი
შემოქმედებით, რადგან იგი მტერი იყო
ადამიანთა დაძაბუნებისა და დაქვეითე-
ბისა, იგი მუდამ იბრძოდა მთელი თავისი
შემოქმედებით, რომ თანამემამუ-
ლეებში განემტკიცებია გმირული სული
და მარჯვენის სიმტკიცე. ამიტომ დაუ-
დო ლეიტმოტივად „არსენა მარაბ-
დელს“ ის ხალხური სიმღერა, რომელ-
საც ჯავახიშვილი თავის ყოველ ნაწარ-
მოებში მღეროდა:

„კიდევაც დაიბრძებიან
იღვთს ლეილები მგლისანი,
ვგრე არ ამასწყდებიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“.

საგმი ჭიდაობა

ღირსიკუდი პროზის ოსტატი*

ფოტოგრაფი მელიტონი წარსულში არცთუ ისე ცუდად ცხოვრობდა. ახალდაქორწინებული ახალგაზრდები, მერ წაწილად ახნაურები და მოხელეები მისი ფოტოსახელისნოს ხშირი სტუმრები იყვნენ, და იგიც ბედს არ ემდუროდა. ერთხელ სურათის გადასაღებად მოსული ერთი ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა — მაკაე მისი ცოლი ხდება. ცოლმა ოჯახში ბედნიერება და სითბო შეიტანა, „მელიტონისათვის ქვეყანა უკეთესი შეიქნა. სიცოცხლე სიხარულად იქცა. დღეები დღეებს ტყილ სიზმარით გაყვდა. მაგრამ, რადგან სიზმარი ხანგრძლივი არასოდეს ყოფილა, მელიტონის ბედნიერებაც ერთ დღეს სიზმარით უეცრად შეწყდა. მოკვდა მაკაე და მელიტონი ისევ მარტო დარჩა. დაიწვრა ბედნიერი ოჯახი, დაჩაივდა ფოტოგრაფი მელიტონი. ეკლესიისა და სასაფლაოს ხშირი სტუმარი გახდა. ამას კიდევ ერთი ახირებული ჩვეულება დაემატა: ოთახში მარტოდ და უსაქმოდ მყოფი გარდაცვლილ ცოლს წერილებს სწერდა. როგორც კი გაიგებდა ვინმეს გარდაცვალებას, წაიფიქვდა, მივცალბებულს დაიტირებდა, მერ კუბოში ჩუმად წეროლს ჩაუდებდა. ასე უჩვეულო საფოსტო კავშირი დაამყარა გარდაცვლილ ცოლთან, და გულიც თითქოს გაუშავრდა. მაგრამ მის გულს სხვა ღრმინა და. დრო იცვალა, ძველი მუშტარი გაჩანაგდა, ხმალ-ხანჯალში ჩაქვდალი ახნაურები, სერთუკიანი მოხელეები გაქრინენ. ახალ აღაშენებში კი ფეხი ვერ გაიდგა, მათთან ნაცნობობა ვერ მონახა, გულისტკივილით ამბობდა „დავდივარ ღრმად, უველასაგან და უველაფრისაგან გარეყვლი“. ამ ვითარებას ისიც დაემატა, რომ ერთ დღეს ვიღაც პორტფელიანი კაცი მოვიდა, დაათვალიერა მელიტონის ბინა. მეორე დღეს მელიტონს ქალაქის სამმართველოდან აცნობეს — ორი ოთახი დაეცალა. ფოტოგრაფი აბტადობდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერაფერს გახდა. პორტფელიანი კაცი ბინაში ჩაუსახლდა. ახმურდა დადუმებული ოთახი ფოტოგრაფისა. პაეშვების ქრამულმა აავსო იგი, პორტფელიანი

და კაცის ოჯახი გულს უკლავს ცხოვრებაზე ხელაქნეულ ფოტოგრაფს. ფოტოგრაფი ამის შესახებ ასე სწერს თავის საყვარელ ცოლს საიქიოში: „ახლა იმ ოთახში, სადაც შენი ფეხები ბაყენობდა, ვიღაც ტიალი დაბოგინობს. ჩემთან ლამაზაი არ იყადრა. ვადმომხედა მხოლოდ ერთხელ და, სიმართლე გითხრა, შემაშინა. ისეთი თვალი აქვს, თვალს გაბურღავს. მე და შენ რომ ღომი ვნახეთ, ამ კაცზე თვინიერი ჩანდა. ის გალიაში მაინც იყო, ეს — აწყვეტილია“. პორტფელიანი კაცისაგან დაშინებული და დაბრეყებული ფოტოგრაფი უფრო დაჩაივდა და დაქინდა მაგრამ ერთბაშად მოხდა საყვირელება. პორტფელიანი კაცი ყველასათვის მოულოდნელად მოკვდა. მეორე დღეს ფოტოგრაფი ჩუმად შეიპარა და მის კუბოში მოათავსა მაკაესთან გასაგზავნი ბარათი. ვიღაცამ ამას თვალი მოჰკრა, „ეს საფოსტო ყუთი არ გახლავთო“, — დაიქვინა მან, ამოაღო კონვერტი და გაბარებებით გადაისროლა. ბარათი მოკლე იყო და იმ რა ეწერა მასში: „სასაწრაფოდ გწერ ჩემო მაკაეო. აღელვებული ვარ და ეჭვარობ. ამ წერათის მომტანი ბრანდებუა სწორედ ის ვეპატონი, რომლის შესახებაც ამას წინათ გწერდი; აქ ვერაფერი ვუქენი და ამა შენ იცი, თუ მანდ ვადაუხდი სიამაგეთოს. დაიხმარე მათესავეები, აწვალეთ, ნაღველი ჩაუქციეთ. იყოფეთ, არაფერი შეარჩინოთ. ამა შენ იცი, რა მარჯველ იქნება. გკოცნი ურიცხვს. შენი მელიტონი“.

როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, გულიანად იციანი გამოლენჩებული ფოტოგრაფის, ხელმოცართული და დაჩაივებული კაცის საქციელის გამო. მაგრამ მწერალი ისეთი ჰემანიერი ტონებით გვიხატავს საწყალი კაცის მოქმედებას, რომ საღაველ გვეცდება სიღვევაც ეს ბედკრული აღაშენი.

სურათი არ იქნება სრული, თუ გვერდი ავუხვიეთ უნარო ფორმებს, რომლებიც აგრეთვე გვხვდება. მაგ, ერთგან იკითხება: „წარვიდა (ლიპარიტ) საბერძნეთს და ნახა ბერძენთა მეფე და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი და ვერღარა დაუდგა ბაგრატ“ (მატ. ქართ. 303,5). კაცო იფქრებდა, რომ ამ დაუდგა გარდაუვალი დადგომა ზნის ფორმაა და ბაგრატ სახელობით ბრუნვაში იგულისხმება, მაგრამ არა. აქ ცხოვრების* ჰილასფილისეულ ნუსხაში ამ ადგილას ვერღარა დაუდგა წერებულა. მაშასადამე, ამ ნუსხაში შემორჩენილი ყოფილა ზნის გარდამავლობის მანიშნებელი წ, რომელაც სხვა ნუსხების გადაწერატებს გამოუტოვებიათ, რადგანაც ზნის სწორად ხმარების წესი მოშლილი იყო. მაშასადამე, აღნიშნულ ადგილას ბაგრატ თავდაპირველად მოთხრობით ბრუნვაში იგულისხმებოდა და არა სახელობითში. იგივე ამბავია შემდგომ მაგალითებშიც: „მაშინ ვეღარა დაუდგეს, აიყარნეს და წაიღეს“ (ამირ.-ღარ. 22,20); „ვითა ნახეს მარძლა ფიცხელი, ვეღარა დაუდგეს, გაქცეს“ (ამირ.-ღარ. 22,33); „ამბრი არაბისაგან კიდე სხუთა ყოველთა სჯობდა იგი არაბთა მეფის ძე და ვერღარა დაგუიდგეს და გაეღქცნეს“ (ამირ.-ღარ. 31,7). აქ უნარო ზნის ფორმები უთუოდ მერმინდელ ვადამწერათაგან „შესწორებული“ ჩანს ყველგან.

ნარინო ფორმების ხმარება ნორმა XI - XII საუკუნეთა მწერლობაში და, თუ ამ ხანის ძეგლებში უნარო ფორმებიც გვხვდება, ცხადია, ეს მერმინდელი ვადამწერლების ბრალია. ამიტომ ასეთი ძეგლების გამოცემისას საჭიროა კრიტიკული თვლი და სწორი ფორმების აღდგენა. ნარის ხმარებას გარკვეული წესი ჰქონდა ძველად, მაგრამ ამ წესს ვერ იკავდნენ გვიანდელი ხანის (XVI - XVIII სს.) მწერლები, რომლებიც ძველი ძეგლების ნუსხებს წერდნენ.

საქმეს ართულებს კიდევ ის გარემოება,

რომ წინააღმდეგობის გაწევის მნიშვნელობით გარდაუვალი წინა-დადგომა-ც იხატა, რთვორც ამას შემდეგი მაგალითებიც გვიჩვენებს: „კუალე უკუშოქცუთოა დოუდგეს წინა გარდაბანენლი ჯუარის გუერდსა და ავნეს დიდად ლაშქარსა“ (მატ. ქართ. 256,9); „დაუდგეს წინა და შეებნეს“ (მატ. ქართ. 256,14); „უკრცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინა-დადგომად“ (დ. აღმ.-ს ისტ., 342,15); „რა იშობა, მაშინვე იყო გამარჯუებული კაცი და ლომი ჰბუქი და ვერაიენ დაუდგეს წინა მტერი ღლებთა მითა შინა“ (ამირ.-ღარ. 21,18). წინა-დადგომა ზნის, რა თქმა უნდა, არ შეიძლება წინფესის მოუდიოდეს სადმე, რადგანაც იგი გარდაუვალია, და უნდა ვიფიქროთ, რომ რამდენადმე ამ ზნის გავლენის ბრალია, რომ წინფესი მოიშალა დადგომა ზნის სათანადო ფორმებში მოგვიანო ხანის სალიტერატურო ენაში.

ამგვარად, დადგომა ზნა წინააღმდეგობის გაწევის, გააღიანების, გაძლების მნიშვნელობით აშკარა გარდამავალი ზნაა, რასაც მხოლოდ მისი მორფოლოგიური ფორმა-ცვალება, კერძოდ წინფესის გამოჩენა II და III სერიის ფორმებშია. უკანასკელი იმის მაჩვენებელია, რომ ზნის ერთ დროს, როგორც ვთქვი, პირდაპირი ობიექტი უნდა ჰქონოდა მრ. რიცხვის ფორმით, მაგრამ ეს ობიექტი დაიკარგა და ზნა არსებითად გარდაუვალი გახდა სინტაქსურად, რადგანაც პირდ. ობიექტი აღარ დაეპარა. მაგრამ მორფოლოგიურად შეშოპჩა გარდამავლობის ნიშანი და ლექსიკურად იგი თითქმის გაუტოლდა წინა-დადგომა ზნის.

საკითხავია: რა სახელი უნდა ჰქონოდა ამ ზნის თავდაპირველად პირდაპირ ობიექტად მრავლობით რიცხვში? ამ კითხვის გამო გვაგონდება ანალოგიური ზნები: აღბიძნა და შეხებდნა, რომელთაც პირდ. ობიექტად ძველად თუალნი უნდა ჰქონოდათ (აღბიძნა თუალნი, შეხებდნა თუალნი), მაგრამ ეს ობიექტი შემდეგში დაიკარგა. ამის ანალოგიით უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც უნდა ყოფილიყო რაღაც ამგვარი. ვგებინ იგივე თუალნი, რადგანაც შიშისაგან თუალის დადგმა, თუალის გასწორება ძნელია. მაგ., „მატიანე ქართლისაჲ“ აღნიშნავს, რომ აღფარსლახის ლაშქრობის დროს „გარდავიდა მარბიელი მისი არგუთს... მოკრძიდეს ყოველნი ეკლესიანი და სამარაელითა მძორისათა არღარა დაედგმოდეს ჰუყუანასა თუალნი“ (მატ. ქართ. 309,12). მაშასადამე, მოხატების სურათი იმდენად შემაზარელი და შეშაძრწუნებელი ყოფილა, რომ „თვალთა დადგმა“ შეუძლებელი ყოფილა. მიუხედავად ამისა, უნდა ვთქვათ მაინც, რომ ობიექტად შეიძლება სხვა სახელი იყოს სავარაუდებელი და არა თუალნი, ჩვეულებრივია გამოთქმა „დაიდგნა მუქლნი“ (ლუც. 22,41 და სხვაგანაც სახარებაში; „მევი-

დეს კარსა უყენისასა და მეტლნი დაიდგნეს*, (კამთ, 321,12), მაგრამ მეტლთა დადგმა დამოკლებას ნიშნავს და ჩვენი საკვლევი ზმნის ისტორიასთან კავშირი არა აქვს. თითქოს არ უნდა შეეცდეთ, თუ ვიტყვი, რომ დაჯგმა ზმნის დაკარგული პირდ. ობიექტი „ფერკნი“ იყო „დაუდგმა ფერკნი“, „დაუდგამს ფერკთა“. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ დღევანდელ ქართულში ჩვეულებრივია გამოთქმა „ფებს ვერ მომაცვლევინებ“, რად შტაიცე წინააღმდეგობის გაწევას ნიშნავს. თუ არ ვცდები და საქმის ვითარება სწორედ ასეთია, მაშინ თავდაპირველად ეს ზმნა სუბიექტად, ალბათ, მხოლოდ ადამიანის აღწინიშნულ სახელებს იკვებდა. შემდეგ კი, როდესაც პირდ. ობიექტი გადაკარგდებოდა და ზმნის უპირდაპირობიექტოდ ხმარება გამტკიცებულა, შესაძლებელი გამხდარა სუბიექტად საზოგადოდ უოველგვარი სახელის ხმარება, კერძოდ, ქვირთხობა და საჭურველიცა, რომელთა მავალითები ზემოთ მოვიყვანეთ.

ზემოთე თქმულის შემდეგ უპველია, რომ ვუფისტიკაციონის „გულ-მხიარული ეხარება“ სტროფის მეოთხე ტაების პირველი ზმნის ფორმაში ნ ინფიქსი აუცილებლად საჭიროა. პოემის 1957 წლის გამოცემაში დაგიდგანს იკითხება, 1671 წლის ხელნაწერში კი (როგორც ეს მისი გამოცემიდან ჩანს), დაგიდგანა არის, ხოლო ზოგიერთ გამოცემაშია დაგიდგას (მაგ., ბროსე-ფალაგანდოვილა-ჩუბინასვილისაში, 1841, კარაიშვილისა, 1903, და კივიანძისაში, 1934), რადგანაც დასახელებულ ტაებში II კავშირებითი შქარიცა მოსალოდნელი (მომავალ-დროითი თხრობითი კილოს მნიშვნელობით), ამიტომ დაგიდგანა უარსაყოფია. რაც შეეხება ორ სხვა ვარიანტს (დაგიდგას, დაგიდგანს), ორივე მიუღებელია: პირველი — უნარობის გამო, მეორე — უკანასკნელი ხმოვნის გამო. უკანასკნელ ხმოვანდ XII საუკუნის ძველისთვის ვერც ოს გავამართლებთ, რომელსაც „როსტომიანი“ ეპოელობთ:

ნიაგმან, ვუფხმან ნაქარავსა,
 შგონ, ჩემსა ვერ დაუდგნოსა
 (როსტ., II, სტრ. 1887).

დაუდგნოსა-ში ბოლოკიდური ა პროსოდული ხმოვანია, მთელი სიტყვა საჩითხია (შორს იხილთა, არსად იყოთა, შემენასკეოთა, ვერ დაუდგნოსა), ამიტომ მისი გასწორება არ შეიძლება. ცხადია, ფორმა უპირატებელია, რაც „როსტომიანის“ ენისთვის არაა გასაკვირველი. რაც შეეხება ვუფხისტიკაციონს, მისთვის ერთადერთი გამოსაღვეი ფორმაა დაგიდგნეს. რომე-

ლიც მხოლოდ სამ ხელნაწერში ვოქალა/ შე-მორჩენილი¹.

აღსანიშნავია, რომ ნ. შარაძის ცნობილ გამოცევაში ვუფხისტიკაციონის პროლოგ-ტალოვის შესახებ 1321 სტროფისა ეხება, მაგრამ ხელ-უხლებლად ტოვებს დაგიდგას ფორმას. მას ამ სტროფის მოკვავს მხოლოდ სამი ტაეპი ამ სახით:

სადაც შენ და შენი ძმა
 ხართ, ძნელი გაადგაღვლებს:
 რაცა მოგინდეს, უცილოდ
 იქმთ, იგი არ ავცილდების.
 არ თურე კაცმან დაგიდგას,
 ვეშა, კლდეცა გაგიღობილდების.

შეკვლევარი ამ სიტყვებს ასე თარგმნის: «где ты и твой брат будете (вместе), там трудности облечатся; чего только ни захотите, вы непременно совершите, (удача) вас не минует; не только человек не может устоять против вас, даже скала (не устоит и она) размякнет перед вами»².

თარგმანი საერთოდ კარგია, თუმცაღა ვიშე უთარგმნელად არის დატოვებული. ნ. შარაძის ინტუიციით მისწვდა ტაების პირველა ნახევრის შინაარსს, თუმცა იქ მის ტექსტში ის არ არის ნათქვამი, რაც თარგმანშია.

ქართულ ტექსტში საცილობელია არა შარტო დაგიდგას, თუ დაგიდგანს, არამედ სხვაე.

ტაების მეორე, ნაწილში ზოგ ხელნაწერში (და აქედან ს. კაკაბაძის ორსავე გამოცემაში და აგრეთვე პ. ინგოროყვასაში) გალობების ნაცვლად ვაცვილებთ იკითხება: «ვეშა, კლდეცა გაგიცივლიდების». «გაგიცივლიდების» არ არის ცუდად ნათქვამი, მაგრამ, რა თქმა უნდა, პოეტის თვალსაზრისით კლდის ვაცვილება უფრო მოსაწონია, ვიდრე კლდის გალობლება, მით უმეტეს, რომ ღმობი ფუძისაგან სხვა სიტყვებში წარმოებისას (სახელი იქნება ეს სიტყვა, თუ ზმნა) რუსთველი იღ სუფიქსს კვეცს ხოლმე; მაგ., იგი სიღბო-ს ხმარობს:

სიღბო ჰქონდა ნაქსოვისა
 დი სიმტკიცე — ნაქედისა (1149,4),
 იგივე მოვლენაა დასაღბო-შიც:
 მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი,
 ქვათაე დასაღბონა (1254,1) და ზმნაშიც:
 მკლავთა თქვენთა სიმაგრენი
 ამისთვისეცა რად დაღბიან (440,2). ამიტომ, თუ ღმობი ფუძე იქნებოდა გამოყენებული აღწინიშნული სტროფის მეოთხე ტაეპში, მოსალოდნელი იქნებოდა არა გაგილობლები, არამედ

¹ ვარიანტების საძიებელი შედგენილი ქ. აღტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების მიერ (ხელნაწერი IP¹L¹).
² Н. Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в барской коже Шоты из Рустава (ТР, XII), СПб., 1910, стр. XLII.

დაგეგმვის ან, თუ პოეტი მანცადამინც რომისთვის შეინახავდა ილ-ს, დაგეგმილების, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შოთა ზმნას ამ ფუნქციან და-თი აწარმოებს, და არა გა-თი: და-ლბიან, და-სალბონია. ამიტომ ვარიანტი გაგეგმილების ნაცლებ სავარაუდებელი ფორ-მაა. მეორე მხრით, გა-თი სწორედ ცვილ ფუ-ძისაგან არის ნაწარმოები პოემაში ზმნა:

რკინა, ჩემი მონაცვალე,

ზამს გაცვილდეს, არ გატინდეს (149,2), სა-დაც ტინის სიმარცხე (ე. ი. მაგარი კლდისა) ცვილის სიღობს უბრძანებდა.

ცვილი, როგორც რბილი ნივთიერება, სხვა-განაც არის გამოყენებული შესადაარბლად: ავთანდილი თავის ყმებს სწერს, რომ მის ნაცე-ლად დატოვებული შერამდინი

შემცოდესა ყველაქასა

ვითა ცვილსა დადნობდეს (168,4);

ვატრები ავთანდილს უსამის პირით უთვლიან:

შენგან ვართ გამაგრებულნი,

ჩვენი ვიცით ჩვენი ცვილობა

(1054,2))

ყველა ამის გამო გვგონია, რომ აღნიშნული სტროფის მეოთხე ტაქში რუსთველს ექნებოდა არა გაგეგმილების, არამედ გაგეგვილების, რომელიც უფრო კარგადაც ეხმარება წინამა-ვალ რითმას (არ აგეგვილების — გაგეგვილე-ბის), როგორც ეს პ. ინგროსევიც აღნიშნა.

დაგვრჩა განსახილველი არ თურგ-ს საკითხი. ტაქში ამ ნაწილშიც შერყვნილია და გასწორება უნდა. არ თურგ-ს ნაცვლად 1671 წელს ვადა-წერილ ზელნაწერში, რომელიც უკვე სტამბუ-რად არას დაბეჭდილი, არ თურგმ იკითხება¹. ამ მ შერყვნილი დანართია. ვერჩება არ თურგ. ვეფხისტყაოსნის ენაში თურგ იმასვე ნიშნავს, რასაც დღევანდელი „თურგ“ ან „აღბათ“, ორიოდ მაგალითი:

ზახილი მესმა, შევხედენ:

მოყმე ამაყად ყოიდა, შემოიბრებდა ზღვის პირ-პირ, მას თურგ წულელი სტკიოდა (593,1-2).

ამს თურგ მახარებდა

დღეს ნიშანი სახარული (729,2).

თურგ ბედი მოლაფლებს

კაცსა ვგზომ არ-ლაფალსა (652,4).

ამიტომ, დღევანდელ ქართულზე რომ ვთარ-გვნივთ წინადადება:

არ თურგ კაცმან დაგეგმენს,

ვამე კლდეცა გაგეგვილების.

გვექმნება: თურგე კაცი არ გაგეგმენს, ვფიქ-რობ, კლდეც კი ცვილივით გაგეგმებათ. თითქმ არა უნება რაო. მაგრამ არა! რატომ? რა-გორღაც ვერ არის წინადადება-ქარგვალ-გამარ-თული და აზრი ნათლად გამოთქმული. არ არის კი იმიტომ, რომ თურგ აქ უაღვილოა.

მე გგონია, რომ თავდაპირველად აქ იყო-ბებოდა:

არ თუ ვერ კაცმან დაგეგმენს,

ვამე კლდეცა გაგეგვილების.

ეს ნიშნავს: არა თუ კაცი ვერ გაგეგმენს თქვენ რაიმე წინააღმდეგობას, (არამედ) ვფიქრობ, რომ კლდეც კი ცვილივით გახდება თქვენი ძალის წინაშეო. მაშასადამე, ჩემი დაკვირვებით, თავ-დაპირველად აქ იყო არა არ თურგ, არამედ არ თუ ვერ, სადაც არ შევეცილი არა არის. აღსა-ნიშნავია, რომ, როგორც ქ. ლიტერატურის ინს-ტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების მიერ შედგენილი ვარიანტების საჩვენებლიდან ჩანს, ასეთი წაკითხვა არც ერთ ზელნაწერში არ მოიპოვება, მაგრამ ჩემთვის უკვე იყო, რომ თავდაპირველად სწორედ ასე უნდა ყოფილიყო. თუ აგრეა (და მე კი გგონია, რომ აგრეა), ცხა-ლია, მეოთხე ტაქში ვეაქვს უკავშირო რთუ-ლი თარგუმბილი წინადადება, სადაც დღევან-დელი ქართულის მიხედვით მეორე ნაწილში საკორექციო არამედ არის მოსალოდნელი: არა თუ კაცი ვერ გაგეგმენს თქვენ, არამედ კლდეც კი გაგეგვილება თქვენს ზელშიო.

ამ სიმარცხის მხრით დაპირისპირებულია კაცი და კლდე: არა თუ კაცი, არამედ კლდეც კი, მსგავსი დაპირისპირება სიმარცხის მხრივ სხვა-განაც არის პოემაში, ოღონდ იქ კლდის ნაცე-ლად ქვა არის ნახსენები:

არა თუ კაცთა, სასაჯელი

ქვათაცა შესაძრწენია (850,1).

ე. ი. სასაჯელი არა თუ კაცებს, არამედ ქვებ-საც კი შეაძრწუნებსო („შესაძრწენია“ ზელოვნუ-რად გაკეთებული ფორმია).

ამგვარად, „ველ-მზიარული ვიხარებ“ სტრო-ფის მეოთხე ტაქში შ. რუსთველის უკვდავ ქმნილებაში თავიდან ასეთი სახისა უნდა ყო-ფილიყო:

არ თუ ვერ კაცმან დაგეგმენს,

ვამე კლდეცა გაგეგვილების.

ჩავარდნილი ვერ-ის აღდგენით ზმნამ მიიღო უარყოფითი ნაწილაკი, რომელიც განხილულ იდიომატურ გამოთქმას ახასიათებს და აღნიშ-ნულ ადგილას აუცილებელია. ეს ნაწილაკი ვეფხისტყაოსანში ზმნას ახლავს, თუმც მისგან გათიშულია სხვა სიტყვით (ვერ კაცმან დაგე-გმენს, 1321). ან ვადასმულია შემდეგ: დამიდ-გამს ვერ ქვიტყირი სად (1401), დაგეგმამს ვერ ქვიტყირები (426).

¹ ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით. გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა, 1956, სტროფი 1508.

სიმონ ყაუხჩიშვილი ლილი მეცნიერი *

(პროფ. გრიგოლ წერეთლის დაბადების 90 წლისთავის გამო)

გრიგოლ წერეთელი გახლდათ ბერძნული ლიტერატურის ისტორიის საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტი, ერთ-ერთი ფუძემდებელი ახალი ფილოლოგიური დისციპლინისა — პაპიროლოგიისა. ქართული ფილოლოგიური მეცნიერების დიდი მოპირნახელე, კლასიკური ფილოლოგიის დარგში რამდენიმე თაობის აღმზრდელი და უბაღლო ლექტორი.

1. გრ. წერეთლის ბიოგრაფია

გრ. წერეთელი დაიბადა პეტერბურგში 1870 წლის 12 მარტს. მამამისი იყო იურისტი (საოლქო სასამართლოს წევრი და შემდეგ თავმჯდომარის აშხანაგი) ფილიმონ წერეთელი (რაჭიდან), ხოლო დედა — მარტინოვის ქალი ტვერის (კალინინის) გუბერნიიდან. პირველი 11 წელიწადი გაატარა თბილისში და ვარშავაში (მამის სასამართლის მიხედვით), ხოლო შემდეგ ცხოვრობდა პეტერბურგში. დაწყებითი განათლება მიიღო ოჯახში მამის, დედის და დედის ხელმძღვანელობით, საშუალო — პე-

ტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ კლასიკურ გიმნაზიაში, ხოლო უმაღლესი — პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომლის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა 1893 წელს. უნივერსიტეტში სპეციალობად აირჩია კლასიკური ფილოლოგია, რომლის სწავლებას ხელმძღვანელობდა იქ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორც იყვნენ ა. პომპილოვსკი, პ. ნიკიტინი (მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი), ვ. იერნშტედტი, ე. ლატიშვილი და თაღუშ ზედინსკი. გრ. წერეთელი უპირატესად მუშაობდა ვ. იერნშტედტთან, რომელიც იყო საეყვთესო მცოდნე ბერძნული პალეოგრაფიისა. უნივერსიტეტის დამთავრებისას გრ. წერეთელმა დასწერა შრომა „ბერძნული სტროფოგრაფიის ისტორიიდან“ და ამ შრომისათვის მიეკუთვნა მას ოქროს მედალი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გრ. წერეთელი დატოვეს საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად; ამავე დროს არჩეულ იქნა საარქეოლოგიო საზოგადოების წევრად. 1894 წლიდან მოყოლებული, ვიღარე სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებაზე, კთხულობდა ლექციებს არქეოლოგიურ ინსტიტუტში და ძველ ენებს (ბერძნულსა და ლათინურს) ასწავლიდა პეტერბურგის შეათე გიმნაზიაში.

1897 წელს გრ. წერეთელმა ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები, რის შემდეგაც სამი წლით იქნა მივლინებული საზღვარგარეთ სამეცნიერო მუშაობისათვის. უპირატესად მუშაობდა ბერლინის უნივერსიტეტში ცნობილი ფილოლოგების ვილიმოვიცისა და დილსის სემინარებში, განსაკუთრებით კი ულრიხ ვილკენთან პალეოგრაფიასა და პაპიროლოგიაში. ვარდა ბერლინის მან იმეშავა ბერძნულ ხელნაწერებზე და პაპირუსებზე ვენის, მიუნქენის, პარიზის, ლონდონის, ოქსფორდის, რომის, ვენეციის, ნაპოლის, ფლორენციის და ათენის მუზეუმებში და, დასასრულ, ათონის მონასტრების წიგნთსაცავებში, ამით მას საშუალება მიეცა შეეგროვე-

* ამ ერთი თვის წინათ ქართველმა საზოგადოებრიობამ თბილისის უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ძალებით მოწუხობლ სამეცნიერო სესიაზე აღნიშნა თბილისის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის, სპეცმირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის დაბადების 90 წლისთავი. სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს პროფ. პ. ბერაქემ („გრ. წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა“), პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა („გრ. წერეთელი როგორც პაპიროლოგი“) და პროფ. თ. ა. პეტროვსკამ მოსკოვიდან („გრ. წერეთელი და მისი თარგმანები ანტიკური პოეზიის ძეგლებისა“); ხოლო მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები: შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, ლ. მეღვიშეთბეგი, შ. ნუცუბიძე, ავაკი შანიძე და ა.ლ. წერეთელი.

ბინა მასალები ბერძნული სტენოგრაფიის ისტორიისათვის, და ამ მასალათი ისარგებლა შემდეგ სამაგისტრო დისერტაციისათვის „შემოკლებათა სისტემა ბერძნულ ხელნაწერებში“.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ (1902 წელს) სამი წლის განმავლობაში იყო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, ხოლო სამაგისტრო დისერტაციის დაცვის შემდეგ (1905 წ.) არჩეულ იქმნა დორპატის (ახლანდელი ტარტუს) უნივერსიტეტის ექსტრაორდინარულ პროფესორად. დორპატში ყოფნას სიამოვნებით ეგონებს გრ. წერეთელი თავის „ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში“, რომლებიც დაიბეჭდა „განათლების მემკვიდრე“ 1927 წელს (№ 1). „დორპატში ყოფნის დრო — წერს გრ. წერეთელი — საუბოტოს ხანა ჩემ ცხოვრებაში, წყნარი, კედლურული ქალაქი (მას ეძახდნენ „ზრდილოეთის ათენს“). მშვენიერად მომზადებული სტუდენტობა, საკმაოდ კარგად შერჩეული პროფესორთა შემადგენლობა, საუბოტო წიგნთსაცავი და ჩინებული წიგნის, მალაზიები — ყველაფერი ეს სასიამოვნოდ ზღიდა დორპატში ცხოვრებას. ამას უნდა დავუბამოთ ისიც, რომ მე ყოველ წელშიაქად (არდაუღებების დროს) მიმავლინებდნენ ხოლმე სამეცნიერო მიზნით საზღვარგარეთ და მე საშუალება მეძლეოდა გამეფართოებინა ჩემი ცოდნა. დორპატში ყოფნისას დამწერებ მე მეტა წილი ჩემი შრომებისა (რუსულ, გერმანულ და ლათინურ ენებზე) და მათ შორის სადოქტორო დისერტაცია“.

1914 წელს გრ. წერეთელმა თავისი ნაშრომი „შენანდრეს ახალი კომედიები“ მოიპოვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რის შემდეგაც არჩეულ იქმნა პეტერბურგის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგედ და 1920 წლამდე პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. 1917 წელს გრ. წერეთელი აირჩიეს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1920 წელს გრიგოლ წერეთელი თბილისის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ბერძნული და ლათინური ფილოლოგიის კათედრის გამგედ მოიწვიეს და ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1938 წლამდე.

თბილისის უნივერსიტეტში ყოფნის დროს კიდევ უფრო მძლავრად გაშალა გრ. წერეთელმა თავისი სამეცნიერო-მეცნიერული მუშაობა. „თბილისში ყოფნამ, — წერს გრ. წერეთელი თავის ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში, — შემაძლევინა მე ძველ სამეცნიერო კალაპოტში ჩაემდგარიყოფად და კვლავ გამეშალა მუშაობა როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ ასპირანტურაში“. წინა წლებში გაწეული მუშაობის წყალობით მას „დაგროვებული“ ჰქონდა თურქული მასალა უპირატესად სამი თემის გარშემო: 1) „რუსეთისა და საქართველოს კოლექცი-

ათა პაპირუსები“; 2) „იონან იტალიის თხზულებები“; 3) „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“.

1926 წელს თბილისის უნივერსიტეტმა მიანიჭა მას დამსახურებული პროფესორის წოდება, ხოლო 1927 წელს გერმანიის სააჩუქროლო გიო ინსტიტუტმა აირჩია გრ. წერეთელი თავის წევრ-კორესპონდენტად.

2. გრიგოლ წერეთელი როგორც პალეოგრაფის და პაპიროლოგი

დამწერლობათამცოდნეობა იმ მასალის მიხედვით, რომელსაც დამწერლობა იყენებს, სხვადასხვა დარგად არის განაწილებული. თუ დამწერლობა მკვარ მასალაზეა, მისი შესწავლა ეპიგრაფიკის საქმეა; ხოლო თუ რბილ მასალაზეა დამწერილი, მაშინ ეს ექვემდებარება პალეოგრაფიას და პაპიროლოგიას. ეს უკანასკნელი იკვლევს იმ ძეგლებს, რომლებიც დამწერილია საგანგებო მცენარისგან (პაპირუსისაგან) დამზადებულ საწერ მასალაზე. გრიგოლ წერეთელი ბერძნულ დამწერლობათამცოდნეობის ყველა დარგში შესანიშნავად მუშაობდა. მისი პირველი შრომა, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შესრულებული, ის შრომა, რომლისთვისაც მას ოქროს მედალი მიენიჭა, წარმოიადგენდა ნარკვევს ბერძნული სტენოგრაფიისა.

გრ. წერეთელი დამწერლობათამცოდნეობის დარგში მუშაობის დროს იყენებდა იმ ზღნაწერებს, რომლებიც დაუღლია პეტერბურგისა და მოსკოვის სიძველეთსაცავებში. და პეტერბურგისა და მოსკოვის ბერძნული ზღნაწერების მიხედვით იყო შესრულებული ეს მისი პირველი შრომა, რომელიც მან შემდეგ გააღრმავა, გააფართოვა და გამოსცა სათაურით „შემოკლებანი ბერძნული ზღნაწერებში (უპირატესად პეტერბურგისა და მოსკოვის დათარიღებული ზღნაწერების მიხედვით)“ — დაიბეჭდა 1904 წელს. ამ შრომამ მიანიჭა გრ. წერეთელს ბერძნული ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ამ შრომამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა სამეცნიერო პრესაში და, როდესაც ბერძნული პალეოგრაფიის ცნობილმა სპეციალისტმა გარ დეტაუნენმა გამოაქვეყნა თავისი ორტომიანი „ბერძნული პალეოგრაფია“, აქ საგანგებო მსჯელობა გამართა გრ. წერეთლის ზემოხსენებულ შრომაზე. საერთოდ, როცა ამ შრომას აწვადებდა გრ. წერეთელი, მან წინაშეწარმოაჩინა მუშაობის სტატუსი დაბეჭდა, მაშინვე წერეთლის თანხმობით სტატუსი დაბეჭდა და გერმანულად დაბეჭდილი, ეხებოდა ბერძნული დამწერლობის ერთნულ ნიმუშებს К вопросу о национальных типах греческого письма. და აი გარდტ-

პლენი თავის შრომაში მთელ გვერდს უთმობს ამ საკითხს საგანგებო სათაურით „გრ. წერეთლის თეორია“.

თავისთავად ცხადია, რომ პეტერბურგისა და მოსკოვის ხელნაწერებზე მუშაობის დროს ბევრი რამ ახალი გამოიჩინა ბერძნული პალეოგრაფიისათვის. ამიტომ საჭირო გახდა თვით ხელნაწერების ნიმუშების გამოქვეყნება და გრ. წერეთელმა იმ ტომად გამოიცა პროფ. ს. სობოლევსკისთან ერთად „ნიმუშები ბერძნული ხელნაწერებისა“ Specimina codicum graecorum.

შემდეგ საქართველოში ყოფნის დროს, ბუნებრივია, ეუბრალებოდა არ დასტოვა ჩვენში არცხეული ბერძნული წარწერები. ჯერ იყო და 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით მან შეისწავლა გრემის ბერძნული წარწერა და გამოაქვეყნა.

საქართველოში ბერძნული ხელნაწერები ძალიან ცოტა გვაქვს, მაგრამ ამ ხელნაწერთა შორის საქვეყნოდ ცნობილია კორიდეთის ბერძნული ოთხთავი, მერვე საუკუნით დათარიღებული. ამ ხელნაწერის ერთი ნაწილი დაბეჭდილია ფოტორეპროდუქციად. აი, ეს ხელნაწერი შესწავლა ხელახლა გრ. წერეთელმა და, რაც ჩვენთვის უფლაზე უფრო საუბრადღებოა, შესწავლა ამ ხელნაწერის ბერძნული მიწაწერები, რომლებიც კარგ მასალას გვაძლევენ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის. ეს გამოკვლევა დაბეჭდა ცალკე წიგნად 1937 წელს...

გარდა ამისა, როგორც ჩანს, თვით გრ. წერეთლის მიერ შედგენილი „ნაშრომთა სიიდან“, მას შეუსწავლია „მცხეთის ბერძნული წარწერები“, რომელიც დაუბეჭდავს „კავკასიის ისტ. არქ. ინსტიტუტის მოამბის“ მე-8 ტომში.

სამაგისტრო დისერტაციაზე („შემოკლებათა სისტემა ბერძნულ ხელნაწერებში“) მუშაობის დროს მას მოუხდა რუსეთისა და უცხოეთის ბიბლიოთეკებში და მუზეუმებში აუარებელი ბერძნული ხელნაწერის შესწავლა. სწორედ ამ დროს დაებადა აზრი შესდგომოდა XI საუკუნის ფილოსოფოსის, ჩვენი იოანე პეტრიწის მასწავლებლის, იოანე იტალიისის ჯერ გამოუცემელი ფილოსოფიური ტრაქტატების დამზადების გამოცემად, იმ ხელნაწერების მიხედვით, რომლებიც მოამოკებოდა, უპირატესად, ვენეციის, რომის და მიუნქენის (და აგრეთვე სხვა) ბიბლიოთეკებში. „ივ. ჯავახიშვილის დახმარების წყალობით, — წერს გრ. წერეთელი „ავტონომოგრაფიულ შენიშვნებში“, — მე საშუალება მომეცა შევდგამოდი იოანე იტალიისის თხზულებათა გამოცემას“. 1924-სა და 1926 წლებში გამოსცა ორი ტომი იოანე იტალიისის თხზულებებისა. ეს იყო პირველი გამოცემა (editio princeps) იოანე იტალიისის შრომებისა. დანახვენი ტომების გამოცემა, სამ-

წუხაროდ, არ დასცადა. სამეცნიერო პრესა დიდის გამოყოფილებით შეხება გრ. წერეთლის ამ წამოწყებას.

ბიბლიოფილია

მაინც გრ. წერეთლის მოღვაწეობიდან შთავაზია მისი პაპიროლოგიური კვლევა ძიება, რითაც, მართლაც, მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. თუ სადმე მსოფლიოში დასახელებენ პაპიროლოგიაში მომუშავე ათ მეცნიერს, მათ რიცხვში არის გრ. წერეთელიც. თუ რაოდენ დიდია გრ. წერეთელი, როგორც პაპიროლოგი, ამას ნათელყოფს თუნდაც ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან. 1920 წელს მე მივლინებული ვიყავი სამეცნიერო მუშაობისათვის უცხოეთში და ბერლინის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. იქ დავიწყე მუშაობა აგრეთვე ცნობილ პაპიროლოგ ულრიხ ვილკენთან. როდესაც მან პირველად დაინახა აუღატორიაში და შემეცნო როგორც უცხოელი, ლექციის შემდეგ წამოვიყვანა თავის კაბინეტში და გამოვიკითხე ვინაობა. და როდესაც ვაიგო, რომ მე პეტერბურგის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, პირველი კითხვა, რომელიც მომიცა, ეს იყო: „სად არის ამჟამად გრიგოლ წერეთელი?“

ამ შეკითხვის მნიშვნელობა გასაგებია იქნება მკითხველისათვის გრ. წერეთლის შემდეგი ბიოგრაფიული მონაცემიდან. 1897 — 1900 წლებში გრ. წერეთელი სამეცნიერო მივლინებაში იყო უცხოეთში და უმოკრესად ბერლინის უნივერსიტეტში მუშაობდა ვილკენთან. საქირთა ვიოლდუტ, რომ ვილკენი ახალი ფილოლოგიური დარგის, პაპიროლოგიის, ფუძემდებელი იყო. უკვე მაშინ 40 წლის ასაკისა საქვეყნოდ ცნობილი პაპიროლოგი იყო და საგანგებო ედრინლის „პაპიროლოგიის არქივის“ გამოცემას ხელმძღვანელობდა. გრ. წერეთელი მის სემინარში მოხვდა, უკვე როგორც გამოცდილი სპეციალისტი ბერძნული დამწერლობათა ეპოქების დარგში. როგორც ზემოთ ვთქვით, მას უკვე ამ დარგის რამდენიმე ფუძემდებელი გამოკვლევა ჰქონდა და, როგორც ჩანს, ვილკენის ყურადღება დაიმსახურა, იმდენად დიდი, რომ გრ. წერეთელს წინადადება მისცა — მასთან ერთად გამოეცა „ბერლინის მუზეუმის ბერძნული პაპირუსები“ (BGL) და, მართლაც, გრ. წერეთლის მიერ დამუშავებული და გამოცემული პაპირუსები ბერლინის მუზეუმისა შეტანილია ამ სერიის მე-3 და მე-5 ტომებში. გრ. წერეთლის მიერ დამუშავებული პაპირუსების გარდა, ამ ტომებში შეტანილია აგრეთვე თვით ვილკენის მიერ დამუშავებული პაპირუსებიც. ამ თანამშრომლობის შემდეგაც ვილკენი სწირად ხვდებოდა გრ. წერეთელს, როგორც „პაპიროლოგიის არქივის“ თანამშრომელს, სადაც გრ. წერეთლის სტატეები იბეჭდებოდა ხოლმე. პირველი ომის წლებში

(1914—1918) შეწყდა ურთიერთობა მეცნიერებს შორის. ამით იყო გამოწვეული ჩემდამი პირდაპირი პირველი შეკითხვა ვილჟენისა, რომელსაც ძალიან კარგად ახსოვდა გრ. წერეთელი, როგორც საუცხოო სპეციალისტი პაპიროლოგის დარგში. 1900 წელს გრ. წერეთელი გერ კიდევ 30 წლის ახალგაზრდა დოქტორანტი იყო და, როგორც ვხედავთ, საქვეყნოდ ცნობილი პაპიროლოგი მას ეგზომ უწყვედა ინგარიშს.

ბუნებრივია, რომ ასეთ გამოცდილ პაპიროლოგს სიამოვნებით მიანდობდნენ რუსეთის სამეცნიერო წრეებში იმ დიდი პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომელიც ახლად იყო აღმოჩენილი ეგვიპტის ქვიშაში. მე მხედველობაში მყავს IV—III საუკუნის კომედიების მწერალი მე ნ ა ნ დ რ ე, რომლის ნაწარმოებები არსებითად ცნობილი გახდა მხოლოდ 1905 წელს, როდესაც მისი კომედიების ნაწყვეტთა შემკვეთი პაპირუსები ნაპოვნია იქნა ეგვიპტეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს. ამ პაპირუსებში აღმოჩნდა მე ნ ა ნ დ რ ე ს ხუთი კომედიის კარგა მონაწილე ნაწყვეტები, და ბერძნული ლიტერატურის სპეციალისტები მთელ მსოფლიოში შეუდგნენ ამ ნაწყვეტების მიხედვით მე ნ ა ნ დ რ ე ს კომედიების რეკონსტრუქციას. ამ მკვლევართა მოწინავე რიგებში დგას გრიგოლ წერეთელი, რომელიც 1909—1911 წლებში ათავსებს რუსულ სამეცნიერო ჟურნალებში ნარკვევებს მე ნ ა ნ დ რ ე ს ცალკეულ კომედიებზე, ხოლო 1914 წელს აქვეყნებს სქელტანიან მონოგრაფიას „მე ნ ა ნ დ რ ე ს ახალი კომედიები“. ამ მონოგრაფიის საფუძველზე პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ, რომელსაც გრ. წერეთელმა ეს თავისი ნაშრომი წარუდგინა, სამეცნიერო ხარისხის ძიების მიზნით, მიანიჭა მას ბერძნული სიტყვიერების დოქტორის ხარისხი.

მე აღარ გაავარძლებ სიტყვას, საქმარისი იქნება თუ იმას ვიტყვი, რომ თავისი პაპიროლოგიური მოღვაწეობა მან დაგვიარგინა ჩვენში, თავის სამშობლოში, სადაც მან გაატარა თავისი ბავშვობის პირველი 11 წელიწადი და სადაც მოხუცებულობაში მას განსაკუთრებული პატივები შეუქმნა ივ. ჯავახიშვილმა, რათა თავისი პაპიროლოგიური ნაშრომი გამოეცა და მსოფლიოს სამსჯავროში წარედგინა. ეს არის მისი ხელტომიანი „რუსეთისა და საქართველოს კულტურათა პაპირუსები“.

ამ კრებულის ისტორია ასეთია. გრ. წერეთელს, ვერა და იმ თათო-ბოროლა პაპირუსისა, რომლებიც რუსეთის მემუდუმებში მოიპოვებოდა, ჰქონდა აგრეთვე საკუთარი პაპირუსები, რომლებიც ეგვიპტეში სამეცნიერო მივლინებების დროს შეუქმნიათ გრ. წერეთლისთვის მის ამბიანებს-თანამკვლევარებს (ტურაიეზ,

არსტოვცევის, ლიბაჩოვის და სხვ.). ეგვიპტეში წარმოებული გათხრების დროს აღმოჩენილი პაპირუსები ზოგჯერ ხელშეუხებლად დარჩა არაბ სპეკულანტებს, რომლებიც ამ პაპირუსებს კერძო პირებზე შეიღდნენ. ეს კერძო პირები იყვნენ ეგვიპტეში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მეცნიერ-მემკვიდრეები. რომ მგტი გამოსარჩენი ჰქონოდათ სპეკულანტებს, ისინი გლეჯდნენ ისედაც დაგლეჯილ პაპირუსებს და ამ ნაგლეჯებს, შეიღდნენ სხვადასხვა პირებზე. ამიტომ მოხდა, რომ ზოგიერთი პაპირუსის ერთი ნაწილი ლონდონში აღმოჩნდა, ხოლო მისი მეორე ნახევარი — რუსეთში.

რუსეთის მუზეუმებში დაიკულ და საკუთარ პაპირუსთა გამოცემას გრ. წერეთელი ამირებდა, როგორც თვითონ სწერს თავის „ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში“, პროფ. არსტოვცევიანთან ერთად, მაგრამ დაწყებულმა მსოფლიო ომმა და მომდევნო გაერთილებულმა ვითარებამ ხელი შეუშალეს ამ წამოწყების განხორციელებას. 1920 წელს საქართველოში რომ ჩამოვიდა, აქ შესლო მან პაპირუსებზე მუშაობის განახლება და შეუდგა პაპირუსების ბეჭდვას. რადგან ამ პაპირუსებს შორის იყო მისი საკუთარი პაპირუსებიც, ამიტომ მან ამ გამოცემას დაარქვა „რუსეთის და საქართველოს კულტურათა პაპირუსები“ (Papyri russischer und georgischer Sammlungen). ასეთ სახელწოდებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მეცნიერებას პრესტიჟისათვის. საერთოდ, პაპირუსთა კლასიკები ბევრი არ არის (ოქსირინის პაპირუსები, ჩაალანდას პ., ფლანდერ პეტრის პ., ბერლინის მუზეუმის პ., და რამდენიმე სხვა). აი ამ მცირე რიცხოვან კულტურებს შეემატა ახალი ფონდი — „საქართველოს პაპირუსები“.¹

პაპირუსების გამოცემა გათვალისწინებული იყო ხუთ ტომად. რადგან სტამბურის ნიშნები ასეთ გამოცემას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაემყოფილებოდა, ამიტომ გამოცემა იყო ლითოგრაფიული; ტექსტებს წერდა თვით გრ. წერეთელი საკუთარი ხელით და ასე დაწერილი უშუალოდ გადადიოდა ქაზე. ტექსტები ითარგმნებოდა გერმანულად და ყოველგვარი შენიშვნაც იწერებოდა გერმანულად.

უნდა დიდოდეთ აგრეთვე შემიღებო: საერთოდ, პაპირუსთა კრებულების გამოცემას წინ უძღვის ხოლმე ცალკეულ პაპირუსზე დაწერილი დოკუმენტების თუ ძეგლების პუბლიკაცია. ჩვენს შემთხვევაშიც გრ. წერეთლის მიერ გათვალისწინებულ გამოცემაში შევიდა ის პაპირუსები, რომლებიც წინა წლებში სხვადასხვა

¹ ეს პაპირუსები, რომლებიც გრ. წერეთლის საკუთრებას შეადგენდნენ, ამჟამად დაკუთვნილია სპ. მეენ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში.

სამეცნიერო ეტრნალში იყო ხოლმე გამოკვეყნებული. გამოკვეყნებულა, რომელიც წინათ არასდროს არ გამოკვეყნებულა. მაგრამ თვით გამოკვეყნებულ პაპირებსაც ვერ წერეთელი ხელახლა იკვლევდა და ახალ შერაზმუნებს და კომენტარებს უკეთებდა.

პაპირები გამოვიდა ხეთ ტომად, დიდი ტანის ანკარტო (იხ 4^ე) 1925 — 1935 წლებში. ამ ტომების დასამუშავებლად გრ. წერეთელს პუიდა მოწვეული თავისი მოწაფეები, მის მიერ გამოწერონილი პაპიროლოგიურ კვლევებიდან, პ. ივანშვიტი და თ. კრუგერტი. ამ ხელს ტომიდან თითო ტომი მისი მოწაფეებისა არის, მაგრამ წერეთლის რედაქტორობით და მისივე ხელით გადაწერილი ლითოგრაფიულად, ხოლო დანარჩენი ტომები თვით გრ. წერეთლისა, იმათი თანამშრომლობით.

სპეციალური სამეცნიერო პრესა განსაკუთრებული აღმართვანებით შეხედა თბილისის უნივერსიტეტის მიერ წამოწყებულ გრ. წერეთლის ამ გამოცემას. ყოველ გამოსულ ტომზე საგანგებო რეცენზიები იბეჭდებოდა როგორც სპეციალურ პაპიროლოგიურ ეტრნალში, ისე ზოგადფილოლოგიურ პრესაში. რეცენზიები იბეჭდებოდა სხვადასხვა ენაზე: გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად. აი, მაგალითად, რა დაწერა „პაპირებსის“ პირველ ტომზე ეტრნალ „გნომონში“:

„ეს არის ნაშრომი, — წერდა რეცენზენტი, — შესრულებული დაედალაგი სიბეჯითით, მთელი წიგნი საკუთარი ხელით არის გადაწერილი და ეს ისე საუცხოოდ არის გაკეთებული, რომ ისევე ადვილად იკითხება, როგორც სტამბურად დაბეჭდილი; ამავე დროს ეს არის ნაშრომი, მეცნიერული გულმოდგინებით შესრულებული, და ისეთ სიმაღლეზე დგას, რომელიც წერეთლის სახელს ღირსია“.

„პაპირების კრებულში“, როგორც ვთქვით, შევიდა ყველა პაპირები, რომლებიც კი რუსეთში და საქართველოში მოიპოვებოდა. ეს პაპირები დროდადრო ქვეყნებოდა სხვადასხვა ეტრნალში ან თვით წერეთლის, ან სხვათა მიერ. ყველა ესენი მოთავსდა გრ. წერეთლის ხელტომიან კრებულში, მაგრამ არა მექანიკურად, არამედ ყოველთვის ხელახლა დამუშავებული საკუთარი წერეთლის ან მისი თანამშრომლების მიერ. და ამას რეცენზენტები ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავენ. ერთი რეცენზენტი, მაგალითად, წერს: „არასდროს პაპირების დამუშავებელი ძალად ცნობილ ტექსტებს კი არ ბეჭდავენ მარტივად, არამედ ყოველთვის საკუთარ კვლევაში ატარებენ მათ“. ბერტან არის აგრეთვე აღნიშნული, რომ სხვათა მიერ უკვე ერთხელ წაიკითხულ და გამოკვეყნებულ პაპირებში შეტანილია გრ. წერეთლის მიერ ახალი წაკითხვა-დამატებანი.

„პაპირების“ პირველი ტომის რეცენზიას ვილაქმ შებარტი ასე ამთავრებდა: „გრ. წერეთლის ეს საუცხოო წამოწყება საუბრისა იმედებს აღვიძრავს“.

„პაპირების“ მეოთხე ტომის რეცენზიამაც იგივე ეტრნალი „გნომონი“ მის შემდეგ, რაც დაწერილით იხილავს მასალების შინაარსსა და ანალიზს, ასყენის: „საერთოდ ამ პაპირების გამოშვებულსა და ავტორებს კიდევ ერთხელ უნდა გადაუხედოთ მადლობა და გამოცხატოთ ჩვენი განცდილება, რომ მათ ვგაობ დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ და ასეთი ფასდაუდებელი შედეგები მიუღიან“. ეს დასკვნა იმუნად მნიშვნელოვნად მიუღწევიათ სხვებსაც, რომ, მაგალითად, „ფილოლოგიურ კონვენციურად“ იმეორებს მას 1928 წლის გამოცემის 681 გვერდზე.

ასევე დიდ მნიშვნელობას აკეთებებს ცნობილი პალეოგრაფოსი და პაპიროლოგი ბელგი გრ. წერეთლის პაპირების მეოთხე ტომის გამოცემას, ამ ტომში შევიდა ბევრი ისეთი პაპირები, რომელთა ერთი ნახევარი ლონდონში მოხვდა, მეორე ნახევარი კი პეტერბურგში აღმოჩნდა.

დღესაც ხშირია შემთხვევა, რომ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებისაგან მოგვდის მოთხოვნა მთავრობით მათ „პაპირების“ ესა თუ ის ტომი.

მ. „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“

გრ. წერეთლის ფუძემდებელ ნაშრომთა შორის უნდა მოვიხსენიოთ მისი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ სამ ტომად, რომელთაგან ორი ტომი დაბეჭდა ქართულად 1927 და 1935 წლებში. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ამ „ისტორიის“ გამოცემა ჩვენი ქვეყნისათვის, თუნდაც გარეგნულად, ეს ჩანს შემდეგი ფაქტებიდან: რუსეთის უნივერსიტეტებში ბერძნული ლიტერატურის ისტორიას სტუდენტები სწავლობდნენ ფრანგულიდან ნათარგმნი რიგითი კრებულს „ბერძნული ლიტერატურის ისტორიით“. გრ. წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ პირველი ორიგინალური წიგნი იყო საბჭოთა კავშირში. გარდა ამ გარეგნული უპირატესობისა, გრ. წერეთლის „ისტორია“ არსებითადაც გამოირჩეოდა ამავე რიგითი შორის. უნდა მივიღოთ მხედველობაში შემდეგი გარემოებები:

1. გრ. წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ არის ნაყოფი ავტორის სისტემატური ეტრისა, რომელსაც ის კითხულობდა 25 წლის განმავლობაში დორპატის, პეტერბურგისა და თბილისის უნივერსიტეტებში, კითხულობდა ყოველდღიური დამაბული მუშაობის პირობებში, პირველ წყაროებში მოპოვებულ

ბელი მასალების მიხედვით. სისტემატური ზოგადი კურსის წყალობაა წინ უძღოდა (და აგრეთვე პარალელურად) მიმდინარეობდა) სპეციალური ლექციები ამა თუ იმ ბერძენ მწერალზე ან ლიტერატურის ამა თუ იმ ეანრზე (ბერძნულ ტრავგდიაზე, ბერძნულ კომედიასზე და სხვ.).

2. გრ. წერეთელი მთელი თავისი სიცოცხლე პაპირტსებზე მუშაობდა. პაპირტსებში კი ვეხვება ყოველგვარი მასალა ბერძნული ლიტერატურისა: იქ არის პომპროსის პოემათა ნაწყვეტებიც, საფოს და ალკეოს ლექსებიც და პეროდოტეს „ისტორიის“ ავგილებიც. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მენანდრეს კომედიები მხოლოდ პაპირტსებში დაცული მასალის მიხედვით შეეძლო აღმოჩენა შეესწავლა. ამიტომ, ცხადია, ამ პაპირტსებში ტექსტების შესწავლის დროს გრ. წერეთელი ძალაუხერბრად ხშირად უბრუნდებოდა ბერძნული ლიტერატურის პირველ წყაროებს, რომლებიც მან, მასმასაღმე, დიდი ზედმეფიენილობით ათთვისა და დაამუშავა. ასეთი ერთდციით დაწერილი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიმალღეზე უნდა იღვას.

3. მაგრამ ვველაფერი ეს მხოლოდ ფონია, რომელზედაც უნდა გაეშალა თავისი ფრთები გრ. წერეთლის მირონცხებულ ნიჭს და მხატვრული ნაწარმოებების შეგრძნების არახეუღლებრივ აღლოს. გრ. წერეთელი არა მარტო თავისი ბუნებით იყო პოეტი, არამედ თვითონაც წერდა ბრწყინვალე ლექსებს და ასევე ბრწყინვალე თარგმნიდა ანტიკური პოეზიის ნიმუშებს. ამას მე ამიტომ აღვნიშნავ, რომ მინდა ხაზი გავუსვა მის იშვით მხატვრულ გემოვნებას. მის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“ არა ერთი საკითხია გაშუქებული გრ. წერეთლის ორიგინალური მიდგომით და განსაკუთრებული მხატვრული ათვისებით. ამრიგად, მისი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ მარტო იმით კი არ არის ძვირფასი, რომ მან შესანიშნავი სახელმძღვანელო მისცა სტუდენტებს ბერძნული ლიტერატურის შესასწავლად, არამედ განსაკუთრებით იმითაც, რომ იქ ბერძნული ლიტერატურის რამდენიმე ძირითადი საკითხი ახლებურად და სხვეთან შედარებით უფრო სწორად არის გადაჭრილი. ასეთ საკითხებს ჩვენ მივაუთვნებთ ალკეოს და საფოს ლირიკის საკითხებს, ახალი ანტიკური კომედიის ნაპოყალიბების ფორმებს და ზოგაერთ სხვასაც.

გრ. წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“ გამომდევნდა მისი ავტორის

უზომო სიყვარული ბერძნული სამყაროს ძეგლებისადმი, მშვენიერი ალღო ამ კულტურის მიღწევათა აღქმაში და დღეს მწვედარნ მწვედარნული ენის საფუძველზე შექმნილ ლიტერატურული ძეგლების გაცოცხლებაში დღევანდელი მკითხველისათვის. სრულიად მართებულად თქვა ზემოხსენებულ სპეციალურ სესიაზე პროფესორმა თ. პეტროვიკიმ: „როგორც უდიდესი მეცნიერი, გრ. წერეთელი ცნობილია მთელი მსოფლიოს კლასიკოს-ფილოლოგებისათვის. მისი ნაშრომები პალეოგრაფია-პაპიროლოგიის დარგში და მენანდრეს შემოქმედების ანალიზი, ისევე, როგორც მისი დანარჩენი ნაშრომები, არასდროს არ დაკარგავენ თავის მნიშვნელობას შესაქნობად იმ ანტიკური სამყაროს, რომლის შესწავლას მთელი თავისი ნაყოფიერი სიცოცხლე მოაწოდებდა გრიგოლ ფილაპონის ქემ. და ამ ანტიკური სამყაროს ის არა მარტო იკვლევდა და არა მარტო იცოდა, როგორც სპეციალისტმა ფილოლოგმა, არამედ მას იგი უყვარდა და გრძნობდა ისე, რომ შეეძლო ძველ გაცოცხლებინა იგი ჩვენს შეგნებაში, და ეს სამყარო დაეზღვებინა ჩვენთვის, როგორც მუდამ ახალგაზრდა და ცხოველყოფილი. გრიგოლ ფილაპონის ქე დაჯილდოებული იყო საკვირველი ნიჭით. ის არა მარტო გვაქნობდა ამ სამყაროს საიდუმლოებას როგორც მეცნიერი, არამედ საშუალებას გვაძლევდა ჩვენ შეგვეცნო იგი მთელი მისი მრავალფეროვნებით, მისი უქნობი სურათებითა და სახეებით, ეინადან გრიგოლ ფილაპონის ქე იყო არა მარტო პირველხარისხოვანი მეცნიერი, არამედ მაღალნიჭიერი ხელოვანიც: ის იყო ანტიკური სამყაროს ჭეშმარიტი განმაცხოველებელი, მისი უდიდესი პოეტი“.

ქართული მკითხველისათვის ანტიკური სამყაროს უქნობი სურათებისა და სახეების გაცოცხლების მიზნებს ემსახურებოდა გრ. წერეთლის სამეცნიერო-პოეზიარული ნარკვევებიც, რომელთაც ის ათავსებდა ქართულ ძვრინალებში („ალკეო და საფო“, „ანაკრონტი“, „პერონდა“, „ნეაპოლი — რომი — ბერლინი“ და სხვ.). ასე რომ, ანტიკური სამყაროსადმი სიყვარულს ნერგავდა არა მარტო თავისი ლექციებით, არამედ ფართო მკითხველისათვის განკუთვნილი წერილებითაც.

ზემოთქმული ცხადყოფს, თუ რა დიდი როლი მიუძღვის გრიგოლ წერეთელს ახლად აღორძინებული ქართული მეცნიერების წინსვლის საქმეში: გრიგოლ წერეთელმა მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას, ქართული მეცნიერების მემკვიდრე არასდროს არ დავიწყებს მის ამ ღვაწლს.

შალვა შიგაშვილი

ვაჟა-ფშაველას „გველის მკამერი“

ვაჟა-ფშაველას დიდებული შემოქმედების ბრწყინვალე მწვერვალებს წარმოადგენს პოემები. მათ შორის ყველაზე რთული, თემატიკურად მრავალპარადიგმანი, შინაგანი დრამატიზმით მძაფრით, სახიერებით თავისებური და ღრმად ფილოსოფიური „გველის მკამერი“. ამ ეპიურ თხზულებაში მაღალი მხატვრული განზოგადებით არის წარმოსახული საზოგადოება, ოჯახი, პიროვნება და მათ შორის არსებული ურთიერთობის მოუწესრიგებლობა, ბუნებისადმი გონიერული მიმართების საკიროება, კოლექტივისათვის პიროვნებისა და პიროვნებისათვის კოლექტივის ზრუნვის აღულებლობა, გმირობის დიდება, სპეტაკი პატრიოტიზმი და პარმონიული საზოგადოებრივი წყობილებისაკენ მისწრაფება.

პოემის იდეური არსის გაგებისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, გაირკვეს თუ როგორია თხზულებაში წარმოსახული პიროვნების, ოჯახისა და საზოგადოების დამახასიათებელი თვისებები და ურთიერთობა.

პიროვნება, ნაწარმოების მთავარი გმირი მინდია, სულიერად ძლიერი, სპეტაკი და ამაღლებული. იგი ტყვეობაში ხანგრძლივი ტანჯვისა და გველის ზორციის ჰამის შემდეგ ღრმად ჩასწვდა ბუნების არსს, გაეხსნა „გველის ხეღვა“ და გამეცნიერდა. „მხოლოდ ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხი“. მას ესმოდა მცენარეთა, ფრინველთა; ცხოველთა ენა; „კაცთ-სარგოლ“, საკვებად თავთავებისა და სამყურნალოდ უვავილთა თავის გაწირვის სურვილი; საერთოდ, ბუნების ყოველი სახისა და მოვლენის ურთიერთ სამსახურისა და ბუნებისაკე უმადლესი წარმომადგენლის — ადამიანის სასარგებლოდ გახლდომის თვისება. იგი მით უფრო ერიდებოდა მზარდი ხეებისა და სასარგებლო (ჯიხვებისა და სხვ.) ნადირის ხოცვას, მიტაცებასა და გადაშენებას. მინდია სხვებსაც ურჩევდა ბუნებისადმი გონიერულ დამოკიდებულებას, ერთგორ დაზოგვას და ამით ამკლავებდა არა მხოლოდ ბუნების საყვარულს, არამედ თვით ადამიანთა აწმყო და მომავალ ეთიკულ-მორალურ-საზოგადოებრივ ზრუნვას. პიროვნებამ არა ერთგზის დაუმტკიცა ყველას თავისი უსაზ-

ღვრო ცოდნა და თემსა და მთელ ქართველ ხალხს, მრავალი სიყუთე მოუტანა ამ სიბრძნით ამიტომ მაღლიერი ჰყავდა არა მხოლოდ ფშაველურეთი, არამედ მთელი საქართველო.

მინდიაშ შესანიშნავად იცოდა, რომ ბუნება ადამიანის კუთვნილებაა, ბუნება ადამიანის არსებობისა და კეთილდღეობის დედაა, თვით ადამიანი ბუნების უდიდესი შვილია და იმავე დროს მისი გარდამქმნელი და დამამყვენებელიც არის. ამდენად მის კეთილ ძალთა გამტრობილებელიც უნდა იყოს. ამაშიაც მკლავდება მისი დიდი ჰუმანიზმი. იგი ბუნების ღრმა ცოდნის გამო მოითხოვდა მის მხოლოდ დაზოგვას და არა საერთოდ ბუნებით გონიერულ სარგებლობის აკრძალვას, ბუნებისაგან შრომით ადამიანურ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ეს გარკვეულად ჩანს იქიდანაც, რომ მისივე მოვლა-ზრუნვით გამარავლებულ ხარებსა და ფურების დაკვლას სულაც არ ერიდებოდა, კარგად შეიმოსულ ყანას ძალღონის დაუზოგავად მკიდა, უვავილ-მცენარეებს ჰკრეფდა და ხალხს ახმარდა. მინდია უსაზღვრო პატრიოტიზმს არა მხოლოდ დაუცხრომელი შრომით, ბრძნული საბრძოლოთ, მტრის მუსკრით და ქართლის ზღუდეთა გამარჯვებით გამოხატავდა, არამედ თავიდანვე ხალხის ინტერესების პირადსა და საყვარელ ცოლ-შვილის ბედნიერებაზე მაღალ დაუყენებო. ღრმა ცოდნით და დიდი ამავით სამშობლოსა და საზოგადოებისათვის განუზომელი სარგებლობის მომტანი პიროვნება, თვით ძველი საზოგადოების მხრივ მისი პირადი და ოჯახური მდგომარეობისათვის სანაცვლო ხელშეწყობის გამოტყენლობის გამო, მუდღისი მიერ იძულებითი ოჯახის გასალაღებლად, მოქმედებით დაქორდა საერთო საქმეს, დააკრვა ბუნების ცოდნა, ქვეყნისათვის სიკეთის შემოქმედების უნარი, დაიღუპა საქვეყნო კაცური კაცი და თვით საზოგადოებას უსაზღვროდ დიდი ზიანი მიაღდა.

ოჯახი პოემაში წარმოდგენილია მზიას სახით — მისი შეხედულებებით, მოთხოვნებით და მოქმედებით. ცოლ-მზარს შორის კამათიდან ირკვევა, რომ მზია იყო მხოლოდ შვილებისა და „თავისა სსსიამოვნოდ წუთისოფლისა მცნო-

ბარე“ და პირადი „კიი ცხოვრებისათვის“ ყველაფრის უხვად მომთხოვნის და განუწყვეტელი ჩივილით მუდღის „გულ-მკერდის გამსენი“. იგი „გულზე მოსაყვან ქართულით“ მინდობასგან საზოგადოებისათვის სურენის საზიანოდ მოქმედებას მოითხოვდა, ქვეყნისათვის მოღვაწე მუდღეს ცხოვრების მავალითად პირადი სიმდიდრისათვის მიმტაცებელ ბრძოლებს უსახედა და თემისა და სამშობლოს ინტერესების უფლებებუყოფას, ბუნების ღრმად შემცნობ გონების დანაღვრება-დაურთებას აიძულებდა. ცოდნის დაკარგვის შემდეგ კი მინდობს უსაზღვრო წუხილი აყვარებდა კიდევ: რა აშლითებს, თუკი ოჯახი უყეთესად ცხოვრობსოო როდესაც ხეცსურეთს მტერი შემოესია, მაშინ კი მზია ქმრის სულღერ მდგომარეობაზე ღრმა წუხილით და სინანულით ამბობდა: „გაჰმე, რომ ვეღარ იმიჯნოს“ მთელ ერთ წელს სნეულსა ჰავადაო“. მან ქალების ჯგუფსაც გააგებინა მინდიას „გუნების ცკლა“ და განუმარტა, რომ მუდღე ამაში მას სდებდა ბრალსა და ეუბნებოდა: „დიდი ცოდნა და ძალა დეკარვე შენის აყოლითაო“... მაგრამ თანაც ჩვენც ვებრალბოდილ და არ დავგუოცო მიტომაო“. ამან განსაკუთრებით შეაწუხა სანდუა, რომელმაც აღმოფოთებით უთხრა: „ქვეყნის ცოდვასი ჩამდგარხარ, ჩვენ ხო ვართ იმის ძალითა“ და შენს გამო ქვეყნასს თუ ზიანი მიაღვება, „უნდა მოვეკრას ეგ ენა, მღლა დავკოდონ კავითა, ძირს ცეცხლი შემოგყეთონ, დიწვა იმის ალითაო“. მწუხარებათ დაფორებულმა მზიამ მთუგო, რამდენადღე ბრალი მაქვს, „ღირსიც ვიქნები დანჯიოსაო“, მაგრამ რა სამართლით იქნება, რომ „ცოდვა ერთისა სხვამა ზღოსო“. ამით პოეტრი ნაწილობრივ ამართლებს მინდიას წინაშე შემცოდვ მზიას, ბრალი თუშედაც ვადაქვს და ნასყავს აზრს, რომ მხოლოდ ერთ ოჯახს როგორ უნდა შეეზღუდა თუი ყველასათვის, ერთ პიროვნებას როგორ უნდა ეყოთებინა თემისათვის ყველაფერი, თუკი საზოგადოება თავის მხრივ სრულიადე არა ზრუნავდა პიროვნებისა და მისი ოჯახისათვის... მაგრამ დასკვნების გაყოთებამდე რასაკვირველია, ჯერ საზოგადოების რაობა უნდა გაირკვეს,

პოემაში წარმოდგენილი საზოგადოებაა წიქსს სტუმრები, გუღანის ჯგერის დღობაზე „დუჯარებულნი“, ქალთა ჯგუფი, ლაშქარი, ბერია, ჩალხია და სანდუა მათ აერთიანებს მხოლოდ სარწმუნოება, ადათები, გმირობისადმი პატივისცემა და მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება. ამ საზოგადოების (თემის) საწარმოო საშუალებანი და წარმოების წესი პრიმიტიულია და გერონიმოურად მისი თითოეული ოჯახი ცალკეა ჩაკეტილი. ყველა ერთნაად აღიარებს მინდიას ბრძენ კაცად, „ათა-

სობით წულულიანების“ უებრო მკერტლად, მტერზე გამარჯვებათა მომპოვებელ ბელადად და „აღმერთებს, ნუგეშად სანახეს“ დამაზრუნებელს თვლია“. უკანასკნელ მძიმოსს წინაშე მინდიას ხევისბერი ბერია მიმართავს: „ჩვენა გეწამ, შენაც ხომ იცი, რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა... მაგრამ ცოცხალი გვეყვებარ, რას გახდებინა ჩვენთანა“, ლაშქარი უცხადებს: „მოდამ შენს რჩევას, ვრჩებოდით, არც რა ზარილი მოგვცლია“, ქალთა კრებასაც ბოლომდე სუეროდა, რომ მინდიას მჯობი ვაყავი „ჯერ არ გუზღავს დედასა“. მხოლოდ საერთო-საქვეყნო საქმეში რაიმე მოქმედებით თავგამოუჩვენებლმა ხეცსურმა ჩალხამ ღრეობის ღრის ეჭვი შეიტანა მინდიას დიდ ცოდნაში: „ენა თუ ჰქონდეს ღუ-ქვათა, ჩვენ რად არ გავიგონია“ და შერით, სიზოროტით თუ სიმთერალით ცილიც დასწამა: „ჩვენს სატყუებლად მინდიას სიცრუე მოუგონია“.

ესთვეთ, მცენარეთა და ცხოველთა დანღობა კარგია, „კაცის კვლა ყველასა სჭარბობს“, თუნდ ვერაი მტერა იყოს, მე კი მინახავს ხმლით დაჭრილ თავდაშსმებლის „მინდია სდგამდეს გორისა“, ჩანს, რომ „არც ღმერთი გვიცოდებს მტრისად შაქცვლას ხელისას, აერთევე, ოლომც ვიცხოვროთ, მოკრას წიფლის და თელისას“. ამგვარად, ჩალხია აიგვებდა განადგურების მსურველ მტერსა და მხოლოდ სიყეთის მომტან ბუნების სახეებს. ვერ იგებდა, რომ მინდია ხეთა თუ ცხოველთა დაზოგება მოითხოვდა ისევე აღამანთა საზგებლობისათვის, რათა მათი მოსპობის შემდეგ თემს უფრო არ დამძიმებოდა ცხოვრება. მართალია, ჩალხიას კრებიდან გამომდებარენ „ზოგები ვაუბედავად დონედა“ და სულ მცირე ხნით გაიზარეს მინდიას ცოდნისადმი ეჭვი, მაგრამ მაშინვე, იმის გამო, რომ შეიღდაღებული დედაიტის მწუხარება შეიტყო, ერთხელ კიდევ „დარწმუნდნენ იმის ცოდნაში, საქმე წინ ედვა ყველასა“. მიუხედავად ამისა, თემი შემდეგაც დაუზოგავად სჭრიდა მოზარდ ხეებსა და გამანადგურებლად სპობდა სასარგებლო ნაღირს... რამედაც პოეტრი ეჭვე შეინშინავს: „ქაიმის ზორცს რა შეაძულებს, თქვენვე მითხარით მელასა?!“ ხალხი გულთ მანიც გრძნობდა შორსმჭკრეტელ მინდიას დარიგებას, ბუნება დაზოგვით გამოუყენებინათ, „მაგრამ ნაგრძნობსა გულითა, გონებით ჰშველენ ვერისა“. ეს გასაგებიც იყო, რადგან წარმოების დონე იმდენად დაბალი იყო თემისა, რომ იმ პირობებში მტრად უძმამდებოდათ მისი რჩევის შესრულება.

პიროვნებას ოჯახისა და თემის დაზასიათებაში ნათლად იხსახება მათ შორის არსებული ურთოერთობის მოუწესრიგებლობა. მთელ პოემაში ისევე ორგანულად არის ჩაქსოვილი არა მხოლოდ თემის, არამედ ყველა ძველი საზო-

გადგომები ფორმაციის წინაგანი წინააღმდეგობებს ტკივილები და სწორედ ამით, ძლიერად აბის გამოხატული ახალი, უფრო ჰემანური სამართლიანი, ჩარმონიერი წყობილების დამყარებისაგან მისწრაფება. ხანგრძლივი მძიმე ტანჯვის გზით სიბრძნის დაუფლებელი, მორალურად სრულყოფილი, დაუცხრომლად მშრომელი და გამორტლად მებრძოლი პიროვნება ძველ საზოგადოებაში თავის დიდ ცოდნას, ძალ-ღონეს ხალხის სამსახურს ახმარდა და ამისთანავე, მომავალზე ზრუნვით ურჩევდა ბუნების სიკეთეთა დაზოგვით გამოყენებას. თლი გზით ღალად ცხოვრების მოუვარენი მიანიც თავისას განაგრძობდნენ, ოჯახიც უფრო მეტს მოითხოვდა ფუფუნებისათვის და, რაღვან საზოგადოება პიროვნებაზე მისი დამსახურების შესაბამისად არ ზრუნავდა, პიროვნების შესაძლებლობანი ვეღარ გასწავდა უვლად უფროს, თავის თანამედროვეებზე განებრძოვდა და მორალურად ამაღლებულ მინდობს ენერჯია ამოიწურა და, დიდი შოთას თქმისა არ იყოს, რადგან „უგვილო კაცი ვერ კაცობს“... იგი იღუპება. მამსადავ, დიღმა ვეამ წარმოსახა ძველი საზოგადოების მოუწერსიგებლობა და დასდო რა თვის ბრალა ქვეყნის მოამავე პიროვნებისადმი უუურადღებობაში (რამაც მასვე მიავუნა უსაზღვრო ზიანი), ისიც გვიჩვენა, რომ თემი ჰქედავდა და ესმოდა პიროვნებისა და ბუნებისადმი თავისა ვიწრო, ეგოისტური, მხოლოდ მიმოთესებლური დამოკიდებულების უმართებულობა, მაგრამ გულით მიხვედრილს თავის ძველ, ჩამორჩენილ ეკონომიურ პირობებში საქმით ვერას შეელოდა. პოეტმა სწორედ ამითვე გამოხატა ის აზრი, რომ ყველა ძველ, უსამართლობაზე აგებული წყობილების შეცვლის აუცილებლობა მოწინავე პიროვნებებს თქცხად ესმით, მთელი საზოგადოებაც (უმრავლესობა მიანიც) რამდენადმე გრძნობს ძველის უარყოფისა და ახლის განვითარების საჭიროებას... ეს კი გვაუწყებს, რომ დაწყებულია ძველი წყობილების რყევა, მომავალში ძველი აუცილებლად მოიხსნება და დამყარდება ახალი, ჩარმონიერი, ბუნების რაობის უფრო სრულად შემცნობი და მისდამი მართებული მიმართების მქონე საზოგადოება, რომელშიაც სამართლიანად იქნება განრიგებული პიროვნების, ოჯახისა და მთელი საზოგადოების ურთიერთობა.

ამგვარად, გენიალურმა ჰემანისტმა პოეტმა ვეა-ფშაველამ ფილოსოფიური განზოგადებით და ორიგინალური პოეტური სახეებით გამოხატა კაცობრიობის სრული კეთილდღეობისაგან დიდი მისწრაფება.

„ველის მკამელში“ პიროვნების, თემისა და ერის წარმოსახვასთან ერთად გამოხატულია გმირობის დიდება და პატრიოტიზმი. სამშობ-

ლოს სიყვარული, მამულისათვის მამაცური თავგანწირვა როგორც ცალკე პერსონაჟების (ესე მთელი ერის მიერ, ნათლად უნდა მოეხმულა „ველის მკამელში“, მინდობსა და მის რახსმ შედეგ კი დიდად აფასებდა:

„გვირგვინოსანი თამარი
სულ-მულამ ამის მოქმელია:
„ოლონდ მინდია თან მვეანდეს,
მასთან მთიელი ერია,
რაც უნდ ძალიან ეცადოს,
ვერას დამაყლებს მტერია“.

უმთავრესი წყარო ასაზრდოებდა: ერთი წყარო
იყო ბურჟუაზიული მოაზროვნეების, კერძოდ,
ა. ჯორჯაძის შეხედულებანი, ხოლო მეორე, —
მარქსიზმის ქართულ ვულგარიზატორთა არას-
წორი მოხერხება და აისაწორი თვალსაზრისი
ეროვნულ საკითხში.

ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, რომლებ-
საც ხშირად თავი მოჰქონდათ (რაც თქმა უნდა,
სრულიად უსაღებლოდ) 60-იანი წლების გა-
მოჩენილ მწერალთა და მოაზროვნეთა საქმის
მემკვიდრებად, მეოცე საუკუნის დამდევლან
გაათრებულნი ბრძოლა გააძლიერეს არა მარტო
სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომლე-
ბიც საქართველოს და რუსეთის იმპერიაში შე-
მაჯილ ყველა სხვა ერის პროლეტარების ერ-
თთანობის იდეას იცადენენ, არამედ აგრეთვე ამ
მოწინავე ქართველი მოღვაწეების წინააღმდე-
გაც, რომლებსაც კარგად ესმოდათ საქართვე-
ლოს რუსეთთან შეერთების პროგრესული
მნიშვნელობა და მოუყოლებდნენ ქართველ
ხალხს რუსეთთან შვიდრო კავშირისაკენ. ამ
ნიდავზე აღმოცენდა მწვავე უთანხმოება, ერთი
მხრივ, ნაციონალისტებსა და, მეორე მხრივ,
საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობის ხელმძღვანელ მოღვაწეებს შორის.
ნაციონალისტებმა შექმნეს ლეგენდა იმის შე-
სახებ, თითქოს ილია ჭავჭავაძემ 80-იანი წლე-
ბიდან უღალატა თავის წინააღმდეგ იდეალებს
და გადავიდა ცარიზმის მხარეზე.



ბერევაზიული ნაციონალისტების ცნობილი ზეღადი ა. ჯორჯაძემ ჯერ კიდევ 1901 წელს დაწერილ წერილში „აბელისტი — ილია ჭავჭავაძე“, ნაწყესი და გლიხიანებულ ტონით აღნიშნავდა: „ფსიხოლოგიური კანონია, რომ სუსტი და ღრწმინდული სხევის შეყურებულს და სხვისგან მოელოდეს მოწყალებას და დახმარებას. ასე ემართება ილია ჭავჭავაძესაუთელი გადავლეთ „ივერიის“ ნომრებს 1887 წლიდან დაწყებული. კითხვლობთ და არ გჯერათ, რომ შესაძლებელია ამგვარი ცვლილება... ავტორის სხვა პოზიცია ექნა წინად ეროვნულ კითხვების განმარტებაში, და ეს ცვლილება მარტო ილია ჭავჭავაძის დამახასიათებელი არ არის, იგი თითქმის მთელ ძველ თაზას ეხება“¹.

შემდგომში უთანახმოება ბერევაზიულ ნაციონალისტებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა და ეს ორი მიმართულება ერთმანეთს დაუბირისპირდა. ილია ჭავჭავაძემ 1902 წლის დასაწყისში გამოაქვეყნა მკაცრად დაწერილი სატირული ხასიათის ფელეტონი „ი. ვომარათლის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიხოლოგია“, რომელშიც სასაცილოდ აიღო არჩილ ჯორჯაძის და გავლენა „ცნობის ფურცელის“ ე. წ. „ახალი მიმართულება და ახალი ფსიხოლოგია“². ა. ჯორჯაძემ თავის მხრივ ცილი დასწამა ილია ჭავჭავაძეს (უცვამის ვარდაცვალების შემდეგ), რამ იგი თითქმის „ამაყობდა თავისი ერთგულებით“ რუსეთის მეფისადმი და რომ თითქმის ილიამ მასთან (არჩილ ჯორჯაძესთან) პირად საუბარში განაცხადა, „ჩვენ უნდა ვიყენებთ მომხრენი მონარქიული პრინციპისაო“. ამ საფუძველზე ა. ჯორჯაძემ არწმუნებდა მკითხველს, რომ „ილია ჭავჭავაძე მართალია მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა“, მაგრამ „ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისაგან მოელოდებოდაო“³.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ გაუგებრობისა და ცილისწამების შეზავების შედეგია. ბერევაზიულ ნაციონალისტებს არ ესმოდათ და არც სურდათ გაეგოთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებს, როცა ისინი ქართველ ხალხს რუსეთთან შეიღობოთ თანამშრომლობისა და კავშირისაყენ მოუწოდებდნენ, მხედველობაში უყავდათ არა თვითმპყრობელური რუსეთი, არამედ რევოლუციურ-დემოკრატიული რუსეთი, რომლისგან

ჩამოშორება მათ იმ პირობებში არ მართლდებოდა სსსარგებლოდ თვით ქართველ ხალხის ინტერესების თვალსაზრისით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნაციონალისტები იბრუნებულნი გახდნენ თვითონვე ელიტარებით, მათი გზა არსებითად რომ განსხვავდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზისაგან, რითაც აშკარა გახდა სრული უნიადგობა და უსაფუძვლობა მათი ცდებისა, ამოტარებულდნენ დიდი ქართველი მწერლების ავტორიტეტს და გამოეყენებნათ მათი სახელი და პოპულარობა თავიანთი ნაციონალისტური ინტერესებისათვის. „ნუ შევდრკებით, — მოუწოდებდა ა. ჯორჯაძე თავისიანებს, — და თამაშად გამოვეცალოთ ჩვენს მწერალს (ე. ი. ჭავჭავაძეს — პ. რ.) იქ, საცა ჩვენი გზები ერთმანეთს შორდებიან“⁴. ასეთ ფეცილებელ დასკვნამდე მიიყვანა ნაციონალისტები თვით ფაქტების ლოგიკა.

დღეს ჩვენთვის არავითარ განსაკუთრებულ სიმნიელს არ წარმოადგენს იმის გაგება, რომ ბერევაზიულ ნაციონალისტებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს შორის ბრძოლისა და უთანხმოების ერთადერთი მიზეზი სრულიად არ ყოფილა ეროვნული საკითხი, მეტიც: ეს მთავარი მიზეზიც კი არ ყოფილა; მარქსისტული თვალთახედვით შეიარაღებული მკვლევარისათვის ცხადია, რომ მათი გზების დამორებისა და ურთიერთ დამპირისპირების მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიური საკითხებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა იყო. ეს ცხადად ჩანს თვით ჯორჯაძის ნაწერებშიდანაც. დავაკვირდეთ, მაგალითად ა. ჯორჯაძის შემდეგ სიტყვებს: „ჭავჭავაძის ცალ-მხრივობა იმაში კი არ არის, რომ აქციედა უტარდლებას ქართულ სოფელს, არამედ იმაში, რომ მარტო (ხაზგასმით ა. ჯორჯაძისა... — პ. რ.) სოფლისაყენ იყო მიმართული მისი გულისწყერი“⁵ ან კიდევ: „ილია ჭავჭავაძე როგორც სოფლის მოსარჩლე, თავის ვაჭრებს „ივერიის“ საშუალებით თვალყურს ადევნებდა სოფლის ჭირ-ვარაშ... ხოლო ჩვენი უთანხმოება ილია ჭავჭავაძესთან ამ კითხვებში გამოსახება შემდეგში: ავტორი მარტო სოფლის ცხოვრებას ადევნებს თვალყურს, ქალაქი თავის რთულს აგებულებით აქვს სრულებით მიცხვებული“⁶.

მაშასადამე: ა. ჯორჯაძეს სწორედ იმიტომ არ მოსწონს ი. ჭავჭავაძის მიმართულება, რომ ის მარტო სოფელზე (ე. ი. არსებითად გლეხობაზე) ზრუნავს, ხოლო ქალაქის (ე. ი. ბერევაზიის) ინტერესები სრულებით არ აინტერესებს.

¹ ა. ჯორჯაძემ, თხზულებანი, წიგნი მეორე, გვ. 111
² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი სრ. კრებული, ტ. II, 1941 წ., გვ. 302
³ ა. ჯორჯაძემ, თხზულებანი, წიგნი მეორე, გვ. 223—224.

⁴ იქვე, გვ. 131.
⁵ იქვე, გვ. 121.
⁶ იქვე, გვ. 121—122.

აქედან ცხადია, რომ ბურჟუაზიული ნაციონალისტები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი წარმოადგენენ ორ სხვადასხვაგვარ იდეოლოგიას: ერთია ბურჟუაზიის იდეოლოგია, ხოლო მეორე — გლეხობის იდეოლოგია. აქედან ცხადია ისიც, რომ სწორედ ეს იდეოლოგიური სხვადასხვაობა იწვევს მათი შეხედულებების დაპირისპირებას ეროვნულ საკითხშიც.

დაბ. დღეს მარქსისტულად მოაზროვნე მკვლევარებისათვის ნათელია, რომ ნაციონალიზმი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სულ სხვადასხვა შინაარსის მიმართულებები იყო და მათი შეხედულებები რაგორც სოციალურ, ისე ეროვნულ საკითხებში არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კვშიარბიტუბა არ იყო (და დღესაც არ არის) ნათელი ზოგიერთი მკვლევარისათვის, რომლებიც თვამცა მარქსიზმის სახელით გამოდიოდნენ, მაგრამ სწორად ეუმრალეობდნენ და უხეშად ამხინჯებდნენ ნამდვილი, შემოქმედებითი მარქსიზმის მოძღვრებას.

ცნობილია, რომ პროლეტარიატის დიდი ბეღდას ვ. ა. ლენინის მითითებითა შესაბამისად, ბოლშევიკურმა პარტიამ ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის გარეგანზე სწორად გადამწყვიტა ნაციონალური საკითხი და თავის პროგრამაში შეიტანა მუხლი, რომლის ძალით რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ერს ემლეოდა თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკ-ლენინელებს სწორად ესმოდათ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის არსი და დაუღალავად ებრძოდნენ ერთა თანასწორუფლებიანობისათვის, — იბრძოდნენ იმისათვის, რომ რუსეთის „უცხო“ ერებს შეელოთ სრული უფლება თვითნითი სერვილების თანახმად მოეწყოთ თვითნითი ნაციონალური საქმეები.

მაგრამ საქართველოს სოციალ-დემოკრატის რიგებში იყვნენ ასეთი მოღვაწენიც, რომლებიც გარკვეულ პერიოდში არ სცნობდნენ და პირდაპირ უგულვებელყოფდნენ ერთა თვითგამორკვევის ლენინურ პრინციპს. სამწუხაროდ, ასეთ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა აგრეთვე გამოჩენილი რევოლუციონერი ფ. მახარაძე, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა და ნაწილობრივ დღესაც სარგებლობს მკვლევარებს შორის. როგორც ცნობილია, ბოლშევიკური პარტიის VII (აპრილის) კონფერენციაზე, რომელიც შედგა პეტროგრადში 1917 წელს, ფ. მახარაძე ნაციონალურ საკითხში მიემხრო პიატაკოვის იბოზიციონერ ჯგუფს. ეს ჯგუფი ებრძოდა ლენინის ზაზს ნაციონალურ საკითხში, ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგს რეპციონერ ლოზუნგად სთვლიდა და მოუწოდებდა

პარტიას იმისაგან, რომ გაეჩაღებია „ბრძოლეროვნულ მოძრაობათა წინააღმდეგე... ილენინმა, რომელიც ამ კონფერენციის შემობას უშეალოდ ხელმძღვანელობდა, აგრეთვე ი. ბ. სტალინმა, რომელიც კონფერენციაზე მომხსენებელი იყო ეროვნულ საკითხზე“ და სხვა გამოჩენილმა ბოლშევიკ-ლენინელებმა შეცრად ამზიღეს და განმანადგურებელი კრიტიკის ცეცხლში გაატარეს პიატაკოვის ჯგუფის იბორტუნისტული თვალსაზრისი¹. აპრილის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ყველა დაადსტერვა, რომ ლენინური ნაციონალური პოლიტიკა იყო ბოლშევიკური პარტიის ერთადერთი და უცვლელი პოლიტიკა, მასში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ „За всеми нашими, входящими в состав России, должно быть признано право на свободное отделение и на образование самостоятельного государства“².

სენებულ კონფერენციაზე ფ. მახარაძე გამოვიდა სიტყვით, რომელშიც იცავდა პიატაკოვის ზაზს და ვადაჭრით ილაშქრებდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის წინააღმდეგ³. კონფერენციის შემდეგ ფ. მახარაძემ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი, რომელშიც დეტალურად გაიშვქა აპრილის კონფერენციაზე ნაციონალური საკითხის განხილვის ისტორია, ჩამოაყალიბა რაგორც ლენინის, ისე პიატაკოვის მომხრეთვალსაზრისი და აგრეთვე ის შორიკვები, რომლის ძალითაც თვითნითი იგი „გადაკრთო წინაღმდეგი იყო იმისა, რომ ერს უფლება ჰქონდეს თავისუფალი გამოყოფისა“⁴. ამ წერილში ფ. მახარაძე აცხადებდა: „კონფერენციის შემდეგ მე დავრწმუნდი იმაში, რომ შეუძლებელია ერს ეს უფლება (ლაპარაკია თვითგამორკვევის უფლებამდე. — პ. რ.) ჩამოვართუთო“⁵. მაგრამ იქვე გამოთქვამდა ისეთ აზრებს ნაციონალური კულტურის, ენის და სხვ. შესახებ, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკასთან, კერძოდ, ის ამბობდა: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალური ენას მხოლოდ პარობითა და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნეჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამოხატულებაა“⁶.

¹ იხ. «История Коммунистической партии Советского Союза», М., 1959 г., гл. 210.

² იქვე.

³ იხ. История всесоюзной коммунистической партии (большевиков), Краткий курс, 1946 г.

⁴ იხ. ფ. მახარაძე, „თხზულებათა კრებული“, ტ. IV, გვ. 121—124.

⁵ იხ. ფ. მახარაძე, „თხზულებათა კრებული“, ტ. IV, გვ. 128.

⁶ იქვე, გვ. 128.

⁷ იქვე, გვ. 128—129.

ასეთი იყო ფ. მახარაძის პოზიცია და თვალსაზრისი ეროვნულ საკითხში. აქედან ცხადია, რომ მის ყოველი მოღვაწე, რომელიც ხალხის ეროვნულ უნდას მოიხვედებოდა და სოც. დემოკრატიკებთან და მათ მსგავს სხვა ბურჟუაზიულ მოღვაწეებთან ვითარებებშია. ფ. მახარაძე მართლაც ასე იქცეოდა: თერგდალეულებს ის ეძახდა „მესამოცე წლების მოლიბერალ-ნაციონალისტურ ინტელიგენციას“¹, ხოლო ხალხისწინაშე ამბობდა, რომ ისინი „გადაჯვარებულნი, ფ. ი. განსაციონალისტებელი“ არიან².

ამრიგად, თუ ბურჟუაზიული ნაციონალისტები თერგდალეულებს და მათ ბელადს ი. ჭავჭავაძეს ტახტის ერთგულებას უყიენებდნენ (რაც მათი უმეტესობის ნაყოფი იყო), ზოგიერთი მარქსისტი თერგდალეულებს მათ სეპარატრისმას და ნაციონალიზმში სდებდა ბრალს (რაც მათ მიერ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯების შედეგი იყო).

ესეც უნდა ითქვას: ფ. მახარაძე სრულებითაც არ სემიდა იგივეობის წინაშე ი. ჭავჭავაძისა და ა. ჯორჯაძის ეროვნულ პროგრამებს შორის³; მის მიზანდა, რომ აღია ჭავჭავაძე, როგორც დახვედბელი „ნატურალური მეტრინგობის დამცველი და თავადანხატობის შეზარახებელი“⁴, გაიკლებით უფრო სამში რაქციონერი იყო, ვიდრე ა. ჯორჯაძე. რომელიც მინც უფარებით უფრო პროგრესული კლასის — ბურჟუაზიის შეზარახებელი იყო. ამით აიხსნება, რომ იგი მუდამ განსაჯვარებული სიძულელით ეპყრობოდა ი. ჭავჭავაძესა და მის თანამოახრეთ და არ იშურებდა მათ „შესამოზად“ ისეთ ეპორტებებს, როგორიცაა: „მოწარმისტი“, „მუშების და გლეხების ექსპლოატატორი“, „კონტრრევოლუციონერი“⁵ და ა. შ.

ფ. მახარაძეს არ ესმოდა ლენინური პოლიტიკის არსი არც გლეხური დემოკრატიისა და არც ეროვნული მომარბობისადმი დამოკიდებულებაში.

ს. ხუნდაძის კონცეფციის დამსახურება ის იყო, რომ მან თავიდან აგვაცილა მარქსიზმის ევლგარიზატორთა რაბელი ტიპის კრიტიკა რომელსაც უკიდურესობამდე მიჰყავდა თერგდალეულთა გაბიბრებება. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთავარი ბორბტება ამ კონცეფციის შემოწავების შემდეგაც დაუძლიევილ

დარჩა. ვერც ს. ხუნდაძემ და ვერც მისმა მრავალრიცხოვანმა მიმდევრებმა ვერ შეაძინეს ის არსებითი განსხვავება, რომელიც მხოლოდ არსებობდა ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და თერგდალეულების თვალსაზრისთა შორის ეროვნულ საკითხში. მათ ვერ დაინახეს და სათანადოდ ვერ შეაფასეს აგრეთვე ის მიზეზები, რამაც გამოიწვია თერგდალეულების პოლიტიკის შეცვლა რუსეთ-საქართველის ურთიერთობის საკითხში გასული საუკუნის 80-იანი წლების ხანაში. ამით აიხსნება, რომ ს. ხუნდაძემ თითქმის უცვლელად მიიღო როგორც ფ. მახარაძის, ისე განსაჯვარებელი ა. ჯორჯაძის ძირითადი დებულებები და მათი ეკლექტიკური შეხვედბით შემოწავა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოახრეთი რუსეთის ტახტის უსაზღვროდ ერთგულნიც ყუენენ და პირწივარდნილი ნაციონალისტებიც. ამ ყოვლად უსაფუძვლო და უზამს აზრს ის არაერთხელ იმეორებს თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში. მაგალითად, ნაშრომში, რომელიც აკაკის შემოქმედებისადმი მიძღვნილია, მას სიტყვა-სიტყვით მიჰყავს ა. ჯორჯაძის ცილისმწამებლური ბრალდებები, როგორც ილიას ვითომდა ტახტისადმი ერთგულების დამამტიკებელი საბუთები, და თავის მხრივ დასძენს: „ასეთი ეროვნულ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა, აშენებული ტახტის ერთგულებასა და სამშობლოს სიყვარულზე, ძველი თავადანხატორული ინტელიგენციის მსოფლმხედველობის წარმოადგენდა. ამ პოლიტიკურ-ეროვნულ პროგრამას ემსახურებოდა დიმიტრი ყიფიანი... 90-იან წლებში ასეთი პოლიტიკურ — ეროვნული კრედოს გამტარებელი და მეთაური შექმნა ილია ჭავჭავაძე“¹. ასეთივე ერთგული ყოფილა თერგმე რუსეთის მეფის ტახტისა აკაკო წერეთელიც². ხოლო რაც შეეხება ზევის სასიკადად-ლო მწერლების ნაციონალისტობას, ამის დასამტიკებლად ს. ხუნდაძე მიგვიითთებს იმ ბრძოლაზე, რომელიც 90-იან წლებში ქალკის თვითმართველობის არჩენებთან დაკავშირებით გაწილდა, ერთი მხრივ, თბილისის სომხური წარმოშობის ბურჟუაზიის იდეოლოგებსა და მეორე მხრივ, მიწინავე ქართულ მოღვაწეებს შორის, რომლებიც მშრომელი ხალხის (გლეხობისა და ქალკის ღარიბი მოსახლეობის) ინტერესების დამცველები იყუენ. ს. ხუნდაძე სრულებით ვერ გაურკვეა სხენებული საარჩევნი ბრძოლის კლასობრივ არსში და დემოკრატიკ ქართული მოღვაწეები ყოველგვარი საბუთის გაქმნე გამოაცხადა თავადანხატურ-ნაციონალისტური მიმართულების რაქციონერი ძალთბელადებად და მედროშეებად. მისი სიტყვით.

¹ იხ. წიგნი, „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“, 1932 წ. გვ. 44
² იქვე, გვ. 45.
³ იხ. ფ. მახარაძე, „თხზულებათა კრებული“, ტ. I, 1924, გვ. 276—277.
⁴ იქვე, გვ. 277
⁵ იხ. წიგნი „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“, გვერდები: 42, 47, 48 და ა. შ.

¹ ს. ხუნდაძე, „ნარკვევები“, 1941, 137.
² იქვე, გვ. 94.

„საქართველოს თავადანაწერობა მისი იდეოლოგიის ილ. ქაჯავაძის საბით აშკარა თავდასხმავ გადადიოდა სომხს ბურჟუაზიის მიმართ და შოელ სომხობას უცხადებდა ბრძოლას“¹. რაც შეეხება აკაკის, თურმე მასაც „არ სურდა დაენახა, რომ ამ ბრძოლაში არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა სომხის მშრომელ ხალხს... ისტორიულმა პირობებმა აკაკი ამბერველა ნაციონალისტად“².

ასეთია, სამწუხაროდ, ს. ხუნდაძის თვალსაზრისი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახითზე. მართალია, ამ თვალსაზრისს მარქსისტულობის პრეტენზია აქვს, მაგრამ ძნელი შესაჩნევია არ არის, რომ სინამდვილეში იგივე ვულგარული სოციოლოგისმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

ს. ხუნდაძის შეხედულებები, როგორც თქვა, ჩვენში ფართოდ გავრცელდა. მკვლევართა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გაიზარა ის აზრი, რომ თითქოს ი. ქაჯავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა უღალატეს თავიანთ პირვანდელს (მათი აზრით, ლიბერალურს) შეხედულებებს და გადავიხიეს მარჯვენა, ე. ი. გადავიდნენ მეფის მთავრობის მხარეზე; ვიზიარა, აჯრუთვე, ის აზრი, თითქოს ი. ქაჯავაძე და მისი თანამებრძოლები პირწავარდნილი ნაციონალისტები იყვნენ. დამახასიათებელია, რომ ისეთი თავდაპირილი მკვლევარიც კი, როგორც შ. რაღიანი, წლებს მანძილზე ვარკვევით უწყოდა მსგავსი აზრების პროპაგანდას. მაგალითად, ერთ-ერთ თავის ნაშრომში ის ამბობდა: „80-იანი წლებიდან ი. ქაჯავაძის შემოქმედებაში ხდება თვალსაჩინო გარდატეხა... შიში დემოკრატიული რევოლუციის წინაშე, რომელიც მოითხოვდა სრულ ლიკვიდაციას ფეოდალიზმის ნაშთების და აქედან, შემამულეთა მიწათმფლობელებისა და თავადანაწერობის, როგორც კლასისა, ი. ქაჯავაძეში აძლიერებს შემარჯვენე სულისკვეთებას“³ შემდეგ: „ეროვნული იდეისადმი სამსახურის გზაზე, ი. ქაჯავაძე ხშირად ეროვნულ უკიდურესობამდე მიდიოდა და ამქაღვინებდა ნაციონალისტურ სულისკვეთებას. ეს მან განსაზღვრებით გამოამყვანა პუბლიცისტურ წერილებში“⁴.

ასეთ თვალსაზრისს იზიარებდნენ და ყოველ ხელსაყრელ მომენტში საჯაროთაყ აცხადებდნენ მარქსიზმის ყველა ჯერის დამამხანჯებლები. დამახასიათებელი ფაქტია, მაგალითად, რომ 1930 წელს ცნობილი ენათმეცნიერი ნ. მარი, რომელიც აგრეთვე მარქსისტობას ჩემუ-

ლობდა, ლენინგრადის უნივერსიტეტის დოქტორის 110 ულისთავადადი მიძღვნილ სასაუბრო სხდომაზე თავს იქებდა ქართველნი ქვეყლისისტების წინაშე ბრძოლის მხარეში იდეოლოგიისტიდოლო, — ამბობდა ნ. მარი თავის თავზე, — по мере общения с различными национальными массами Кавказа и изучения их языков постепенно переходит на интернационализм и восприимчив к Кавказской общности и становится антинационалистом, что особенно болезненно ощущается и резко осуждается учениками, друзьями и недругами на грузин-националистов. Отселе (он) мишень всех националистических нападков, особенно острых со стороны грузинских националистов, вождь которых известный писательки. Чаичавадзе, при общем молчаливом сочувствии пригвоздил его публично к позорному столбу“⁵.

როგორც ვხედავთ, აქ ილია ქაჯავაძე გამოცხადებულია უკვე „ქართველი ნაციონალისტების ბელადი“. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მარის ზოგადიან მოწაფე თავის მასწავლებელზე კიდევ უფრო შორს წავიდა და იქამდე გაკადიერდა, რომ ქართველი ხალხის სასიქადულო მწერლებს შოვინისტებს უწოდებდა⁶.

ის აზრი, რომ ილია ქაჯავაძე და აკაკი წერეთელი ნაციონალისტები იყვნენ, სამწუხაროდ, დღესაც ცოცხალია. სულ ამ ცრუ ხნის წინად (1960 წ.) მოსკოვში გამოიცა კამიტალური ნაშრომი «Очерки истории исторической науки в СССР» მეორე ტომში, რომელიც სხვა რესპუბლიკებთან ერთად წარმოდგენილია ქართული ისტორიოგრაფიის მდგომარეობის მიმოხილვა. ამ ნაშრომში ცენტრალური ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიოგრაფიის რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების დამახასიათებელს; მასში დაწერილობით არის განილული არა მარტო საკუთრივ რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა, არამედ რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის რევოლუციონერ-დემოკრატთა ისტორიული შეხედულებანი, ოღონდ, არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატებზე. სამაგიეროდ, წიგნში ყოველგვარი ცდილობის გარეშეა წარმოდგენილი ყუბაღუბული დასების თეორიის სქემა, რომლის მიხედვით, როგორც ვიცით, თერგდალეულები ლიბერალუბად არიან გამოცხადებული. რაც შეეხება საკუთრად ილია ქაჯავაძეს, მის შესახებ წიგნის სათანადო პარაგრაფის ავტორი, ისტორიკოსი ე. გამაშვილი მკითხველს აუწყებს, თითქოს

¹ იქვე, გვ. 335.

² იქვე, გვ. 150.

³ იხ. ი. ქაჯავაძე, „ლექსები. პოემები, მოთხრობები“, 1937, გვ. XXX

⁴ იქვე.

⁵ Н. Я. Марр, «Избр. работы», т. 1, стр. 71

⁶ იხ., მაგალითად В. Муханкова, «Н. Я. Марр», 1935 г., გვ. 43, 175.

«Завчавадзе отстаивал националистические представления об «единстве» и «неделимости» нации»¹.

ეს მაგალითი მოწმობს, რომ ძველი თეორიის დამცველთა შორის დღესაც მოიპოვებიან მკვლევარები, რომლებიც არ თაკილობენ უწოდონ ქართველი ხალხის სამამყო მწერლებს «ნაციონალისტები».

როგორც უკვე ითქვა, ამჟამად ძველი თეორიის დამცველთა მდგომარეობა საქმოდ გაძნელებულია. თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლისა და დაფასების საქმე სწრაფად მიდის წინ. ვლინდება სულ ახალი და ახალი ფაქტური მასალა, რომელიც ძირს უთხრის და აქარწყლებს ძველ თვალსაზრისს; გარდა ამისა, თერგდალეულთა მემკვიდრეობის ნამდვილ დაფასებას დღედაღ უწყობს ხელს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაობა მრავალრიცხოვანი ნამუშევრები. ჩვენი ფართო საზოგადოებრიობა არა მარტო მეცნიერული ან მხატვრული წიგნების საშუალებით ეცნობა, არამედ სცენაზე და ეკრანზეც ხედავს თერგდალეულ მწერალთა ნაწარმოებების გმირებს და სულ უფრო მეტად სწავლობს ავის და კარვის გარჩევას.

დღევანდელ პირობებში ძნელია ამჟამად იქადაგო, რომ «გლახის ნაამბობისა» და «ბაშინჯის» ავტორები ნაციონალისტები და ბერძნულ-მემამულეების ინტერესების დამცველები იყვნენო. ამით აიხსნება, რომ ს. ხუნდაძის კონცეფციის თანამედროვე დამცველები (როგორც ზემოთ უკვე ითქვა), ახლა ყოველნაირად ცდილობენ შეალამაზონ, შეარბილონ და შენიღბონ² თავიანთი შემცდარი შეხედულებანი; ამასთან ისინი ცდილობენ დაასაბუთონ ეს შეხედულებანი მრავალრიცხოვანი, ვითომდა მარქსისტული ციტატების საშუალებით. ამიტომაცაა, რომ ახლა ეს მკვლევარები იშვიათად ღაპარაკობენ ილიას და აკაკის ნაციონალისტობაზე, ზოგჯერ აკრიტიკებენ კიდევ ს. ხუნდაძის ცალკეულ, მეტისმეტად უხვ მუშაობებს და ჩვეულებრივ თერგდალეულთა ხელმძღვანელებს უწოდებენ «დიდ პატრიოტებს», «სახელოვან

მწერლებს» და ა. შ. მაგრამ როცა საქმე მათს მეცნიერულ შეფასებაზე მიდგება, ისინიც მუდამ იმავე პრინციპით ხელმძღვანელებენ და ისეთსავე კრიტიკიუმს იყენებენ, როგორსაც მათი მასწავლებელი იყენებდა, სახელოვანი თერგდალეულებს ისინი ყოველთვის სთვლიან ლიბერალებად, ვ. ი. ბურჯუაშვილის ან გაბურჯუების ზნაზე შემდგარი თავდაზნაურობის იდეოლოგებად. მაგრამ ვინ არ იცის დღეს, რომ აქედან სულ ადვილია ილიას და აკაკის ნაციონალისტებად და მოვინისტებად გამოცხადება, რადგან ბურჯუაშვილი იდეოლოგია იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთშიც და ჩვენშიც სწორედ ნაციონალისტური და მოვინისტური სული-კვეთებით იყო გაყვნილი. ვინც იტყვის ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ლიბერალები იყვნენო, ის გარდუვალად მივა იმ დასკვნამდე, რომ ისინი ნაციონალისტებიც იყვნენ. სწორედ ასე ემართებათ ძველი თეორიის დამცველებს და ამ თეორიის ვერაფერითი «შეღამაზება» და «შერბილება» საქმეს ვერ შეეღის.

ა. კიკვიძეს თავის ნაშრომებში არაერთხელ მოუხსენებია გულაბილად და დიდი პატუის-ცემით ილია და აკაკი, რომლებმაც, მისი სამართლიანი თქმით, «მალა ასწიეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს»¹. ამხვე ავტორს ეკრთენის დაშაბურება ს. ხუნდაძის ზოგიერთი შემცდარი დებულების კრიტიკისა, როგორც თერგდალეულთა სოციალური, ისე ეროვნული პროგრამის გაგებისა და შეფასების ირგვლივ. მაგალითად, ა. კიკვიძემ საცემობს სწორად შენიშნა, რომ ს. ხუნდაძე შეტყობის უშეგბდა, როცა ერთ-ერთ გამოჩენილ თერგდალეულს დავით მიქელაძეს, რომელიც ქართველ ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ იარაღით საბრძოლველად მოუწოდებდა, «წმინდა წყლის ნაციონალისტად» აცხადებდა; ა. კიკვიძემ საქორდ მიიჩნია უარყო ს. ხუნდაძის ეს აზრი და განმარტა, რომ «შეფის რუსეთთან ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის ნაციონალისტობა კი არ არის, არამედ ეროვნული საქმე — ეროვნულა განმათავისუფლებელი ბრძოლა»².

ეს, რა თქმა უნდა, სასეზობთ სწორი აზრია. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ევლარ აბერხებს ამ სწორი დებულების შემდგომ განეთათარებას და დაწარჩენ თერგდალეულებზეც მის გავრცელებას, რის გამო საბოლოო ჯამში თვითონაც იმავე ფაღბი აზრის აღიარებამდე მიდის, რომელიც ცალკე შემთხვევაში სამართლიანად დაიწინა და უკუვლდო.

ა. კიკვიძის შეხედულებანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ ყველაზე

¹ იხ. «Очерки истории исторической науки в СССР», II, М., 1960, გვ. 755.

² აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ღაპარაკია არა რომელიმე ავტორის მიერ თავისი შეხედულებების შევნიშნულად შენიღბება ან შეთხვევლ საზოგადოებისათვის თვალის ახვევის ცდებზე, არამედ ობიექტური ვითარებაზე, რაც აიძულებს მკვლევარებს (ზოგჯერ მათდა შეუძინველად) იყენენ თავდაპირვლინი. ამა თუ იმ ავტორის, სუბიექტურად, შეიძლება ძალიანაც მოსწონდეს და უუვარდეს ილიას და აკაკის ნაწარმოებები, მაგრამ ის მაინც ვერ შესძლებს მათ ნამდვილ დაფასებას, თუ სწორი, მეცნიერული თვალსაზრისით არ შეიარაღდა.

¹ ა. კიკვიძე, «საქართველოს ისტორია», II, 1959 წ., გვ. 67

² იქვე, გვ. 84.

სრულად ჩამოყალიბებულია მის ნაშრომში «Общественно-политическое движение в Грузии в XIX веке (национально-освободительная борьба)», რომლის ავტორეფერატი დაიბეჭდა 1952 წელს, მასში ნათქვამია: «Демократическое движение передовой грузинской интеллигенции приняло широкий размах, и это не удивительно: грузинские шестидесятники потому возглавили национально-освободительную борьбу грузинского народа, что эта борьба являлась освободительной миссией самой молодой буржуазии».

Вопрос национальной свободы был в ту эпоху основным вопросом для поднимающегося класса. Это был исторический прогресс, поскольку освободителем нации в борьбе с феодализмом, как учит Ленин, является капитализм¹.

მუყევილი ციტატადან ნათელია, რომ ძველი თეორიის დამცველები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეფასების საკითხშიც არ დაღატობენ თავიანთ თავს და ისე ბურჟუაზიას ებლატეებიან. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ უკვე დაეინახეთ სრული უნადაგობა იმ აზრისა, თითქოს ჩვენში ბურჟუაზია აუცილებლად არსებობდა და ცივილიზაციის მედროშე და ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი ძალა, არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს იმის გაცემა, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო „ბურჟუაზიის მისია“. არა ეგვიანია, ამგვარად ჩვენი ბევრი მოიქმნის ისეთი მეცნიერი (თუნდაც ძველი თეორიის მიმდევარი), რომელმაც არ იცოდეს, რომ 60-იანი წლების საქართველოში ეროვნული ბურჟუაზია, როგორც კლასი, არ არსებობდა; არც ისეთი მკვლევარების არსებობაა საგულეველი, რომლებიც დაიჯერებდნენ, რომ უცხოელ კაპიტალისტებს, — მაშინ ჩვენ ქვეყანაში თავისუფლად რომ დაბარბაშებდნენ, ან თუნდაც სიმშური წარმოშობის ბურჟუებს, — ყველა ამ რქვებს, გოშტრანტერებს, როზორდუებს, შეიკერებს, ბოზარჯიანებს და მიჩხოვეებს, — თითქოს აწუხებდათ ქართველი ხალხის ეროვნული ტყვეობი. პირდაპირ გულბრყვილობაა, რომ 60-იანი წლების საქართველოში ვეჭვობთ რაღაც არ არსებული „პროგრესული ბურჟუაზია“ და ვერ დაეინახეთ შრავალიციზაციის ქართველი გლეხობა, რომელიც იარაღით ხელში ებრძოდა თავდაზნაურობასაც და თვითმყრობელობასაც.

მაგრამ დაეინახეთ ამზე ლაბარაკს თავი,

რადგან ეს საკითხი ისედაც ნათელია, და უნახოთ, როგორ აქვს წარმოდგენილი ჩვენი ავტორის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარების პროცესი: მისი ავტორეფერატი ნათქვამია: «Национально-освободительная борьба в 70—80-х годах, возглавляемая демократической интеллигенцией, сыграла историческую роль в деле защиты национальной самобытности, языка и национальной культуры. Однако это движение демократической интеллигенции, объективно представлявшей классовые интересы буржуазии, являлось буржуазным национальным движением, которое не могло дать народу национальной свободы... Национальное движение буржуазии вырождается в национализм»¹.

თუ ის საბოლოო წერტილი, სადაც აუცილებლად უნდა მიხუთდებოდა და მივიდა კლდეც ჩვენი ავტორი.

ამ სრულიად უსაფუძვლო და შემდეგ არის დასამტკიცებლად ძველი თეორიის დამცველები მიმართავენ ერთდღერთ „საიმედო“ მეთოდს, რომლის საშუალებით ამ ქვეყანად უკვლავის „დაბრკელება“ შეიძლება: ეს გახლავთ ციტატური მეთოდი. ავტორები, რომლებიც ამ მეთოდით სარგებლობენ, ჩვეულებრივ კმაყოფილებიან ცალკეული, დროისა და სივრცის გარეშე აღებული ციტატებით, რომლებიც ასე თუ ისე „უღვება“ მათ საკუთარს, წინასწარ შემუშავებულს თეორიისა. ასეთი ავტორები აიღებენ ხოლმე მარქსიზმის კლასიკოსთა ერთ რომელიმე ცალკე ნაშრომს, რომელიც, ვთქვათ, მათთვის საინტერესო საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს ეხება, და ამენებენ მასზე მთელ თავის მსჯელობას ისე, რომ ანგარიშს აღარ უწყვიან მარქსიზმის კლასიკოსთა სხვა ნაშრომებს, რომლებშიც გაშუქებულია იმავე საკითხის მეორე მხარე; ან კიდევ: აიღებენ მარქსიზმის კლასიკოსთა მარტო იმ ნაშრომებს, რომლებშიც რომელიმე საკითხთან დაკავშირებით საქართველო მოხსენებული და უფრადლებას აღარ აქცევენ სხვა ნაშრომებს, რომლებშიც თქმვა საქართველო არ არის მოხსენებული, მაგრამ იგივე საკითხი უფრო სრულად და ყოველმხრივ არის განმარტული. ასეთი მეთოდის გამოყენების შედეგად ხშირია შემთხვევები, როცა მარქსიზმ-ლენინიზმის ციტატები იქცევიან თავისებურ საფარად, რომლის შემწეობით უხეშად მახანჯდება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება.

ჩვენი მკვლევარები (ძველი თეორიის დამცველები) ცალკეული ციტატებით რომ არ იყვნენ მერისმეტად გატაცებულნი და ამის ნაცვლად ყურადღებით სწავლობდნენ ლენინის ნაშრომებს, ისინი ბევრს საგულესხმოს გაიგებდნენ სადავო

¹ იხ. დასახელებული ნაშრომის ავტორეფერატი, გვ. 19.

¹ იქვე, გვ. 24-25.

საქათხე ლენინის თუნდაც ისეთი შესანიშნავი ნაშრომიდან, როგორცაა ნაშრომი „ერთი თეატრალური კვლევის უფლებების შესახებ“; ისინი ვიცავებდნენ, კერძოდ, რომ „მარქსისტული თეორიის უფრო მოთხოვნის ყოველგვარი სოციალური საკითხის ვარჩევის დროს წარმოადგენს მისი ჩასმა განსაზღვრულ ისტორიულ ჩარჩოებში, ხოლო შემდეგ, თუ დაპირაჟია ერთ ქვეყანაზე (მაგალითად, ნაციონალურ პროგრამაზე ამა თუ იმ ქვეყნისათვის), ამ კონკრეტულ თავისებურებათა აღრიცხვა, რომლებიც ამ ქვეყანას სხვებისაგან განასხვავებენ ერთი და იმავე ისტორიული ეპოქის ფარგლებში“¹.

ისინი ბევრს საფუძვლადს ვაჩვენებდნენ აგრეთვე ლენინის სხვა ნაშრომებიდან, რომლებიც ეროვნული საქითხისადმი მიძღვნილი, კერძოდ, ნაშრომიდან „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საქითხზე“, რომელშიც საქართველოზეა დაპირაჟია. ამ ნაშრომში ლენინი დაუნდობლად ამბობს: „ყველა ქვეყნის, და მათ შორის, საქართველოს ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ამხელს მის გამყვამდურ ბუნებას და ლაქირს სულს. ლენინი ამჟღავნებს კერძოდ ბურჟუაზიის მოღალატეობას ენების საქითხში, რომელსაც ლიბერალური „უღვებანი როგორც თვალმაჟიკო ჩარჩები“. და მზად არიან იყავრონ დედა-ენით. ამავე დროს ლენინი იქვე გვიჩვენებს იმის მავალით, თუ როგორ არ უნდა ავიოთ ერთმანეთში ნაციონალიზმი და დემოკრატია. „არც ერთი დემოკრატია, მით უმეტეს არც ერთი მარქსისტი არ უარყოფს ენათა თანასწორუფლებიანობას“, ამბობს ლენინი და დამაჯერებლად ცხადყოფს იმ არსებით განსხვავებას, რომელიც ეროვნულ საქითხში დემოკრატებსა და ლიბერალებს შორის არსებობს.

იმავე ნაშრომში ჩვენს მკვლევარებს (ქველი თეორიის დამყველებს) შეეძლოთ წაეკითხათ ლენინის შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: „თვითუფლ ნაციონალურ კულტურაში მოპოვება, განუყოფარებად მიანიც, დემოკრატული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თვითუფლ ერთი არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები ვარდუფლად წარმოიშობენ დემოკრატულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ თვითუფლ ერთი არის აგრეთვე ბურჟუაზიული კულტურა (ხოლო უმრავლესობაში კიდევ-შავარაზული და კლერკალური) — ამასთან არა მარტო „ელემენტების“ სახით, არამედ გაბატონებული კულტურის სახით“².

ნუთო ამ სრულიად ნათელი სიტყვების შემდეგ, შეიძლება მარქსისტულ თვალსაზრისზე

მდგომში მკვლევარმა ერთმანეთში ავიოთ, ერთი მხრივ, დემოკრატული კულტურა და იდეოლოგია, რომელსაც მშრომელი ექსპლოატირებული მასის ცხოვრებისაპრობები წარმოაშობს და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიის კულტურა და იდეოლოგია, რომელიც გაბატონებული და ექსპლოატორული კლასის ინტერესების გამოსახტულებაა?!

ან იქნებ ფიქრობენ, რომ ქართული ერთი რაღაც გამოჩაყლის შეადგენდა და აქ არ ყოფილა დემოკრატული კულტურა და დემოკრატული იდეოლოგია? რატომ აღარბებენ ასე ზენი ერთს კულტურას?! რატომ ვერ ზედვენ XIX საუკუნის საქართველოს იმ შესანიშნავ დემოკრატულ ლიტერატურას და ამოკრებებს, რომელიც დამაშენებდა ყოველ ერთს და რომელიც სამართლიანად იამაყებდა საქართველოზე ბევრად დიდი ერის შვილიც?!

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, რომელიც თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე შეცნიერებაა, თუ მას კარგად შევისწავლოთ და საქართველოს ისტორიის მოვლენების კვლევისას გამოვიყენებთ არა თალმდისტრად, არამედ მარქსისტულად, დაგვეშარება სწორად ავსნათ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსი და ღირსეულად დავაფასოთ ამ მოძრაობის სახელოვანი ზღვმძღვანელები. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მარქსიზმის კლასიციოსთა არც ერთი დებულება, არც ერთი ციტატი, რომელიც ნამდვილად და არა მოწინავეთადად, აღასტურებდეს საქართველოს სოციალურ და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ თავდადებულ მოღვაწეთა ძირითადი იდეებისა და პრინციპების არადემოკრატულ ხასიათს, მათს ვითომდა ბურჟუაზიულ-ლიბერალურს, თუ თავადანაურულ-ლიბერალურ შინაარსს.

კიდევაც რომ არ გავაჩნდეს ლენინის პირდაპირი მითითება ჩაგრული ქვეყნის ხალხთა ბურჟუაზიულ-დემოკრატული ეროვნული მოძრაობის არსის შესახებ, როგორც კვლახური დემოკრატის გამობატულებისა, მარქსისტული მკვლევარისათვის ეს კუმარიტება მიანიც უდავო იქნებოდა, რადგან იგი ლენინიზმის მთელი მოძღვრებიდან გამოიღინარეობს, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ საქითხზე ჩვენ მოგვეპოვება ლენინის პირდაპირი და თანაც ზუსტად ჩამოყვლიბებული მითითება, რომელშიც არ შეიძლება სერიოზულად არ დააფიქროს ციტატების მრავარული მკვლევარები. მხედველობაში გვაქვს ლენინის მოხსენება კომინტერნის II კონგრესზე 1920 წელს, სადაც ნათქვამია:

„მე მიწოდდა განსაკუთრებით გამესვა ხაზი ბურჟუაზიულ-დემოკრატული მოძრაობის საქითხისათვის ჩამორჩენილ ქვეყნებში. სწორედ ამ საქითხში გამოიწვია ზოგიერთი უთანხობება.

¹ ე. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 489.

² ე. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 10.

ჩვენ ვეღობდით იმაზე, პრინციპულად და თეორიულად სწორი იქნებოდა თუ არა იმის განცხადება, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა და კომუნისტურმა პარტიებმა მზარდი უნდა დაუჭიროებინათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობას ჩამორჩენილ ქვეყნებში; ამ დისკუსიის შედეგად, ჩვენ მივედით იმ ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე, რომ „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ მოძრაობის ნაცვლად ვილაპარაკოთ ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაზე. არავითარი გვეყვარება, რომ მზარდი ნაციონალური მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყოს, ვინაიდან ჩამორჩენილ ქვეყნებში მოსახლეობის მთავარი მასა შედგება გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმომადგენელია¹.

როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა რომელიმე უადგილოდ მოტანილ, სადავო ციტატასთან, არამედ ლენინის სამპროგრამო განცხადებასთან, რომელიც შეეხება სპეციალურად ჩვენთვის საინტერესო საკითხს და რომელიც ერთსულოვანად არის მიღებული კომუნისტურ ინტერნაციონალში წარმოდგენილ კომპარტიების წარმომადგენელთა შორის აზრთა გაყვლა-გამოცვლისა და დისკუსიის შედეგად.

და აი, ასეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი სრულად გარკვევით და ნათლად აღსტერებს, რომ ჩამორჩენილი ქვეყნების ნაციონალურ-რევოლუციური (ანუ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი) მოძრაობა არსებითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობაა არა იმიტომ, რომ მას ბურჟუაზია (თუნდაც ახალგაზრდა, ან „ნორჩი“ ბურჟუაზია) ზღვმდევანულობს, ჰეგემონობს და ა. შ., არამედ იმიტომ, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში, — ისეთებში, როგორიც იყო, მაგალითად, XIX საუკუნის საქართველო, — მოსახლეობის მთავარი მასა შედგება გლეხობისაგან, რომელიც კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმომადგენელია“. მაშასადამე, თუ ლაპარაკია ჩამორჩენილი და ზაგრული ქვეყნის ეროვნულ მოძრაობაზე, მაშინ, ცნებები: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“ ანუ „ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა“ და „ბურჟუაზიულ დემოკრატიული“ ანუ „გლეხურ-დემოკრატიული მოძრაობა“, არსებითად და ძირითადად ერთი და იგივე შინაარსის ცნებებად უნდა მივიჩნიოთ.

საკითხის ამგვარად გაგების შემდეგ, საესებოთ ნათელი ხდება აზრი და მნიშვნელობა ლენინის ცნობილი ფორმულისა, რომელსაც ჩვენნი მკვლევარები (ძველი თეორიის დამცველები) ძალიან ხშირად იმეორებენ ხოლმე, მაგრამ რომლის ნამდვილი შინაარსი მათთვის გაუგებარია. მხედველობაში გვაქვს ფორმულა, რომელშიც რუსე-

თის განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი პერიოდებია განსაზღვრული და რომელიც არსებითად ემთხვევა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას პერიოდებს. აი, ეს ფორმულა:

„განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვათდნენ: 1) თავადანაწერული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინიკული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან“¹.

ძველი თეორიის დამცველები, რომლებიც ამ ფორმულას ხშირად იმეორებენ, განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპს ჩვეულებრივ იხსენიებენ ხოლმე, როგორც „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს“, ხოლო ცნებას „რაზნოჩინიკულს“ — საესებოთ გვერდს უვლიან. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი გულმეიწყობა არ არის, საქმე ისაა, რომ მათი გაგებით „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ — ბურჟუაზიის იდეოლოგიის ნიშნავს, „რაზნოჩინიკები“ კი, როგორც ყველასათვის ცნობილია, უმთავრესად წერტილ-ბურჟუაზიის (გლეხებს, ხელოსნებს, წერტილ ვაჭრებს) ჰქვია; მაშასადამე, მათი ფიქრით ლენინის ფორმულა რაღაც, წინააღმდეგობებს შეიცავს. და აი, ისინიც შეუმჩნევლად „აემუჯობებენ“ ლენინის ამ ფორმულას. მათ, ცხადია, არ ესმით, რომ ლენინი რუსეთის პირობებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სწორედ წერტილ-ბურჟუაზიას („რაზნოჩინიკებს“) მიიხსენებს; სწორედ ამიტომაც, რომ იმავე წერტილში ლენინი რაზნოჩინელთა რიცხვს მიაყუთენებს რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და გლეხური იდეოლოგიის ისეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ ბელინსკი, გერცენი და ჩერნიშევსკი².

ამგვარად ჩვენში თითქმის არც ერთი მკვლევარი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ თერგდალულები აღიზარდნენ ჩერნიშევსკისა და მისი თანამოაზრეების იდეებზე; მიუხედავად ამისა, ძველი თეორიის დამცველები მაინც ცდილობენ გამოჩინონ რაღაც პრინციპული სხვადასხვაობა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის საზოგადოებრივ შეხედულებებსა და თერგდალუელთა საზოგადოებრივ შეხედულებებს შორის. თუმცა ასეთი ცდები აქამდეც უნადავო იყო, მაგრამ ეს ყველასათვის ნათელი არ იყო, დღეს კი, როცა აღმოჩნდა ახალი, რუსეთის რევოლუციური მოძრაობაში თერგდა-

¹ იქვე, ტ. 20, გვ. 292.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 293.

ლელთა უღრესად აქტიური მონაწილეობის დამადსტრუქტურული მასალები, ყველასათვის ცხადი და ნათელი გახდა (ან უნდა გახდეს) ამ ცდების სრული უსაფუძვლობა. მრავალრიცხოვანი ისტორიული ფაქტები ჩვენთვის სრულიად უდავოს ხდის რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირდაპირ იდეურ ნათესაობას, თერგდალეულებისა და რუსი რევოლუციონერების პრინციპების, მიზნებისა და მოქმედებას ერთგვარობას. ეს სავსებით სწორი და ისტორიულად კანონზომიერი მოვლენაა, და სხვათაირად შეუძლებელი იყო.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა აქედან ის დასკვნა გამოვეტანა, რომ რუსეთის რევოლუციური დემოკრატიებისა და თერგდალეულების წინაშე ისტორიულად სავსებით ერთნაირი ამოცანები იდგა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ამოცანები იმდენადვე განსხვავებული უნდა ყოფილიყვნენ, რამდენადვე განსხვავდებოდა რუსეთისა და საქართველოს მაშინდელი ცხოვრების პირობები.

თუ რუსეთის გლეხობა ბატონყმური წეს-წყობილებისაგან გამოწვეულ სოციალურ ჩაგვრას განიცდიდა და ამის შესაბამისად საკუთრივ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპის უმთავრეს და უპირველეს ამოცანას ბატონყმობის და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, საქართველოში უდავოდ განსხვავებული მდგომარეობა იყო; ქართველი გლეხი იხარებოდა არა მარტო როგორც გლეხი, არამედ აგრეთვე როგორც ქართველი; ე. ი. როგორც ჩაგრული ერის შეილი; მის სჯიჯგინდენ და სისხლს სწოედნენ როგორც ადგილობრივი მხაჯრელები — შემამულეები და ბურეები, ისე შეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი ჩინოვიციები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მოესპობათ საქართველო და ქართველი ერი, ადევგავთ პირისაგან მიწისა მისი ენა და ელტურა. ასეთ პირობებში, ცხადია, არ შეიძლებოდა, რომ თერგდალეულებს სოციალურ უსამართლობასთან ერთად განსაკუთრებულად მშფავით არ ეგრძნოთ აგრეთვე ეროვნული უსამართლობა და ჩაგვრა; მამასაღამე, არ შეიძლებოდა, რომ მათ თავიანთი განსაკუთრებული ზრუნვის სავნად ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, არ ეტყიათ ხალხის ეროვნული ინტერესების, მისი ენისა და ელტურის, მისი ეროვნული თვითმყოფლობის დაცვა დესპოტური სახელმწიფოს ხელყოფისაგან. თერგდალეულებმა კარგად იცოდნენ, რომ თვითმპყრობლობის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ შეეძლოთ თავიანთი რუსი თანამოაზრეების სრული მხარდაჭერისა და დამხარების იმედი

ქონოდათ; ეს გარემოება მათ მხედობა და ენერჯიას მატებდა, გამარჯვების რწმენას უნერჯავდა; ისინი ამაყობდნენ მიტოვრულ გულმსახიასა და ზერნიშვესკის ბანაკს ექვრნილტმენნი მხატრამ ამასთან ერთად, მათ ისიც კარგად ესმოდათ, რომ ქართველი ხალხის განთავისუფლება უპირველეს ყოვლისა თვით ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე ინტელიგენციის საქმე იყო; მათ ესმოდათ, რომ თვით თერგდალეულებს, რომლებიც ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ავანგარდში იდგნენ, თავიანთ მხრებზე უნდა გადაეტანათ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე; მათ უნდა გაეღვიძებიათ ხალხი და გაძლიროდნენ წინ მხაჯრელთა შესამუსრავად.

ეს დიდი მიზანი აძლევდა ბუმბერაზულ ძალას ილიას, აყაის და მათ ირგვლივ შემოკრებულ შესანიშნავ ადამიანებს.—ქართველი ხალხის ამ განათლებულ, კეთილშობილ და თავდადებულ შვილებს. ქართველი ხალხის წინაშე აღმართული საფრთხე, ერის სასიცოცხლო ინტერესები ავადებდა მათ დღენიდაც ეფიქრათ და ეზრუნათ თავიანთ „უაფორზ ხმელთ-ზურაშხტ“ სამშობლოზე, რათა შეეშუბუტქებინათ მისი ეროვნული ტყვიელები. ამასთან რაც უფრო ძლიერდებოდა თვითმპყრობელობის მხრივ კოლონიური ჩაგვრა, მით უფრო მწვავედებოდა ეროვნული საკითხი და ამის შესაბამისად იზრდებოდა თერგდალეულთა წინააღმდეგობის ძალაც. ამით აიხსნება, რომ ბატონყმობის გადაყარდნის შემდეგ, თერგდალეულებმა ეროვნული საკითხი ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვან საკითხად, ქართველი ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გამოაცხადეს, ხოლო უკვე დანარჩენი საკითხი მას დაქვემდებარეს.¹

¹ ამასთან დაკავშირებით გვიხდა აღნიშნობა, რომ კრიტიკოსმა გ. მარგალიაშვილმა, რომელიც ამ ეორა ხნის წინათ სანატიკრესო ნაშრომი მოაქდნა ა. წერეთლის სოციალფიზმისა და შემოქმედების შესწავლას, სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა ის შილევარები, რომლებიც, ვერ ამჩნვიენ რა შინაგან აქმირის რეპოლოციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შორის თერგდალეულებს (მათ შორის აყაის) ლიბერალუდობად აიხადებენ. ოღონდ უნდა შეინშნოთ, რომ ავტორი, სამწუხაროდ, არ უჩვენს სათანადო ანგარიშს ისტორიულ ფაქტებს და ნაშპარვე დასკვნას აკეთებს; მარტო კრაკოვის 1846 წლის აჯანყების მავალითზე მითითებით იმ დასკვნის გამოყვანა, რომ თითქოს თერგდალეულები ყოველთვის თვით 90-იან წლებადვე ერთნაირად უჭერდებოდნენ ეროვნულ და სოციალური განთავისუფლების ამოცანებს, არასწორად მოგვიანია; თუ საქმე პოლონეთთან შედარებულა, საქართველოს 60-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობა უნდა შევეადაროთ არა კრაკოვის 1846 წლის რევოლუციის, რომელიც თვით პოლონეთისთვისაც არ იყო დამასასათებელი, არამედ პოლონეთის 1863 წლის განმათავისუფლებულ აჯანყებას, სადაც კლასობრივ ძალთა თანაბარობა, კრაკოვის რევოლუციისთან შედარებით, სხვაგვარი იყო.

თერგდალეულები იყვნენ სამშობლოს ერთგული შეილები, თავდადებული პატრიოტები, რომლებიც შზად იყვნენ სიცოცხლაც კი შეეწირათ ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. მაგრამ ისინი იყვნენ არა ბატონყმური სამშობლოს, არა მეფის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის საქართველოს პატრიოტები, არამედ დემოკრატიული საქართველოს, მშრომელი ხალხის სამშობლოს პატრიოტები. მათი პატრიოტიზმა სრულიადაც არ უოფილა ნაციონალიზტურად შეზღუდული და შეიცავდა ინტერნაციონალიზმის იდეებს, სხვა ერებისა და ხალხებისადმი, მათი მოწინავე ადამიანებისადმი პატივისცემის. მათთან თანამშრომლობისა და მეგობრობის იდეებს. ამით აიხსნება, რომ თერგდალეულები ხალხით თანამშრომლობდნენ და მეგობრობდნენ არა მარტო რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან, არამედ აგრეთვე პოლონელ, უკრაინელ, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვ. რევოლუციონერ-დემოკრატებთანაც.

ასეთია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილი გაცემა თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით.

ასეთია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და გლეხური დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულება.

ყოველივე ზემონათქვამიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გაეკეთოს: ამჟამად ქართულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებას მოგოვება უმდიდარესი ფაქტიური მასალაც და უტყუარი თეორიული საფუძველაც იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოგვეცეს გასული საუკუნის საქართველოს გამოჩენილი ადამიანების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ვიორჯი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის და სხვათა ნაღვაწ-ნაშრომისა თუ ნაფიქრ-ნაზრუვის სწორი, მეცნიერული შეფასება.

ასი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც თერგდალეულები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ. იმ დროიდან მოყოლებული მთელი საუკუნის განმავლობაში ვრძელდება კამათი იმის შესახებ, თუ საზოგადოების რომელი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა მათი მოღვაწეობა და შემოქმედება. ამ საკითხის სწორ გადაწყვეტას წინათ ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, ჩვენი

მეცნიერული აზრის ჩამორჩენილობა, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა კლასებისა და პარტიების ინტერესთა ურთიერთ დამპირისპირებულობა. მაგრამ ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანაში აღარც სხვადასხვა, ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასები არსებობენ და მეცნიერების განვითარებისათვის უშავალითა პირობებია შექმნილი, ერთდერით დაბრკოლებად ზემოხსენებული საკითხის გადაჭრის გზაზე შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის თავმოყვარეობა; მაგრამ რა არის ჩვენი პირადი თავმოყვარეობა ისეთ დიდ მიზანთან შედარებით, როგორცაა ქართველი ხალხის სახელოვანი შეილების ღირსეული დაფასება?!

ჩვენი ღრმა რწმენით, თანამედროვე ქართული მეცნიერული აზრის გადაუღებელი ამოცანაა, რაც შეიძლება მალე ჩამოიშოროს გზიდან ყალბი დანაშრეგება და მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დაყრდნობით შეიმუშოს მეცნიერული თვალსაზრისი სახელოვან თერგდალეულებზე. ეს საჭიროა არა მარტო ისტორიისათვის, არამედ კიდევ უფრო მეტად ჩვენი დღევანდელი მოსახლეობისათვის, — საბჭოთა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ძალიან მოკლედ გავაყენებ მკითხველს თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების ასალი გაგება, რომელიც ჩამოყალიბდა არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, როგორც ჩვენი საკუთარი, ისე მრავალი სხვა ავტორის ხანგრძლივ შრომითა და შეცადინებობით. სამწუხაროდ, ნაშრომში ჩვენ ვერ ავიღეთ პოლემიკას, მაგრამ იმედია, მკითხველი გაითვალისწინებს, რომ ეს თვით საგნის უკეთ გაგების ინტერესებით იყო ნაქარნაბევი.

შეცდომებისაგან არავინ არ არის დაზღვეული (და მათ შორის, ცხადია, არც ამ სტრიქონების ავტორი). მაგრამ ჩვენ ვაქტივებით არა პიროვნებებს, არამედ აზრებს, რომლებიც წინათ შესაძლოა მოსათმენი იყვნენ, დღეს კი აფერხებენ ჩვენი კულტურის წინსვლას, და გადაჭრით უნდა იქნან დაგმობადი.

სამხარკი ბარჩილამ

ილია ჭავჭავაძის ღრამბატურილის წყაროები

ილია ჭავჭავაძემ ქართული ღრამბატურის განვითარებაში საკეთარი წილილი შეიტანა. მართალია, ი. ჭავჭავაძის პიესების რიცხვი არაა დიდი და ისინი მოცულობის სიდიდითაც არ გამოირჩევიან, მაგრამ მაშინდელი დროისათვის ეს პიესები ქართულ მწერლობაში ახალ სიტყვას წარმოადგენდნენ.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ბატონისა და ყმის, გლეხისა და თავადის, დანაგრეულისა და დამწავრელის ურთიერთდაპირისპირება. თუ ბატონის მომართ ილია „კაკო ყაჩაღი“ იყენებს ეპითეტებს: „მხეცი“, „აჯამი“, „გულჭვა“, „რგვენი“ და, რაც მთავარია, ბატონებზე ყმის ათქმევინებს: „თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყო-სო“, — სამაგიეროდ ამავე ნაწარმოებში სულ სხვაგვარია ყმების დამახასიათებელი ნიშნები. ზაქროს შამი, ყმა გლეხი, პოემაში დახასიათებულია, როგორც „მხეცი“, „მარჯვე“, „დაულა-ლაი“ და „ბეჯითი“ პიროვნება. კაკო და ზაქრო სიციცხლით სავსე „ამაყ“, „მედგარ“, „შამაიცი“ და „ფხიზელ“ ადამიანებად არიან წარმოდგენილი. კაკო „შალაა, როგორც ხირიშის ტყვია“ და მტერთან „ტყევისაგით დაუნდობელი“. ეს მაშინ, როდესაც კაკოს მტრად პოემაში წარმოდგენილია მებატონე თავადანაურობა. ამით მწერალი გვანინებს, რომ ნამდვილი მშრომელი ადამიანები, შემქმნელი ქვეყნის დოვლათისა, მოწინააღმდეგე არიან „რგვენი“ ბატონებისა, რომლებიც მათ იძულებულს ხდიან ხელი აიღონ ქვეყნის დოვლათის შემქმნაზე, მიატოვონ ცხოვრება და მიამურონ ტყეს, სადაც „არ არის გმობა“ და თვითონვე არიან თავის თავის ბატონი, მებრძოლი ყმა გლეხისადმი ღრმა სიყვარული საერთოდ დამახასიათებელი ილია ჭავჭავაძისათვის. არსენა, ზაქრო, კაკო და ვაბრო მისი სათაყვანებელი გმირებია.

ღრამბატური პოემა „კაკო ყაჩაღი“ დაწერილია ბატონყმური ცხოვრების ღრმა დაკვირვების ნიადაგზე. მაშინდელი სოციალური ვითარების გამო საბრძოლველად გამოსული ყმები (არსენა ოძელაშვილი, გუხუარაშვილი და სხვ.) იყვნენ კაკოსა და ზაქროს პარტოტები.

ილია ჭავჭავაძემ „კაკო ყაჩაღის“ შემდეგ,

1865 წელს დასწერა ღრამბატური ნაწარმოებ „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, რომელშიაც მან გამოხატა დამოკიდებულება ახალგანთავისუფლებულ გლეხსა და ნაბატონარს შორის. მწერალი ამ მხრით წარმოგვიდგენს რეალისტურ სახეებს, როგორც გლეხობიდან, ისე თავადანაურთა წრიდან.

„სცენებში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყოფილი ყმა გლეხის გლახა ჭრიაშვილის სახე. გლახა აღზრდილია ბატონყმური ცხოვრების პირობებში. ბატონყმური ცხოვრება მის გონებაში ისე გააქადა, რომ მასში მონის ფსიქოლოგია დაუქვიდრებია. მართალია, გლახა ბატონყმური ცხოვრების დაუბნავებია და მისი აზროვნება დაუსაზიარებია, მაგრამ მის მსჯელობაში მაინც მოიპოვება ნათელი ადგილები. იგი ხალხის წიაღში აღზრდილი ადამიანია და მას ხალხიდან ბევრი რამ კარგი აუთვისებია. ეს შეინიშნება იქ, სადაც გლახა მსჯელობისას ხალხურ სიბრძნეს, ანდაუბებს იყენებს. მართალია, ამ ხალხურ სიბრძნეს იგი თავის მსჯელობასთან ლოგიკურად ვერ აკავშირებს, მაგრამ ხალხურობას მის მსჯელობაში მაინც შეიქვს სინათლე.

„ახანურის ქვრივის“ სახით ი. ჭავჭავაძემ „სცენებში“ დაგვიხატა ისეთი ბატონის ტიპური სახე, რომელიც ბატონყმური ცხოვრებით სულდგმულია და გლეხს ადამიანად არ სთვლის, ვერ წარმოუდგენია გლეხობის ყმობისაგან განთავისუფლება, „კეთილშობილისა“ და გლეხის თანასწორუფლებიანობა. ქვრივი ბატონყმური ცხოვრებას მიუჩვენია გლეხს ისე უყუროს, როგორც პირტყვის. ცნობილია, რომ ბატონები „განთავისუფლებულ“ გლეხში ხაზინიდან 25 წანეთს საფასურს იღებდნენ, თითქოს პირტყვის გამოსყიდვა ხდებოდა. ადამიანს ღირსებისადმი ამ შურისცემყოფელ მოქმედებას ი. ჭავჭავაძემ დასცინის, როცა ქვრივის ათქმევინებს: „კახური ღორი ზოგჯერ მეტადაც იყიდება“. ამით მწერალი ხაზს უსვამს იმ დამამიკრებელ გაჩემობას, რომელსაც ყმების მიმართ საგლეხო რეფორმა შეიცავდა.

ყოფილი ყმა მოითხოვს, რომ შემავიწროებული ბატონი გლეხობას მოამოროს, ისეთი

განცხადება ბატონის მიმართ, ქვერთვა წარსულის გამოცდილების მიხედვით, გლეხების აჯანყებად მიიჩნია და სასამართლოში ვაისმის მისი უფროლი: — „ბუნტია, მა რა არის? თქვენმა მხემ, ბუნტია... ხოლო, როცა ქვერთვის ღანძლავინებად გლეხების მიმართ უმადლეს წერტლს მიადწია „პოსრტლენკა“ იგი კანონის სახელით დააჯარიმა, ამით უფილი ბატონი თითქოს მოტყუდა, მაგრამ „ჩვეულება რკულზე უმტყუცსიაო“, და ცოდა ხნის შემდეგ მან ისევ თვისებურად განაგრძო გლეხების შეურაცხყოფა, მას სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია. აღსანიშნავია, რომ ქვერთვი თავის მტაცებულ მოქმედებას ზნორად ამართლებს ვახტანგ მეექვსის კანონების მიხედვით.

„სცენებში“ ნათლადა გამოხატული ის აზრი, რომ საპირაო ნაყმევსა და ნაბატონარს შორის წინააღმდეგობას ბოლო მოეღოს და მოდებათა შორის უფლებრივი უთანასწორობა მოისპოს. „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“ ძირითადად სატირული ხასიათის კომედიური ნაწარმოებია, რომელშიც, ისე როგორც ყველ სატირულ ნაწარმოებში, წინა პლანზე წამოწეულია უარყოფითი. მწერლის დამოკიდებულება ქვერთვისადმი, პირველ ყოვლისა, მისი შინაგანი, ანტისაზოგადოებრივი ხასიათის ვახსნითაა ვადმოცემული, ყოველივე ეს ისეთი რეალისტური ფერტიბათაა გამოხატული, რომ ჩვენ თვალწინ რჩება ბატონმეღებელი სახე გლეხობის მტანჯველი ვატიონია.

ქვე ვერადა აღვნიშნათ, რომ მესამე სცენებში ი. ჭავჭავაძე, როგორც კრიტიკულ-რეალისტური სკოლის მეთაური, განსაკუთრებული ყურადღებით ხატავს უარყოფითს, აღსანიშნავია, ისიც, რომ უარყოფით ტიპებად ძირითადად მწერალი თავადანხურთა წრიდან გამოსლუ პირებს წარმოგვიდგენს. „სცენებში“ გლეხი, თვით გლახა პრიაშვილიც კი, გამოყვანილია, როგორც პატიოსანი, მშრომელი ადამიანი. ი. ჭავჭავაძემ „კაცია—ადამიანი“ ავტორადვე წარმოგვიდგინა გლეხის ქალი, ღამაზისეული.

მაგრამ „გლეხთა განთავისუფლების სცენებში“ მატრო უარყოფითი როლია წარმოდგენილი, სცენებში ნაჩვენებია დადებითიც, რომელშიც მომავალში უნდა დაიჭიროს უარყოფითის ადგილი. თუ ქვერთვა და გლეხობას შორის მტრული დამოკიდებულება არსებობს, სამაგვაროდ არიან ისეთი თავადები და გლეხები, რომლებიც ერთმანეთ შორის კეთილი დამოკიდებულებით არიან შეჯავრებულნი. ასეთის ჩანასახებია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოხატულია სცენებში. მწერალი გლეხობის შემავიწროებელ თავადანხურთა მიმართ იყენებს სატირას და ამ გზით ასურათებს მათ სახეებს, როგორც ანტისაზოგადოებრივს. ამასთან ერთ-

თად, იგი ახალ ურთიერთობაშიც ხედავს ჩანასახებს დადებითსას, პარპონიული დამოკიდებულებისას, რომელშიც უნდა შესწავლინოს წმინდათა შორის მტრული დამოკიდებულება.

იმგვარად, „გლეხთა განთავისუფლების სცენებში“ ორი საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენაა ნაჩვენები, უარყოფითი და დადებითი, რომელიც მომავალში უნდა განვითარდეს. სატირი ამ შემთხვევაში მიზნად ისახავს ბატონმეღებელი ცხოვრების მხილებასა და შედარებით ახალი, პროგრესული ურთიერთობის დამკვიდრებას. ეს გარემოება „გლეხთა განთავისუფლების სცენებს“ თავისებურ მხატვრულ სახეს აძლევს, რადგან ასეთი აღწავლობის სატირულ-დრამატული ნაწარმოები ქართულ მწერლობაში მანამდე არ იყო.

ენობლია, რომ ი. ჭავჭავაძემ ერთიან ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად ხალხის სასაუბრო მეტყველება დაუდო. ამასი გამოხატა მისი, როგორც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის, დიდი როლი. ამისათვის იგი სწავლობდა ხალხის ენას, იწერდა ხალხურ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ბრძნულ გამოთქმებს.

„შეზავრის წერილებში“ მოხვეის საუბარი დაფუძნებულია მოხვეთა ცხოვრებისა და მეტყველების ცოდნაზე. სიტყვა „პეიტარი“ (საქონლის ექიმი) რომელიც ი. მეუნარგის მოწმობით ილიას ხალხში გავგონია და ჩაუწერია, მწერალი გამოყენებული აქვს „შეზავრის წერილებში“. მოხვეე ამბობს: „ერთი ყოფილა პეიტარ-ბერ-კაცი, მოხვეე“. ეს მთავითაც მოწმობს თუ ი. ჭავჭავაძე როგორ უყვრდებოდა და იყენებდა ხალხის სიტყვიერებას. „სცენებს“ ღრმად ამჩნევია ხალხის სასაუბრო მეტყველების გავლენა, განსაკუთრებით ეს ითქმის გლახა პრიაშვილის მეტყველების მიმართ.

სასაუბრო მეტყველების ასეთი ხალხური სტილი საერთოდ ახასიათებს გლახა პრიაშვილს. ერთ რეპლიკაში გლახა იყენებს რამდენიმე ანდაზას. თვით გამოთქმა „ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“ ხალხურ-ლიდანაა აღებული. მიუხედავად იმისა, რომ გლახა პრიაშვილს ახასიათებს აბნეული ღამარაკი და ხალხის ამ სიბრძნეს იგი სწორ გზას ვერ აძლევს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ხალხურობა ის ძალი, რომელიც მის რეპლიკას შრისა და ღამაზის აძლევს.

სხვაგვარია სასაუბრო მეტყველება მებატონე ქვერთვი დედაკაცისა. მისი მისწრაფებები ანტი-ხალხურია და ამიტომაც იგი არასოდეს არ ეყრდნობა ხალხის სიტყვიერებას, იგი ერთგან,

ისე როგორც მას ეს სჯობდა, იმედიც კონობილ ღვაწლის სახარებიდან — „მოთმინებითა თქვენითა მოაზრებთ სული თქვენიო“. ჭკრივის ლექსიკონი შედგება ისეთი სიტყვებისაგან, რომლებიც სავსებით შეეფერება გლეხობის შემავარცხნელ მებატონეებს. „ქალიშვილი“, „ლორები“, „ტილიანები“, „წუწუწუწულები“ და სხვ. სწორედ ისეთი სიტყვებია, რომლითაც მებატონე თავდაზნაურობა უმასპინძლედებოდა უფელში გაბმულ გლეხობას. ილია ჭავჭავაძე ამ მხრით „სცენების“ პერსონაჟთა ენას დიფერენციულად უდგება და იყენებს მას მათი ხასიათების გამოკვეთისათვის.

როგორც აღნიშნეთ, „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“ დაწერილია 1865 წელს, როცა ილია ჭავჭავაძე თვით ეყო მობრძეებელ შუამავლად, შემდეგ მოსამართლედ დუშეთის მაზრაში, 1864 წლის ნოემბრიდან 1874 წლამდე. ი. ჭავჭავაძე ნაბატონარსა და ნაუფეგ შორის მობრძეებლის როლში გამოდიოდა და უშუალოდ უყვარდებოდა მათ ურთიერთობას, ისე რომ სცენებისათვის მასალა შეკრალს თავისივე პრაქტიკიდან აქვს აღებული. რომ ეს ასეა ამაში ნაწილობრივ თვით ნაწარმოებში მოყვანილი ტექსტით გვარწმუნებს. ჭკრივი ასე მიმართავს მობრძეებელს: „თქვენც, ჩვენი მიწაწველის შვილს, კუთლში ბილის სისხლსა და ხორცს, ამათი მხაზე გვიკრით. აბა, თქვენგან რაღას უნდა მოველოდეთ?... მიტუღდავად თავისი წოდებრივი წარმოშობისა, მობრძეებელ შუამავლად ყოფნისას, სწორედ ასეთ როლში გამოდიოდა ი. ჭავჭავაძე, მას უფლებამოსილი გლეხობის მხარე ეკრია. ცნობილია, რომ საგლეხო რეფორმების მომზადებისთან დაკავშირებით, 1864 წლის აპრილში ი. ჭავჭავაძე აღინიშნა საგანგებო მინდობილობითა მოხელედ ქუთაისში. მას დაავალბული ჰქონდა შეესწავლა მებატონეთა და გლეხთა ურთიერთდაპირისმართებულება. აქაც მან ღრმად აკვირვება აწარმოვა და დიდძალი მასალა დაგროვა გლეხებსა და მებატონეეთა ურთიერთობაზე. საწინებაროდ, ილიას მიერ შედგენილი ერთელი მოსენებებით ბარათი დაკარგულად იყოლება. თუ როგორ შეხვდა იმერეთის მაშინდელი მებატონე თავდაზნაურობა ი. ჭავჭავაძეს, ამას მოწმობს ილიას მიერ ქუთაისიდან შეუღლისადმი გამოგზავნილი წერილი: „ამას ეკრძა, რომ ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეკანონათ: აბ, ესენი არიან ჩვენი დამდუბავები, ყმების წარმომეგებო“.

ი. ჭავჭავაძის მობრძეებელ შუამავლად მუშაობის შესახებ საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა იონა მეუნარგამი.

პირველ ყოვლისა ამ ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს ილიას, როგორც შუამავლისა და მოსამართლის დემოკრატიული ტენდენციები. ი. ჭავ-

ჭავაძე დიდი მტერი იყო იმ უფლებრივი ტყანასწორობისა, რომელსაც მაშინ წოდებდნენ ყრბის ჰქონდა ადგილი. ილია, რეგულარულად, მიისწრაფოდა წოდებამდგომარეობის ნასწორობის მოსაზრებას. მან, როგორც ეს ჩვენი ზემოთ აღნიშნეთ, „გლეხთა განთავისუფლების“ სცენებში გარკვევით გაატარა ეს აზრი. ასეთვე იყო ილია, როგორც შუამავალი და მოსამართლე. ეს აშკარად ჩანს იმ განაჩენებიდან, რომელიც მას დუშეთის მაზრის მობრძეებელ მოსამართლედ ყოფნის დროს, ნაბატონარისა და ნაუფეგის ურთიერთ საჩივრის გამო შეუმუშავებია.

სანიმუშოდ გამოდგება ილიას ორი განაჩენი, რომელიც მას აზნაურ ჩრდილელსა და გლეხ ნინია თომასვილის საჩივრის გამო გამოუტანა. აქედან ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე დაუზოგავად სჯიდა მშრომელი გლეხობის შეპატივობებს.

ილია ჭავჭავაძის სამოსამართლო მუშაობის დაბასიათებისათვის საინტერესოა მცხეთაში მცხოვრები მჭედლის, იაკობ ხატისაშვილის საჩივარი. მასთან კვირა აღეს მისვლა თავადი ლევან გედევანიშვილი და მოუთხოვია მისი ცხენის დაჭედვა. ხატისაშვილს უარი უთქვამს. მაშინ განრისხებულ თავადს მისთვის მითრახი გადურტყამს. ხატისაშვილი სასამართლოს სთხოვს ასეთი მოქმედებისათვის დასაჯონ თავადი გედევანიშვილი. საქმეში შემონახულია მცხეთის მაქსასხლისი მომართვა ი. ჭავჭავაძის სახელზე, რომლითაც იგი ატყობინებს, რომ მჭედელი ხატისაშვილი და თავადი გედევანიშვილი შერიგდნენ და მოითხოვენ საქმის მოსაპობას.

მომართვაში ილიას მისამართით აღნიშნულია, რომ მოწივანი და მოპასუხე ახლა „გაბლავან სიყვარულთა და მშობითა, და ვიცი ამისთანა კეთილი მოქმედება თქვენ ბრწყინვალეებას „სასამართლოდ“ დაჩვენაო“. მართლაც, ილიას არ მოუსურვებია მომჩივანსა და მოპასუხეს შორის საქმის გამწვავება და 1868 წლის აგვისტოში სასამართლეს სტომამზე დაუდგინია: — „საქმე წარსებითი შეწყდეს“.

ჩვენი აქ სხვა მაგალითების მოყვანას აღარ შევუდგებით. აღნიშნულიც საკმარისია ამის ნათესაყოფად, თუ „გლეხთა განთავისუფლების“ სცენების მასალებს საიდან ჰკრეფდა ილია და როგორი იყო მისი, როგორც მოსამართლის პრაქტიკული მოღვაწეობა.



„ქართლის დედა“ ფსიქოლოგიური ხასიათის დრამატული პოემა. ეს ნაწარმოები ილია ჭავჭავაძის ადრეა ორი ძალის კვიდილზე; პოემის მოქმედების განვითარების მთელს მანძილზე ქართლის დედის მტკიცე პიროვნებაში ერთ-

მანეთს ებრძვის სამშობლოსა და შვილის სიყვარული. ეს დაძაბული ფსიქოლოგიური განცდები ნაწარმოებში ვითარდება სამშობლო ქვეყნის კრიტიკული მდგომარეობის ფონზე, რაც პოემის მძაფრი დრამატისთვის ელფერს აძლევს და მას მიმზიდველს ხდის.

ქართული დედა, რომელსაც სიცოცხლე სწევრების გამო წვალება დაეპყრო, ახლა აღფრთოვანებულია თავისუფლებისათვის აღმდგარა, გამოფხიზლებული ხალხის ხილვით. განსაკუთრებით ახარებს მას ის გარემოება, რომ თავისუფლებისათვის აღმდგარა არა მარტო მისი ხალხი, არამედ მონათში ჩაჯარნილი სხვა კავკასიელი ხალხები, რომელთა შერთობული ძალა დასწინდარი უნდა ვახდეს დამონებულთა დამარცხებისა და ქვეყნის თავისუფლების. ამიტომაც მწერალი პოემის დასაწყისშივე ხაზს უსვამს საერთო ბრძოლის წინააღმდეგ კავკასიელ ხალხთა გაერთიანების აზრს.

მაგრამ ასე კრიტიკულ ვითარებაში სიტყვები და სურვილები როდი ემარა, სამშობლოს თავისუფლება დედისაგან მსხვერპლს მოითხოვს. მან საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე უნდა გაგზავნოს საკუთარი ვაჟი, რომელიც მისი ერთადერთი შვილია და მოხუცობის ვაჟს ერთადერთი პატრონი. ასეთ სულიერ ვითარებაში დედა წარბოსტქვამს მონოლოგს თავისუფლებაზე. ძნელია მოიძებნოს მეორე მონოლოგი, ისეც დედის, რომელშიაც ასე ღრმად და მხატვრულად გააზრებული იყოს თავისუფლების იდეური სახე.

თავისუფლება აღამიანებისათვის სიცოცხლეა, იგია მისი სიმათლე, მისი მშვილობა, მისი აღამიანობის მარევერელი, მას შეუძლია აღამიანი ღვთაებრივ სიმადლებზე აიყვანოს. სწორედ ასეთ წმინდათა-წმინდას ართმევენ ხალხს „მტარვლები“, დამპყრობნი. ისინი „ოღითვე კრალადენენ“ თავისუფლებას, ართმევენდენ ერს თავის სახეს, არსებობას, რადგან ქვემარტივ თავისუფლება მათ შეეზნელ მისწრაფებებთან უოველთვის შეუთავსებელია. ამიტომაც თავისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი თვით არს მშვიდობა, ქვეყანაზე შადლის მომფენი“, მან სდევს სისხლი, მისი ტანარი უსისხლოდ როდი შენდება, მისმა მამებელმა ერმა უნდა იცოდეს, რომ წართმეულ თავისუფლებას, „მტარვლები“ ნებით არ დააბრუნებენ, ასეთია ამ მონოლოგის მთავარი აზრი. მასში ილია ჭავჭავაძე გარკვევით მოუწოდებს ერს, რომ თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლა და სისხლია საჭირო.

დედის დიდი სულიერი ტვირთები ი. ჭავჭავაძის მიერ გადმოცემულია რეალურ, აღამიანურ ფორმებში. აქ ყველაფერი ბუნებრივად ვითარდება, საერთოდ, ი. ჭავჭავაძის ეხერხება ოსტატურად გამოყვეთოს ტიპი, მისი ხასიათი.

აქაც ჩვენ წინ აღიმართება დღევანდელი სახე სამშობლოსა და შვილის მოყვარული დედის, რომელიც ყველაფერს, მათ შორისც შეუძლის ძვირფას სიყვარულს ანაცვლებს. [147] მისი ქვეყნის ინტერესებს.

კომპოზიციურად დრამა, მისი დილოგი თუ მონოლოგი, დედის სულიერი განცდების მიმოქცევაზეა აგებული. ამდენად „ქართლის დედა“ ფსიქოლოგიურ ხასიათის დრამატული პოემის წარმოადგენს, დედის გული ხან შეილისა და ხან სამშობლოს სიყვარულისაკენ იხრება. ეს გარეგნული კიდელი დრამას ბუნებრივი განვითარების გზას აძლევს და მხატვრულ სიმათლეს ანიჭებს.

დავით აღმაშენებლისა და თამარის დროშილოდ საფარია მწერლისათვის. მთავარი კი აქ ის არის, რომ მწერალი მწვეედ განიცდის თავისი დროის საქართველოს მდგომარეობას და სურს ხალხი ააჯანყოს დამონებულთა წინააღმდეგ, რომ ეს ასეა, ამას მოწმობს „ქართველის დედის“ ქვესათარი „სცენა მომავალ ცხოვრებლად“ და მიძღვნა პეტრე ნაჟაშვილისადმი, რომელიც წამძღვარებელი აქვს ჯერ კიდევ „ქართლის დედის“ პირველ ვარიანტს, რომელშიაც აშკარად არის ნათქვამი, რომ „ქმემა“, ე. ი. ხალხმა თავისუფლებისათვის ბრძოლაში ახლა უნდა მიზამოს „მამებს“, წარსულ საქართველოს.

მაგრამ მაშინდელი ცენზურა როდი აძლევდა მწერალს საშუალებას თავისი მისწრაფებები გამოეთქვა ასე, როგორცაც ეს მას სურდა. „ქართლის დედაში“ განიცადა შევიწროება ცენზურისაგან. ცენზურა ნაწარმოების სწორედ იმ სტრიქონებს იღებდა მიზანში, რომელშიაც მებრძოლი აზრები იყო გამოხატული. განსაკუთრებით ეს თქმის დრამატული პოემის იმ ადგილზე, რომელშიაც მწერალი გადმოგვეყვს საერთო ბრძოლის წინააღმდეგ ამირკავკასიის ხალხთა გაერთიანებული ბრძოლის საჭიროებას. ცნობილია, რომ ცენზურამ ეურ. „ქრებულში“ დაბეჭდვისას ტექსტიდან სწორედ ეს ადგილები ამოიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ პოემა „აზრდილიშიც“ ამ აზრის გამოხატულ სტრიქონებს ასეთვე ბედი ეწია. განსაკუთრებით ცვილებები განიცადა ეურ. „ქრებულში“ (1871 წ., № 3) „ქართლის დედას“ „სიმღერამ“ („ქართველი, ხელი ხმალს იყარ“).

ამ ნაწარმოებშიცაც იგრძნობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სიახლოვე ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებთან და ხალხურ შემოქმედებასთან. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ თუ პოემა „აზრდილს“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს რუსთაველის აფორიზმი — „რა ვარდმან მისი ყვეილი გახმოს, დამწინაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფისა საბაღნაროსა“, „ქართლის დედის“ პირველ ვარიანტს



წამდვარებული აქვს რუსთაველის მეორე აფორიზმი — „სჯობს სიცოცხლესა ნაპრაბსა სიკვდილი სახელოვანი“. პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც რუსთაველის აფორიზმი გამოხატავს ნაწარმოების იდეურ მიმართულებას. „ქართლის დედის“ მთავარი აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მონურ სიცოცხლეს ბრძოლაში სიკვდილი სჯობია. თვით დრამატული პოემის ტექსტშიც მოჩანს რუსთაველის გავლენა: რუსთაველის აფორიზმების გავლენა დრამის ტექსტში სხვაგანაც შეინიშნება. მაგალითად, შეილი დედას ასე მიმართავს: „ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოკვდები, რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი“.

აღსანიშნავია, ისიც რომ „ქართლის დედის“ ბოლო ვარიანტიასთვის, ილიას წაუძმდვარებია არა რუსთაველის აფორიზმი, არამედ მის მეორე საკუთრივ წაწერილი ხალხური ლექსი:

ვაგვიმელ, ბერო მინდიაე,
შუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსი,
ვისაც თავი აქვს ცღისაო.

ამით მან „ქართლის დედას“ კიდევ უფრო მეტი საბრძოლო ამოცანა დაუსახა.

ასეთი იყო ილიას დრამატული ნაწარმოებების წყაროები. აქაც ისე, როგორც სხვა ქარის ნაწარმოებებში, ილიაზე, პირველ ყოვლისა, ძლიერ გავლენას ახდენდა ხალხი, მისი შემოქმედება და ქართული ლიტერატურული ტრადიციები. ი. ჭავჭავაძის შემოგანზიდული დრამატული ნაწარმოებები ათეული წლების განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა სცენაზე, ისწავლებოდა სკოლაში და იკითებოდა საზოგადოებაში. მათ დიდი როლი შეასრულეს, როგორც ბატონუმური ცხოვრების მზილებასა და უარყოფაში, ისე ეროვნულ გამათვისებულელებული მოპრაობის განვითარებაში.

მ. კვეციანი

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!
 თქვენალ „მნათობის“ 1961 წლის 10-ე ნომერში მოთავსებული ამხ. პრ. რატიანის სტატია „თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების გაგებისათვის“. სტატიის ავტორი ყოველგვარი საბუთის გარეშე ცდილობს როგორმე უარყოს ჩვენი „ახლოგეტერი“ თვალსაზრისი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. მწელია გვამათო ამხ. პრ. რატიანს, რადგან თავისი მოსაზრების დამამტკიცებლად მას არავითარი საბუთი არ მოაქვს. პირიქით, იგი ყოველად უტყერპონიოდ ამბობს ჩვენს წინაშე „ფაქტურ პარადიგმებში“ გამოთქმულ აზრებს¹ და ამ ხერხით ცდილობს მათ გაშიბარებებს. ასე მაგალითად, ამხ. რატიანი წერს თითქოს ჩვენ² ვამტკიცებდეთ, რომ ი. ჭავჭავაძე მეცნიერული სოციალიზმის მიმდევარია³. ასეთი აზრი არსად არ გამოგეთქვამს. წიგნში „ფაქტური პარადიგმები“ ვიხილავთ რა საკითხს თუ როგორ მივიღა გოეთეს მიერ „ფაქტში“ განვითარებული „თავისუფალი მიწაზე თავისუფალი შრომის იდეა მეცნიერული სოციალიზმის პოზიციებამდე“⁴ იმას კი არ ვწერთ, რომ ი. ჭავჭავაძემ მიიყვანა ის ამ პოზიციებამდე; არამედ მარქსმა და ენგელსმა. ილია, როგორც თავის დროის სხვა მოწინავე პროგრესული მწერლები, მიღის ამივე გზით და უნახლოვდება მარქსიზმს⁵. განა ეს იმას ნიშნავს, რომ მე ი. ჭავჭავაძეს მეცნიერული სოციალიზმის მიმდევრად ვაცხადებ? თვითონ პ. რატიანიც ხომ წერს, რომ ილია ჭავჭავაძემ „მთელი რიგი საკითხების გაგებაში გამოაჩინა უდიდესი მეცნიერული აღლო და მიუ-

ახლოვდა მარქსიზმს“¹. თუ ეს რატიანისთვის არ ნიშნავს ი. ჭავჭავაძის მეცნიერული სოციალიზმის მიმდევრად გამოცხადებას, რატომ უნდა ნიშნავდეს ჩემთვის?

ასევე მოგონილია პ. რატიანის მეორე ბრალდება — თითქოს ჩვენ ი. ჭავჭავაძეს ვწყვეტთ „არა მარტო გლეხობისაგან, არამედ მთელი ქართული ერისგანაც (1)“² განა ჩვენი მოსაზრება, რომ ილია ჭავჭავაძე არ იზღუდება მხოლოდ ერთგული თავისუფლების საკითხებით, არამედ პირველ რიგში გამოხატავს მშრომელი ხალხების სოციალური თავისუფლების იდეებს, იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ილიას ქართველ ერისაგან ვწყვეტთ? ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესს ხომ ერთგულ თავისუფლებასთან ერთად სოციალურ-პოლიტიკური თავისუფლებაც წარმოადგენდა? მეტიც, ილიას აზრით „ერთგული თანასწორუფლებიანობა“ სოციალური თავისუფლების შედეგად უნდა ყოფილიყო მოპოვებული. ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ილიას მართლაც ზღუდავს ერთგული ჩარჩოებით. ნუთუ ამხ. პ. რატიანს ჰგონია, რომ ეს წვეტის ილიას „მთელი ქართველი ერისაგან“? თუ პირიქით, საკითხის სწორედ ასეთი დამსა აყენებს მას თავისი ერისა და მსოფლიოს მოწინავე პროგრესულ მოღვაწეთა რიგებში?

სრულიად გაუგებარია ამხ. რატიანის ბრალდება თითქოს ჩვენ „პარადიგმების“ საშუალებით (1) ვაცოცლებდეთ ქ. გრიუნის „კაცური კაცის თვალსაზრისს“, რაც ამ 120 წლის წინათ გაკავშირებული იქნა ფრ. ენგელსის მიერ³. როგორც ჩანს, პრ. რატიანს არც ფრ. ენგელსის მითითებული სტატია წაუციხავს და არც „ფაქტური პარადიგმების“ ის ნაწილი, სადაც გოეთეს შესახებ გვაქვს მსჯელობა, თორემ მკითხველ საზოგადოებას მაინც მოერიდებოდა და ასეთ უსაფუძვლო ბრალდებას არ წამოაყუ-

¹ იხ. „ფაქტური პარადიგმები“, წიგნი პირველი, გვ. 454—498, აგრეთვე სტატია „შრომის სუფიერისა და წოდებათა ურთიერთობის საკითხი ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ („მნათობი“, № 12—1960 წ.).

² „მნათობი“, № 10, გვ. 158.

³ „ფაქტური პარადიგმები“, წიგნი პირველი, გვ. 460.

⁴ იქვე.

¹ პრ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, მეორე გამოცემა, „საბჭოთა მწერალი“, 1954 წ., გვ. 352.

² „მნათობი“, 1961 წ., № 10, გვ. 158.

³ იქვე.

ნებდა. პრ. რატინმა უნდა იცოდეს, რომ „კაცური კაცის“ ცნება ილია ჭავჭავაძის ევთუნიანის და არა მე, და რომ ფრ. ენგელსის აღნიშნულ სტატიაში საერთოდ არავითარ „კაცური კაცის თვალსაზრისზე“ არ არის ლაპარაკი. ფრ. ენგელსი კ. გრიუნს იმიტომ აკრიტიკებს, რომ მან გოეთეს პიროვნებისა და შემოქმედების „ადამიანური“ შინაარსი იქ კი არ დაინახა, სადაც იგი ნამდვილად არის — გენიოს გოეთეში, რომელიც თავისი ეპოქის მოწინავე იდეებითაა შეპყრობილი და რაქციულ გარემოცვას უმხედრდება, არამედ „გოეთე — ფილისტერში“, რომელიც ზოგჯერ ურიგდება ამ გარემოცვას და უმალვე დრეკება, როგორც კი „ისტორიის პირისპირ დგება“. ენგელსი წერს: „იგი (გრიუნი, მ. კ.) სრულებით არ წარმოადგენს გოეთეს მისი სიდიადის მზროვან. იგი ჩქარობს გვერდი ავირთოს ყველაფერს, რითაც გოეთე ნამდვილად დიდია და გენიალური, მაგალითად, „ავზორც“ გოეთეს „რომანულ ელფგიტს“ ანდა ბანალურობის მღვრიე ნაკადს ატანს ყოველივე ამას, რითაც მხოლოდ ამას ამტკიცებს, რომ აქ არაფერი აქვს სათქმელი. სამაგიეროდ იგი თავისთვის იშვიათი სიბუჯითით კრებს ყოველივე ფილისტერულს, ყოველივე ობიექტურს, ყოველივე წერილშივე, აჯგუფებს მას და ახვიალებს ლიტერატურული ცეხის უველა წესის თანახმად და დიდად ხარობს, როდესაც საშუალება ეძლევა რომელიმე უხასისობა თუნდაც დამახინჯებულად, გოეთეს ავტორიტეტით დადასტუროს“¹. ამრიგად, ენგელსის თანახმად, გრიუნმა გოეთეს პიროვნებისა და შემოქმედების სწორედ ეს ნივთიერა, შემანერ-ფილისტერული შინაარსი აიყვანა „ადამიანურის“ ხარისხში, რამდენადაც მას „ადამიანი“ მხოლოდ „განათლებული გერმანელის“ სახით, ხოლო ეს უკანასკნელი კი „გერმანელი მეშინას“ სახით წარმოდგენია.

აქ იმის მტკიცებას არ შეუძლებათ, რომ ჩვენს წიგნში გოეთე არაა და არც შეიძლება იყოს ამრიგად გაშუქებული, და მხოლოდ იმის შენიშვნით დაკმაყოფილებით, რომ მეცნიერული კამათის ელემენტარული წესის მიხედვით პრ. რატინი ვაღივებულ იყო, თუნდაც ერთი საბუთი მაინც მოეტანა იმის დასადასტურებლად, რომ ილიას მიერ „პერსპექტივაში დანახული“ „კაცური კაცის“ ცნება უდრის კ. გრიუნის „ადამიანურის“ ცნებას.

ცხადია, ეს მას არ შეუძლია, რადგან ამ ორ ცნებას შორის სავსებით არაფერია, სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია უფრო დასაბუთებულად ვამყენოთ, რომ თვითონ ამხ. პრ. რატინი იხილავს

კ. გრიუნის გაყამბეჭვებული მემოლის მიხედვით ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას¹.

ვ. კოტეტიშვილმა სწორედ რ. შენიშვნაში² რომ ილიას ნაზრევში არის რატინი „მწიფე-წარმავალი და დროელი“, ისე წარუვალა, უნივერსალური და მარადული“, იმის ნაცვლად, რომ ამხ. პრ. რატინმა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში პირველ რიგში სწორედ ეს „წარუვალა“ ა „უნივერსალური“ დაინახოს, იგი პირიქით, „მწიფე-წარმავალი“ თუ „დროული“ ეპიფანება და ამის მიხედვით აკეთებს საერთო დასკვნებს.

თუ ვ. კოტეტიშვილმა ილია ჭავჭავაძის „ახალი ლიტერატურის აქილევსი“³ უწოდა, პრ. რატინი ილიას შემოქმედებაში, ისევე როგორც კ. გრიუნს გოეთეში, უწინარეს ყოვლისა აქილევსს კი არა, აქილევსის ქუსლს ეძებს და წოდებდათ შერიგების თეორიაში „პოეზობს“ მას. იგი წერს: „წოდებათა შორის ანტიგონიზმის უარყოფა და მათი შერიგების შესაძლებლობის ქადაგება არის ილია ჭავჭავაძის კონცეფციის ყველაზე სუსტი მხარე, მისი აქილევსის ქუსლი“⁴. წიგნში „ფუნქციური პარადიგმა“ ჩვენ საკმარის ბევრი საბუთი მოვიტანეთ იმის დასამტკიცებლად, რომ ილია ჭავჭავაძის არავითარი წოდებათა შერიგების თეორია არ უქადაგებია. პრ. რატინი კი თავკამოდებით ამტკიცებს, რომ სწორედ ეს „უშეყო“ თეორია იყო ილიას მსოფლმხედველობის აქილევსის ქუსლი. მეტიც, ამხ. რატინი „ამტკიცებს“, რომ ამ თეორიამ მიიყვანა იგი სრულ პოლიტიკურ და სულიერ კატასტროფამდე. თუ მას დაეუჯერებთ, „გაიყვებთ“, რომ მძინარი წლების შემდეგ ილია თურმე „მოვამწყვდა წინააღმდეგობათა გამოყვალ ჩიხში, რომელსაც ადრე თუ გვიან უთუოდ უნდა გამოეწვია მისი ილუზიების დამსხვრევა და, მისახადამე, მისი სული“.

¹ ამხ. პ. რატინის უხეში შეცდომების კრიტიკა მოცემულია „ფუნქციური პარადიგმის“ პირველი წიგნის სპეციალურ თავში: „უხეიანი საუბრე“. მაინც ჩვენ მოვერიგეთ ამხ. რატინის წიგნებზე პირდაპირ მითითებებს, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს მეტად უხეიბულ მდგომარეობაში ჩააყენებდა მას. ახლა კი, რაკი ამხ. რატინი ასე უცერემონიოდ ვარჯიშობს სხვის „პრეჟევილა“ შეხედულებებზე და ჩქმალავს საკუთარ შეცდომებს, იძულებული ვართ არ მოვერიდოთ ასეთ მითითებებს.

² ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959.

³ პრ. რატინი, ი. ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, გვ. 183.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, издание второе, 1955, т. 4, стр. 247—248.

ერი კრახიცი,¹ რადგან მისი იდეები „მაგრამ გამოკიდებული აღმონდნენ“,² ისინი „დაძველდნენ და აღარ შეეფარდებოდნენ ახალ საზოგადოებრივ ვითარებას“,³ მათ „თავისი დრო მოსვამს“,⁴ რის გამოც „ერთად ხელს უწყობდნენ საზოგადოების წინსვლას, არამედ პირიქით, შეუძლოთ შეეფარებინათ იგი და უნდა იქცეას, რომ არსებითად აფერხებდნენ კიდევ“⁵. დაწერილებით განიხილავს რა ი. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას, პრ. რატიანი თავის თავს ნებს აწლევს დასვენას, რომ „მოვლენათა ლოკიამ გააქარწყლა ილიას იმედი“,⁶ მას „ფეხქვეშ გამოეცალა ნიადაგი“⁷ და „საბოლოოდ დარწმუნდა თავისი საკუთარი პოლიტიკური კონცეფციის უშეუბამი“⁸. ამის გამო, რატიანის აზრით, ილიამ ერთხანს ვითომ „შეგნებულად შეაჩერა თავისი კალამი“. შემდეგ შემოქმედებით თვითმკვლელობა გადაწყვიტა, მოაქმენა თავისი „აქილევსის ქუსლი“ და თვითონვე „უდიდესი ლახვარი ჩასცა“ საკუთარ შეხედულებებში.⁹ კიდევ კარგი, რომ ილია ძლიერი ნებისყოფის ადამიანი იყო, თორემ „სხვა ვინმე მის ადგილას და მის ასაკში, აღზნათ, სავსებით მიატოვებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას¹⁰. თუმცა ასეთ მოღვაწეობას რა ფასი აქვს, თუ მან თავისი ბოლო ორი ათეული წელი იმის ნგრევის მოანდობა, რაც აღარ უშენებია. ან სხვა რა უნდა ექნა, როცა, პრ. რატიანის აზრით, ახალი ცხოვრება თერმე ისედაც ანგრეული ილიას საზოგადოებრივ იდეალებს. „ცხადია, ახალ ვითარებას არ შეეძლო არ დაენგრია და მან დაანგრია კიდევ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი იდეალების ხელოვნური შენობა“.¹¹ ასევე მის რატიანი.

ილია ჭავჭავაძის შესახებ წერა ასე არ შეიძლება, მით უმეტეს ეს არ უპატივება ან. პრ. რატიანს, რომელიც ასე თავგამოდებით აკრიტიკებს ილიას ნიპილისტ კრიტიკოსებს, რომელთაც, კაცმა რომ თქვას, იმაზე უარესი არაფერი უთქვამთ, რასაც თვითონ პრ. რატიანი ამბობს. მართლაც, თუ ილია „მოვლენათა ძალით ჩამოქვეითდა უბრალო ლიბერალის (!) პოზი-

ციებამდე, მოუშვადებელი (!) უღებობისა და ლიბერალური ჯგუფების იდეოლოგიის პრიციპებამდე“,¹ ისეთ „მისი მსოფლიოხედვისა და ბრძოლის იდეალებად იქცა საზოგადოებრივი წინსვლისათვის, რის გამოც ახალმა ვითარებამ დაანგრია მისი საზოგადოებრივი იდეალების ხელოვნური შენობა“², ხოლო თვითონ მან „სულიერი კრახი განიცადა და „უდიდესი ლახვარი (!) ჩასცა“ საკუთარ შეხედულებებს, რაღა ფასი აქვს მის მიერ ილიას შესახებ დაწერილი წარმომავლი დახვედრული ფაქტობრივ მასალას, რომლიდანაც ამის საწინააღმდეგო დასკვნები გამომდინარეობს, რასაც ამბ. პრ. რატიანი აკეთებს. ნუთუ ან. რატიანს მართლაც სჯერა, რომ ჩვენ ილიასაგან, მისი — „უმწეო“ შეხედულებებისა და დამსხვრეული „საზოგადოებრივი იდეალების“ ნანგრევები მივიღოთ შემეფარებოდა. როგორ შეუძლია მას ამტიკოსს, რომ ილიას შეხედულებები დაბრკოლებად იქცა ახალი ვითარების ახალი თაობისა თუ ახალი ცხოვრებისთვის? ამას ხომ ილია ჭავჭავაძის ყველაზე დაუძინებელი მტრები ამტკიცებდნენ?

როგორც ჩანს, ამბ. რატიანი ანგარიშს არ უწყებს ფაქტების ლოგიკას. მას მხოლოდ სხვისი აზრების კრიტიკა ეხერხება, საკუთარ უბეშ შეედომებს კი ოდნეოდაც არ ეპყრობა თვითკრიტიკულად. თავის დროზე ან. რატიანს მიუთითებს მის წიგნებში დაშვებულ შედომებზე, მაგრამ მან ეს კრიტიკა არ მიიღო, პირიქით, თავისი წიგნის მეორე გამოცემას დაერთო სპეციალური დამატება, რომელშიც სცადა უკუგვედო თითქმის ყველა საპარტიოანი შენიშვნა, ასე მაგალითად იგი ბოლომდე უკუტყდა ილიას მის მიერ წამოყენებულ ანტირადულ დახედებას ილიას შესახებ თითქოს „პატრიოტი მასში ხელს უშლიდა მოაზროვნეს“.

პრ. რატიანს უნდა ისიც მოგავიწყოს, რომ გოეთესადმი სწორედ ასეთი ნიპილისტური დამოკიდებულებების გამო აცამტყვრებდა ფრ. ენგელსი კ. გრიფინის შეხედულებებს. ჩვენშიც იყვნენ თავის დროზე გრიფინისებური ნიპილისტები, რომელთაც თვითონ ილია ჭავჭავაძე, როგორც უნობლია, „ტყუილ მარქსისტებს“ უწოდებდა და რომელნიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ილია ჭავჭავაძე დაბრკოლებად იქცა ახალი ვითარებისათვის, პრ. რატიანი უნდა გახედულად და გადაკრით გაემიჯნოს ასეთ შეხედულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ გამოვლენს ილია ჭავჭავაძის მსოფლიოხედვლობის ერთადერთ უცოდველ შემფასებლად, როგორც ილია მის ამჟამად მოაქვს თავი.

¹ იქვე გვ. 316

² იქვე, გვ. 235.

¹ იქვე.

² იქვე გვ. 296.

³ იქვე გვ. 242.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 296.

⁷ იქვე, გვ. 297.

⁸ იქვე, გვ. 290.

⁹ იქვე, გვ. 235.

¹⁰ იქვე, გვ. 239.

¹¹ იქვე, გვ. 231.

საინტერესო კრებული

პატარა მოთხრობების წერას რომ დიდი ოსტატობა სჭირდება, ეს საყოველთაოდ აღიარებული ქვეყმარტებაა. ცნობილია ისიც, რომ პატარა მოთხრობას ყველა განრზე უფრო ესაჭიროება სიტყვის მომპირანობა, მასალის ლოგიკური შერჩევა, ნათელი სიუჟეტი და თემის თვალაჩინოება. ნათქვამია, ზანდხან რევოლუციის გაყვება უფრო ძნელია, ვიდრე ქვეყნებისაო.

გიორგი ნატროშვილს, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს, ქართველი მკითხველი კარგახანია იცნობს და არგადაც იცნობს.

ფაქიზი, დახვეწილი, მოხდენილი სურათები, ნათელი შთაბეჭდილი საღებავები, ღრმა დაკვირვების უნარი, მოვლენათა პოეტური ზღვა, და მაღალი გემოვნება ხდის გიორგი ნატროშვილს პატარა მოთხრობების ოსტატად. მწერალი გმირთა მხატვრული სახეების შესაქმნელად არამარტო გარეგნული ნიშნების ამსახველ დეტალებს პოულობს მარჯვედ, არამედ გმირთა სულიერ სამყაროშიც ღაღად დანავარდობს. ნატროშვილს რამდენიმე გვერდზე შეუძლია დახატოს ცხოვრების რეალისტური სურათი, შექმნას გამოკვეთილი სახეები და ხასიათები. მის ბევრ მოთხრობაში არც დაძაბული სიუჟეტი, არც გამსაკეთებული სიტუაცია, არც გმირული საქციელი; მისი მოთხრობები ბევრგან სურათებისა და შეხვედრათა ზანახატებია, მაგრამ იგი აღწევს უზრალ ადამიანების ნამდვილ გრძნობათა ჩვენებას და ღრმად იჭრება გმირთა სულიერ სამყაროში. ხშირ შემთხვევაში მწერალი გმირთა მოქმედებაზე თავის აზრსაც არ გამოთქვამს და მკითხველს საშუალებას აძლევს თვითონვე გამოიტანოს დასკვნები და იფიქროს წავიხუტულზე.

მოთხრობები ორ ციკლად განიყოფებიან. ერთი სამაჟლო ომის ეპიზოდებს მოიცავენ, ავტორის და მისი თანამებრძოლი აშხანავების ფრონტული ცხოვრების მატანეს წარმოადგენენ, მეორე კი ომისშემდგომ ყოველდღიურ ცხოვრებას ეხებიან.

მწერალს ახსენდება განვლილი ომის სამინელებანი, იგონებს ფრონტულ ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად იბრძოდა დედა სამშობლოს გადსარჩენად, რომლებიც ველარ დაუბრუნდნენ მშობლიურ კერებს, ასე იჭრება მის მოთხრობებში მშვიდობის თემა. სამაჟლო ომის თემაზე შექმნილი მოთხრობების ყოველი სტატიონი გამსკაილულია ადამიანის უდიდესი სიყვარულითა და ღრმა სევდით იმ ადამიანებისადმი, რომელთა იმედი, სიხარული და თვით სიცოცხლეც უდროოდ ჩაიფერდა. მწერლის ტენდენცია ნათელია: მას ადამიანისათვის სურს იმედი, სიხარული, სიცოცხლე; და ლიტერატურის ამოცანაც ხომ ის გახლავთ, რომ გამოიწვიოს მკითხველის თანაგრძნობა იმ ადამიანისადმი, ვის მხატვრულ სახესაც მწერალი ქმნის და ვინც ზენების სტატიასთან თუ უსამართლობასთან ბრძოლაში იღუპება ან იმარჯვებს.

მოთხრობაში „ვინ არის ეს კაცი“ გვარების დაუსახელებლად და დახატული ჩვენი სამშობლოს სათაყვანებელი მწერლების პორტრეტები. მხატვრული ოსტატობითაა ნაჩვენები, თუ რა გავლენას ახდენდა და ახდენს ნამდვილ მამულშიველი ხასიათის ჩამოყალიბებაზე ილია ჭავჭავაძის ღრმად პატრიოტული ნაწარმოებები. მწერალი ყოველგვარი ავტობიოსა და პლაკატურობის გარეშე გვიჩვენებს, თუ რისთვის ჰქლავდნენ ამქვეყნად პოეტებს და რისთვის გუფგმირებს ილიას სამშობლოს სიყვარულით ანთებული გული.

სამაჟლო ომის ქვეშეხებიდან ნახროლი ყუმბარების შორეული ექო მოისმის მოთხრობებში: „როგორ ვნახე მოსკოვი“, „საქადაო“, „ქართველი ჯარსაკაცები“, „მფრინავის დაბრუნება“, „პოშები“, „გიაური“, „ბავშვი დაილუბა“, „ჩქმები“, „სანამ ცოცხალი იქნები“, „ღდა“ და „ახალი შთავარე“.

მოთხრობაში „როგორ ვნახე მოსკოვი“ გამოყვანილია ქართველი მეტყუამფრქვევე სანდრო, რომელსაც თანასოფელ შაქრასთან ერთად, მოსკოვის მისადგომებთან უბრძოლა და მშობ-

ლიურ სოფელში მდლით („მოსკოვის დაცვისათვის“) მკერდლამაშვინებული დაბრუნებულა. ბრძოლაში გამობრძმედელ სანდროს, სოფლად მუშაობაშიც არავისთვის დაუდევს ტოლი; მას მოსკოვში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე აგზავნიან. სანდროს უბედურება კი ისაა, რომ ყველას ჰგონია მოსკოვის, შშობლიურ ზემოქალაქათა, იცნობსო და მას მოსკოვის ქუჩებში ერთხელაც არ გაუვლია. ამ მოთხრობის ღირსება ისიცაა, რომ მასში ბუნებრივად და ძალდაუტანებლად იჭრება ხალხთა მეგობრობის თემა. მოსკოვში ჩასული სანდრო ამ უხარმზარო ქალაქის ქუჩებში დადებებს თავის ღებებსა და ძმებს, რომლებმაც იგი დაუძღურებული და განსაცდელში ჩაგარდნილი იპოვეა, უმკერდალს და ფეხზე წამოაყენეს.

ახლა, ისინი აქ, სოფლის მოწინავეთა გამოფენაზე ჩამოსულ სანდროს ტალღა-ტალღად ზედვინან, მაგრამ სანდროს თავის მზსნულთა სახეებზე ვერად უყენია და ამის გამო საზე მოღრუბლია, რაღაც სედასავით აწევეს გულზე, დადარდინებულა და ქუჩებში გაოგნებული დაეხეტება. „ეს დაეძებ, — თავისთვის ეკითხება სანდრო და თითონვე უპასუხებს, — დაეძებ ჩემს ღებებსა და ძმებს და ისინიც ტალღა-ტალღა მიმოდიან ჩემ ირვდღე ამ ვეება ქუჩებზე და მოედნებზე“.

„ჯგერმოსან მატარებელში“ რვეოლუციურ მუშაობაში მონაწილე ქართველი ქალის ცხოვრების ერთი ეპიზოდია მოთხრობილი.

ყოველივე მომავალ თობას გუთვნის. ამ თემას ეძღვნება მოთხრობა „შენია ეს ქვეყანა“. „მოდიოდა ბიჭი ქვეყნად და იმისი იყო ეს მინდორი, ეს მუქლურჯი სერები, მთელი ენამთა და ეს ალაზანი და იმის იქით, რომ მიწებია, ისინიც, იმათ იქით ცაა, ისიც...“

ახლა იმისი იყო მთელი საქართველო, მთელი ქვეყანა“.

ნოველის „უდარდელი კაცის სიკვდილის“ გმირი კალატოზი მიხა — შშრომელი, გამრჯე, ენამაზელი, პურადი, გულუხვი და ქაბუჭოთი ხალისიანი ადამიანია. მისთვის შრომა და მახვილი სიტყვა — ის აუცილებელია, როგორც სუნთქვა“. მიხას უდარდელიბა ზარმაცე და უქანარა კაცის უდარდელიბა როდამ მამინ ის არც ამ მშვენიერ ნოველის გმირად გამოდგებოდა. მიხას უდარდელიბის უკან სიცოცხლის სიყვარული, მოყვინისათვის მძიმე შრომის ვაადვილება და ცხოვრების ხალისი იმალება, თორემ ამა რა უდარდელია მოხვეცი კაცი, რომელიც გულგრილად ვერ ჩაუვლის გაჭირებებაში ჩაგარდნილ უცხო ადამიანებს, ახლაგანსრდებსაც კი წინ ვაუსწრებს და პირველი მუეა მითათა, რათა დახმარება აღმოუჩინოს, სიყვითთ სავსე გული ვადაუშალოს. აკი ანდრძიცი ისეთი დაავდო მიხამ: „ჩემი სიკვდილი არაეინ იდარდოს და დასაფლავებამზე ცრემლი არ დაღვაროსო, სულ სიცილ-ხარხა-

რით დამარბეთო. „მაგრამ ვიღას ახსოვდა მისა პასას ანდრძი. ყველა ისეთი მდულარე ცრემლებით ეხოვებოდა, რომ წანაღამ მტყალებზე დაითხარეს“. მიხა პასას შევლამქაღაღამ: „მეც ვადაღებული სურათი, რომელიც პროცესიას უძლოდა წინ, ამცნობდა მნახველს, რომ „მიხა პასა ისეც ისეთი უდარდელი მიდიოდა ამ ქვეყნიდან, თითქმის აქ არაფერი მომხდებოდა“.

„ქე კაცისა“-ში გამოყვანილი გმირი ადამოკეთილშობილი და მოყვინისათვის თავგანწირული ადამიანია. ამ ქვეყნად მას სხვა მიზანი არა აქვს, ვარდა იმისა, რომ თავისი უდელამაშვებში არჩინოს, დააპროს, ასწავლოს და გზაზე დააყენოს. ამნაირ ადამიანებს ქვეყნად სურს შეხედებით, და მწერალს ადამოს სახით სწორედ ასეთი განზოგადებული ტიპის შექმნა განუტრახავს. შრომითა და ვარჯით დაქანცული ადამო ქალქისაკენ ფეხით ვაუდგებოდა ხოლმე ვზას, რათა ძმებისათვის თავისი ოღელი მონაგარის სარჩო არ მოეცული. მაგრამ უმადრმა ძმებმა მომაკვდავი ადამო არც კი ინახულებს, ისე განუტყევა სული, და მეხოზლებმა სამადლოდ დამარბეს.

სამშობლოდან ვადახვეწილი, სხვისი საქმისათვის მამლუკეზივით თავგანწირული ადამიანების ხეყრის და აუზდენელი ოცენბარია აღწერილი მოთხრობაში „სოზმარი“. კაპიტან ისე ციციშვილის, პორუჩიკ ტიტე კარგარეთელისა და ვახმისტრ დავით გურამიშვილის სახეებს აცოცხლებს მწერალი ამ ნოველში და კეთილხელს ერთხელ კოდეე მოაგონებს სამშობლოდან ვარდახვეწილი, მაგრამ ნიადაგ მისი უბედური ბედით გულდათოქიქელ და მასზე მოფიქრალ მამულაშვილებს.

ღარიბ-ღატაკთა ერთგული მოსარბლის და მდიდართა დაუთხინებელი მტრის მიხა ქუქულაშვილის მხატვრული სახეა ვაყოფილი მოთხრობაში „შიში“. მიხას არსენას ეძახოდუნ და ისიც ნამდვილად უნაგარო უშიშარი და არსენასათო ქერიე-ობლების გამკითხავი ვაქაცი მათ ამწოკებლებს თავზე რისხვად ატუდებოდა.

თანამდროვე სოფლის მოწინავე ადამიანის სახის ვაგზოსაქრწად მწერალის საღებავებს არ იშურებს. ასეთი სახეა შექმნილი მოთხრობაში „მინდერის ბიჭი“. მაგრამ მწერალი, თუ მიტოს დადებითი თვისებების ჩვენებაში არ იჩნეს სიტუნწეს, არც მის ვაკიცებასა და დაციუნვას ვიოდენს. როცა რაკიომწა დაწინაურებული მიტო ყინწს მალა აწევეს და ინდურებით ვაიფხოტება, ქალაქიდან ჩამოსული მასწავლებლის მანანოს სიყვარულმა აქცია მიტო ისე ჩვეულებრივ ადამიანად. მწერალს მახვილ თვალს არ ვამოპარეია ადამიანთა ერთ ნაწილში ფეხვადგმული მანკიერება: დაწინაურებული კაცი რომ ვააბერება, ხმწს დაიბოხებს, ვაბღინძება, თავს ახლობლებსაც კი მიძიმედ უქრავს (თუ იცნო), ყველას თქვენობითა და მამის სახელით მიმართავს, რომ თვითონაც ასე მიმართონ; მ-

საღებ ოთახში ხალხს აღოდიწებს, რომ უფრო დღე ავტორიტეტი შექმნას და ა. შ.

უმორისტული მოთხრობა, „თეატრალაობა“ კაცის სიუჟეტი ბუნებრივი და დამაჯერებელია. სიტუაცია, რომელიც ზურაბს კომიკურ მდგომარეობაში აყენებს, მახვალგონიერადაა მოფიქრებული და მკითხველიც ასევე აღიქვამს მას.

„სმილის ნათლობა“ ოსტატურად დაწერილი მოთხრობაა. აქ რევოლუციის მომდევნო წლების სოფლის ცხოვრებაცაა და უბნისიც. აქ რამდენიმე მხატვრული შტრიხი და მკითხველს თვალწინ ცოცხლად წარმოუდგება სოფლის ბოიოლა წოთას, მისი ეშხიანი მუღლის მარინეს და სოფლის ახალგაზრდა „სულიერი შამის“ ვერგმას სახეები. მწერალი სიტყვას არ აგრძელებს უფრემასა და წოთას მეგობრობაზე, რომელსაც თან ახლავს ძველი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი „მეგობრობის“ განუყრელი ელემენტი — სასიყვარულო ისტორია (მარინე, ვერგმა). მოთხრობაში ნაჩვენებია გაუნათლებლობით დაბნელებული ძველი სოფლის ქვეშაირი სურათი. შავშვების სიკვდილით გონებადაბნელებულ გაბროსა და თებროს უმეცრება ფეფენა მკითხველს კარზე მიიყვანს. ოსტატის ფუნჯითაა შესრულებული ფეფენა მკითხველს პორტრეტი, მისი ოინები და მკითხაობის სცენა. იფინსხვეში ექიმის გამოჩენამ გაბროსა და თებროს ერთმანედ ახილა თვალი — შამინე შეხედნენ, რომ შეიღების დაღუპვის თვითონვე შეუწყეს ზელი.

არ შეიძლება მკითხველმა აუღიდავლად წაიკითხოს „ჩინაბატები“. სინარტული და აღტაცება, სინაინული და მწუხარება ერთდროულად გააყრობს „ჩინაბატების“ კითხვისას.

ცალკე უნდა გამოვეთ მოთხრობა „ისევ გაზაფხული იყო იორზე“. კონფლიქტს აქ რაიმე სოციალური მოტივი არ უდევს საფუძვლად. მაგრამ მკითხველი მაინც დამბუღლად აღედგნებს თვალს იორამის აქეთ-იქით ხეტიალს. იორამი კვლავ თავის ადგილს ეძებს ცხოვრებაში. მისი ფსიქიკა განუყრელადაა დაკავშირებული ცხვართან. ცხვარში გუტარებია თავისი სიკაბუცე და ახლა მოხუც იორამს საყვარელ საქმესთან განშორება აღარ ძალუძს. მართალია, მასზე ზრუნავენ რძალი, შვილი, შვილიშვილები, კოლმურნიკობის თავმჯდომარე ნიკო, მეტეზარეობის ბრიგადირი თარიმანი, აგრონომი მინა, მაგრამ მოხუცს მათი ეს ზრუნვა და ჩიჩინი „შენ მოხუციდი და შინ იჯექიო“, — უფრო აღიზიანებს და აჭირვეულებს. ავტორმა დამაჯერებლად გა-

დაგვიშალა თვალწინ გმარის სულიერი სამყარო. გვიჩვენა წელთა სიმრავლით დაშლიებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანგაუტყებელი, წვექოვარო და ცხოვრების სტიქიონთან უკვლევას შეგების მოსურნე მოხუცი იორამი. ეს სურათები ისეთი რეალისტური საღებავებითაა დახატული, რომ ვინაც ივრის ჭალების დამთრობელი სურნელი უგრძენია, ჩათმისა და ჩობან-დალის მწეანით შემოსალი მთების თავზე ლურჯად მოკაქამე ცა დაუნახავს, თრიმლის ბუნტების და ძეძვის ყვავილობისათვის თვალი მოუკრავს, მისთვის მწყემსი იორამის სახე ახლობელი, მშობლიური და ძვირფასია. ხოლო ვინც ივრის ჭალებში არ ყოფილა და არც ჩობან-დალისა და ჩათმის მთები უნახავს, ამ მოთხრობიდან შეიტყობს, რომ იქ „გაზაფხულიც, შემოდგომაც და თეთონი ზამთარიც კი ერთი ფერისანი არიან“, გაიკვებს, რომ იქ გაუსაძლიაა ზაფხული იცის და მწყემსებიც ამიტომ ოდიფანევე გაურბიან ზაფხულობით იქაურობას. მოხუც იორამს ჩვენ ჯერ მწყემსებთან ვხედავთ, მერე — შეიღთან თბილისში, ქარხანაში, სასამართლოში, ალანის ველზე ბაღებში, მაგრამ მას თავისი ადგილი მაინც ვერ მოუნახავს, ყველგან ზედმეტ აღამიანად გრძნობს თავს. ესაა სწორედ მისი სულიერი დრამის მიზეზი. მკითხველიც თანაგრძნობს იორამს, რომელიც ამ ვეებერთელა მკვეყანაზე ეძებს იმას, რაც დაკარგა და ვერ კი უმოვინა. ბევრი ხეტიალისა და ძიების შემდეგ, იგი ისევ ერთველ და სამუდამოდ არჩეულ საქმეს უბრუნდება. იორამმა ძალიან ძნელი და მძიმე გზა განელო, ვიდრე იმ ჭალებსა და ქობს დაუბრუნდებოდა, სადაც მისმა ახალგაზრდობამ გაიარა.

გიორგი ნატროშვილის მოთხრობებში ნოველისათვის დამახასიათებელი სახეები, განწყობილება, სცენები, სურათები — ყველაფერი თვინ აღვილხვა. მოთხრობაში ქრის ის განსაკუთრებული სიციცხლის იმპულსი, რომელიც დღე-ეანდელ სოფელს ამოძრავებს. ჩვენი აზრით, გ. ნატროშვილისათვის მთავარია მოთხრობის ფინალი და ის ფსიქოლოგიური გზები რომელიც ამ ფინალამდე მიყვარათ. უნდა აღინშინოს ისიც, რომ ხასიათების ძერწვას და ჩამოყალიბებას მწერალი მოქმედების განვითარებასთან ერთად ახდენს.

წიგნის ღირსება ისაა, რომ აქ სინამდვილის მხატვრული ასახვა გამომდინარეობს და ერთმან სთვით ასასახავი მოვლენების არსს განცდებსა და აჩრებს.

ელგუჯა მალრაძე

პეტრე იბერიელის შრომები



პირველი საუკუნის მოღვაწე დიონისე არეოპაგელი მნიშვნელოვანი ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომების ერთ-ერთი კრებულის ავტორად იყო მიჩნეული. ჯერ საეკლესიო-ფილოსოფიურსა და შემდეგ მეცნიერულ წრეებში დაიბადა გუეო, რომ ეს არ შეიძლება მარტო იყოს, რადგან სხვანაირი შრომები, რიგი ნიშნების მიხედვით, მეზოე საუკუნეებში არ შეიძლება შექმნილიყო. მსჯელობა თითქმის 1500 წელია გრძელდება, მრავალი თეორია შეიქმნა, მაგრამ ვერც ერთი ვერ დამკვიდრდა. ჯერ აჯად. შ. ნუცუბიძე ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში და შემდეგ ბელაშვილი მეცნიერი აჯად. ერ. მონიგმანი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი არის V საუკუნის ცნობილი მოღვაწე, ქართული პეტრე იბერიელი (ამ თეორიას მოწინააღმდეგეებიც პყავს).

ამავე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრადებო წიგნი გამოაქვეყნა სასსონ ენუქაშვილმა „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ტრაქტატის „საღმრთოთა სახელისათვის“, ეფრემ მცირის თარგმანი“. ამ ნაშრომით ს. ენუქაშვილმა 1953 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ავტორმა ისევ არეოპაგეტისა და ეფრემ მცირის თარგმანების საკითხებზე განაგრძო მეცნიერული მუშაობა და გამოაქვეყნა გამოკვლევები (იხ. სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 0164, 0185, 0187).

ახლანა გამოცემული 504 გვერდიანი წიგნი „პეტრე იბერიელის შრომები“ შედგება წინასიტყვაობისა (ქართულსა და რუსულ ენებზე) და სამი ნაწილისაგან.

წიგნის პირველი ნაწილი მონოგრაფიული გამოკვლევაა (გვ. 015—0199); იგი შეიცავს ზუთ თავს. ამოთვან პირველი დამოძიბილი აქვს არეოპაგეტული შრომების ტექსტოლოგიურ საკითხებს. აქ შესწავილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის 5 ნუსხის (იხ. გვ. 015—036) და აღნიშნულია ის პრინციპები, რომლებითაც ტექსტის გამოცემული ხელმძღვანელობდა.

მეორე თავი წარმოადგენს არეოპაგეტულ თხზულებათა ბერძნული დედნის (საუკეთესოდ აღიარებული ბ. კორდერისის გამოცემისა,

ანტვერპენი, 1634 წ.) და ეფრემ მცირის (1871 წ.) მიერ შესრულებული ძველბერძნული თარგმანის შედარებას.

ს. ენუქაშვილს ჩაუბარებია ტექსტების ანალიზი, რის შედეგადაც მოცემულია მათი აკარგვიანობის მეცნიერული სურათი. განსაკუთრებით საყურადღებოა აქ დადგენილი ფაქტი: ქართული თარგმანი შესრულებულია ბერძნული ორიგინალის ისეთი ხელნაწერიდან, რომელშიც მთელი რიგი ადგილები უფრო ვრცელ და სწორად იყოთხებოდა, ვიდრე ეს კორდერიუსის გამოცემაშია. ამ თარგმანის საშუალებით „შესაძლებელი ხდება ორიგინალის მრავალი ადგილის რუსტავრაცია, მისი ვარიანტობრივ სხვაობათა გამოვლენა“ (გვ. 0157). ამით ქართულ თარგმანს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თვით ბერძნული დედნის დადგენაშიც.

მესამე თავში გამოთვებულია ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, წარმოქმნის, ლექსიკისა და სტილის საკითხები. ავტორს სიყვარულითა და მონღოლობით შეუწავლია ეფრემ მცირის ენა, გაუშეშებია ეფრემის უდიდესი ღვაწლი მშობლიური ენის განვითარებაში, მისი ტერმინოლოგიისა და ლექსიკის გამდიდრებაში.

შეოთხე თავი მიძღვნილია ეფრემ მცირის, როგორც მთარგმნელისა და ფილოლოგის შესწავლისადმი. თუმცა ეფრემზე მოგვემოკება მნიშვნელოვანი ლიტერატურა, მაგრამ ქართული მეცნიერება ჯერ კიდევ ვალშია მის წინაშე.

„ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორბმოვარი ქართული მეცნიერი ფილოლოგისა, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იყო, და ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა მისი ნაღაწილი და ყველა ნაშრომი ისე გამოვსცეთ და შევისწავლოთ, როგორც მის დიად სულს, მაღალს გონებას და ღრმა სამეცნიერო ცოდნის და ნიჭს შეეფერება“ (იხ. ჯავახიშვილი).

ფიქრობენ, რომ ეფრემ მცირე გვირად კარკიძე იყო. მას მცირე (უმცროსი) ეფრემ დიდის (წლოვანებით) ოშკელისგან განასხვავებულად ეწოდა.

ს. ენუქაშვილი ირკვევს ეფრემ მცირის მრავალმხრივ მთარგმნელობით მუშაობის, მისი თარგმანის ახალი პროგრესული თეორიისა და მეთოდების (ხერხების) საკითხებს. იგი აჯგენს ეფრემ მცირის თარგმანთა ვრცელ სიას (გვ. 0136—0140) და ასკენის, რომ ჯერჯერობით „გამოვლენილი ცნობების თანახმად, ეფრემ მცირეს უთარგმნია 50 ავტორის 116 თხზულება 15 სხვადასხვა დარგიდან“ (0140) ამასთანავე, ეფრემი იყო ნაწიური პოეტი; ნათარგმნის

პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სასსონ ენუქაშვილმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1961 წ.

გარდა, მას ორიენტირება ღვთისმეტყველებაში (გვ. 0135; შტრ. კ. კველიძე, ტ 1, 1951 წ. გვ. 249).

გამოკვლევის მეხუთე თავში მოცემულია არეომაგიტიკის საკითხების შესწავლის მოკლე ისტორია V საუკუნიდან დღემდე. ს. ენქა-შვილს კრიტიკულად განიხილეს არეომაგიტიკის მსხველმეჭვლე არსებული ძირითადი ლიტერატურა. არეომაგიტიკული შრომების ავტორობის საკითხზე არსებულ თეორიათაგან მკვლევარს ყველაზე უფრო სარწმუნოდ წვეულებით აღიარებენ თეორია მიანისა და იქვეა მის დამატებით დასაბუთებას. აქვე იგი არკვევს არეომაგიტიკის შესწავლის ისტორიის რუსეთში (გვ. 0164—0175).

ს. ენქაშვილს აღნიშნული აქვს პეტრე იბერიელის, ანუ პეტრე ქართველის, ბიოგრაფიის საფუძვლები მომენტები, ავტორი მიმოხილავს ძირითად ბიბლიოგრაფიულ ცნობებს არეომაგიტიკული შრომების ბერძნული მანუსკრიპტების, თარგმანებისა და გამოცემათა შესახებ (გვ. 0188—0199).

პეტრე იბერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხებზე წერდნენ ცნობილი ქართველოლოგები (მათგან ნ. მარშია გამოსცა პირველად „ცხოვრება პეტრე ივერისა“ ქართული ტექსტი რუსულ თარგმანითა და გამოკვლევით 1896 წ.), მაგრამ მის შესახებ ჯერ კიდევ ბევრია გასარკვევი და დასაზუსტებელი.

ჯერჯერობით ცნობილია, რომ პეტრე იბერიელი ნაყოფიერად მოღვაწეობდა ბიზანტიის იმპერიაში, კერძოდ, სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში. იგი დააბნეულა 409 (ან 411) წელს, ვარდაცვლია 488 (ან 491) წელს. იყო ივერთა დიდი ბაქურ მეფის შვილიშვილი, ივერთის მეფის ბუზმირის ძე; პეტრეს ერისკაცობაში ერქვა მურვანი. ის 12 წლის წაუყვანიათ ბიზანტიის კეისარის თეოდოს II მოთხოვნით სამეფო მძევლად კონსტანტინეპოლს. მას თავისი ნიჭიერებით, ბერძნული ენის ღრმად შეთვისებითა და ქრემათვითობით განუცუფრებია აღმზრდელნი და სახელგანთქმული ფილოსოფოსები იმპერატორის კარზე.

სამშობლოში დაბრუნებისა და მეფობის ნაცვლად მურვანი, შემდეგ — პეტრე, 429 წელს გაქცეულა პალესტინაში, შემოუერთებია ირაველი ქართველები, ავტოა ივერთა მონასტრის გოლგოთაზე, მონასტერი იორდანის უდაბნოში, შექმნიდა ქართველთა კოლონია სირიაში და ა. შ.

პეტრე იბერიელი პალესტინაში დაუფლებია ასურულ ენასა და მწერლობას. 452 წელს ჰაიუმის ეპისკოპოსად დაინიშნავთ. ამის შემდეგ წერს ს. ენქაშვილი, „პეტრე იბერიელი სულ უფრო და უფრო აფართოებს თავის პრაქტიკულსა და საწერლო მუშაობას. მისი

ავტორიტეტი იმდენად იზრდება, რომ თქონივე „წარმოება გელესიის უმაღლეს მოწველთა დანიშნას“. (გვ. 0193).

პეტრე წერდა ბერძნულ ენაზე „მკვიდრად ყოფილა დაკავშირებული ქართულ ელტრულ სამყაროსთან და იმდროინდელ „წმინდა ადგილებში“ მოღვაწეობით მას ქართული ენა და ქართული ელტრის საერთაშორისო სარბიელზე გაქონდა“. პეტრესა და მისი მსგავსი მოღვაწეების საშუალებით მოიპოვეს ქართველებმა უფლება ბერძნების სპარძანებელ პალესტინის უდიდეს ლავრაში „წართქანი ეამნი და სამხრისაჲ, წარითხონ სამოცხელთა და სახარება თავიანთ დედანაზე“ (გ. წერათელი, უძველესა ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ. 1961 წ. გვ. 46).

ქრისტიანულ ორ სექტას — მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის გამწვავებულ ბრძოლაში (V ს.) დიოფიზიტებმა გაიმარჯვეს. პეტრე მონოფიზიტად იყო ცნობილი, მაგრამ მან შეინარჩუნა ეპისკოპოსობა, მისი დიდი სახელის გამო მასთან დიოფიზიტ-ქალკედონიტებმა კარგი ურთიერთობის დამყარება აშკარდინეს. პეტრეს გარდაცვალების შემდეგ კი აიკრძალა მისი სახელის ხსენება. ამით აიხსნება, რომ მომდევნო საუკუნეების დიოფიზიტურ საქართველოში იგი დიდხანს აღარ იხსენიება. მეცამეტე საუკუნეში, დიოფიზიტთა წინააღმდეგ ბრძოლის მოღვაწეების, მკარაი მესხმა სირიული ენიდან ქართულად თარგმნა პეტრე იბერიელის ბიოგრაფია, შემდეგ მოხდა V საუკუნის ამ მოყოფილი მასშტაბის მოღვაწის სახელის რეაბილიტაცია სამშობლოში. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანთა სიაშიც კი შეიტანა, მაგრამ XVIII ს. კვლავ გააცოცხლეს პეტრე იბერიელისადმი ბრალდება — მონოფიზიტობა და ამოიციტეს სხენებული სიიდან (გვ. 0195 — 0196).

წიგნის მეორე ნაწილი (გვ. 1-258) შეიცავს ფსევდო-დიონისე არეომაგიტის, ახალი თეორიით, იმავე პეტრე იბერიელის, 5 შრომის ეფრემ მციარის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანებს, რომლებიც პირველად აქ გამოქვეყნდა. ეს რთული და შრომატევადი სამუშაო შესრულებულია კეთილსინდისიერად; ტექსტებს ახლავს შეცნიერულ-ტექნიკური აპარატი. ეს ტექსტები VI-X საუკუნეების ქართველთათვის პეტრე იბერიელის სახელს არ უკავშირდებათ. ისინი ჩვენთვის, სულ ცოტა, ოთხი მხრივია საინტერესო:

- 1) როგორც ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტრაქტატები, რომლებმაც შუა საუკუნეებში დიდი გავლენა იქონიეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის (მათ შორის საქართველოს) ცივილიზებულ ხალხთა აზროვნებაზე;
- 2) თუ მართლა ამ ტრაქტატების ავტორი

პეტრე იბერიელა, ისინა განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, ჩვენი ევლტერის ისტორიკოსთათვის;

